

ISSN 0182-599 X

საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებების
აკადემია

გნებობა



11

1984



გნათობა

საქართველოს
მწერთა კავშირი

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წიგნი № 11

№ 11

ნოემბერი, 1984 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

კ. უ. ჩხრენელი — დავაგვიდგოთ ცხოვრებისეული სიზარტელე,
სოციალიზმის მაღალი იდეალები 3

პროზა, პოეზია

გიორგი ლეონიძე — აფხაზები ზუბირნატორი. რომანი	13
ტარიელ ზანტურია — ლექსები	50
გურამ დონაწაშვილი — ბახვას ზულფა რიჩხი უყო. მოთხრობა	56
კოსტა ხეთაბურავი — ლექსები. თარგმნი ჯივი ალბაზიშვილმა წინასიტყვიანად ვახო აბაგვიას	67
ხალა ზალვაშვილი — ლექსები	70
ქარლო არსენაშვილი — თურდოს ხომლის ლეონიძის მოთხრობა	73
ჯუღიძე მილანე — ლექსები	78
ალექსანდრე გიგინაშვილი — გიგინაშვილი. ლექსი	81
ვახე ჩოგინი — დამიანთ მინისტრი. მოთხრობა	82

ნარკვევი

ამირან აზვილაძე — დიდი მესაერში მდებარე პატარა ქალაქში. დასასრული 93

კრიტიკა, აუგლიცისტიკა

სერგი შილაია — ინტერვიუ ნინოშვილი	115
გიორგი ციციშვილი — ზრიტულ აზარტის საზოგადოებრივ აზრის	124
გიორგი ჯიგლაძე — „შანაახელი უზინი“ ანუ ჯიგლაძის ოდისა	128

მეცნიერება

ალექსანდრე ლლონი — ჩვენი მთა და აკაკი შანი	145
ვახტანგ გომილაძე — ქართული საზოგადოებრივი სათავადად	153

ი. მ. მელიქიძე



შინაარსი (გაგრძელება)

საზღვარგარეთის ლიტერატურა

ალბერ კამიუ — ორი ძსსმ. თარგმანი და ბოლოთქმა გიორგი ეციზაშვილისა 162

წიგნების მიმოხილვა

მიხეილ ვახარაძე — იოსებ კობახიძე „ფილოსოფიური მიმკვიდრების“ სერიით 171

შთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (შთ. რედაქტორის მოადგილე),
მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიზაშვილი, ზ. დოჩანაშვილი, პ. ქალაძე,
მ. ლასურია, მ. ლეგანიძე, ე. მალრაძე, ლ. მრალაშვილი, ზ. ნატრო-
შვილი, რ. პატარიაძე, ო. პაპიკორია (პ/მგ. მდივანი), ჯ. ჩარკვიანი, ნ. წუ-
ლენისკირი, ო. ზილაძე, ზ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ზ. ჯიბლაძე.

დავაამკვიდროთ ცხოვრებისეული სიმაართლე, სოციალიზმის მაღალი იდეალები

ამხანაგ პ. უ. ჩინინძის სიტყვა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმზე 1984 წლის 25 სექტემბერს

პირველად ამხანაგებო!

თქვენი პლენუმი ეძღვნება საბჭოთა კულტურის ისტორიის ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას — საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის ორმოცდაათ წლისთავს. დღეს სიამაყით ვავეცქერით გზას, რომელიც გამოიარა დიდი ოქტომბრით შობილმა საბჭოთა ლიტერატურამ. ლიტერატურამ, რომელიც მკაფიო გამოხატულება პოვა XX საუკუნის რევოლუციურმა გარდაქმნებმა. (ტაში).

ეს არის ლიტერატურა, რომელიც ხალხის ცხოვრებით, პარტიის, ქვეყნის ცხოვრებით სულდგმულობს. მის ფურცლებზე მთელი სიმაღლით წარმოგვიდგება ლენინისა და მისი თანამოსანგრეების, სამოქალაქო ომისა და პირველი ზღაპრების გმირების, დიდი სამამულო ომის უკვდავი მემორების დიდი ფიგურები. ეს არის ლიტერატურა, რომლის ყურადღების ცენტრშია გამრჩევა კაცი, მშრომელი კაცი, მაძიებელი, დაუდგრომელი, საქმიანი, სოციალიზმის აქტიური მშენებელი. ეს არის ლიტერატურა, რომელსაც შეუძლია გაუგოს თანამედროვეს, წარმოსახოს იგი, წარმოაჩინოს მისი შინაგანი სამყაროსა და ზნეობრივი ძიების მთელი სირთულე. მისი ჭირი და ლხინი, მისი მისწრაფება სიმაართლისა და სამართლიანობისადმი.

საქმეს, რომელიც ასე შესანიშნავად დაიწყეს გორკიმ და მაიაკოვსკიმ, ფადეევმა და შოლოხოვმა, დღეს განაგრძობენ მწერლები და პოეტები, აქტიურად და ნაყოფიერად რომ იღვწიან ჩვენს მრავალეროვნულ ლიტერატურაში. (ტაში: ბუნებრივია, აქ არ მოვეყვები სახელებისა თუ კონკრეტული ნაწარმოებების ჩამოთვლას. ვიტყვი მხოლოდ ერთს: ის ახალი, ნიჭიერი და ღრმა ქმნილებები, რომლებიც ლიტერატურაში გაჩნდა ამ შოლო წლებში და აოლევებს საბჭოთა მკითხველს, რომლებზეც ფიქრობს და კამათობს, — უტყუარი დასტურია იმისა, რომ ჩვენს თვალწინ საბჭოთა და, საერთოდ, მსოფლიო კლასიკაში იდგის იმედიანად ნაწარმოებები, რომლებიც გასცდება დროის სამანს და ალაღმართლად უამბობს ჩვენი დროების შესახებ შთამომავალთ.

არა მგონია შეეცდეს, თუ ვიტყვი, რომ საერთოდ ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებათა უზუსტეს კრიტერიუმს წარმოადგენს იმ ზემოქმედების რეალური სიძლიერე, რომელსაც ისინი ხალხის იდეურ-ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაზე ახდენენ. ამ თვალსაზრისით საბჭოთა ლიტერატურა, მართლაც, რომ უზაღლოა, იგი განსახიერებს ახალი, სოციალისტური ცივილიზაციის სუ-

ლიერ სიმდიდრეს. აი, რატომ არის, რომ პარტია, ხალხი ესოდენ დიდი პარტი-
ვისცემით ეკიდებიან მწერალთა, ყველა ხელოვნების ოსტატთა კეთილშობილ-
ლორ შრომას. (ტაში).

ამხანაგებო, მწერალთა პირველი ყრილობის წლისთავი განგვაწყობს გუ-
ლახდლი, საფუძვლიანი სჯა-ბაასისათვის არა მარტო ლიტერატურის საქმეთა
მდგომარეობის შესახებ, არამედ აგრეთვე საერთოდ მხატვრული შემოქმედების
პრობლემების, ჩვენს ცხოვრებაში ხელოვნების ადგილის შესახებ. ასეთი სჯა-
ბაასის მოთხოვნილება თქვენ, საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეებს, უდავოდ გექ-
ნება. მჯერა, ეს სწავია თქვენს ათმილიონობით მკითხველს, მყურებელს,
მსმენელსაც — ერთი სიტყვით, მთელ ჩვენს საზოგადოებას. არ დაგვიმალავთ: ამ
საუბარში მეც მინდა მივიღო მონაწილეობა. და, ბუნებრივია, როდესაც მხატვ-
რული შემოქმედების პრობლემებს შევეხები, სულაც არ ვაპირებ მოგვეთ რეც-
ეპტენი, თუ როგორ გადაწყვიტოთ ისინი. მინდა, უწინარეს ყოვლისა, აზრი
ვამოეთქვა ამ პრობლემათა პოლიტიკურ ასპექტებზე, გაგვიზიაროთ ჩემი საფიქ-
რალი, გაგაცნოთ პარტიის პოლიტიკის სადღესო ძირეული ამოცანები, ვიამ-
ბოთ, როგორ გვესმის ისინი, როგორ ვმოქმედებთ.

მხატვრული შემოქმედების პრობლემები უპოლიტიკოდ არ არსებობს.
ჩვესთვის ეს ცხადზე უცხადესი ჭეშმარიტებაა. მაგრამ მოგვხსენებათ, როდენ
დიდი გაპირვებით იკვალავდა იგი გზას. არ შეიძლება ჭეროვნად არ შევაფასოთ
წვლილი, რომელიც მის პრინციპულ დამკვიდრებაში შეიტანა მწერალთა პირ-
ველმა ყრილობამ.

ამ ყრილობაზე მიმდინარეობდა სჯა-ბაასი სოციალისტურ საზოგადოებაში
ლიტერატურის მოწოდების შესახებ, ახალი აღმზინის აღზრდაში მისი როლის,
ლიტერატორის მოქალაქეობრივი მოვალეობის შესახებ. ფართოდ, ლენინუ-
რად მოუდგა ამ საკითხებს ალექსი მაქსიმეს ძე გორკი. თქვენ, რა თქმა უნდა,
ვასსოვთ მისი მთავარი აზრი: მწერალმა უნდა შეძლოს იმ დიადი უფლების
აქტიური გამოყენება, რომელიც მას სოციალიზმმა მიაწივა. უფლებისა — უშ-
უალოდ მონაწილეობდეს ახალი ცხოვრების მშენებლობაში, იყოს ყოველივე
ყავლგასულისა და დრომოჭმულის მკაცრი მსაჯული, ამკვიდრებდეს თავისი
ხელოვნებით ნამდვილ ჰუმანიზმს, სოციალიზმის წმინდა იდეალს. ასეთია,
არსებითად, სოციალისტური რეალიზმის, ჩვენი ლიტერატურის, ხელოვნების,
ძირითადი მხატვრული მეთოდის პოლიტიკური არსი.

პირველი ყრილობა ახალი, სოციალისტური მიმართულების ლიტერატუ-
რის ჩამოყალიბების გზაზე გარდატეხის ნიშანსეტი გახდა. და იგი, როგორც
რტყვიან, სუფთა ფურცელზე კი არ დაიწყო, არამედ იბარტყა მოწინავე რუს-
ულა ლიტერატურის, რუსეთის ყველა ხალხის დემოკრატიული კულტურის
მსოფლიო კლასიკური მემკვიდრეობის ბალავარზე.

შეჯამა რა ყრილობის შედეგები, გორკიმ მას ბოლშევიზმის გამარჯვება
უწინადა. და იგი უდავოდ სწორი იყო. კომუნისტური პარტიულობისა და ორ-
განიზების შეტანა ლიტერატურის სფეროში დაეხმარა მას გამხდარიყო, როგ-
ორც ლენინმა განჭვრიტა, ნამდვილად თავისუფალი, მშრომელ ადამიანთან ყო-
ველნსრივ დაკავშირებული. დიდი ხნის ძიების შედეგად მიგნებული და ყრი-
ლობაზე დამკვიდრებული ლიტერატორთა გაერთიანების ორგანიზაციული
ფორმით შეიარაღდნენ სხვა ხელოვნების ოსტატებიც. და მან ღირსეულად გა-
უძლო დროის გამოცდას.

მაგრამ პირველი ყრილობის მნიშვნელობა გასცდა მხატვრული ცხოვრე-
ბის ჭარგლებს. იგი საბჭოთა ინტელიგენციის ჩამოყალიბების ისტორიის მიჯ-
ნადაც იქცა. გაიხსენეთ: ყრილობის დღეეგატთა ორ მესამედს წარმოშობით

ბუშები და გლეხები შეადგენდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეადგენდნენ პირველი თაობის ინტელიგენტები. ეს ფაქტი ყოველგვარ სიტყვებზე უკეთ მოწმობდა, რომ იშვა ახალი ინტელიგენცია, რომელმაც ღირსეულად აღიზარა დაიპყვირა ჩვენს საზოგადოებაში.

ლიტერატორთა ყრილობამ განამტკიცა ოქტომბრის შემდეგ ჩამოყალიბებული შრომისა და კულტურის კავშირი. უამკავშიროდ, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის კავშირის მიუღწევლად, რომლის შემადგენლებელი ძალა იყო და არის მუშათა კლასი, სოციალიზმის წარმატებული მშენებლობა უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა. ეს სწორი იყო ნახევარი საუკუნის წინათ, ეს მით უფრო სწორია დღეს, როდესაც ინტელიგენცია განათლებულ ადამიანთა ვიწრო თხელი შრე არ არის, არამედ მშრომელი ხალხის მძლავრი ფენაა. როდესაც განუხრებლად იზრდება მისი წვლილი ჩვენს საერთო საქმეში — სსრ კავშირში ამშენებული სოციალიზმის სრულყოფაში.

გასაგებია, ეს რთული საქმეა. იგი ვერ ჰკუთვნის ამჩატებულ, გამარტივებულ მიდგომას. აქ პირდაპირ ენის წვერზე გადგება ანდაზა: ჰკვა ცოდნით მოიხმარებისო. დიახ, სწორედ რომ ასეა, დღეს ჩვენ მანქანებისგანაც კი მოვითხოვთ ჰკვიანურ მუშაობას. და თუმცა ეს მხოლოდ მეტაფორაა, იგი სწორად წარმოაჩენს თანამედროვე საწარმოო პროცესის დამახასიათებელ თავისებურებას. მის მხარდ ინტელექტუალურ დონეს. აკი ამიტომაც არის, რომ სახალხო მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას, წარმოების ინტენსიფიკაციას ჩვენ უადრესად მჭიდროდ ვუკავშირებთ მეცნიერების აღმოჩენათა, ინჟინერული აზროვნების მიღწევათა დაჩქარებულ ათვისებას და, რაღა თქმა უნდა, თვით ეკონომიკური აზროვნების გარდაქმნას.

საერთოდ, ამხანაგებო, პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო მუშაობის რა დარგიც უნდა ავიღოთ, ჩვენ ვერსად ვერ შევიძლებთ წარმატებულ წინსვლას, თუ არ დავეყრდენით ყველა მშრომელის ღრმა ცოდნას, მაღალ შეგნებასა და კულტურას, თუ არ დავეყრდენით იმ უდიდეს სულიერ, შემოქმედებითს პოტენციალს, საბჭოთა ადამიანების თაობებმა რომ შეიძინეს. პარტიის X XVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის ბოლდაროინდელი პლენუმების გადაწყვეტილებანი, არსებითად რომ ითქვას, სწორედ ამ პოტენციალის სრულ მობილიზაციას გვისახავენ მიზნად. ეს, დარწმუნებული ვარ, მძლავრ აჩქარებას მიანიჭებს მთელ ჩვენს განვითარებას.

აქ, ამ დარბაზში შეკრებილან იმ პროფესიათა წარმომადგენლები, რომლებსაც ტრადიციისამებრ ეუწოდებთ შემოქმედ ინტელიგენციას. მაგრამ ვფიქრობ, თქვენც დამეთანხმებით, თუ ასე ვიტყვი: შრომის შემოქმედებითი ხასიათი, დაკისრებული საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა დღეს განმასხვავებელ ნიშნად უნდა ახასიათებდეს ყოველ ინტელიგენტს — მეცნიერსა თუ ინჟინერს. მასწავლებელს თუ ექიმს; — ისევე როგორც ცხადია, თითოეულ მუშას, თითოეულ კოლმეურნეს, ყველას, ვინც ალაღმართლად და კეთილსინდისიერად შრომობს ჩვენი დიდი სამშობლოს ასაყვავებლად. ასეთი ადამიანები კი ჩვენ მილიონობით გვყავს.

თქვენ, აღბათ, უკვე მიმიხვდით, ამხანაგებო, რაზე მინდა ჩამოვიგდოთ სიტყვა: თვით იმ ამოცანების ხასიათი, რომლებიც ჩვენი საზოგადოების წინაშე დგას, ჰეშმარიტად უკიდევანო ასპარეზს გვაძლევს საბჭოთა ინტელიგენციის ყველა რაზმის შემოქმედებითი ძალებისა და ენერჯის მოსახმარად. მათი მოღვაწეობის ფორმები და მიმართულებანი უადრესად მრავალფეროვანია. მაგრამ არის რაღაც საერთო, რაც მათ აერთიანებს. მე ვგულისხმობ იმ უზარმაზარ გავლენას, რომელსაც ინტელიგენცია ახდენს საზოგადოებრივ შეგნება-

ზე, საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე. ამის გათვალისწინება პარტიის პოლიტიკაში, მის იდეოლოგიურ და ორგანიზატორულ მუშაობაში, როგორც ლენინი გაცხადებდა, ყოველთვის გვმართებს. მაგრამ განსაკუთრებით გვმართება ისეთ პერიოდებში, როდესაც საზოგადოების წინაშე დგება თვისებრივად ახალი ამოცანები, რომელთა გადასაწყვეტად, ბუნებრივია, საჭიროა საზოგადოებრივი შეგნების ახალი დონე.

სწორედ ასე დგას საქმე ჩვენს დღეებშიც. პარტიის თეორიულმა აზროვნებამ ჩვენ განვითარებული სოციალიზმის კონცეფციით შეგვიაარაღა. ამ კონცეფციის ძალა ის არის, რომ იგი შესაძლებლობას გვაძლევს, ზუსტად განვსაზღვროთ ახალი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მოწოდებულობის მიღწეული დონე, უფრო ზუსტად წარმოვიდგინოთ ჩვენი უახლესი და პერსპექტიული მიზნები. იქნებ, ერთი შეხედვით, ეს რამდენადმე აბსტრაქტულადაც უღერდეს. მაგრამ, თუ ჩაუვთქვამდებით, თუ ყურადღებით ჩაუვთქვამდებით პარტიულ დოკუმენტებს, არ შეიძლება არ შევნიშნოთ: საქმე ეხება ძალზე კონკრეტულ, ცხოვრებისეულ საგნებს. საქმე ეხება იმას, რომ საჭიროა ყოველწარზე აწვინ-დაწვინოთ, რეალისტურად შევაფასოთ ჩვენი ახლანდელი პერიოდი: თავისებურებანი, არ დავეშვათ ჩვენი დიადი, უცილობელი მიღწევების არც დაკნინება, არც სინამდვილის შელამაზება და არც ნაკლოვანებათა დრამატიზაცია. საქმე ეხება წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტის ახალი, ამ თავისებურებების შესაფერისი გზების შემოქმედებითი ძიების მნიშვნელობას.

მასების მიერ სკვპ პოლიტიკის მხარდაჭერა მისი ეფექტიანი განხორციელების უზნიშვნელოვანესი პირობაა. ასეთ მხარდაჭერას კი უზრუნველყოფს გულახდილი საუბარი ადამიანებთან. პატოსნება და გულწრფელობა პოლიტიკაში პარტიისათვის გარდაუვალი კანონია. როგორც ვ. ი. ლენინი წერდა: „გულწრფელობა პოლიტიკაში, ესე იგი ადამიანთა ურთიერთობის იმ სფეროში, რომელსაც საქმე აქვს არა ერთეულებთან, არამედ მილიონებთან, — გულწრფელობა პოლიტიკაში ეს არის შემოქმედებისათვის საესეებით მისაწვდომი შესაბამისობა სიტყვასა და საქმეს შორის“.

სინამდვილის რეალისტური აღქმის მოთხოვნა სულაც არ ნიშნავს, თითქოს მიმდინარე საქმეების ნაჭუჭში უნდა ვიკეტებოდეთ. პარტია წინ იყურება, უპირველეს ყურადღებას უთმობს პრობლემებს, რომელთა გადაჭრაზეც დამოკიდებულია ქვეყნის, ხალხის მომავალი და მნიშვნელოვანწილად საქმეთა მდგომარეობაც მსოფლიო ასპარეზზე.

ახლოდგება სკვპ XXVII ყრილობა. ყოველი ყრილობა უდიდეს როლს ასრულებს პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. მაგრამ უკვე ახლა ერთი რამ უტყველია: მორიგი ყრილობის მნიშვნელობას განსაზღვრავს ის, რომ იგი მიიღებს სკვპ პროგრამის ახალ რედაქციას, რომლის საფუძველზეც ათწლეულების განმავლობაში უნდა ვიმუშაოთ.

როგორც არაერთგზის მიიტყვამს ცენტრალური კომიტეტის საპროგრამო კომისიის სხდომებზე ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ შექმნილი რეალებით, გავითვალისწინოთ ყოველივე არსებითად ახალი, რაც კი რამ გაჩენილა საზოგადოებრივ პრაქტიკასა და თეორიაში უკანასკნელი თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე, ყურად ვიღოთ მასების შექმნილი გამოცდილება. ამ გამოცდილებამ კი გვიჩვენა, რომ სანამ უშუალოდ კომუნისმის მშენებლობასთან დაკავშირებულ ამოცანებს გადავწყვეტდეთ, უნდა გავიაროთ განვითარებული სოციალიზმის ისტორიულად ხანგრძლივი ეტაპი, რომლის დასაწყისშიც არის ახლა ჩვენი ქვეყანა.

როგორც მშრომელთა წერილების, საზოგადოებრიობის გამოხმაურებას

ანალოზი გვიჩვენებს, საკითხის ასეთი დაყენება უცილობელ მხარდაჭერას პოულობს. ამასთანავე, როდესაც ხალხს ესაუბრები, ფოსტას ათვალისკრებზე წინაგზის ყურ გებადება კითხვა: უკან ხომ არა ვწევთ ამით კომუნისტურ პერსპექტივას? ამ კითხვის პასუხი ცხადი და მარტივია: რა თქმა უნდა, არა. პირიქით, ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა მოვაახლოოთ ეს პერსპექტივა. მისი მოახლოება კი შეგვიძლია მხოლოდ ერთი გზით — უნდა გადავჭრათ მთელი კომპლექსი დიდი და რთული პრობლემებისა, რომლებიც კომუნისტური ფორმაციის პირველი ფაზის ამა თუ იმ საფეხურს განეკუთვნება. ამას სრულად შეესაბამება ლენინური წარმოდგენა იმის შესახებ, რომ „კომუნისში არის განვითარებული სოციალიზმის უმაღლესი საფეხური“. და მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, ამხანაგებო: განვითარებული სოციალიზმის ეტაპის ხანგრძლივობა არამც და არამც არ ნიშნავს, თითქოს შეგვიძლია თავი არ შევიწუხოთ ტემპის მუდმივი გაძლიერებით გადავდოთ რაღაც მომწიფებული საქმეები სახვალოდ. ჩვენი განვითარების მაქსიმალურ დაჩქარებას ვახმაროთ დღეს ხალხის მთელ შემოქმედებითს ძალებს, მის შრომითს ინიციატივას.

ასე რომ, „განვითარებული სოციალიზმის“ ფორმულა ვერ გამოგვადგება მხოლოდ როგორც სიგელი, რომელიც გვიდასტურებს, ასე ვთქვათ, წარსულ წარმატებებს და ავტომატურად გვაძლევს მომავალ წარმატებათა გარანტიას. იგი მიზნად გვისახავს სულ სხვას, იმას, რომ შევეუსაბამოთ საბჭოთა ცხოვრების ყველა მხარე ყველაზე მაღალ, ყველაზე მომთხოვნ და, რა თქმა უნდა მეცნიერულად დასაბუთებულ წარმოდგენებს სოციალიზმის შესახებ.

ცხადია, ეს ენერგიულ სამეურნეო და ორგანიზატორულ ძაღისხმევას ზიაროვს. ამასთანავე შეუპოვარი მუშაობა გვმართებს მასების შეგნების ასაძლებლად, საზოგადოებრივი შეგნების გარკვეული, თუ გნებავთ, ბელახალი ორიენტაციის განსახორციელებლად, რათა იგი უფრო სწრაფად ითვისებდეს ახალ იდეებს, რომლებსაც პარტია აყენებს, გადაჭრით იღებდეს ხელს მოძველებულ, ჩამორჩენილ შეხედულებებზე. და ამ დიდმნიშვნელოვან იდეურ-პოლიტიკურ ნუშაობაში ჩვენი ინტელიგენციის აქტიური დახმარების იმედს გვაქვს.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ ამოცანას უდიდესი შთამაგონებელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისათვის. თავიანთი საშუალებებით ისინი უნდა ამკვიდრებდნენ ცხოვრებისადმი, მისი პრობლემებისადმი სწორედ ისეთ მიდგომას, რომლისთვისაც იღვწის, იბრძვის პარტია. სხვათა შორის, საჭირო რომ გახდეს ასეთი მიდგომის არსის მოკლედ განსაზღვრა, შეიძლება, ალბათ, ვისარგებლოთ თქვენთვის კარგად ცნობილი სიტყვებით — სოციალისტური რეალიზმი.

ახლა ლიტერატურა, კინო, თეატრი ხშირად მიმართავენ რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე მოკლენებს. აქ არაფერია გასაკვირი. წინააღმდეგობანი ბუნებრივი და გარდაუვალია სოციალისტური საზოგადოების განვითარების პროცესში. და, რაღა თქმა უნდა, ისინი ყოველთვის ასე თუ ისე გავლენას ახდენენ აღამიანების ბედზე, ხნობრივი კოლიზიების წყაროდ გვევლინებიან, მით უმეტეს, რომ ამ წინააღმდეგობათა დაძლევა, თუმცა ისინი ჩვენში ანტაგონისტურა ხასიათისა არ არის, მნიშვნელოვან მეცადინეობას, დიდ მოქალაქეობრივ გამბედაობას და პრინციპულობას მოითხოვს. ეს უხვად ასაზრდოებს მწერლის ფიქრებს, რათა შეასრულოს ლიტერატურის მარადიული მისია: საზოგადოებას, თითოეულ აღამიანს გაუღვიძოს სურვილი მეტი ყურადღებით, უფრო მკაცრად შეხედოს საკუთარ თავს. იგი ყველგან და ყველადღერში უნდა ეხმარებოდეს მას, დაადგეს ჩვენი საერთო საქმისათვის მედგარი მებრძოლის აქტიური პოზიციის.

ეხმარებიან რა პარტიას კომუნისტური სულიკვეთებით ადამიანების აღზრდაში, ნამდვილი საბჭოთა ხასიათის ჩამოყალიბებაში, ჩვენმა ლიტერატურამ ხელოვნებამ ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ წარმოეჩინათ ასეთი ხასიათის ბუნება, შეექმნათ ხალხის, სოციალიზმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანების მართალი, სისხლსაცე სახეები, რომლებიც გამოხატავენ ახალი სამყაროს მშენებლობის პეროიკას. ჩვენ ყველას გვესმის: ამის გაკეთება, ცხოვრებლად მხატვრულ ნაწარმოებებში ასეთი ადამიანების გადაყვანა ადვილი როდია. ალბათ ამიტომ ბუნებრივი და საჭიროა შემოქმედთა წრეში კამათი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს დადებითი გმირი. მე რა თქმა უნდა, ამაში ჩარევას არ ვაპირებ. მინდოდა მხოლოდ ერთი მოსაზრება გამოემთქვა. ვფიქრობ, ნაკლებად ნაყოფიერია დისკუსიები იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს, მაგალითად, გმირის დადებითი და უარყოფითი თვისებების „დოზირება“. აზნაგებო, ხელოვანის შემოქმედებითს ძიებას უნდა ჰქონდეს, თუ შეიძლება ითქვას, ერთი ამოსავალი წერტილი — ცხოვრების სიმართლის, სოციალისტური იდეალების ერთგულება. ეს ხელოვნების პარტიულობის, ხალხურობის აუცილებელი პირობაა.

რა თქმა უნდა, მკითხველს, მკითხველს, მკითხველს, განსაკუთრებით ახალგაზრდას, სურს უფრო ხშირად ზედმოდეს წიგნში თუ ეკრანზე ისეთ თავის თანამედროვეს, რომელსაც იწამებს, რომელსაც შეიყვარებს, მისაბაძად დაიგულებს. ვიმეორებ იმას, რაც ვთქვი ცენტრალური კომიტეტის ივენისის პლენუმზე, რადგან დარწმუნებული ვარ: ლიტერატურას და ხელოვნებას ვერაფერი ვერ შეედრება საზოგადოებრივი ზნეობისა და გრძნობების დახვეწის მხრივ, ზემოქმედების ძალის მხრივ. აი, კიდევ რა მინდა გითხრათ ამასთან დაკავშირებით. მხატვრულ კულტურასთან ადამიანის ზიარება, ესეთიკური აღზრდა მკვიდრ შედეგებს მაშინ იძლევა, როცა იგი პატარაობიდანვე იწყება. ჩვენი სკოლის უღვაწო დამსახურებაა, რომ პრაქტიკულად არა გვყავს კლასიკოსის მიერ გამასხარავებული „მიტროფანუშკები“, მაგრამ, აი, ემოციურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უმწიფარებს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით. როგორც ჩანს, საჭიროა სკოლის რეფორმა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ გავაძლიეროთ ადამიანის ჩამოყალიბებაზე ლიტერატურისა და ხელოვნების გავლენა. დარწმუნებული ვარ, რომ დღეს მოზარდ თაობათა იდეურ-ზნეობრივ განვითარებას, გრძნობათა კულტურის აღზრდას ნაკლები ყურადღება როდი უნდა ეთმობოდეს, ვიდრე მეცნიერების საფუძვლების სწავლებას. პარტიას ამ საქმეში შემოქმედებითი კავშირების, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის კონკრეტული დახმარების იმედი აქვს.

მოქალაქეობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის ჩანერგვის დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო და კვლავაც იქნება ისტორიის მუშეობით აღზრდა. და კარგია, რომ ლიტერატურაში, ხელოვნებაში თავისებურ აღორძინებას განიცდის ისტორიული თემა. წარსულზე სერიოზულად, წონ-დაწონილად, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის პოზიციებიდან ლაპარაკის უნარი — აი, რას მოაქვს, როგორც პრაქტიკა მოწმობს, წარმატება ამ საქმეში. ისტორიას ვერ გადაწერ, ვერ შეაღამაზებ. განსაკუთრებით დაკვირვებულ, ნამდვილ კლასობრივ მიდგომას მოითხოვს სოციალიზმისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის ისტორიის მხატვრული ასახვა. და რომ სიმართლეს არ მოსწყდეს, ხელოვანი ვალდებულია მტკიცედ ეყრდნობოდეს ფაქტებს, ემოციებითა და თვითნებური წარმოსახვით არ ცვლიდეს საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებისა და რეალური მიმდინარეობის ცოდნას.

და კიდევ ერთი რამ. სასიხარულოა, რომ ახლა საბჭოთა შემოქმედნი უფ-

რო ხშირად მიმართავენ პუბლიცისტკას. ეს მათ შესაძლებლობას აძლევს გახედულად და დროულად იჭრებოდნენ ყველაზე საჭირობოროტო პრუბლემებზე. აქ, იმ კონკრეტულ ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში, რომლებიც დღევანდელი ადამიანებს, ეს ხელს უწყობს ისეთ ნაწარმოებთა შექმნას, რომლებიც ზელოვნების საშუალებებით ზოგჯერ თითქოს უსწრებენ დროს, მწვავედ აყენებენ რა საჭირობოროტო ცხოვრებისეულ პრობლემებს და სახავენ მათი გადაჭრის კონკრეტულ გზებს.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, რა თემასაც უნდა მოჰკიდოს ხელი შემოქმედმა — თანამედროვესა თუ ისტორიულს, საშინაოს თუ საერთაშორისოს, რა ენარშიც უნდა მუშაობდეს, მისი შრომის ღირებულებას განსაზღვრავს უწინარეს ყოვლისა ის აქტიური იდეურ-პოლიტიკური, მსოფლმხედველობითი პოზიცია, რომელიც მას უყავია და რომელსაც ამკვიდრებს.

ამხანაგებო! ჩვენი წინვლის ტემპზე უმნიშვნელო გავლენას როდი ახდენს საგარეო-პოლიტიკური ვითარება, ახლა კი იგი მეტად შემამშოთებელი ხდება. უკანასკნელ ხანს არაერთხელ მომიხდა ამაზე ლაპარაკი. ასე, რომ, ნება მიზღოძეთ, გავიზიაროთ მხოლოდ რამდენიმე მოსაზრება.

ახლანდელი საერთაშორისო სიტუაციის მკაცრი სინამდვილე ისეთია, რომ, სამწუხაროდ, დიდია ბირთვული საფრთხე. მას ვერ დაემალება, ვერ გაამასხარავებ. ბირთვულ საფრთხეს აქტიურად და გამიზნულად უნდა ვებრძოლოთ. ჩვენ ასეც ვიჭყვივით.

უწინარეს ყოვლისა ამით განისაზღვრება შეერთებულ შტატებთან ურთიერთობისადმი ჩვენი მიდგომა. ამ ურთიერთობის მდგომარეობაზე ხომ მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საქმის ვითარება საერთაშორისო ასპარეზზე. მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც ჩანს, ან არ სურთ ან ჯერ არ არიან მზად გაიგონ, რომ არ არის სხვა გონივრული გზა, ვიდრე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მოწესრიგება თანასწორობის, ურთიერთბატვიისციმისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებზე.

იქონია ჩვენს დღეებში მძლავრი ბირთვული პოტენციალი, უდიდესი ტვირთია. იმაზე არც კი ვლაპარაკობ, რა ძვირი ჯდება ეს. ვლაპარაკობ უდიდესი პასუხისმგებლობის ტვირთზე, რომელსაც ეს აკისრებს პოლიტიკურ მოღვაწეებს, მოითხოვს რა მათგან ომისა და მშვიდობის საკითხებისადმი, კონფლიქტური სიტუაციებისადმი უაღრესად სერიოზულ ზამოკიდებულებას, სწორედ ამით ვებლმძღვანელობთ. ჩვენი მიზნები ცხადი და უცვლელია: კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ სამხედრო დარგში კონფრონტაციისა. ურყევად გეხმარებით გამაღებელი შეიარაღების რადიკალურ შეზღუდვასა და შემცირებას, ბირთვული იარაღის აკრძალვასა და სრულ ლიკვიდაციას.

ამავე მიზნებისათვის მოქმედებს დღეს საზღვარგარეთ სხვადასხვა შეხედულებებისა და მრწამსის მილიონობით ადამიანი. მათი ერთობლივი მოქმედება შეამჩნევს გავლენას ახდენს ომის საწინააღმდეგო საზოგადოებრივი ზარის ჩამოყალიბებაზე. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია, ამხანაგებო, და აქ ბევრის გაკეთება შეუძლიათ ინტელიგენციას, კულტურის მოღვაწეებს. სწორედ ამიტომ დღეს ასე არახელად შემამშოთებლად და მომთხოვნლად ვაისმის გორკის ცნობილი კითხვა-მოწოდება: „ვის მხარეზე ხართ, კულტურის ოსტატებო?“ და მთავარი, რა თქმა უნდა, მარტო ის კი არ არის, რომ უბრალოდ არჩევანი მოახდინო სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, როგორც ხშირად წარმოადგენენ ამას ანტიკომუნისტები. მთავარია არჩევანი მოახდინო ჩვენი ცივილიზაციის ყოფნა-არყოფნას შორის. აქ შეუძლებელია არც იქით

იყო, არც აქეთ: ან იმათ მხარეზე ხარ, ვინც ომს ამზადებს, ან იმათ მხარეზე, ვინც უარყოფს იმპერიალიზმის ავანტიურისტულ პოლიტიკას, ან იმათ მხარეზე, ვინც დობიანი თანაარსებობისათვის, განიარაღებისათვის.

და ამიტომ ესოდენ საჭიროა, რომ ჩვენი შემოქმედი ინტელიგენცია ეხმარებოდეს თავის საზღვარგარეთელ კოლეგებს ასეთ არჩევანში. ამისა, სხვათა შორის, დასავლეთის მმართველ წრეებს ძალიან ეშინიათ. ისინი ცდილობენ თავიანთი ქვეყნის ინტელიგენციის თვალში სახელი გაუტეხონ სოციალიზმის იდეებმა და პრაქტიკას, წააქიდონ იგი სოციალისტურ სახელმწიფოთა შემოქმედ ინტელიგენციას. მშვიდობის მტრებს აშინებთ კულტურის ოსტატთა შეკავშირება; რომელთა ხმას ყურად იღებს მილიონობით ადამიანი.

ისე კი, დასავლეთში უყვართ მსჯელობა იდეებისა და შეხედულებების შეპარისპირების, ადამიანთა შორის კონტაქტების განვითარების სარგებლობის შესახებ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამის მომხრენი ვართ. მაგრამ რას ვაწყლებით პრაქტიკულად? ჩვენს საშინაო საქმეებში უბოდიშო ჩარევის ცდებს; ნამდვილ ფსიქოლოგიურ ომს. და მისი ერთ-ერთი მიზანია ოდნავ მაინც შეაჩუიოს პარტიასთან ჩვენი კულტურის მოღვაწეთა ერთიანობა.

დანდებს, როგორც მოგვეხსენებათ, პირდაპირ უნდა ვთქვათ, ინტელიგენტურს როდი მიმართავენ? ეს არის სიცრუე, ფაქტების გაყალბება, ცნებების აღრევა. ამბობენ, მაგალითად, სოციალიზმი „ვერ ურიგდება“ შემოქმედების თავისუფლებას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გზას უხშობს მხატვრულ ძიებებს, „ერთფეროვნებას“ მოითხოვსო ლიტერატურასა და ხელოვნებაში. აქ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული. და, რა თქმა უნდა, ეს უვიცობით როდი მოსდით. ასე რომ, ჩვენი იდეური მოწინააღმდეგეების გადარწმუნება, რა თქმა უნდა, უიმედო საქმეა. მაგრამ დაუცხრომლად უნდა ვიცავდეთ და განემარტავდეთ ჩვენს შეხედულებებს, მაშინვე ვამხილებდეთ ახალი წყობილების ბინძურ „კრიტიკოსებს“, აქტიურად ვაცნობდეთ ადამიანებს სიმართლეს სოციალიზმის შესახებ, ვზრდიდეთ საბჭოთა ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, კლასობრივი სიფხიზლის, ჩვენი დიადი სამშობლოს დიკოსათვის მზადყოფნის სულისკვეთებით.

აი, რა მინდა კიდევ ვთქვა. იმედი გვაქვს, რომ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადების პერიოდში შემოქმედებითი კავშირებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობა გამიანაგავს შესაძლებლობას, რომ ხელოვნების ოსტატთა ყურადღება კიდევ უფრო ღრმად მიაპყროს სამხედრო-პატრიოტულ თემას. დღეს ვერ ვიტყვით, თითქოს ცოტა იყოს ამ თემაზე შექმნილი ნაწარმოებები, რომლებსაც ოდითგანვე ღირსეული ადგილი ეკავათ ჩვენი კულტურის მოღვაწეთა შემოქმედებაში. მაგრამ გვინდა, რომ ასეთი ნაწარმოებების სულ უფრო ხშირი გამოჩენა ნამდვილი მოვლენა ხდებოდეს ქვეყნის მხატვრულ ცხოვრებაში. საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში.

ამხანაგებო! ჩვენი პარტია და სახელმწიფო ისეთ პირობებს ქმნიან, რომლებიც ეხმარებიან ტალანტს, გამოვლინდეს მთლიანად, ქმნიდეს ხალხის კეთილდღეობისათვის. ჩვენ გადაჭრით უარყოფთ წვრილმან მეურვეობას შემოქმედებითი შრომის ადამიანებისადმი. შემოქმედება იმითმაც არის შემოქმედება, რომ იგი თავისუფალია: ჯობით ვერაფერს ნამდვილად ახალს, შესანიშნავს ვერ შევქმნი. ძველი ქეშმარიტებაა, მისი მტკიცება წყლის ნაყვას ჰვავს.

მაგრამ შემოქმედების თავისუფლება რჩეულთა პრივილეგია როდია. პარტია ნიჭს სათუთად ეკიდება, იგი საზოგადოების უძვირფასეს კუთვნილებად მიიჩნია. მაგრამ ვერავინ და ვერაფერი ვერ გაათავისუფლებს ადამიანს საზოგა-

დოკტის ყველასათვის სავალდებულო მოთხოვნებისაგან, მისი კანონებისაგან, ვულუბრყვილო იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს შეიძლება ჩირქე მისთვის ჩვენი წაობილების ზნეობრივ-პოლიტიკურ საფუძვლებს და ამავე დროს ელოდო მისგან სიკეთესა და აღიარებას, და, რაღა თქმა უნდა, ხალხი არავის არ აპატიებს ჩვენი იდეური მოწინააღმდეგეების მხარეზე გადასვლას იმ უმწვავეს პრძოლაში, რომელიც დღეს მსოფლიოში წარმოებს. აქ ორი აზრი არ არსებობს.

ღიახ, ამხანაგებო, ბევრი უაზრობა, აშკარა სისულელე დაუწერიათ და უთქვამთ დასავლეთში, ოღონდ დემახინჯებიანთ ხელოვნებისადმი პარტიული მიდგომის თვით არსი. როგორც ხდება ხოლმე ზოგჯერ: იღებენ საბჭოთა ავტორის არცთუ კარგ ნაწარმოებს, სადაც ცხოვრების მხატვრული გამოკვლევა დეკლარაციულობით არის შეცვლილი. და არწმუნებენ ვეულას: აი რას აძალენსო ეტალონად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ღრმა, როგორც იყავიან, მწვავე წიგნს, რომელიც პარტიული პოზიციებიდან არის დაწერილი, „წორმიდან გადახვევად“ მიიჩნევენ. ვფიქრობ, ნებას მომცემთ არ მოვიყვანო კანკრეტული მაგალითები: ამ დარბაზში მსხდომი ზოგჯერთი ამხანაგა ყოფილა ამგვარი მანიპულაციების მსხვერპლი.

ღრმა იდეურობა, მოქალაქეობრიობა და მხატვრული ოსტატობის მაღალი დონე—ასეთია პარტიის, ხალხის მთავარი მოთხოვნა ხელოვნების მოღვაწეებისადმი. სწორედ ამას უსახავენ მიზნად ჩვენს შემოქმედ ინტელიგენციას (ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანიც), და თქვენთვის ცნობილი ბოლო დროის მთელი რიგი დადგენილებანიც კულტურის საკითხებზე.

ჩვენს დიად საქმეს, ჩვენს ჰუმანისტურ მიზნებს არა სჭირდება განუსჯელი ხობა-დიდება ლექსად და პროზად. მხოლოდ დაცინვით თუ ვუწოდებო მხატვრულს ნაწარმოებებს, რომლებშიც ორიგინალური, ახალი აზრი შეცვლილია, როგორც გესლიანად შენიშნა შჩედრინმა, „ანბანურ ჭეშმარიტებათა გულცივი გადამღერებით“. ცუდად დაწერილი წიგნები და ოპერები, პრიმიტიულად გადაღებული ტელე და კინოფილმები, უღაბათოდ შექმნილი ჭანდაყებები და სურათები მარტო გემოვნებას როდი უფუჭებს მილიონობით ადამიანს, სახელს უტეხს თემებსა და იდეებს, რომლებსაც ხელს ჰკიდებენ მათი შემქმნელები. ასე რომ, ხელოვნებაში უღიმღამობისა და უსახურობის წინააღმდეგ მტკიცედ და პრინციპულად უნდა ვიბრძოდეთ და, რა თქმა უნდა, არავითარი შვლავითი არ ექნება უიდეობისა თუ მსოფლმხედველური განურჩევლობის გამოვლინებებს... სხვათა შორის, იქნებ ის არის ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსის უბედურება, რომ ისინი საქმეს ცალმხრივად უდგებიან ან კომპლიმენტებს არ იშურებენ სუსტი რომანის, სპექტაკლის, ფილმისათვის „თემის მნიშვნელობის“ გამო. ან ალტაცებას გამოთქვამენ იდეურად უსუსური ნაწარმოების „ესთეტიკურ მიგნებათა“ გამო?

არადა, ჩვენი, საბჭოური და მსოფლიო გამოცდილებაც მოწმობს, რომ დიდი ლიტერატურა, დიდი ხელოვნება ვერ იარსებებს, თუ არ იქნება მაღალპროფესიული, მოქალაქეობრივად პასუხისმგებელი კრიტიკა. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენი მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა მარტო ზუსტად როდი უნდა აფხებდეს ამა თუ იმ ნაწარმოებს. ჩვენ მხატვრული კრიტიკისაგან მეტს მოველოთ. მას უნდა შეეძლოს გააშუქოს პრობლემების სიღრმისეული საზოგადოებრივი აზრი, რომლებიც ნაწარმოებებშია აღძრული, მხარს უჭერდეს ავტორებს, თუ სწორად სვამენ მათ, დასაბუთებულად ეკამათობდეს მათ, როცა ისინი ცდებიან, ერთი სიტყვით, ჩვენი კრიტიკა ხელს უნდა უწყობდეს ხალხის სულიერი ცხოვრების წინსვლას. სწორედ ამიტომაც, როგორც ლენინს მიაჩნდა,

საქაროა, „რომ ლიტერატურული კრიტიკა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს პარტიულ მუშაობას“.

ყველა, ვისაც პარტიამ ანდო ხელოვნების სფეროში ლენინური გზის გატარება, ამას უნდა შერებოდეს გონივრულად, ინიციატივიანად. ეს კი ნიშნავს — გულახდილად, პრინციპულად ვესაუბრებოდეთ შემოქმედებითი შრომის აღმამიანებს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვარიღებდეთ თავს მწვავე პრობლემებს, რომლებიც ხელოვანს აწუხებს. ნუ დავაყისრებთ მათ გადაწყვეტას ეგრეთწოდებულ ზემდგომ ინსტანციებს, შეგვეძლოს თანამოსაუბრის დარწმუნება, და თუ საჭიროა, ვადარწმუნებაც. უამისოდ წარმოუდგენელია ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა. სწორედ ეს აქცევს მას, როგორც გორკიმ მოსწრებულად თქვა, „მორალურად ავტორიტეტულ ძალად“.

ამხანაგებო! შემოქმედებითი კავშირების პოლიტიკურ ბირთვის, დამმრახველ ძალას მათში მომუშავე კომუნისტები წარმოადგენენ. ისინი თანამოძღვერულად უნდა ამკვიდრებდნენ პარტიულობის სულისკვეთებას შემოქმედთა წრეში, აქტიურად ახდენდნენ ვაგენას შემოქმედების იდეურ მიმართულებას, ხელს უწყობდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისათვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩანერგვას, შემოქმედი ახალგაზრდობის ჩამოყალიბებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთმანეთისაღმი ხელოვანთა მაღალი მომთხოვნელობისა და მომკითხველობის ატმოსფეროს განმტკიცებას, ეს სასარგებლოა როგორც თვით ხელოვანთათვის, ისე მთლიანად ხელოვნებისათვის.

საბჭოთა კულტურა დღეს წარმოგვიდგება, როგორც ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მიერ შექმნილ სულიერ ღირებულებათა ორგანული შენადნობი. და ამიტომაც სასეებით ვასაგებია მწერლისა და ხელოვნის, მუსიკოსისა და არქიტექტორის მისწრაფება ეყრდნობოდეს თავისი ხალხის მრავალსაუფუნოვან კულტურულ ტრადიციებს, უფრო ღრმად და მკაფიოდ ასახავდეს თავისი რესპუბლიკის ცხოვრებას. ამავე დროს მხატვრული პრაქტიკა გვარწმუნებს: რაც უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული კულტურა სხვებთან, რაც უფრო ინტენსიურად ითვისებს მომე ხალხების სულიერი და მხატვრული გამოცდილების იმ თვისებებს, რომლებმაც ინტერნაციონალური მნიშვნელობა შეიძინეს, მით უფრო სწრაფად და ნაყოფიერად ვითარდება იგი, მით უფრო მეტი წვლილი შეაქვს მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი ჩვენი საზოგადოების სულიერი ცხოვრების გამდიდრებაში.

ძვირფასო ამხანაგებო! სანამ გამოსვლას დავამთავრებდე, მინდა გაცნობოთ ახალი ამბავი, რომელიც, ეჭვი არ მეპარება, ყველას გაგახარებთ, საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა მწერლების დიდი წვლილისათვის და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იგი ხალხთა მეგობრობის ორდენით დააჯილდოვა. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ახლა კი ნება მიბოძეთ, ვისურვოთ ყველას ჩანმრთელობა, შემოქმედებითი წარმატებანი, და მწერალთა კავშირს გადავცე დამსახურებული საპატიო ჯილდო. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).



ამხანაგი გუბერნატორი

რომანი

პარიზში ზაფხულის მიწურული თბილი და მზიანი იცის, მაგრამ ის სამშაბათი — 1916 წლის 19 აგვისტო — ცივი და ნესტიანი გამოდგა. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ასობით პარიზელისათვის, რომ გარიბალდის ქუჩაზე № 47 სახლის წინ მოეყარათ თავი, რათა უკანასკნელი პარტივი მიეგოთ ელადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკისათვის. რუსი ხალხის შესანიშნავი შეილისათვის, სწავლულისა და ინტერნაციონალისტი-რევოლუციონერისათვის.

იმ დღეს გამოქვეყნებულ ნეკროლოგებში გაზეთები „ლუმანიტე“, „ლავიდიური“, აღნიშნავენ, რომ პარიზელები სამუდამოდ ეთხოვებიან დემოკრატიული რუსეთის უკეთილშობილეს წარმომადგენელს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრს, რომელიც 1905 წელს კავკასიის ერთ-ერთი პროვინციის გუბერნატორი იყო, შემდეგ კი სამშობლოდან გადაი-

ბეეწა და საფრანგეთს შეაფარა თავი.

ხალხის ნაკადი მდორედ მიედინება ქალაქის მიწყნარებულ ქუჩებში. კუბოს მიჰყვებიან ძაძით მოსილი განსვენებულის ქალიშვილი ელენე, მრავალრიცხოვანი მეგობრები, დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, პარიზელი პროლეტარები. პროცესია პერ-ლაშეზის სასაფლაოსაკენ გაემართა. სამგლოვიარო მუსიკის მწუხარე პანგებს რევოლუციური სიმღერები ენაცვლება. დიდებულად ქლერს მარსელიეზა. მიირწევა ათობით გვირგვინი. წითელ ბაფთებზე წარწერები კიაფობენ: „მოქალაქეს, პროლეტარიატის საქმისათვის მებრძოლს“. „შესანიშნავ აღამიანს, დემოკრატს“...

აი, ამ ორს, მაღალ ჭალარა მამაკაცსა და შავებით შემოსილ ქალს, — უეჭველად ქართველები უნდა იყვნენ, — მოაქვთ გვირგვინი მოკლე წარწერით: „მზრუნველ მეგობარს — მადლიერი საქართველო“.

თავი I

ბანგაშის ზარი. მხედლეების შეცდომა. ოჯახი. „ჯანაყის გულე უნდა მიიზალოსი“ ღამეული ხმა. ბი. ჟურნალმა. აღიარება.

ზედ მთის ძირას მიუყუებული სოფელი საქარა არაფრით გამოირჩევა სხვა იმერული სოფლებისაგან. აქაც გვერდზე დაქანებული, დაბრეცილ ბოქებ-

ზე შემდგარი ოდა-სახლები აქვთ, რომლის ფარღალადა კედლებში თავისუფლად დანავარდობს ქარი. ოდას გვერდით სასიმინდე უდგას. ეზოებს წნე-

ლის ან ეკალბარდების ღობე აკრავს. სარებზე ქოთნები, სპილენძის ქვაბები და მზეზე გამოთეთრებული, საზარლად კბილებდაკრეჭილი ცხენის თავის ქალაა ჩამოცმული, „ავსულებს“ რომ აფრთხობენ. ეზოების უმეტესობას ჭიშკარი აღარა აქვს. რომელსაც შემორჩენია — ცალ ანჯამაზეა ჩამოკონწიალებული. ზოგს ჭიშკრის ნაცვლად ღობეში კიბე ჩაუტანებია — ეზოში საქონელი არ შემოვიდესო. უფრო ღორებისა და თხების ეშინიათ და მეჩხერ ღობეში რომ არ გაძვრნენ, კისერზე სამკუთხა უღლები დაუდგამთ.

საქარა სხვა სოფლებისაგან მხოლოდ ერთადერთი ორსართულიანი ქვითკირის შენობით განსხვავდება. მას აქაურები „კაზიონი სახლს“ უწოდებენ. შენობაში „მევენახეობის სანერგე მეურნეობის სამმართველოა“ მოთავსებული. მისი ზერები სოფლის ირგვლივ ასობით დესეტინაზეა გადაჭიმული. ამ ზერებში აი, უცვე რამდენიმე წელიწადია ძალ-ღონის დაუზოგავად იღწვის ათობდე სპეციალისტი ქართული ვაზის გადსარჩენად. მათ გამოჩენილი მეცნიერი, აგრონომი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკი თავკაცობს. საქმე ის არის, რომ რამდენიმე წლის წინათ საქართველოში, არაეინ იცის სიიდან და როგორ, ვაზის დაუძინებელი მტერი, ფილოქსერა გაჩნდა და მუსრის გავლება დაუწყო ქართველი გლეხაკის მარჩენალსა და სიამაყეს.

ქართველი კაცი ხომ ვაზს როგორც სულიერ არსებას ისე მიმართავს: „ვაზი დაბერდაო“, „ვაზი ტირისო“, „ვაზს პატარძალივით უნდა ფერებაო“, მის სადღეგრძელოსაც წარმოთქვამს: „იცოცხლოს და იხაროს ვაზმა, მზის შვილმა და ჩვენმა სიხარულმაო“, სიმღერასაც კი ეტყვის: „ვაზო, შეილივით ნაზარდოო...“

სანერგის იქით. სადამდეც თვალი გადასწვდება, ფერადი ნაკუწებისაგან

შეკერილი საბანივით მერჩანს ზეღლის-გულის ოდენა ოთხკუთხედებამდ დაანაწილებული ნაკვეთები. აი, ის, მწვანედ რომ ბიბინებს, ახალმოწვერილი სიშინდის ყანაა. იქვე, გვერდით, შავად იხედება ახალმოხნული მიწის სერელები. ორად მოხრილი გლეხი კავს მოჭვიდება და ისე ჩასჩერებია მიწას, თითქოს რაღაცა დაჰკარგვია და ეძებსო. კავში ძროხა შეუბამს — ერთადერთი შემწვე და მარჩენალი. იქით, მთის კალთას საქონელი შეჰვენია. მინდვრებს ტყის მწვანე არშია აქვს შემოვლებული. ეზოებიდან ბავშვების ევილხივილი ისმის. წყაროსთან ქალები შეგუფებულან და ჭორაობენ. ერთი სიტყვით, იდილიური სოფლური პეიზაჟია, სიმშვიდისა და სიწყნარის სავანე... მაგრამ ეს მართლა ასეა?

უცრად პატარა ეკლესიის ხის სამრეკლოდან ზარის ხმა მოისმა. მას მეზობელი სოფლებიდან გამოეხმაურნენ და მალე იქაურობა ზარების გუგუნმა ააფორიაქა. ეს ხმები ავი ამბის მაყნებად შეიჭრნენ ეზოებსა და სახლებში. ხალხმაც თოფებს, ნამგლებს, ფიწლებსა და ცულებს წამოაგლო ხელი და სოფლის განაპირას მდგარ ასწლოვან მუხას მიამურა. აქეთკენ გამოემართნენ მინდვრებსა და ვენახებში მომუშავე გლეხებიც.

განგაშის ხმამ მევენახეობის ლაბორატორიაშიც შეაღწია და ვრძელ მაგიდასთან მჯდომი ორი თანამშრომელი ფეხზე წამოაყენა.

— ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, თქვენის ნებართვით მე და ნიკოლაი ივანოვიჩი წავალთ, ხომ გესმით, გვიხმობენ.

სტაროსელსკიმ არაფერი უპასუხა, უურადლებით ჩასჩერებოდა მიკროსკოპის ოკულარს. ერთ-ერთმა თანამშრომელმა მას მხარზე ფრთხილად შეახო ხელი და თხოვნა გაუმეორა.

— მაგას რაღა კითხვა უნდა, ბატონებო, მიბრძანდით. — თავმოუბრუნე-

ბლად მიუგო სტაროსელსკიმ და რვეულში რალაც ჩაინიშნა.

— იქნებ ვასილიც წაგვეყვანა, — იკითხა ნიკოლოზმა, როცა იქვე, სტაროსელსკის გვერდით მდგომი ჭაბუკის ვედრებით აღსავსე მზერა შეინიშნა.

სტაროსელსკის ძალიან უყვარდა ეს ჭაბუკი და შეილივით მზრუნველობდა. ვასილი თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა. მამამისი, ვლადიმერის ძველი მეგობარი, პოლიტიკური დანაშაულისათვის ციხიბრში იყო გადასახლებული.

მუხის ძირას შეკრებილი ხალხი ჭგუფ-ჭგუფად დაყოფილიყო და ხმამალა ბჭობდა. მიტინგის მომწყობნი — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წარმომადგენლები — სანერგის თანამშრომლებს შინაურებივით შეეგებნენ და სათითაოდ ჩამოართვეს ხელი. მიტინგი გახსნეს და თავმჯდომარემ პირველი სიტყვა ნიკოლოზ პროსტოსერდოვს მისცა. იგი მარჯვედ აცოცდა მუხის ტოტზე და ხალხს ხელის აწევით ანიშნა, მომისმინეთო.

— მეგობრებო, — დაიწყო მან ქართულად, — ხელისუფლებამ დაადგინა, კიდევ გაზარდოს ნავთის, მარილისა და სხვა აუცილებელი სურსათ-სანოვავის სააქციზო გადასახადი. ეს უფრო მეტად გააძნელებს თქვენს ისედაც უსიხარულო და გაძალღებულ ცხოვრებას. მთავრობა გულთან არ იკარებს გლეხების ჭირ-ვარამს და იმის ნაცვლად, რომ მშრომელ ხალხს ცხოვრება შეუძნებუქოს, სულ ახალ-ახალ გადასახადებს აწესებს და ამით სისხლის მსმელ მემამულეებს და საყუთარ ხაზინას ამდიდრებს. მოდი, დაეტქვათ, დღეიდან ერთი გროშიც აღარ მიეცეთ მძარცველებს.

— სწორია, სანამდღე უნდა ვარიჩინოთ მუქთახორები! — გამოეხმაურა ხალხი. შემდეგ თვითონ თავმჯდომარემ, ჩასკვნილმა მამაკაცმა მიმართა შეკრებილთ:

— მართლაც რომ საშინელ დღეში ხართ. თქვენი ცოლ-შვილი, შვილები მწყურვალი და ჩაუცემელ-დაუზურავია. მეტის მოთმენა შეუძლებელია. ამდენი უბედურება ქვასაც კი ააღალადებს! განა თქვენ არ უხსნით გულს დედამისა? განა თქვენ არ მოსავეთ მას ზურ-მუხტოვანი მოსასხამით? ვინ შრომობს დღე და ღამ მუხლჩაუხრელად, ოვლში გიღვარული, ვინ ინახავს ამ ქვეყანას? თქვენ, გლეხები და სწორედ თქვენა ხართ მოქცეული შიმშილისა და სიღატაკის კლანჭებში! ხალხმა თვითონ უნდა მიხედოს თავის საქმეს, მეფეები არ გიშველიან, თვითონვე უნდა დაიხსნათ თავი ბორკილებისა და სიდუხჭირისაგან!

ორატორმა უბიდან ფურცლების დასტა ამოიღო და განაგრძო: ამ პროკლამაციებით რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კომიტეტი მოგმართავთ თქვენ, პატიოსან, მშრომელ გლეხობას. აქ ყველაფერია ნათქვამი, ისიც თუ რა გიჭირთ და გაწუხებთ და ისიც, როგორ უნდა იბრძოლოთ ნათელი მომავლისათვის. წაიკითხეთ და ამხანაგებს გადაეცით.

ორატორმა მალა აიქნია ხელი და პაერში მტრედებივით აფარფატდა თერთი ფურცლები.

• • •

ვლადიმერს მოწაფეები შემოეკრიბა ირგვლივ და ვაზის მყნობაში ავარჯიშებდა. მან ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოში რამდენიმე ათეული სკოლა გახსნა, სადაც სანერგის თანამშრომლები ხალხს ვაზის მოვლა-პატრონობას ასწავლიდნენ.

— აბა, ძუკუ, გვიჩვენე შენი ოსტატობა, — შეაგულიანა ვლადიმერმა ერთ-ერთი ახალგაზრდა.

ძუკუმ საკალმე გადასერა, მაგრამ დანა გვერდზე წაუვიდა.

— აბა, ახლა შენა სცადე, მიშა, დავანახე, როგორ უნდა აჭრა კალამი. ჭაბუკმა მარჯვედ ჩასვა კალამი სადღეში.

— ყოჩაღ, — შეაქო ვლადიმერმა და მხარზე ხელი დაჰკრა.

ჭაბუკმა მორცხვად გაიღიმა და სახე შეეფეკა.

სალამო ხანს დალოლო, მაგრამ კმაყოფილი მისწავლებელიცა და მოწაფეებიც იქვე მიწაზე ჩამოსხდნენ დასასვენებლად. მათ საწერგის რამდენიმე მუშაე შეუერთდა. გაიმართა სჯა-ბაასი.

— ვახისა ყველაფერი უნდა იცოდეთ, — ამბობდა ვლადიმერი, — უნდა შეაგროვოთ ცნობები, მაგალითად, რა და რა ჯიშის ვახია გაშენებული საქართველოში. თქვენმა წინაპრებმა ხომ დიდი შრომითა და ჯაფით გამოიყვანეს ხუთასზე მეტი ჯიში და ამას საუკუნეები დასჭირდა. საოცარია, რომ ათასობით წლების წინ ჩაფლულ ქვეყრებშიც არქეოლოგები ვახის კულტურული ჯიშების წიპწებს პოულობენ. მეცნიერები ამტკიცებენ — რუსული — ვინო, ბერძნული — იონუს, ლათინური — ვინუმ, სომხური — გინი და გერმანული — ვაინ ერთი ძირისაგან — ქართული ღვინისაგან მოდისო.

გაოცებულმა მსმენელებმა ერთმანეთს გადახედეს, ყველას სიამაყით გაუბრწყინდა სახე. სტაროსელსკიმ განაგრძო:

— ვინც წერა-კითხვა იცით, ხალხური სიმღერები, ლექსები, ლეგენდები და გადმოცემები ჩაიწერეთ, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი ხალხს უთქვამს ვახზე და ღვინოზე.

— ბატონო ლადო, — მიმართა მომცრო ტანის მკვირცხლმა ჭაბუკმა, — ბაბუჩაჩემმა, აპალონმა, ამას წინათ მკითხა, შენმა მისწავლებელმა, ბატონმა ლადომ, თუ იცის, რატომ აქვს ვახს ასეთი ძლიერი ფესვები და დაგრეხილი ტანი, კითხე ერთი, ნამდვილად არ ეცოდინებაო.

— აბა, გვითხარი, რატომ, — ღმილით უთხრა ვლადიმერმა. ჭაბუკმა დაიწყო:

— წინათ ურჯულოები რომ შემოგვესოდნენ, ჯერ ბავშვებს ხოცავდნენ, რომ ერი გადაშენებულიყო, მერე კი

ვენახს კაფავდნენ, რომ ჩაღბისადვის ცხოვრების სახსარი მოგსართოქტოდა, ერთხელ მტერმა ვახს ამოძირკვა დაუპირა, მაგრამ იგი გოუძალიანდა და კიდევ უფრო ღრმად გაიდგა მიწაში ფესვები. მტერი დიდალა და ვახის ძირას ჩამოჭდა. უცებ ვახმა ენა ამოიდგა და უთხრა: შენ ჩემი დალუბვა გინდა, მაგრამ მაინც მეცოდებიო, გატყობ წყურვილი გაბრჩობს, აგერ ჩემ გვერდით მიწა მოთხარე და კაი სასმელს იშონიო. იმ დოუბატყებელ სტუმარსაც გოუხარდა ნამეტანი, მიწა მოთხარა და ღვინით სავსე დიდი ჭური ნახა. დალია და მოეწონა, სვა, სვა და ძირი გამოუჩინა, დეითერა და იქვე დეიძინა. ვახი შემოფესკენა კისერზე და დაახრჩო, ამიტომ ნაქონა ვახს ასეთი ღონიერი ფესვები და დაგრეხილი ტანი.

— აი, ხედავთ, ბიჭებო, რა მშვენიერი ლეგენდაა?! ამისთანები ალბათ ბევრი იციან თქვენმა ბაბუებმა, მამებმა და დედებმა. კარგი იქნება, რომ მომავალს შემოეუწნახოთ.

— ეჰ, რომელ მომავალზე ლაპარაკობთ, — ჩაიქნია ხელი ჯარმაგმა საწერგის მუშამ — ჩვენთვის არც დღევანდელი დღეა და არც მომავალი.

— ცდები, ამირან, ნუთუ ვერა ხედავ რა ამბები ხდება ჩვენს ირგვლივ?

— ვხედავ, მარა მაქიდან არაფერი არ გამოვა!

— რავე არაფერი არ გამოვა, — ამბურდა ხალხი, — უნდა ვიბრძოლოთ და ჩვენსას გვეიტანთ.

— მართალია, — დაეთანხმა ვლადიმერი, — გულხელს თუ დაიკრებ და დაიყინებ, მაინც არაფერი გამოვაო, ბედნიერება თავისით არ მოგადგება კარზე. ბედნიერება ბრძოლით უნდა მოიპოვო. თუ იბრძოლებ და იშრომებ, სასწაულს მოახდენ: თავისუფლებას მოიპოვებ, მთებს შეძრავ, მდინარეებს დინებას შეუცვლი, ქაობებს ამოაშრობ და ზედ წალკოტს გააშენებ. ადამიანი მხოლოდ ამ გზით მიადწევს აღთქმულ

ქვეყანას. ფილოქსერასაც ბრძოლითა და შრომით მოვუღებთ ბოლოს.

— სწორი ბრძანებაა! სანამ ამ მიწას საკუთარი ოფლითა და სისხლით არ მორწყავ, მოსავალს ვერ მოიწევ. უბედურება ის არის, რომ რასაც მოიწევ, უქნარასა და მუქთახორას უნდა მიართვა, საკუთარი შვილების სამყოფიც აღარ გრჩება.

— მართალია, — გაისმა შეძახილები, — ასეთ უსამართლობას ბოლო უნდა მოედოს.

— კი, მარა, ვინ არის გზის გამკვალავი და მასწავლებელი, — გაშალა ხელები ამირანმა.

— არის, შენ წარმოიდგინე, არის! აღმათ გაგიგონია, რომ არსებობს სოციალ-დემოკრატების პარტია.

— გაგონებით გამიგონია, მარა კარგად არ ვიცი ვინ არიან.

— ხალხის თავყრილობებზე უნდა იარო. იქ ბევრ რამეში გაერკვევი და ბევრსაც გაიგებ.

— ამას წინათ მამას წაყვები მიტინგზე, — მორიდებით ჩაერია საუბარში ერთი ახალგაზრდა, — ყველას მოვუსმინეთ და თითქოს თვალეები აგვიხილა. აქამდე თურმე საღათას ძილში ვყოფილვართ. დაერწმუნდით, რომ, თუ ერთმანეთს მხარი მივეცი, ვერანაირი მტერი ვერ მოგვერევა.

— მეგობრებო უნდა წაიყვანო კრებებსა და მიტინგებზე, — დაარიგა ვლადიმერმა, — აი, ესენი, მაგალითად. მერე ისევ ამირანს მიუბრუნდა და განაგრძო: — შენი სეხნისი, მჭედელი ამირანის ამბავი ხომ გაგიგონია? ღარიბების შემწე და დამცველი რომ იყო. ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა და ხალხს მისცა. მდიდრებმა ღმერთთან პირი შეკრეს, ამირანი მყინვარწვევრზე ერთ გამოკვებულში შეაგდეს და კლდეს მიაჭაჭვეს. არწივი გულ-ღვიძლს უჭიჭვნის, ერთგული ყურშია კი დღე და ღამ ლოკავს ჩაჭვს და ბოლოს ისე ათხელებს, რომ ამირანმა ერთი რომ გაიწიოს, გაწყვეტს, მაგრამ აი, უბედურება! დიდი ხუთშაბათის დილას მჭედლები გრდემ-

ლზე კვერს ჰკრავენ და ის წყვეტილი ჯაჭვი ისევ სჭედდება.

— ხედავთ, რაში ყოფილა საქმე, — აღმოფთოდა ხალხი.

— ტყუვდებიან თურმე მჭედლები. არ იციან, რომ ხალხის მეგობარსა და დამცველს ტყუვობაში ალბობენ. როგორ ფიქრობთ, რა უნდა ეშველოს ამ საქმეს, როგორ უნდა მოვიქცეთ.

— მაგას რალა ლარი და ხაზი უნდა — მჭედლებმა კვერი აღარ უნდა დააკრან გრდემლს.

— სწორია! არ უნდა გამოსჭედონ მონობის ბორკილები. ამ ბორკილებს ხომ თვითონ იმათ და მათ თანამომკმეებს ადებენ. ამირანი კი, რომელმაც ხალხს სინათლე და სიხარული მოუტანა, ხუნდებისაგან უნდა გაათავისუფლონ.

— ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ბატონო ლადო, ჭეშმარიტებას. მართალია კაცი ხართ! — გაისმა მოწონების შეძახილები.

• • •

ვლადიმერ სტაროსელსკის ოჯახი — მეუღლე ნადედა კონსტანტინეს ასული და ხუთი შვილი იქვე, სანერგის სამმართველოს შენობაში ცხოვრობდნენ. ოჯახი დიდი იყო, მაგრამ საქმე განაწილებული ჰქონდათ, ვისაც რა შეეძლო დაუზარებლად აკეთებდა და ამით დიასახლისს საგრძნობლად უმსუბუქებდნენ ოჯახის გაძლოლას. უფროსი ქალიშვილები, ელენე და თამარი, უმცროსებს მარიას, ადასა და ბორისს უვლიდნენ და დედასაც ეხმარებოდნენ.

თითქმის ყოველ კვირა დღეს ცხენებზე ამხედრებული სტაროსელსკები სასეირნოდ გასწევდნენ ხოლმე. თადარიგს შაბათს შეუდგებოდნენ. ოჯახის უფროსს სანადირო საჭურველი მოჰყავდა წესრიგში, დიასახლისი საგზალს ამზადებდა.

იმ კვირა დღესაც, მთიდან მზე ამოიწვერა თუ არა, მეჩინივე ნარიმანმა კიბესთან ცხენები მიიყვანა. ისინი ისე დაემურებინა, რომ სულ ლაპლაპი გა-

უდიოდათ. ნადეჟდამ პატარა ადა აიტატა ზელში, ქმართან ერთად პარმალზე გავიდა და მოქურღებულ ცას რომ ახედა, მორიდებით შენიშნა, იქნებ არ ღირდეს წასვლა.

— ნუ გეშინია, შაქაროვით არ დავდნებით, — დაამშვიდა მეუღლე ვლადიმერმა, — ბავშვებს დავბირდით და, ხომ იცი, სიტყვის გატეხა არ მიყვარს.

იქნებ მართლა გაწვიმდესო, ქოლგები და ლაბადები დაუმატეს ბარჯს და ცხენებზე ამხედრდნენ. ვლადიმერის საყვარელი ულაყი, „ბისი“, თუშური ჯიშისა იყო, მთიდან ჩამოყვანილი. ამ ჯიშის ცხენები ვერაფერი სანახავია, მაგრამ ძალიან გამძლე და საზრიანი არიან. ისინი უშიშრად დადიან უფსკრულის პირას მიხვეულმობევეულ ბილიკებზე. ოღონდაც მხედარი ხელს ნუ შეუშლის, — სადავე მიუშვას. ნისლშიც კი, წარმოიდგინეთ, როგორღაც, გუმანით იგნებენ გზას და სანამ ნაბიჯს გაღადგამდნენ, ჩლიქით ფრთხილად მოსინჯავენ ბილიკს, სანდოა თუ არაო. „ბისი“ ვლადიმერს დაინახავდა თუ არა, ალერსის მოლოდინში მოუთმენლად იწყებდა ტოკვას, თავის ქნევასა და წინა ფეხების ბაკუნს, თან დროდადრო გეზად გახედავდა პატრონს თავისი ჰკვიანი თვალებით. ვლადიმერმა ჯერ ფაფარზე გადაუსვა ხელი, შემდეგ დრუნჩზე მოუთათუნა და მერე შუბლზე, თეთრ ნიშანზე აკოცა. ნარიმანმა სადავე დაუჭირა, ვლადიმერმა ფეხი უზანგში შედგა და მარჯვედ მოექცა ცხენს ზურგზე. ნარიმანმა მარია დაუსვა წინ და უნაგირზე შალითაში ჩადებული სამფეხა და ფოტოაპარატი მიუბა. ელენეს ცხენი, „სლავაც“, „ბისის“ ჯიშისა იყო, მაგრამ უფრო მშვიდი და მორჩილი ზნე ჰქონდა. პატრონს სულ ეფერებოდა და დროდადრო ცდილობდა თავისი მუდამ სველი ცხვირი მხარზე მიედო. „სლავაზე“ ელენე და თამარი შესხდნენ. ბორისი სხვების დაუხმარებლად მოახტა თავის პონის და ამაყად მოავლო თვალი ყველას, ერთი ნაბიჯით რა ყაჩაღი ვარო. მხედრიონი

გზას დაადგა. ნადეჟდა იდგა და მიმავალ ქმარშვილს გააყურებდა. ვიდრე ისინი მეჩხერ ქალაში არ გაუჩინარდნენ. მალე ბუჩქნარი უკან ჩამოიტოვებს და ტყეში შევიდნენ. აქ ჩამოქვეითდნენ, ცხენები ხეებზე მიაბეს და ლაგამი წაპყარეს, რომ ბალახი მოეძოვათ.

გაზაფხულის ხალისიანი ფერებით მოხატულმა ტყემ გულში ჩაიკრა სტუმრები. ჰაერში დილის ნაბისა და შორშეპარული ფოთლების მძაფრი სუნი იდგა. მიწა სქლად იყო დაფარული ამ ფოთლებით და ფეხი ისე ღრმად ეფლობოდათ შიგ, თითქოს ფაფუკ ხალიჩაზე დადიანო.

— ოჰ, რა სილამაზეა, ზღაპარში მგონია თავი — აღტაცებით აღმოხდა ელენეს.

— მართლაც, საოცარი სილამაზეა, — დაეთანხმა მამა და დასძინა, — მორი დავსხდეთ და ერთხანს ვიყუჩოთ, ტყეს მოვუსმინოთ.

მგზავრები მიწაზე დასხდნენ და ყურთასმენად იქცნენ. ტყე, თითქოს გაციებულაო, მძიმედ სუნთქავდა, ხვნეშოდა. ირგვლივ დაძაბულობა და რალაციის მოლოდინი იგრძნობოდა. ჩიტები შიშნულად ხშიანობდნენ, მაგრამ ზოგჯერ ისე აუწყვედნენ ხმას, თითქოს კინკლაობენო. ზეციდან არწივის ყვილი ისმოდა. იგი ამაყად დაბოინობდა ჰაერში და დასცქეროდა მიწას. ეტყობოდა მსხვერპლს ეძებდა. მოულოდნელად იქვე მახლობლად ჩინჩხერის მსხვერვეის ხმა გაისმა.

— ვაიმე, დათვი! — შეჰყვირა მარიამ და შეშინებული მიეკრა მამას.

— ნუ გეშინია, თუ მართლა ბაჭბაჯაა, თავად გაგვერიდება, — დაამშვიდა შვილი ვლადიმერმა.

ბუჩქების მიღმა მელამ გაიშლიგინა. უეცრად ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა ხეები ააჭრიალა და ლამის მიწამდე დააბრეგინა ტოტები. ფრინველები დაფრთხნენ და უკმაყოფილოდ აეივევიდნენ. ბავშვების მახლობლად აჰწია ჩიტუნა ჩამოსკუბდა ქარისაგან აქანავებულ წვრილ ტოტზე, რომ არ გად-

მოვარდნილიყო, მაგრად ჩაევიდა მას და ისე თამამად მორთო ჭიკჭიკი, თითქოს უნდოდა ეთქვა, თქვენი არ შეინიაო.

— დახეთ ამ ელურტულა ჩიტბატონას, რა გულადია, — შენიშნა ვლადიმერმა და სახე კეთილმა ღიმილმა გაუნათა.

— ნეტავი, სად პოულობს ბუნება ასეთ ფერებს? — გოაცებით იკითხა თამარმა, — განა ეს სასწაული არ არის?

— აბა ამ ღვიის ყვავილს შეხედეთ, რა ფერებითაა გაწყობილი, ცისარტყელას არ ჩამოგავს? — თქვა ელენემ, ყვავილი მოწყვიტა და თმაში ჩაიხშია.

ვლადიმერი წამოდგა, მხარზე თოფი გადაიკიდა და დაღმა დაუყვა ტყეს. ბავშვებზე წამოიშალნენ და მამას ჩაუდგნენ კვალში. მალე ნაკადულის მხიარული რაკრაკი მოესმათ. ბორისი დაწინაურდა, აოშებულ მიწაზე იდაყვებით დაეყრდნო და წყალს დაეწაფა. წყურვილი რომ მოიკლა, თავი წყალში ჩაყო გასაგრილებლად.

აქაფებული ნაკადული ჩუხჩუხით ჩამორბოდა მაღლობიდან. ნეტა რამდენი ასეული წელი მოანდომა, რომ ეს ხევი ჩაებრაძა? იქ, სადაც მგზავრები გაჩერდნენ, წყალს თითქოს შესვენება გადაწყვიტაო, სრბოლა შეენელებინა, ხეების ჩრდილში პატარა გუბე გაეკეთებინა და განცხრომას მისცემოდა. ცოტა ქარს რომ ამოიღებდა მუხლებში, კვლავ ქვიდან-ქვანზე ხტომით აგრძელებდა გზას და ისევ ლიკოკითა და ბუტბუტით წამოიწყებდა იმ თავის დაუსრულებელ სიმღერას, რომლის შინაარსიც მარტო თვითონ ესმოდა.

— ჩქარა, ჩქარა, აქეთ წამოდიოთ, ნახეთ რა პატარა წყარო ვიპოვე, — გაისმა უცებ ელენეს აღტაცებული შემახილი.

გუბის მახლობლად უზარმაზარი დაკოყრილი მუხის ფესვებიდან წყალი მოჟონავდა და იქვე ერთვოდა ნაკადულს.

— დახე მამიკო... მარგალიტებზე! — შესძახა მარიამ და ხელი ახლა ახლა მბრწყინავ ბროლივით გამჭვირვალე წყლის წვეთებისაკენ გაიშვირა, — მითხარი რა, საიდან გროვდება ამდენი წყალი იმ მაღლობზე?

— აბა, ლენოჩკა, აუხსენი...

უცებ ფოთლებზე შორიშორ აწყაბწყაბდა წვიმის მსხვილი წვეთები. შესფოთებულმა ვლადიმერმა ზევით აიხედა. ცა ნახანძრალივით ბოლავდა, კუპრივით შავი ღრუბლები ერთმანეთში არეულიყვნენ. მათი კიდეები მზის აღმაცერ სხივებს ალისფრად აეღვარებინა. მზეს თანდათან აკლდებოდა სინათლე. უეცრად ცა ელვის ტეხილმა ხაზმა გადასერა. გაისმა ქუხილის ყრუ გუგუნო. ქარიშხალმა ერთხელ მაგრად დაბერა, მაგრამ მეორედ ამოსასუნთქად, ეტყობა, ძალა აღარ ეყო და მიდამო მეყვსეულად მიჩუმდა. ჰაერი დანეტიანდა და დამძიმდა...

— ნახე, რა ლამაზი ფრინველი ზის ბუჩქის ძირას — დაუძახა ბორისმა მამას.

ვლადიმერი ფიჭვებიდან გამოერკვა და ამაყად თავაწეულ ფრინველს მიაჩერდა.

— ჩქარა ესროლე, ჩქარა! — ეხვეწებოდა ბორისი, ვლადიმერმა თოფი მოიმარკვა და ჰაერში ისროლა. ფრინველი ისარივით აიჭრა ცაში და მალე გაუჩინარდა.

— ააცდინე! — წყენით შესძახა ბორისმა.

— არა, შეილო, მაგის მოკვლა არ იქნება, კოლხური ხოხობია — უიშვიათესი ფრინველი. ნახე, რა საოცრად იყო მოხატული? წარსულში საქართველოს „აფრენილი ხოხბის ქვეყანას“ უწოდებდნენ.

— უი, პატარა ნაძვი ვიპოვე! — ბორისი ახალამოწვერილ დაგვალულ ნერგთან ჩაუტყდა და თვალიერება დაუწყო. — გაიზარდოს და საახალწლოდ შინ წავიღოთ.

— ეგრე მალე ვერ გაიზარდება. აი, ეს დაჩაგრავს, — უთხრა ვლადიმერმა

და ცაღაწვდილ ლამაზ ნაძვის ხეზე მიუთითა, თავზე რომ წამოდგომოდა პაწიას. — ეს დიდი ნაძვი დედინაცვალს ჰგავს, „გერებს“ არ ახარებს — მზესა და საკვებს ართმევს... შეხედეთ ბავშვებო, აი, ნაკადულის ნაპირზე ყვავილი რომ ამოსულა, გარეული შროშანაა.

ყველამ ნაკადულთან მიიბრინა.

— ამ ყვავილზე ძველი ქართული თქმულებაა: ეს მეთერთმეტე საუკუნეში მომხდარა, გიორგი პირველის მეფობაში, როცა ქართველები ბერძენებს ეომებოდნენ. ქართველთა მხედართმთავარი ქეურსი ტყვედ ჩაუგდია მტერს, მაგრამ მალე გამოუსყიდიათ და სამშობლოში რომ უნდა დაბრუნებულიყო. ერთმა სიკვდილის პირას მყოფმა ბერძენმა მეგობარმა სიტყვა ჩამოართვა, საქართველოში რომ წახვალ, ჩემი შვილი პლინიუსი გაიყოლეო. საქართველოში პლინიუსსა და ქეურსის ქალიშვილს თამარს ერთმანეთი შეუყვარდათ და მამას სთხოვეს, დაგვლოცეო, მაგრამ იგი აღრე დაპირებოდა ერთ თავადს, ჩემს ქალიშვილს მოგათხოვებო და ამიტომ ეს თხოვნა შორს დაიჭირა.

— საბრალო თამარი, — ამოიხზრა მარიამ.

— ერთხელ, — განაგრძო ვლადიმერმა, — თამარი ბებიასთან და მსახურთან ერთად მონასტერში წავიდა სალოცავად და თავისი ხეაშიაღი მხცოვან ბერს გაანდო. ბერმა ქალიშვილი ბაღში გაიყვანა და ლოცვა დაიწყო. უეცრად ცა შავმა ღრუბლებმა დაფარა, ციდან მების გაბმული ქუჩილი გაისმა. ყველანი პირქვე დაემხვენენ, ზეცამ მალევე გადაიყარა ღრუბლები და მზემ კვლავ გამოანათა. ბერმა განაცხადა, უფალმა თამარის ვედრება შეისმინა და აი, ამ სურნელოვან თეთრ შროშანად აქციაო.

თამარის ოჯახის წევრები განრისხდნენ, მოხუცი ბერი მოკლეს და მონასტერი ცეცხლს მისცეს. იქაურობა ნაკარ-ტუტად იქცა, მხოლოდ ერთი

პატარა ეკლესია გადარჩა და... ეს თეთრი შროშანა. მალე აქ ქეურსი და პლინიუსი მოიჭრნენ.

— შვილო თამარ, ეს შენა ხარ?! შეპყვირა უბედურმა მამამ და შროშანამ, თითქოს სიომ გაიშრილაო, მიუგო:

— ჰო, მე ვარ...

მამას იქვე გაუსკდა გული... პლინიუსი კი მწარედ აქვითინდა და ღმერთს შეევედრა, მიჯნურს ნუ გამაშორებო. ღმერთმა შეიბრალა და... წვიმად აქცია. ამის შემდეგ გლეხები გვალვის დროს შროშანებს კრეფენ, მინდორში ფანტავენ და სიმღერით უხმობენ ზეციდან თამარის სატრფოს.

უეცრად კვლავ აწკაპწყაბდა წვიმის მსხვილი წვეთები, ბავშვები შროშანას მიაჩერდნენ. მალე ზედიზედ გაიღვია, მიდამო ქუხილმა შეაზანზარა, ციდან დელგმა წამოვიდა. ტყე ისე ახმაურდა, თითქოს დევების ლაშქარმა გადაუარაო. სადღაც შორს მები ჩამოვარდა. მერე კვლავ და კვლავ დაიქუხა და ტყე ყოველ დაქუხებაზე ბრაზიანი გუგუნით ეპასუხებოდა ზეცას. ნაკადული გაიზარდა, ნაპირები გადმოხეთქა, მრისხანე ნიაღვრად იქცა და რაც კი გზაზე შეხვდა, წალეკა. მგზავრებმა მუშაბის ლაბადები მოისხენ და გაგიყებულ მდინარეს გაერიდნენ.

თავქვე რომ დაშვებულიყვენ და ტყის ნაპირას გასულიყვენ, თავსხმა წვიმაში უნდა ევლოთ. ხის ქვეშ თავის შეფარება კი ვლადიმერმა ვერ გაბედა, მები არ დაეცესო. მალე ტყე შემეჩხერდა და პატარა მდელო გამოჩნდა. აქ ქოლგებისა და ლაბადებისაგან რაღაც ქოხის მაგვარი რამ მოაოცდვილეს, ერთმანეთს მიეხუტნენ და გადაწყვიტეს წვიმის გადაღებას დალოდებოდნენ. შეშინებული ბავშვები სლუკუნებდნენ.

— ნუ გეშინიათ, შვილებო, ჩემთან არაფერი გაგიჭირდებათ. ესეც არ იყოს, შიში უნდა დაჯაბნოთ, თორემ თუ მოგერიათ, ყველანიირ სიმდაბლესა და საზიზღრობას ჩაგადენინებთ.

ქექა-ქუხილი არ წყდებოდა. ბავშ-

ვები ყოველ დაქუხებაზე ფიტრდებოდნენ, კრთოდნენ და ყურებში თითებს იცობდნენ.

— ქუხილს ნუ უფრთხობთ, ელვაა საშიში, — ამშვიდებდა ბავშვებს ვლადიმერი, მერე კი უფროს ქალიშვილს, ლენას, ჩასჩურჩულა. ბავშვები როგორმე უნდა გავართოთო...

— მოდი, ერთად ვუმღეროთ წვიმას,
— თქვა ლენამ და დაიწყო:

წვიმავ, წვიმავ, იცოდე,
თუ კი არ შეჩერდები,
ყველა წავლთ ხატებთან
ქრისტეს შავვეადრებით...

ბავშვებმა ხმა ააყოლეს სიმღერას. ვლადიმერმა ქოლგები გადააყრევინა შვილებს, ხელი ჩასჭიდა, წრე შეაკერვინა და ყველამ იმ თავსხმა წვიმაში ცეკვა გაახურა.

ცაზე ტეხილი ხაზი გაიკლავა და იქვე მახლობლად მიწას რაღაცა მძიმედ დაენარცხა. ყველანი მიყუჩდნენ. ბორცვის გადაღმა ალის ენები ამოიწვერა. ვლადიმერი და ბავშვები ბორცვისკენ გაიქცნენ. მიწაზე ორად გამოზილი სწორედ ის „დედინაცვალი ნაძვი“ ეგდო.

— ღმერთმა დასაჯა, — ჩაიჩურჩუტა შეშინებულმა მარიამ.

— არა, — ყველაზე მაღალი იყო და იმიტომ, — განუმარტა მამამ, — მეხი სწორედ ასეთებს ეტანება.

მიწაზე განრთხმულ ვეება ხეს აქა-იქ ალი ავარდა. ვლადიმერი მაშინვე მიიჭრა ხესთან, სწრაფად გაიხადა სანადირო ჭურთუყი და ცეცხლს ჩაქრობა დაუწყო. ბავშვები მიეშველნენ, წვიმამაც ხელი შეუწყო და მალე ხეს მხოლოდ ბოლი ასდიოდა ნაცეცხლარზე.

— ხედავთ, ბავშვებო, ეს ერთი კარგი საქმე გავაკეთეთ — ტყე ხანძარს გადავარჩინეთ. რომ შეგშინებელიყავით და გავკეუთლიყავით უთუოდ უბედურება დატრიალდებოდა.

სტიქიას თითქოს საბოლოოდ გაუწყდა ქანციო, ნელნელა მიყუჩდა. ღრუბლებიდან მორცხვად მზემ გამოინათა,

წვიმა ოდნავ-და სცირდა და მთელს ცამ გადაიკარა. გაცოფებულმა მდინარეც დაწყნარდა და თავის კალაპოტს დასჯერდა.

— მამიკო, ალბათ ჩვენი წყარო სულ ამიღვრა და იქნებ გაქრა კიდევ, არა? — ცრემლიანი ხმით ჰკითხა თამარმა.

— არა შვილო, არაფერიც არ მოუვიდოდა, — დაწყნარა შვილი ვლადიმერმა. — დაიმახსოვრე, რომ ანკარა წყაროს ვერაფერი ამიღვრევს ისევე, როგორც პატიოსან ადამიანს ეს მუხთალი წუთისოფელი ვერც აზრსა და გონებას აურევს და ვერც ცხოვრების წესს დაარღვევინებს. ახლა კი, მოდი უკან დავბრუნდეთ. ჩვენი ცხენები ნამდვილად ფიჭობენ, ნეტავი ეს პატრონები სად დაგვეკარგნენო.

ქვევით რომ ჩავიდნენ, გაოცდნენ — წვიმას იქ ოდნავ დაეცვარა ბალახი. ცხენები მშვიდად მოვდნენ. ამის დარახვაზე მარიამ სთქვა, ჭამა ჩვენც არ გვაწყენდაო.

— მეც ეგრე ვფიჭობ, — დაეთანხმა მამა — მოდი კოცონი დავანთოთ.

ბორისმა ხის მსხვილი, დაკორძილი კუნძი მოაგორა, საკმაოდ მშრალი, გოგონებმა ჩინჩხვარი მოაგროვეს.

— არა, ბორის, ცეცხლი რომ დაანთო სულ ცოტა ორი შეშაა საჭირო. ერთი არ იწვის, ხრჩოლავს. არც ალს იძლევა და არც სითბოს, — ვლადიმერმა გაიღიმა და დასძინა, — მარტოებლა, უამხანაგო კაცისა არ იყოს...

მეორე კუნძიც მოიტანეს და მალე კოცონი მზიარულად ავიზვიზდა. ცეცხლი ჩაიფერვლა, შიგ კარტოფილები ჩაყარეს. ღვეღვში შემწვარი კარტოფილი ნიდავგ მათი საჭმელი იყო ლაშქრობის დროს. მერე საგზლით საცხე ჩანთას პირი მოხსნეს და მადიანად შეექცნენ ნაღვედას გამოტანებულ სანოვავეს. მალე მზემ ღრუბლები მიფანტ-მოფანტა და დედამიწას კაშკაშა სხივები მოჰფინა.

— მოდი, სურათები გადავიღოთ, უთხრა ბავშვებს ვლადიმერმა, სამფეხა გამართა და აპარატს შალითა შემოაცა-

ლა. ბავშვები მოეწყვენ და მამამ რამდენიმე სურათი გადაუღო. შემდეგ ნაკვერჩხლებს მიწა წააყარეს, იქაურობა მოასუფთავეს და შინისკენ გაემართნენ.

საქარელმა მეცნიერებმა, როგორც იქნა, პირველ სასიხარულო გამარჯვებას მიადწიეს ფილოქსერასთან ბრძოლაში — დაადგინეს, რომ ამერიკულ საძირზე დამყნილ ქართულ ვაზს ფილოქსერა ვერაფერს აკლებდა. ახლა მხოლოდ ამ „საოცნებო ნაშეყენების“ გამოყვანის საქმე უნდა მოეგვარებინათ.

ლაბორატორია თალიან სარდაფში იყო მოთავსებული. იატაკი ქართული ფილაქანით გაეწყობა. დღეს აქ ბევრ ხალხს მოეყარა თავი. პატარ-პატარა ბოთლებით, ჭილებით, რეტორტებითა და სპირტქუტურებით სავსე მაგიდას ცალი მხრიდან სანერგის თანამშრომლები, ვლადიმერი და მისი ძმა, იული შემოსხდომოდნენ (იული — სურამში, ფილოქსერასთან ბრძოლის კომისიაში მუშაობდა), მეორე მხრიდან კი — მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს რევიზორები, რომლებიც საქარაში სანერგის მუშაობის შესამოწმებლად იყვნენ გამოგზავნილი. საუბრიდან ჩანდა, რომ ვითარება ძალზე დაძაბული იყო.

— ბატონო სტაროსელსკი, ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ თქვენს მტკიცებას, რომ ქართული ვაზის გადარჩენა შესაძლებელია. ჩვენ დავადგინეთ, რომ ფილოქსერის დამარცხებას ვერ შესძლებთ, — მკაცრად წარმოსთქვა მთავარმა რევიზორმა და ისე გაიქნია ხელი, თითქოს ვაზი ძირში მოსხიპაო.

— თავს უფლებას მიეცემ შევნიშნო, რომ თქვენი დასკვნა უპასუხისმგებლოა, ბატონო მიხაილოვსკი, და თანაც მეტად საშიში, — ენერგიულად მოუჭრა ვლადიმერმა.

— როგორ თუ უპასუხისმგებლო?! — გაცხარდა რევიზორი და პენსენ ნერვიულად შეისწორა. — ისეთმა საქვეყ-

ნოდ აღიარებულმა მეცნიერებმა, როგორებიც არიან ფრანგი, შვეიცარი, უნგრელი გორვადი, რომლებიც პირადად ეწვივნენ საქართველოს, და მათთან ერთად ჩვენმა სპეციალისტებმაც, სრული პასუხისმგებლობით განაცხადეს, რომ ქართულ ვაზს აღსასრულის დღე დაუდგა, თქვენ კი სრულიად საწინააღმდეგოს დამტკიცებას ლაპობთ...

— უნდა გესმოდეთ, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია დააფინანსოს ასეთი, ამჟამად უპერსპექტივო სამუშაო, — ჩაერია ლაპარაკში კომისიის ერთ-ერთი წევრი.

— დაბეჭოთებით გთხოვთ, თავი შეიკავოთ ნაჩქარევი დასკვნებისაგან, თორემ მრავალი წლის შრომა და ჯანჯანა წყალში გადაგვეყრება. ჩვენ მტკიცე პირობას ვდებთ, რომ ვაზს გადავარჩენთ. უამისოდ ხალხი, რომელიც ისედაც უკიდურესი სილატაკის ზღვარზეა, შიმშილით ამოწყდება.

— მოწყალეო ხელმწიფე, ჩვენი უწყება საქველმოქმედო საზოგადოება როდი გახლავთ, — წამოისროლა მიხაილოვსკიმ და კვლავ ნერვიულად შეისწორა პენსენი. — სახელმწიფო თანხები პერსპექტიულ, სარფიან საქმეში უნდა დაბანდღეს.

— ეს როგორ! — ხმასაყუნა სიბრანისაგან ფერდაკარგულმა სტაროსელსკიმ, — თუ არა სახელმწიფოს, მაშ ვის უნდა შესტკიოდეს გული იმპერიაში მცხოვრები ხალხის კეთილდღეობაზე?!

— ჩვენი ხელმწიფე თავდაუზოგავად იღვწის თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის, მაგრამ იმედია დამეთანხმებით, რომ მას ნაკლებად უნდა აღუვებდეს სხვა ერების, ტუზემცების, თანაც ასეთი ჯანყისთავეებისა და ბანდიტების ბედილბალი.

— როგორ გეკადრებათ ასეთი შეურაცხყოფელი ტონით ლაპარაკი ამ შესანიშნავ, კეთილსა და პატიოსან ხალხზე, — წამოვარდა ფეხზე ალექსანდრე დოლოგუშინი. — ეს დაუშვებელია!

— როგორ მიბედავთ? მე ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენელი

გახლავართ! თქვენი ლაბორანტი ზომ არა გკონიავართ? — შეუტია მიხილოვსკიმ.

— კმარა, ბატონებო, კმარა! — შეეცადა ზავის ჩამოგდების ერთ-ერთი რევიზორი. პორთფელი გახსნა, რალაც ქალაღი ამოიღო. გულდაგულ გაასწორა და განაგრო: — ჩვენ წარვადგენთ საკუთარ მოსაზრებებს საქართველოში ფილოქსერას საწინააღმდეგო კვლევითი მუშაობის დაფინანსების შეწყვეტის თაობაზე...

ალექსანდრე დოლგუშინმა რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ სტაროსელსკის მკაცრი გამოხედვა შეამჩნია და სათქმელი ენის წვერზე შეაჩერა.

— თქვენ განგიმარტეთ და გიჩვენეთ კიდევ ჩვენი კვლევის შედეგები, — მშვიდად დაიწყო ვლადიმერმა, — ეჭვი არ არის, რომ სწორ გზას ვადგავართ — შედეგები ერთობ იმედის მომცემია და იმ ვაი ექსპერტებს, ფრანგები არიან თუ უნგრელები, დავუშტკიცებთ, რომ ამ საქმისა არაფერი გაეგებათ. მე მხოლოდ ერთსა ვთხოვთ, ორი-სამი თვე გვადროვეთ, დაფინანსებას ნუ შეგვიწყვეტთ და ლაბორატორიას ნუ დაგვიხურავთ.

— ჩვენ უფროსებს წარუვადგენთ მასალებს. გადაწყვეტილების გამოტანა იმათი საქმეა.

— იქნებ ცოტა მაინც შეგერბილებინათ დასკვნა, — პირველად ამოიღო ხმა მიხილ თვედორეს ძე კალინინმა.

— მაშასადამე, თქვენი წყალობით უფროსების თვალში უვიცებად და უქნარებად გამოვჩნდეთ, არა? უღრმეს მადლობას მოგახსენებთ! — ირონიულად შენიშნა მიხილოვსკიმ და კვლავ შეისწორა პენსე.

— რა ხდება, ბატონებო, ბოლოს და ბოლოს, — შესძახა მიხილ კალინინმა და სწრაფად წამოღდა სკამიდან, — რა გვაქვს სახვეწი და სამათხოვრო! ჩვენ, ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, პირობას გაძლევთ, რომ უფასოდ ვიმუშავებთ ლაბორატორიაშიც და სანერგეშიც.

არაფერზე არ დაგზარდებთ! ჩემს წყველანი თანახმანი ხართ, ბატონებო?

— რა თქმა უნდა, მაგას რალა კითხვა უნდა გვერდში ამოგიდგებით, მუშაობას არ შევწყვეტთ, — გაისმა შეძახილები.

თვალეზე ცრემლებმომდგარმა ვლადიმერმა მადლობა გადაუხადა თანამშრომლებს, შემდეგ მთავარ რევიზორს მიუბრუნდა და მკვახედ მიახალა:

— თქვენ კი, ბატონებო, შეგიძლიათ მიბრძანდეთ!

რევიზორები ერთად წამოიჭრნენ სკამებიდან, დაუმშვიდობებლად, ერთი მეორის მიყოლებით დატოვეს ლაბორატორია და თან გზადაგზა ტენიდნენ პორტფელში თავიანთ ქალაღებს.

— არ დააყოვნოთ, ბატონებო, დღესვე მოაწერეთ ხელი დასკვნას, — დაცინვით მიძახა ჩინოვნიკებს კონსტანტინე გორიაევმა.

აშკარა იყო, რომ კომისია გარკვეული დავალებით გამოაგზავნენ სანერგეში. ვილაცას წინასწარ გამოეტანა ურყევი დასკვნა: „რამეთუ „სანერგე შეურნეობის სამმართველო“ ძალიან ცუდად მუშაობს, საჭიროა დაუყოვნებლივ გაუქმდეს“. ეს, ასე ვთქვათ, ყურით მოთრეული საბაბი იყო. მთავარი კი ის გახლდათ, რომ სანერგის გაუქმება სულ სხვა, ფრიად მნიშვნელოვან ამოცანას — „ჭანყის ბუღის“ მოშლას ისახავდა მიზნად.

მაგრამ, როგორც ჩანს, იქ, ზევით, ბოლომდე არ მიადევნეს თვალი ამ საქმეს, ან კეთილგონიერებამ გაიმარჯვა — სამმართველო დახურვას გადაურჩა და ფილოქსერასთან ბრძოლა გაგრძელდა. არა და, გადატაცებულ მოსახლეობას არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო, ვაზი რომ გამოსცლოდა ხელიდან, კიდევ უფრო საშიხელ დღეში ჩავარდებოდა. ეს კი ვინ იცის, რა დამატებით საფრთხეს შეუქმნიდა ხელისუფლებას იმ არეულ დროს, როცა სოციალური ჩაგვრით გამოწვეული უკმაყოფილება ისედაც დღითი დღე ღვივდებოდა.

* * *

სამმართველოს შენობა ძლიერმა აფეთქებამ შეაზანზარა. სარდაფიდან, სადაც სანერგის ლაბორატორია იყო მოთავსებული, კვამლი ამოვარდა... მეზობელი სახლებიდან შეშინებული გლეხები მოცვიდნენ. შეშფოთებულმა სტაროსელსკიმ სარდაფში ჩაირბინა და, როცა დარწმუნდა, რომ არავინ დამავებულა, დამშვიდდა და ეზოში ავიდა.

— რა მოხდა, ბატონო ლადო, ხომ არ დამარცხდა ვინმე? — ეკითხებოდნენ შეშფოთებული მეზობლები.

— არაფერია, მეგობრებო, მადლობა ღმერთს, არაფერი მოხდარა. სპირტქურა აფეთქდა ცდის დროს.

ლაბორატორიიდან მკვარტლით გამურული თანამშრომლები ამოდიოდნენ. ერთს ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა, მეორეს ხელი გაკაწროდა და სისხლს იწმენდა. სულ ბოლოს თბილისიდან ჩამოსული თანამშრომელი, ლაბორანტი ნიკოლოზ პროსტოსერდოვი, ამოვიდა. იატაკქვეშელები მას დენტისა და ხელყუმბარების დამზადები! სპეციალისტად იცნობდნენ. პროსტოსერდოვის გამურულ სახეზე თვალის გუბებიცა მოუჩანდა თეთრად.

აქვე იყო გიმნაზიელი ვასილ პეტროვი და თექვსმეტობდე წლის გამხდარი სანდომიანი ქალიშვილი ნინო — ბათუმის კომიტეტის მეკავშირე. იგი აქ „მზა ნაწარმის“ წასაღებად ჩამოსულიყო.

— ეშმაკმა დალაზეროს, ვერ გამიგია, როგორ მოხდა? — გაბრაზებით ჩაიბურტყუნა პროსტოსერდოვმა.

— თქვენ, ნიკოლაი ივანოვიჩ, ყოველ შემთხვევისათვის ჩემთან ამოდით და ეცადეთ არავის მოხვდეთ თვალში. რაც გამზადებული გაქვთ სამალავში შეინახეთ, არ არის გამორიცხული, რომ, ვინმე გვეწვიოს... — უთხრა ვლადიმერმა და თითქოს ენამ უყვილაო, ცოტა ხნის შემდეგ სამმართველოს ეზოში სოფლის მამასახლისმა სავლემ და რამდენიმე ჩაფარმა შემოაგელვეს გაქაფული ცხენები.

— რა მოხდა, ბატონო ლადო? ისეთი ხმა იყო, თითქოს ყუმბარა აფეთქდაო.

მამასახლისი პასუხს არ დელოდა, ცხენიდან ჩამოხტა და უმაღლეს სარდაფისაკენ გაეშურა.

— ცოტა თვალყური დავაკელით, სპირტქურა აგვიფეთქდა, — მიამბა გორიაევმა, რომელიც კიბის მოაჯირზე მიმაგრებულ პირსაბანთან იდგა და გამურულ ხელებსა და სახეს იბანდა.

— სასწაულია... თოფის წამლის სუნი საიდანია? — უნდობლად ჩაილაპარაკა სავლემ.

— ხომ მოგეხსენებათ, ანთებული სპირტი ჰაერს რომ უერთდება, ღენტის სუნს იღებს, — „აუხსნა“ დოღუშინმა.

— ვითომ?! — იჭენეულად ჩაეკითხა სავლე და მეძებარევიტ დიიწყო ბორიალი კვამლიან სარდაფში. მაგიდის ქვეშ შეიხედა, იატაკი დაათვალიერა და მართლაც იპოვა დამტვრეული სპირტქურა. მამასახლისი ამით თითქოს დაკმაყოფილდა და ეზოში ავიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ პოლიციის უფროსს მოხსენება მიუვიდა, სადაც ეწერა: „არის ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ საქარის სანერგე მეურნეობის ლაბორატორიაში მისი უფროსის, სტაროსელსკის ნებართვითა და ხელის შეწყობით ღენტისა და ყუმბარებს აზნადებენ და ამით მართო ქართველ კი არა, რუსეთის ზოგიერთი გუბერნიის მუამზობეებსაც ამარაგებენ“.

ეს ვარაუდი ახლოს იყო ქეშმარიტებასთან. იმ დროს საქართველოს მრავალ კუთხეში აზნადებდნენ ღენტისა და იარაღს. მიზაილოვოში¹ ადგილობრივმა ხელმარგვე ოსტატმა, ბეკაურმა, სცადა ორთქლმავლის მილიდან ზარბაზანი დაემზადებინა. იგი წინდაწინ იტენებოდა ღენტითა და რკინის ნატეხებით, მაგრამ გამოცდისას ლამის უბედურება დატრიალდა: ხეზე მიბმული ზარბაზანი

1 მიხაილოვო — დღევანდელი ხაშური.

გასკდა, გამომგონებელი კი რაღაც სასწაულით გადაურჩა სიკვდილს.

• • •

...იმ ღამეს ნადეჟდას ძილი არ გაკარებია. თვალებზე დასმული იწვა ლოგინში და შიშნულად მისჩერებოდა ფანჯრებიდან შემოსულ სიბნელეს. ღამეულ მდუმარებას მხოლოდ კედლის საათის თანხაბარი წიკწიკი არღვევდა.

— აი, ასე წამოიბით გვეცლებმა ხელიდან უფლის მიერ ბოძებული სიცოცხლის ეამი და არ არის ძალა ამ ქვეყნად, რომ დროის ეს შეუწყვეტილი დინება შეაჩეროს. დიახ, არავის ძალუძს, უკან გადასწიოს ეამი, როდესაც განკითხვის დღეს მიქელ-გაბრიელის საყვირი მიგვიხმობს თავისთან. მიგვიხმობს და გვეკითხავს, რა სიკეთე დათესე იმ ქვეყნად? ბავშვები გაზარდე, ხე დარგე, იქელი მოიყვანე, თუ მის წილ მხოლოდ ღვარძლი ახარე?... წვეთ-წვეთად იღვენთებოდა სიცოცხლე...

აი, ერთი წვეთი, მეორე, მესამე... ნადეჟდამ საათის წიკწიკს ააყოლა თვლა, მაგრამ მალე აერია და ხელახლა დაიწყო. უეცრად საათში რაღაც აჭრიალდა და ზარმა დარეკა... ერთი... ორი... სამი... სამი საათია. ქალს გულზე კაემანი შემოაწვა, მოეჩვენა, რომ მისი მწუხრის ზარები ახმინდა. ზეცა ელვის ხაზმა გადასერა და წამით განათაოთახი. ვლადიმერს გვერდით საწოლზე ეთინა. გულალმა იწვა, ხელები მკერდზე ეწყო. „ღმერთო ჩემო, რა მიცვალებულივით წევს“, — გაუელვა ქალს თავში და მკლავზე ხელი შეახო. მძინარემ რაღაც წაიბუტბუტა და გვერდზე გადაბრუნდა. „მადლობა ღმერთს, ცოცხალია!“ — გაიფიქრა ნადეჟდამ, აკანკალებული ხელით ასანთი აიღო საწოლის გვერდით მდგომ პატარა მაგიდიდან, სანთელი აანთო, ხალათი წამოისხა და ბავშვების ოთახისაკენ გაემართა. „რა უცნაურია, — გაიფიქრა ნადეჟდამ, — ამათაც მამასავით სძინავთ“. ქალს უნებლიედ შიში შეეპარა გულში. იგი მძინარეებს მიუახლოვდა და მიაყურა. ბავშვები მშვი-

დად სუნთქავდნენ. დედამ უთრთხნდა და უკოცნა ხუთივეს შუბლი, — სკანდა ამოუქცია, უკან დაბრუნდა, სანთელი მაგიდაზე დადგა, ლოგინში ჩაწვა და მოციმციმე აღს მიაჩერდა... ეს რა უბედურებაა?! რა ხდება?! უცებ ალი გაძლიერდა და მაგიდას მოედო, რომელზეც ლარნაკში ჩადებული შოთხვის ხმელი ტოტი მოჩანდა ზედ სისხლის წვეთებივით შერჩენილი კენკრის მარცვლებით. აი, ცეცხლი დაბლაც ჩამოვიდა და უკვე საწოლისაკენ მოეშურება. „ჩქარა, ჩქარა, მშველელს უნდა ვუხმოს!“ მაგრამ ყელიდან ხმა არ ამოსდის, ხელს ვერ აწვრევს. აი ცეცხლმა მთელი ოთახი მოიცვა. ბოლმა სუნთქვა შეუქრა. ბოლოს აღმა ბუმბულივით აიტაცა მშანარე ვლადიმერი და უძრავად გააჩერა პაერში. წამიც და იგი ფერფლად იქცევა. უცებ გონებაში გაუელვა ქმრის მიერ ოდესღაც ნათქვამი სიტყვებმა: „ადამიანის ცხოვრება კოცონს წააგავს — მისი საწყისი ალია, ზოლო დასასრული კი — ფერფლი...“

— ო, ღმერთო, მიშველეთ! — შეჰყვირა ქალმა და საკუთარმა ხმამ გამოაღვიძა.

ნადეჟდა ცივ ოფლში ცურავდა. გული შეშინებული ჩიტვივით უთრთოდა. სანთელი კი მშვიდად ენთო.

„ეს რა საშინელება ვნახე“, — გაიფიქრა მან, სანთელს სული შეუბერა და სანამ პატრუქი არ ჩაიბუტბუტა, თვალი არ მოუცილებია. შემდეგ ფიქრებმა მომაველისაკენ გაიტაცეს. „ნებავი, რას გეიქადის ბედი? რა გველის? ბრძოლა? როგორი იქნება ეს ბრძოლა? რა მსხვერპლის ფასად მოვიპოვებთ გამარჯვებას? ვლადიმერს სწამს, რომ გავიმარჯვებთ. მართალია, ამზობს, ამას დრო დასჭირდებაო, მაგრამ მთავარია, რომ სწამს. რწმენა კი დიდი ძალაა. ნადეჟდას გაახსენდა, რომ ამას წინათ ბავშვებიანად ესტუმრნენ ნათესავებს საგურამოში, ილია ჭავჭავაძის მამულში. მცხეთაში გაიარეს, სვეტოცხოველშიც შევიდნენ და, როდესაც გაცოცხლებულმა ბავშვებმა იკითხეს, რა ძა-

ლამ აიტანა ეს მძიმე ლოდები ამ სიმაღლეზეო, მოძღვარმა უპასუხა, რწმენამ, შეილებო, რწმენამ მისცა საამისო ძალა ხალხსო. „მართლაცდა, რა სასწაულებრივი ძალაა რწმენა! იგი სიცილისაც ამარცხებს, გმირობისაკენ მოგვიწოდებს, გვამხნევებს, სიცოცხლეს ამკვიდრებს“.

ქალმა ჩათვლიმა.

უეცრად კვლავ მოესმა რაღაც ხმაური და თვალი გაახილა. რა მოხდა, ნუთუ დაიჭუხა? არა ქუხილს არ გაუღვიძებია, თუმცა მისი გუგუნე შორიდან ახლაც ისმოდა. ეჩვენება თუ რა არის? თითქოს აშკარად დაინახა ელვის შუქზე, რომ სასადილო ოთახის კარის მქრქალ მინაზე რაღაც ლანდები გამოჩნდნენ და ისევ გაუჩინარდნენ. ოთახი კვლავ უქუნეთმა შთანთქა. ქალი შიშმა აიტანა, უნდოდა დაეყვირა. „რა მემართება? ნუთუ ნერვები მალატობს?“ — გაიფიქრა ნადეჟდამ, აკანკალბულმა თავი საბანში ჩამალა, მაგრამ მის გამახვილებულ სმენას მაინც მისწვდა რაღაც შრიალი და ჩუჩუნე. ქალმა თავი წამოსწია და მიაყურადა: წვიმა იწყებოდა — ფანჯრის მინებზე ხამუშ-ხამუშ ეცემოდა მსხვილი წვეთები. „რაღაც უბედურება მჭირს“ — გაიფიქრა ნადეჟდამ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ წაართვა ძილმა თავი.

— ეს რა ამბავია? — ჩაესმა ძილში ქმრის ხმა.

ნადეჟდამ სწრაფად წამოისხა ხალათი და სასადილოს მიაშურა... იატაკზე დაფენილი უზარმაზარი ხალიჩა გამჭრალიყო.

— იქნებ გასაბერტყად გაიტანეს? — იკითხა ვლადიმერმა.

— რას ამბობ, ვალოდია, უჩემოდ ვინ გაიტანდა... — შემდეგ ჩაფიქრებულმა განაგრძო:

— ღამით რაღაც ხმაური შემომესმა.

— წუნს ვერ დასდებ, მშვენივრად უძუშავიათ, — ირონიულად ჩაილაპარაკა ვლადიმერმა.

სასადილოს ფანჯარა ღია აღმოჩნდა.

გარედან ბალის გრძელი კიბე ჰქონდა მიდგმული...

— ვერ წარმოგივიდგენია, მატონო ლადო, ვის უნდა ჩაედინა ეს, — წუხდნენ სანერგის თანამშრომლები.

ამ ამბავმა ყველა ააფორიაქა, კარგა ხანს ბუობდნენ და კამათობდნენ.

მოახლე მყვალამ სამოვარი შემოიტანა, ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ და ვლადიმერს დაუწყეს ლოდინი. ეცოდნენ, რომ დილით, საუზმემდე, ზვრებს შემოუვლიდა ხოლმე. აი, მისი ხმაც გაიგონეს, უკვე ეზოში შემოსულიყო.

— მამა ყველაფერში საოცრად ბუნქტულურია. ის რომ სასაუზმოდ შემოვა, შეგიძლია საათი გაასწორო, — შენიშნა თამარმა.

ვლადიმერი ჯერ თავის ოთახში შევიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა და სასადილო ოთახის კარი შემალა. იგი მალაო, მზრებში ოდნავ მოზრილი კაცი იყო, ტან კარგად შეკერილი, ოლონ უკვე პეწაცლილი სერთუკი ეცვა, ყელზე ჰალსტუხი ეკეთა. ჰალარაშეპარული თმა და მოკლე შეკრეკილი წვერი გულდასმით დაევიარცხა.

მან სათვალედან თავისი კეთილი მზერა მოავლო ყველას და საოცრად თბილად გაიღიმა. როცა იღიმებოდა სახე თითქოს შიგნიდან უნათლებოდა.

ვლადიმერი ჯერ ნადეჟდასთან მივიდა და ხელზე ეამბორა, შემდეგ ბავშვებს შუბლზე აკოცა და თავის ჩვეულ ადგილზე, ცოლის პირდაპირ დაჯდა. საუზმის დროს დაბალი ხმით საუბრობდნენ წუხანდელ ამბავზე. უკვე წამოდგომას აპირებდნენ, რომ კარზე დააკაუნეს.

— მობრძანდით, — დაუძახა ვლადიმერმა.

ოთახში პოლიციელები შემოვიდნენ, თან ორი ჩაფარი და სანერგის ორი ინგუში მუშა, ძმები, ბიბერთი და ჯაიმურზა, შემოიყვანეს. ერთ-ერთს მხარზე მრგვლად დახვეული ხალიჩა ჰქონდა გადებული. ვლადიმერი გაოცდა. მას ხომ პოლიციისათვის ქურდობის ამბავი არ უცნობებია.

გამომძიებელმა ქუდთან ხელი მიიტანა და უთხრა :

— გვაპატიეთ, თქვენო კეთილშობილებავ. ნივთიერი სამხილის — მოპარული ხალიჩის ამოსაცნობად შეგაწუხეთ. ამითთან ვიპოვეთ. და გამომძიებელმა ინგულე ძემებზე ანიშნა.

მოლულული ბიბერთი და ჯაიმურზა კართან იღვწენ და თვალს ვერ უსწორებდნენ ოჯახის უფროსს და დიასახლისს. ვლადიმერი ისე ჩააცქერდა ორივეს, თითქოს მათ სახეზე უნდა ამოეკითხა, თუ რატომ ჩაიდინეს ასეთი სამარცხვინო საქმე. უცებ გაახსენდა, რომ ერთხელ ბიბერთმა უთხრა, ჩვენთან, მთაში, ცხენის ქურდობა ვაეკაცობად ითვლებოდა... ჰო და, თუ კი კარგი ცხენი ვერსად მოიხელთეს?... მაშინ... მაშინ, ხალიჩა ცხვირწინ რომ ააცალო პატრონს, ნაკლები ვაეკაცობაა?! ამ მოსაზრებამ ვლადიმერი უნებლიედ გაამხიარულა. ნადედამ თვალი შეასწრო ქმრის ღიმილს და გაოცებული მიაშტერდა.

— ეს თქვენი ხალიჩაა?! — მკაცრად იკითხა გამომძიებელმა, რომელიც მაგიდას მისჯდომოდა და ოქმის დაწერას აპირებდა.

— ეს ხალიჩა... გაწელა სიტყვები სტაროსელსკიმ და შუბლ ქვეშ გამოშირალი ორი წყვილი შავი თვალის ანთებული გამოხედვა რომ შენიშნა, მტკიცედ განაგრძო:

— ეს ხალიჩა, ჰო, ახლა გამახსენდა... კარგი სამსახურისათვის ვაჩუქე ამ ბიჭებს.

გაოცებულმა გამომძიებელმა თავი ასწია, ხელები გაშალა და მხრები აიჩეჩა. მერე რაღაცის კითხვა დააპირა, მაგრამ სტაროსელსკიმ აღარ დააცადა: — ასე რომ, გთხოვთ, ბატონო გამომძიებლო, ეს ინციდენტი ამოწურულად ჩათვალოთ. იმათ მაგიერ გიხდით ბოდიშს ვინც თქვენ შეგაწუხათ.

გამომძიებელსაც რალა უნდა ექნა. თავი დაუკრა მასპინძელს, ჩაფრებს ანიშნა, გამომყევითო და გავიდა. ვლადიმერ სტაროსელსკი კი ხელმოცარულ

ქურდებს მიუბრუნდა და უბრძანა: — წაიღეთ ხალიჩა!

ისინი ადგილიდან არ დაიძრნენ.

— რას გაჩერებულხართ, წაიღეთ... ძემები მუხლებზე დაეცნენ და ვლადიმერს ხელებზე დაუწყეს კოცნა.

— რას სჩადიხართ, როგორ გეკადრებათ! — ამბობდა გულაჩუყებული ვლადიმერი და ხელებს შალავდა.

— შენ ჩვენი ალაპი ხარ, მამა ხარ ჩვენი, აი, ნახავ, როგორ გემსახურებით. ჯიგიტის პატროსან სიტყვას გაძღვეთ...

— ტყუილად ცოდვილობს ეს ჩვენი ლადო, არაფერი გამოვა! საზღვარგარეთელმა სპეციალისტებმაც კი თქვეს, ფილოქსერას ვერ დაამარცხებთო. მორჩა ჩვენი ვაზის საქმე! ველარც თვითონ იხარებს და ველარც ჩვენ გაგვახარებს!.. — მწარედ დასტიროდნენ გლეხები თავიანთ მარჩენალისა და სიყვარულის — ვაზის დაღუპვას.

მაგრამ სტაროსელსკი და მისი თანამოაზრენი, რომლებსაც სწამდათ საქმის საბოლოო წარმატება, თავდაუზოგავად განაგრძობდნენ ცდებს და შეუპოვრად ესწრაფვოდნენ მიზანს...

გავიდა ხანი და, აი, ხმა გავარდა — სანერგე მეურნეობაში იწვევენ ყველას, ვისაც ფილოქსერაგამძლე კალმების შექმნა უნდა, თანაც... უფასოდ. „როგორ თუ უფასოდ? სასიყეთო რამეს მუქთად ვინ მოგართმევს?!“ უქვეით შეპყრობილთ, არც კი მიუკითხავთ ნამყენებისათვის.

ამ ამბავმა დიდათ შეაწუხა მეურნეობის თანამშრომლები. არ იცოდნენ რა ელონათ. არავითარი ახსნა-განმარტება, დარწმუნება, დაპირება არ ჰქონდა. არ უნდათ, და მორჩა!

ათასნაირ ვარიანტზე იმსჯელებს, ბოლოს ფსიქოლოგია მოიშველიეს და ასე დაასკვნეს: „იმიტომ არ მიაქვთ, რომ მუქთად ვაძღვეთ“. გადაწყვიტეს ფასი დაედოთ, ფული გადაეხდევინებინათ. უსასყიდლოდ მიეცათ მხოლოდ სოფ-

ლის სკოლებისათვის... მაგრამ უნდობლობას მაინც თავისი ვაჟქონდა. მხოლოდ რამდენიმე გლეხმა მიაკითხა სანერგეს.

— ხვალიდან ვინც არ უნდა მოვიდეს კალმების შესაძენად, — განკარგულება გასცა სტაროსელსკიმ, — კატეგორიული უარი უთხარით, დაგავიანდათ-თქო, გათავდა-თქო. ასე განუმარტეთ, ერთი პარტიალა შემორჩა და ისიც საზღვარგარეთ უნდა გაიგზავნოს-თქო...

მერე ძმები ბიბერთი და ჭაიმურზა მოიხმოს და დაავალა, თოფებით შეიარაღდით და დღეღამე უყარაულეთ საწყობს, სადაც კალმებია შენახულიო.

მათაც გულიანად მოჰკიდეს ხელი დავალებულ საქმეს. როგორც კი ვინმე მიუახლოვდებოდა საწყობს, მრისხანედ აფრთხილებდნენ:

— აბა, მოუსვი აქედან!

როცა გაკვირებული გლეხები ეკითხებოდნენ, რა მოხდა, ამისთანა რა განმს სდარაჯობთო, ამაყად უპასუხებდნენ:

— როგორ თუ რას?! საზღვარგარეთი ყოველ კალამში მის წონა ოქროს იძლევაო...

არნახული ამბავი მოხდა. მალე სანერგეს ხალხი მიაწყდა, სტაროსელსკის სთხოვდნენ:

— ბატონო ლადო, გეხვეწებით, იქნებ სადმე შემოგჩათ რამდენიმე კალამი? — ევდერებოდა გლეხი.

— არა, ძამიკო, სამწუხაროდ აღარ დამრჩა. სულ დავარიგე. აი, საზღვარგარეთ გავგზავნი პირველ პარტიას და მერე ვნახოთ.

— საზღვარგარეთ რატომ უნდა გავგზავნოთ, როცა ჩვენ აქ შიმშილით ვიხოცებით?! — იწყინა გლეხმა.

— კარგი, კარგი, — უცერად „მოლბა“ სტაროსელსკი. თანამშრომელი გამოიძახა და დაავალა:

— აბა ერთი ნახეთ, იქნებ სადმე შემოგჩათ კალმები, მიეცით ამ კაცს, ოღონდ ხელწერილი ჩამოართვით. — შემდეგ გლეხს მიუბრუნდა და მკაც-

რად გააფრთხილა: — იცოდეთ, კონტრაქტისათვის დასძრა...

გახარებული გლეხი იფიცებოდა, არავის არაფერს ვეტყვიო, კალამს ჩოხის კალთაში მაღავედა და მადლიერი მილიოდა...

მეორე დღეს კი ასეთივე თხოვნით სხვა მოლიოდა...

— რას ჩადიხარ, ვალოდია, დარბაისელი კაცი ხარ, ბავშვივით კი იქცევი. არ გეკადრება ტყუილი, — საყვედურობდა ცოლი სტაროსელსკის.

— ეს ზომ კეთილშობილური ტყუილია ნადიუშა, სიკეთე მინდა მაგათთვის. რაც უფრო გვიან მიხვდებიან, რომ ფილოქსერა დამარცხებულა, მით უარესი იქნება მათთვის. ძვირფას დროს კარგავენ. არა უშავს, ღმერთი მოწყალეა, როგორმე მომიტყეებს ამ ცოდვას, — თავს იმართლებდა ვლადიმერი.

...სალამოვდებოდა, როცა სტაროსელსკიმ დარაჯი ძმები მოიხმოს და სანერგის თანამშრომლებისა და აქ მოსული რამდენიმე გლეხის თანდასწრებით უბრძანა ეტლი შეებათ და ქუთაისში წასულიყვნენ, მეურნეობისათვის ნავთი და ასანთი, ლაბორატორიისათვის კი საჭირო ქიმიკატები ჩამოეტანათ.

— საწყობს რაღა ვუყოთ? — გაუკვირდათ ძმებს.

— არა უშავს რა, ერთ ღამეს ვინმე სხვა უდარაჯებს...

ბიბერთი და ჭაიმურზა მეორე დღესვე დილაადრიან დაბრუნდნენ ქუთაისიდან და იმწამს სტაროსელსკისთან მიცვივდნენ:

— ვლადიმერ ალექსანდროვიჩი! დავილუპეთ!... ჩვენი ბრალი არ არის! ჩვენი ბრალი არ არის!..

სტაროსელსკი, რომელიც ის-ის იყო ლაბორატორიაში ჩასვლას აპირებდა, შეშინდა.

— რა იყო, რა მოხდა?!

ხმაურზე ნადეჟდაც გამოვიდა, სანერგის მუშაკებმაც მოიბრინეს.

— საწყობი გაუძარცვავთ! — თითქმის მთელი კალმები წაუღიათ! ჩვენი

ბრალი არ არის! ალას ვფიცავართ, არავისთვის არ გვითქვამს, რომ მივდევართ! ალასა დაგვლახვროს, თუ ჩვენი ბრალი იყოს!... — მოსთქვამდნენ ძმები.

სტაროსელსკი უსმენდა მათ და სახეზე ნათელი ეფინებოდა. ბოლოს ამაყად აწია თავი და საზეიმოდ მიმართა თავშეყრილთ:

— გაიგეთ, ბატონებო, საწყობი გაუძარცვავთ?! ეს დიდად სასიხარულოა! ხომ გესმით, რას ნიშნავს ეს?! საწყობი გაუძარცვავთ! ეს იმას ნიშნავს, რომ გლუხმა ჩვენი იწამა. ეს კი დიდი გამარჯვებაა, მეგობრებო!

• • •

...ვენახებში გლუხები ძირკვავდნენ და წვავდნენ ფილოქსერიტ დაავადებულ ვაზს... აქ კი, საქარაში, შემოდგომის ამ სუსხიან ღამით ერთმანეთის მიყოლებით ფერდობებზე გიზგიზებდნენ კოცონები, რომლებთანაც თავი მოეყარათ და თებობდნენ გლუხები სანერგიდან სასწაულმოქმედი კალმების მიღების მოლოდინში.

თავდაუზოგავად შრომობენ ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკი და მისი თანაშემწენი, სანერგეში და საქართველოს რამდენიმე სხვა რაიონში მათ მიერ მოწყობილი მყნობელთა მოკლევადიანი კურსების მსმენელნი.

— ვალოდია, ცოტა დაისვენე და ხალხიც დაასვენე, — წამდაუწყმე მიმართავს ცოლი.

— დასვენებას იქ მოვასწრებთ, — ღიმილით გაბადრული ვლადიმერი მრავალმნიშვნელოვნად მიუთითებს ცაზე. შემდეგ კი დაუფარავი სიამაყითა და კმაყოფილებით განაგრძობს:

— ხედავ, რამდენი ხალხი მოგვაწყდა... მათ უკვე იწამეს ჩვენი კალმების სასწაულმოქმედი ძალა.

— გამაღობთ, ჩემო ლადო! ^{ქუთუმოწიქ} წებით იღებს ხელში ნაზ ^{კაღამაქ} მდგა ბლად ხრის თავს გლუხი. — არ ვიცით, რითი გადაგვიხადოთ...

— წაილე, ჩემო სიკო, მხოლოდ ღვინოს რომ დაწურავ, კაშნიკზე დაპატივება არ დაგავიწყდეს, — ხუმრობით უპასუხებს იგი.

— შენ ჩვენი მხსნელი ხარ, — ეუბნება მეორე.

— შენ, ჩემო კოწია, მე კი არა, მეცნიერებამ გიხსნა.

— გამაღობთ...

— ბატონო ლადო, ჩემი მეზობელი გვახარია ყოველ საღამოს ძილის წინ და დილაუთენია ხატს ავედრებს შენს ჯანმრთელობას. შენ გადაარჩინე მაგისი ოჯახი შიმშილისაგან შენი ადრე მიცემული კალმებით ნამყენი „ჩხავერისაგან“ კაი ღვინო დგება, კაი ფელამუში, ჩურჩხელას ხომ ნულარ იტყვი.

...აი დღესაც, ჯოტო გვახარია, მისი მეზობელი სიმონ თოლორდავა და სხვები მარანში შეიკრიბნენ. დიდი სიფრთხილითა და მოწიწებით ჭურს თავი მოხადეს, პირჯვარი გადაიწერეს, მერე ხრიკით გამდნარ ოქროსავით ღვინო ამოიღეს, ჭიქებში ჩამოასხეს და მიუჭახუნეს.

— მოდიტ, მეგობრებო, — დაიწყო ჯოტომ, — პირველი ჭიქით ჩვენი ლადო ვაღლეგრძელოთ, ჩვენს ლადოს გაუმარჯოს! ქართული ვაზის მხსნელსა და მკურნალს.

— გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! — ერთხმად შესძახეს მეინახეებმა. ჯოტომ ჭიქა დაცალა, ფრჩხილზე დაბერტყა:

— ასე მტერი დაეცალოს...

მაღე მარნიდან „მრავალყამიერი“ გაისმა ქართული ვაზის გადამრჩენის სტაროსელსკის პატივსაცემად.

თავი 2

„იქ, სად ერთმან და გააქვს გრგვინვა ორთა
მდინარეთ, არაგვსა და შტკვარს...“ ღირსეული
შთამომავალი სულთა ნათესაობა „განახლების
გრიგალის ქოლვას...“

თბილისიდან დასავლეთისაკენ რომ მიემგზავრები და საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთას რომ გასცდები, მარჯვენა მხარეს შემოგზვდებათ სოფელი საგურამო. ქოხებს შორის ერთი ორსართულიანი ჭვიტიკის სახლი რომ მოჩანს, ილია ჭავჭავაძისაა. აქ ხშირად იყრიან თავს მისი მეგობრები, თანამებრძოლები. აი, დღევანდელ პაპანაქება დღესაც, როცა თბილისი იწვის, აქ, ილიასთან, ხალხმრავლობაა.

სტუმრებს შორის არიან სტაროსელსკებიც: საქარდან ჩამოსული ვლადიმერი ცოლითურთ და სურამიდან — მისი ძმა იული.

სალამო ეამი იყო. მზე თითქოს მოიქანცაო და იქვე მთის მწვერვალისაკენ მოსასვენებლად გაემურა... არაგვისპირეთიდან გრილმა სიომ დაქროლა. სახლის ფართო აივნიდან სტუმრები წიწამურის ხეობის შესანიშნავი ხელით ტყებოდნენ. ჯადოქარ ბუნებას აქ თავისი ნახელავი ფერადოვანი ხალიჩა გაეფინა. მახლობლად გველივით იკლანებოდა არაგვის ხეობის არტახებიდან თავდაღწეული საქართველოს სამხედრო გზა. რამდენი ამბის მომსწრეა იგი, ადამიანთა რამდენი ვნება, რამდენი სიხარული და წუხილი, რამდენი შეხვედრა და განშორება ახსოვს ამ უძველეს გზას. მართალია, მას „სამხედრო“ ჰქვია, მაგრამ, ისტორიამ მას მეგობრობის გზის ხვედრი არგუნა. და აი, უკვე რამდენი საუკუნეა იგი ერთგულად ემსახურება რუსი და ქართველი ხალხების დაახლოებასა და ერთიანობას. ამ გზით მიდიოდნენ ერეკლე მეორის დესპანები გეორგიევსკში, რათა ხელი მოეწერათ ცნობილი გეორგიევსკის ტრაქტატისათვის, — ერთმორწმუნე ქართველი და რუსი ხალხების მეგობრო-

ბისა და ურთიერთდახმარების პირველი მანიფესტისათვის...

— მაგონდება ჩემი სიუბუქე, — თქვა ჩაფიქრებულმა მასპინძელმა და განაგრძო: — ამ გზით წავედი პეტერბურლს, იმედებითა და ოცნებებით აღსავსე. ოთხი წელი გავატარე იქ. ო, ძვირფასო ოთხი წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგვიხმარა!

— რომელ ქართველს არ უნატრია „თერგდალეულობა“. პეტერბურლსა და მოსკოვში ჩასვლა, — ოცნებით შენიშნა იაკობ გოგებაშვილმა.

— მართალია, ჩვენში ერთსა და ორ ახალგაზრდა კაცს როდი იზიდავს საყვარელი სამშობლოდან შორეული მხარე, რომ იქ დაეწყოფოს ზემოლესი განათლების ანკარა წყაროს, რადგან ახლო-მახლო არსად არ სცემს ეს ნეტარების წყარო, — კვლავ წამოიწყო ილიამ და ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონები მოიშველია.

...და მუნთ ჰზიდვენ თელთა

ძვირფასთ შშობელს ქვეყნად,

მზურვალეს ცის ქვეშ მოსაქალთა

ერთი ათასად!

— ისიც უნდა ითქვას, ბატონებო, რომ არც კავკასია დარჩენილა ვალში.

— გაეხშიანა ვლადიმერ სტაროსელსკი.

— კარგად თქვა ბესარიონ ბელინსკიმ: კავკასია თითქოს ჩვენი ტალანტების აკვნად გადაიქცა, მათი შთამაგონებელი, მათი მუხების ლალა და პოეტური სამშობლო გახდა!..

— მანვე თქვა, — დაემოწმა ძმა, — რომ პუშკინის მუხამ თითქოს გააცისკროვნაო უკვე დიდი ხნით არსებული რუსეთის მოყვრობა ამ მხარესთან.

— ამიტომაცაა, რომ თავის დროზე ხალხმა ამ გზას „პუშკინის გზა“ უწო-

და ვინ ჩამოსთვლის, რამდენი შესანიშნავი სტრიქონი შთააგონა მან. როგორც ლიტერატურის ისტორიკოსები ამტკიცებდნენ, პოეტი ყაზბეგში ჩამომხდარა და აქ, გუდაურში, დაუწერია ლექსები „კავკასიონი“ და „ზვავი“. „საქართველოს მთებზე“ კი აქვე, მახლობლად, ქვეშეთში შეუქმნია...

ვანო სარაჯიშვილი აივნის მოაჯირთან მიდგა და ამღერდა:

— ნუ მღერ ლამაზო...

...თითქოს ჰანგს გამოეხმაურნენო მთები და ველები. სიმღერამ ფრინველივით კამარა ჰკრა და მიაშურა მთაზე ამაყად შემომდგარ ჯვრის მონასტერს, რომელსაც სიყვარულით უმღერა ლერმონტოვმა „მწიარში“.

...აი უკვე რამდენი საუკუნეა გადმოსცქერის იგი დაუდგრომელ ფამთასვლას. მისი ქვეები დაბერდნენ, დაიღლნენ, გამოიფიტნენ, მაგრამ ტაძარი კვლავ მტკიცედ დგას და ახლანდელ თაობებს შეახსენებს საქართველოს დიდებულ წარსულს...

მელოდია მიჩუმდა, ვლადიმერ სტაროსელსკი ტაძრისკენ შებრუნდა და თავისი ხავერდოვანი ხმით წაიკითხა ლერმონტოვის სტრიქონები:

არა — მრავალთა წელიწადს წინა,
 იქ, სად ერთვიან და გააქვს გრგვიწვა
 ორთა მდინარეთ, არაგვისა და მტკვარს,
 რომელნიც დურად ჩართულ ხელი-ხელ
 მიაქანებენ ქვე თვის მღვრიე წყალს, —
 იქ მონასტერი ყოფილა ერთხელ,
 დღესაცა მგზავრი მთებიდამ ზედას...
 ...ხოძებს, დაქცეულს ალაყაფის კარს,
 განაგრძო ქალბატონმა ნადეკდამ. —
 დღესაც ჩანს ბურჯი, თალი საყდრისა,
 მაგრამ მის ქვეშე საციცხლორისა
 სურნელი ბოლი აღარა ბოლავს
 და განთიადის საღვთო ვალოზას
 მლოცავთა ბერთა ვერ ისმენს მგზავრი.

— ჭეშმარიტად წმინდაა ეს გზა, უწმინდესია მისი ადგილები, — წამოიწყო ვლადიმერმა. — ამ გზით საქართველოსაკენ მოემშრებოდნენ პუშკინი და ლერმონტოვი, გრიბოედოვი და ტოლ-

სტოი, ჩეხოვი და ჩაიკოვსკი, და სიმამრებმა შობლოს რომ უბრუნდებოდნენ, მთაგონებულნი იყვნენ ამ კუთხით, მისი ხალხით, მისი მშვენიერი ბუნებით, რაც ძალას მატებდა მათს შემოქმედებას და სულიერად ამდიდრებდა მათ.

— პირდაპირ საოცარია, — გამოეხმაურა ნადეკდა, — რუსული პოეზიის, პროზისა და მუსიკის რამდენი ჭეშმარიტი შედეგები იშვა აქ.

— თბილისში, — განაგრძობდა სტაროსელსკი, — იგრძნო შემოქმედებითი შთაგონების მოზღვავება ლევ ტოლტსოიმ, რომელმაც აქ დაიწყო წერა თავისი პირველი ნაწარმოების „ბავშვობა“. აბა, გაიხსენეთ, რას ამბობდა ამ ქალაქზე: „განგების ხელი მამოქმედებდა და მისი მზურვალე მადლიერი ვარ, — მე ვგრძნობ, რომ აქ უკეთესი გავხდით... უკვე წუხელ ვიგრძენი ის ჭეშმარიტი სარგებლობა, რომელიც თბილისში ყოფნამ მომიტანა“.

— ჩაიკოვსკი? განა ბორჯომის მომხიბლავმა ბუნებამ არ შთააგონა ქართული მელოდიები ჩაეწნა თავის გენიალურ ნაწარმოებებში. რა მშვენიერად აეღერდა ქართული „იავნანა“ მის „შჩელკუნჩიკში“!

— თავის მხრივ, რუსულმა ლიტერატურამაც დიდი ხელმძღვანელი გავლენა მოახდინა ჩვენი განვითარების გზაზე, ყოველივე იმაზე, რაც ჩვენს სულიერ ძალას, ჩვენს შეგნებას, ჩვენს აზრს შეადგენს, — კვლავ შენიშნა ილიამ, — მან თავისი ბეჭედი დაასვა ჩვენს გრძობებსა და მთელს მიმართულებას. ბატონებო, ჩვენში არ არის ლიტერატურისა და საზოგადო ცხოვრების სარბიელზე არც ერთი მოღვაწე, რომელსაც რუსული ლიტერატურის გავლენა არ განეცადოს. და არც არის გასაკვირი, რუსულმა სკოლამ, რუსულმა მეცნიერებამ გავიხსნა განათლების კარი. რუსულივე ლიტერატურა ასაზრდოებდა და წარმართავდა ჩვენს აზრს მოძრაობის გზაზედ.

— მართალი ხარ, ილია, — თქვა აკაკი წერეთელმა, — ჩვენ დიდად ვა-

ფასებთ ჩვენს ძმობას, ერთობასა და მეგობრობას რუს ხალხთან. მართალია, რუსთა შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც არ ეჭაზნიებათ ჩვენი კავშირი...

— ...გოლიციელები, სმაგინები და ძმანი მათნი, — ჩაურთო ვლადიმერ სტაროსელსკიმ.

კავკასიაში მეფის ნაცვლისა და ქუთაისის გუბერნატორის ასეთმა აუგმა მოხსენიებამ რამდენადმე შეაეცბუნა დამსწრენი. აკაკიმ კი განაგრძო:

— სამაგიეროდ არის ახალგაზრდა რუსეთი, რომელთან ერთადაც გვესურს ხელიხელჩაკიდებულმან ვიაროთ, რათა განვახორციელოთ არა მარტო ეროვნული, არამედ ზოგადსაკაცობრიო იდეალებიც, რომელთაც ძმობა, ერთობა და თანასწორობა ეწოდება.

— ქებათა ქება ერეკლე მეორეს, რომელმაც ხელი მოაწერა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს — ერთმორწმუნე რუსთა და ქართველთა მეგობრობისა და ძმობის მანიფესტს! — პათეტიკურად წარმოსთქვა ოჯახის დიასახლისმა ოლლა გურამიშვილმა...

აქ აკაკიმ წაიკითხა თავისი პოემის „თერთმეტი სექტემბრის“ ნაწყვეტი:

აქ რომ კვდებოდნენ ჩვენი მამები,
გატაცებული და გამსპვალული,
სულ სხვა განზრახვით და სხვა იმედით
სიკვდილის წინეთ უძგერდათ ვული.

ჭფიქრობდნენ:

„ჩვენ ვართ უკანასკნელი
სამშობლოს მსხვერპლი, გათავდეს ჰიროს...
და ქრისტეს მცნებას აქ ქვაკუთხედად
უნდა დაედვას „ორთა კავშირი“.
„ან ვინ იფიქრებს იმის გაწვევას,
თუ არ უგნური და უმეცარი?
ძმობა, ერთობა და სიყვარული
ქვეყნისთვის არის ცოფრი ცვარი...“

აივანზე ქალიშვილები შემოვიდნენ. მათ ლანჯრებით შემოიტანეს შუშხუნა ღვინით სავსე ჭიქები.

— დროზე მოგვისწერეს, მეგობრებო! — წამოიძახა ვანომ და სასმისი შემართა. — გულბის კავშირს გაუმარჯოს! ჭიქები მოუჭახუნეს. ვანო ამღერდა:

— შეავსეთ, შეავსეთ ფილები! მას სხვებიც აპყვნენ და სიმღერა გადასწვდა წიწამურის ველს.

აკაკი წერეთელს ოვანეს თუმანიანი მიუახლოვდა, გულთბილად გადაეხვია და ლექსად მიმართა:

თანამომენო! საღამო თქვენდა,
პოეზიაში წვა გერგოთ ზეგდად,
და არარატმა, როგორც ლეგენდა,
გული გაიპო თქვენს შესახვედრად.

ყველამ ტაში დაუკრა.

— შენ ხომ იცი, ოვანეს, ჩემი ლექსი, შენს მეგობარ გაბრიელ სუნდუკიანს რომ მივუძღვენი?

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა;
ორივე შეილი ერთი მიწა-წყლის,
ერთ მიდამოსი და ერთი მთისა!..

მალე ყველანი დარბაზში შეიბატიქეს. აქ, კუთხეში, დივანზე, მოკალათდნენ მსახიობი საფაროვ-აბაშიძისა და ოჯახის დიასახლისი. რაღაცაზე ჩურჩულდნენ და წამდაუწყუმ სტაროსელსკებისაკენ იცქირებოდნენ.

— რომ იცოდენ, ეგენი ჩვენი ახლო ნათესავები არიან, — ეუბნებოდა ოლლა. — მაგათი ბიძა, გენერალი დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკი ჩვენი სიძე — ჩემი დის ეკატერინეს ქმარი იყო. საოცრად კეთილი კაცი ვახლდათ, ღმერთმა აცხონოს. ჩემი ილია დიდ პატრის სცემდა.

— არმიიაში მსახურობდა?

— არა, ბაქოს გუბერნატორი იყო, შემდეგ კი კავკასიაში მეფისნაცვლის თანაშემწე.

— აჰ, ეგ არის! — შესძახა საფაროვ-აბაშიძისამ, — ბევრი რამ კარგი მსმენია მის შესახებ მაათქვენი თადეოზისაგან. ძალიან აწებდა თავის სიძეს.

— დიახ, მან გულთან ახლოს მიიტანა ქართველი ხალხის მძიმე ზეგერი — დაუღდასტურა ქალებს ილიამ. — მაგისი ძმისწულეებიც ტოლს არ უღებენ ბიძას საქართველოს სიყვარულში. ვლადიმერი გამირულად შეეჭიდა ფილოქსერას, ჩვენი ხალხის სიამაყე და დი-

დება — ვაზი გადაარჩინა და ამით ჩვენი გლეხი იხსნა გაჩანაგებისა და სილატაისაგან. მაგისი შმა იულსც ერთგული თანამებრძოლია ამ კეთილშობილურ საქმეში...

— ბატონებო, ვთხოვთ ჩვენს მეგობრებს, სტაროსელსკებს, დაგვატკბონ მუსიკით, — თავაზიანი ღიმილით მიმართა მათ დიასახლისმა.

— გთხოვთ, გთხოვთ, — გაისმა ხმები.

შემბმა თანხმობის ნიშნად თავი დაუყრეს. ნადედა ფორტეპიანოს მიუჯდა, ვლადიმერმა ვიოლინო აიღო, იულიმ კი ვიოლონჩელი. მალე ოთახი აივსო ჩაიკოვსკის ჯადოსნური მელოდით. სტუმრები ნეტარებით უსმენდნენ. მიწყდა უკანასკნელი აკორდები და გაისმა ტაში, შეძახილები:

— ვაშა! ვაშა!

— უდავოდ მართალი იყო ლესინგი, — ბრძანა ილიამ, — „მუსიკა უტყვი პოეზია არისო და პოეზია — მეტყველი მუსიკაო“. მე კიდევ ამას ვიტყვი, სიმღერაში, გალობაში მწყობრი ხმა ჰშველის ადამიანს მთლად და სავსებით გამოსთქვას თვის სულის მოძრაობა და თვისის გულის ძარღვის ცემა.

— შვენიერი სიტყვებია, — აღტაცებით დაუდასტურა ქალბატონმა ნადედა.

— ამბობენ, ჩვენს სტუმარს, ახალგაზრდა კომპოზიტორს ზაქარია ფალიაშვილს ნოტებზედ გადაუტანია ხალხური მელოდია „თავო ჩემო“. უარს ნუ გვეტყვის და მოგვასმენინოს. — თქვა დიასახლისმა.

— გთხოვთ, მაესტრო...

ის კი, ვისაც ეს თხოვნა ეხებოდა, ოთახის კუთხეში იდგა და ჩაიკოვსკის მომაჯადოებელი მუსიკით დატყვევებულს ოცნებისათვის მიეცა თავი. ეს შენიშნა ერთ-ერთმა სტუმარმა, ახალგაზრდა ქალმა, კეკელუცად დაჰკრა მხარში დაკეცილი მარაო:

— მაესტრო, დაეშვით ჩვენს ცოდვილ მიწაზე.

— რაო, რა ბრძანეთ? — გამოერკვა

ბოლოს ზაქარია, — მე მითხარით რამე?

ყველა ახარხარდა.

— დიახ, დიახ, გთხოვთ თქვენი ახალი რომანსი შეასრულოთ.

— რას ამბობთ, რას ბრძანებთ, ჩაიკოვსკის შემდეგ? არა, ეს შეუძლებელია!

— ჩაიკოვსკი თავის დროზე, თქვენი ხნისა რომ იყო, ალბათ, იგივეს ამბობდა ბეთჰოვენსა და ბახზე, — შენიშნა ვლადიმერ სტაროსელსკიმ, — ასე რომ, ნუ მორცხვობთ, ზახარი პეტროვიჩ, თამამად დაუკარით. ხომ იცით, გამბედაობა ციხე-სიმაგრესაც სტეხს.

კომპოზიტორი დიდხანს აღარ გაჯიუტებულა, ფორტეპიანოს მიუჯდა და, ვიდრე დაკვრას დაიწყებდა, შეკრებილთ მიმართა:

— ნება მიბოძეთ, ბატონებო, ვთხოვო ჩემს მეგობარს ვანო სარაჯიშვილს იმღეროს მისთვის უკვე ცნობილი ეს რომანსი.

— გთხოვთ, გთხოვთ!

— უნდა გითხრა, ვანო, ჩვენთან პირშავად ხარ. რაც იტალიიდან დაბრუნდი, იშვიათი სტუმარი გახდი, — უთხრა ილიამ, — მეგობრულად მხარზე მოხვია ხელი და ფორტეპიანოსთან მიიყვანა.

აუღერდა გულში ჩამწვდომი მელოდია, მღეროდა ვანო სარაჯიშვილი... გასაოცარი სილამაზის ხავერდოვანი ლირიკულ-დრამატული ტენორით შესრულებულმა რომანსმა მართლაც რომ მოაჯადოვა იქ მყოფნი. სუნთქვაშეკრულნი უსმენდნენ, და როცა სიმღერა დამთავრდა, რამდენიმე ხანს ვერავინ ვერ ბედავდა სიჩუმის დარღვევას. და უეცრად ოთახში მხურვალე ტაში ატყდა.

ფალიაშვილი ოდნავ შეცბუნებული სწრაფად წამოდგა და სახეგამბრწყინებულმა მიაშურა „თავის“ კუთხეს, ვანო კი თავს უკრავდა დამსწრეთ.

— ვერაფერს იტყვი, ჭეშმარიტი შედეგია. ეროვნული, ხალხური მუსიკალური ინტონაციებისა და კომპოზიტო-

რის შთაგონების საოცარი შერწყმა, — აღელვებულმა შენიშნა ვლადიმერ სტაროსელსკიმ. — ეს ხმა კი განუმეორებელია, უნიკალური!

— დიახ, დიახ, შესანიშნავია, პირდაპირ ლეთაბრივი! — გაისმა ალტაცებული შეძახილები.

— ზოგიერთნი ბრიყვნი ამბობენ, — დაიწყო ილიამ, — თითქოს მუსიკის გაგება რჩეულთა ხვედრი იყოს. ეგ იმას ემგვანებოდა, რომ კაცს კაცმა მეტყველების ნიჭის უქონლობა შესწამოს, როცა, ვსთქვათ, ბაირონის ლექსს ინგლისურად უკითხავდნენ ამ ენის არამცოდნე კაცს და ამის გამო არამცოდნე კაცი კითხვის დროს თვლებში იყოს, როცა სხვანი ალტაცებულნი არიან.

— ხალხური მუსიკა მისი შემქმნელების გენიალობის დასტურია, — დასძინა იაკობ გოგებაშვილმა.

— მართალი ბრძანდებით. — რა დამაიწყებს 1888 წლის 15 ნოემბრის ბედნიერ დღეს თეატრში, როცა ქართულმა ხორამ ბატონ რატვილის ლობაობით იგალობა თეატრში ნოტებზედ გადაღებული ქართული საერო სიმღერები. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ყველა ქართული ხმა კარგად იყო გადაღებული, მაგრამ მაინც კიდევ ჩვენი ქება და დიდება ეკუთვნით ამ საქმის დამწყებთა. დიდი მადლობა გვმართებს ბატონ აღნიაშვილისა, რომელმაც ეს მართლა სახელოვანი საქმე იკისრა, ხოლო შეპყარა, გაგვიმართა ქართული კონცერტი და დაგვატყბო იმ მივიწყებულის ხმებით, რომლითაც მღეროდნენ ჩვენი წინაპარნი...

— დაიხსოვით, ბატონებო და ქალბატონებო, ზაქარია ფალიაშვილი იტყვის თავის სათქმელს, — მგზნებარედ ბრძანა ილიამ და მეგობრულად მოეხვია კომპოზიტორს. — ჩვენი ვანო კი, რა უნდა ვთქვა, ნამდვილი ბულბულია! — შემდეგ, თითქოს თავისთვის ამბობსო, სინანულთ და ნალვლიანად ჩაილაპარაკა: — თითო-ორილა ახალგაზრდას თუ აქვს ფართო განათლების მიღების შესაძლებლობა, თუმცა მშვენი-

ერი და ნიჭიერი შთამომავლობა გვეზარდება.

— ჩვენ ყველანი ხალხს განათლების იღვით ვართ შეპყრობილნი, — დასძინა იაკობ გოგებაშვილმა, — მაგრამ რა დასაძალია, რამდენი დაბრკოლებაა ამ გზაზე, თუნდაც, ენობრივი.

— დიახ, დიახ, სწორია! მართალი ბრძანდებით. იაკობ სემიონოვიჩ, — წამოიწყო ვლადიმერ სტაროსელსკიმ. — მე თავად ვახლავართ ცოცხალი მოწმე იმისა, თუ რა ზიანი მოაქვს ჩვენი საზოგადოებისათვის ენობრივ ჯებირებს. მოსახლეობა მოკლებულია ელემენტარულ შესაძლებლობას თავის მშობლიურ ენაზე ჰქონდეს ურთიერთობა ხელისუფლებასთან, ეს კი კიდევ უფრო აღრმავებს მათ შორის უფსკრულს. მდამიო ხალხისათვის პრაქტიკულად მიუწვდომელია მართლმსაჯულების ორგანოებიცა და სახელმწიფო დაწესებულებებიც... თუმცა, განა მარტო ეს... — ხელი ჩაიქნია ვლადიმერ სტაროსელსკიმ.

— ბიძათქვენი დიმიტრი, — უბასუხა იაკობ გოგებაშვილმა, — რუსი ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენელი იყო. მან ბევრი რამ გააკეთა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის. იგი ბრძანებდა:

— სკოლამ უნდა აამაღლოს ხალხი გონებით, ზნეობით, კეთილდღეობით და ამით შეეწიოს თვით სახელმწიფოს დიდებას, თუ ამ მაღალ მიზნის მიღწევას დაუშლის რუსული ენის სწავლება, მოგვახსენეთ და ჩვენ შეგვიძლიან მომეტებულადაც შევეუმსუბუქოთ სასოფლო სკოლას ეს ვალდებულება.

— რა თქმა უნდა, იგი სრულიად გამორიცხავდა ხალხისათვის მშობლიური ენის ძალით წართმევას, გართულების გზას, — შენიშნა სტაროსელსკიმ.

— მართალია! — კვლავ გამოეხმაურა გოგებაშვილი, — გენერალი სტაროსელსკი სახელმწიფო აზროვნების ადამიანი გახლდათ, კაცთმოყვარე გული ჰქონდა, უყვარდა საქართველო,

როგორც თავისი მეორე სამშობლო, რომლის ასულმა მიანიჭა მას ოჯახური ბედნიერება, ზედმიწევნით ესმოდა ქართველი კაცის ვასაჭირი, მისი ტყვილი.

— მე კარგად დამამახსოვრდა მისი სიტყვები, — ჩაერია ილია. — „მე მზად ვარ ჩემი შესაძლებლობისდაგვარად შევამსუბუქო საქართველოში სოფლის სკოლის ამოცანა, ქართული და რუსული ენების გონივრული შეხამება“.

— ეს სწორია, — დასძინა იაკობმა, მე იმის მტკიცე მომხრე ვარ, რომ ყოველმა ქართველმა დედაენის გარდა რუსული ენაც იცოდეს, მაგრამ კატეგორიული მოწინააღმდეგე ვარ იმისა, რომ ამ საკითხში რაიმე ძალდატანებას ჰქონდეს ადგილი.

— შენ, ჩემო იაკობ, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანე ჩვენში რუსული ენის გავრცელების საქმეში, — შენიშნა აკაკიმ, — „დედა ენასთან“ ერთად მშვენიერი სახელმძღვანელო დაუწერე რუსულის შემსწავლელ ქართველებს.

— რაც უნდა ვილაპარაკოთ, ჩვენთვის, ქართველებისთვის, კვლავინდებურად აუხდენელ ოცნებად რჩება იმ დროის დადგომა, როცა ჩვენს მხარეში რამდენიმე ათეული განათლებული აგრონომი გვეყოლება, — კვლავ დაუბრუნდა თავის აზრს ილია. — აი, უკვე მერამდნედ ვსვამთ თბილისში უნივერსიტეტის გახსნის საკითხს, სახსრების შეგროვებაც კი დავიწყეთ. ხელისუფალნი კი გვეუბნებიან: „არ შეიძლება, ეს შეამზობეთა კიდევ ერთი კერა იქნებაო...“

— ნუთუ ქართველი ხალხი, რომელსაც ჯერ კიდევ მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში გელათის, გრემისა და იყალთოს აკადემიები ჰქონდა და შოთა რუსთაველი შვა, უნივერსიტეტის ღირსი არ არის?!

— იქნება, ძვირფასო იაკოვ სემიონოვიჩ, აუცილებლად იქნება! თუ მხედველობაში მივიღებთ, რა სწრაფად ვითარდება ქართველი ხალხის მართლშეგნება, რასაც უკანასკნელი ორი-სამი

წლის მანძილზე ვამჩნევ, რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებას, — მთელ რუსეთში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეგ დღე არც ისე შორს არის, — ღრმა რწმენით წარმოთქვა სტაროსელსკიმ. შემდეგ კი მტკიცედ განაგრძო:

— პატივცემულო იაკობ, მე მწამს, რომ ბავშვები, რომლებიც დღეს თქვენი „დედა ენით“ იღვამენ ფეხს, უმაღლეს განათლებას თბილისის უნივერსიტეტში მიიღებენ, მათ სულ სხვა ხანაში, სხვა პირობებში მოუხდებათ ცხოვრება და სწავლა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ამ სიტყვებმა თითქოს ყველანი ოცნების საუფლოში გადაისროლა.

— ბატონებო, დიადი განახლების მზე მალე ამობრწყინდება, მისი სხივები უკვე კიაფობს ჰორიზონტზე! — აღელვებულმა წარმოთქვა იული ალექსანდრეს ძემ და ზეპირად წაიკითხა პუშკინის ლექსი:

მერწმუნე, ძმაო, ამობრწყინდება
ვარკველავი წარმატა ბედნიერების,
რუსეთი ძილით გამოფხიზლდება
და ნანგრევებზე თვითმპყრობელობის
დაიწერება სახელი ჩვენი!

— ჭეშმარიტად, რამდენ შესანიშნავ ადამიანს შობს კიდევ ჩვენი მიწა-წყალი, რამდენ გმირს მიაჭვს დღეს თავისი სიცოცხლე მაღალი ადამიანური იდეალების სამსხვერპლოზე...

აქ მოსაუბრეებს უნებურად გაახსენდათ გურიის დრამატული ამბები.

— ყველანი უნდა გადაველობოთ გურიის რეაქციის თარეშს, — შენიშნა ვილაყამ.

— მართალია! — მყისვე დაუპირა მხარი ვლადიმერ სტაროსელსკიმ, — თორემ მდინარედ დაიღვრება სისხლი ადამიანებისა, რომლებსაც ერთადერთი რამ — თავისუფლება და თანასწორობა სწყურიათ!

ამ სიტყვებმა მასპინძელს გაახსენა თავისი პოემის ნაწყვეტი:

ველარ განუძღვებს ქვეყანა ძველ
განახლებისა გრივალს ქროლვას,

ველარ განუძღვებს ქვეყნის შპაკველი
ქვეშარტებით აღძრულსა ბრძოლას, —
და დაიმსხვრევა იგი ბოჯილი
შეშფერხებული კაცთა ცხოვრების
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების.

დუმოლმა დაისადგურა. ბევრს თვალს
ცრემლი მოადგა.

— ლმერთმან ჰქმნას, რომ მალე მო-
ხდეს... ლოცვასავით ჩაილაპარა ერთ-
ერთმა.

— განა ამ ნატერა-სურვილს არ ეხ-
მაურება „ინტერნაციონალი“? — წა-
მოიძახა აკაკიმ და წამოიწყო:

უნდა მტერი დაეპარცხოთ,
ძალმოპრევი, უსამართლო!
რა გვაჭეს მასთან ჩვენ საერთო,
საპირფარო, ან სამადლო?

ეს იქნება საბოლოო
შეტაკება, მწიარე ომი...
და, თუ ვსძლიეთ, ჩვენთან ერთად
გაიხარებს ყველა ტომი.

— აღარ ეშვები, აკაკი, ამ შენს
„ინტერნაციონალს“? განა არ გეყო,

რაც ჭვარს გაცვეს ამის გამოქვეყნება-
ეცინა იაკობ გოგებაშვილს.

საქმე ის იყო, რომ აკაკიმ ქართუ-
ლად თარგმნა „ინტერნაციონალი“. სი-
მღერა ფართოდ გავრცელდა მთელს
საქართველოში. ამან მეფის მოხელე-
ები დიდს საგონებელში ჩააგდო. უმაღ-
დახურეს „პატარა გაზეთი“, სადაც პი-
რველად დაიბეჭდა აკაკისეული თარგ-
მანი. ხოლო თვით მთარგმნელი პასუ-
ხისგებაში მისცეს. აი რა იყო ნათქვა-
მი ამის თაობაზე კავკასიის საცენზურო
კომიტეტის მოხსენებით ბარათში თბი-
ლისის დროებითი გენერალ-გუბერნა-
ტორის სახელზე:

„...განვიხილეთ რა, ახლად გამოსუ-
ლი ყოველდღიური გამოცემა „პატარა
გაზეთი“, ავღნიშნავთ რომ „მარსელი-
ეზის“ მოტივზე დაწერილ ლექსში „ინ-
ტერნაციონალი“, ხელმოწერით „აკა-
კი“ და დასტამბული გაზეთის პირველ
ნომერში, ამაწლის პირველ იანვარს,
გამოხატულია არსებული სახელმწიფო-
ებრივი წესწყობილებების დამზობის ამ-
კარა მოწოდება“.

თავი 3

მეფისნაცვლად გრაფი მონიღა. მთავარიბა, დროის მოგება! სახმადრო საბორო გადაწყობა...

თვითმპყრობელობა ცდილობდა რო-
გორმე შეენელებინა რევოლუციური
გამოსვლები, ამისათვის ათასგვარ ზრი-
კებსა და ეშმაკობას მიმართავდა. მან
თანამდებობიდან გადააყენა მეფისნაც-
ვალი კავკასიაში, თავადი გოლიცინი,
რომელიც ოდიოზური ფიგურა გახლ-
დათ. მთელ მოსახლეობას ჭირივით
ეზიზღებოდა, საქმე იქამდეც მივიდა,
რომ მასზე თავდასხმა მოაწყვეს. იგი
დაუცხრომელ გულმოდგინებას იჩენდა
ძალადობრივი ასიმილაციის პოლიტიკის
განხორციელებაში. უპატივცემულოდ,
აგდებულად ეკიდებოდა მკვიდრი მო-
სახლეობის ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებ-
ებსა და ენას. მისი ინიციატივით
1903 წლის 12 ივნისს მიღებული იყო
მეფის ბრძანებულება სომხური ეკლე-

სიის მთელი უძრავ-მომრავი ჭონების
კონფისკაციის შესახებ. ეს აქტი დიდ
პრაქტიკულ ზიანს აყენებდა სკოლებსა
და კულტურულ-საგანმანათლებლო ორ-
განიზაციებს, რომლებსაც ეკლესია ხელს
უშობდა. ამის გამო მთელ ამიერ-
კავკასიაში გაიშარათა საპროტესტო დე-
მონსტრაციები. ჭონების ჩამორთმევის
დროს კი ხელისუფლება იძულებული
გახდა არმია მოეშველებია. სწორედ ამ
მომენტში, მშრომელი მასების ყურა-
დლების მოდუნების მიზნით, მთავრო-
ბამ გოლიცინის შემწეობით სცადა
პროვოკაციულად გამოეწვია სომეხ-
თათართა მორიგი შეტაკება, მაგრამ
ამას ამიერკავკასიის პროლეტარიატი
წინ აღუდგა. მათამაკვლელი ომი მალე
შეწყდა. უფრო მეტიც. ხელისუფალ-

ნი იმულებული გაბდენ დაეთმოთ და 1905 წლის აგვისტოს გამოიცა ბრძანებულება სომხური ეკლესიისათვის წართმეული ქონების დაბრუნების თაობაზე.

გოლიცინის პეტერბურგში გაწვევის და კავკასიაში მეფისნაცვლის პოსტის გაუქმების შემდეგ ხელისუფლებას ერთ ხანს სათავეში ჩაუდგა კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველი გენერალ-მაიორი მალამა. ცარიზმის ამ თავგამოდებულმა მსახურმა გადაწყვიტა სამხედრო ძალის მეშვეობით ერთბაშად გასწორებოდა მეამბოხეებს. 1905 წლის 7 თებერვალს მან შინაგან საქმეთა მინისტრს პოფმისტერ ბულიცინს გაუგზავნა დეპეშა: „...ბათუმსა, ქუთაისში და მათთან დამაკავშირებელი რკინიგზის ხაზის გასწვრივ რაიონებში მღელვარებამ და უწესრიგობამ განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა მთავრობის საწინააღმდეგო გურიის მოძრაობაზე, რომელიც, აი, უკვე 1902 წლიდან გრძელდება. ოზურგეთის მზარსა და მის გარშემო სოფლებში საქმის ვითარება აჩანყების ხსიათს ლეზულობს“... შემდეგ იგი დაბეჭიბებით მოითხოვს ნებართვას ამ აღგილუბში სამხედრო წესები გამოაცხადოს.

მალამამ ისე, რომ პასუხსაც არ დალოდებია, საკუთარი ინიციატივით სასწრაფოდ გაგზავნა ჯარები დასავლეთ საქართველოში გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით.

ამ ამბავმა ფეხზე დააყენა მოსახლეობის ყველა ფენა, დიდი გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია. იმართებოდა მუშათა და გლეხთა მასობრივი გამოსვლები. დღეღაცებმა პროტესტები გაუგზავნეს კავკასიის აღმინისტრაციის ხელმძღვანელობას. მეფისნაცვლის სასახლეში მიდიოდნენ ინტელიგენციის და მოქალაქეთა წარმომადგენლები. გულგახეთქილი ლიბერალებიც კი უგზავნიდნენ წერილებს და „უმბედლესად სთხოვდნენ“ გაუქმებიანთ სამხედრო წესები...

ამ დროისათვის გამოქვეყნდა იმპე-

რატორის სახელობითი „უმიადლესა“ ბრძანებულება „კავკასიაში მეფისნაცვლის თანამდებობის აღდგენის შესახებ“. მას ევალებოდა ერთდროულად აქ განლაგებული ჯარების მთავარ-სარდლობაცა და კავკასიის კახაკთა ჯარების ატამანობაც. ამასთან დაკავშირებით გაუქმდა კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველისა და კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის, აგრეთვე მისი თანამშემწის თანამდებობანი. მეფისნაცვალი ერთდროულად სახელმწიფო საბჭოს წევრი, მინისტრთა საბჭოსა და კომიტეტის წევრი ხდებოდა.

მალე ამ თანამდებობის დასაკავებლად პეტერბურგიდან თბილისს ჩამოვიდა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ყოფილი კარის მინისტრი გრაფი ილარიონ ივანეს ძე ვორონცოვ-დაშკოვი.

ამ გამოცდილ მეფის კარისკაცს, მონებრებულ და ჭკვიან სახელმწიფო მოღვაწეს თავისი ხანგრძლივი სამსახურის მანძილზე ბევრი რამ განუცდია და უნახავს. რად დაუჭდა მას, თუნდაც ის, რომ მშრალად გამოსულიყო ხოდინკაში მომხდარი ტრაგედიიდან.

...პირდაპირ გასათვარია! თითქოს თვით განგებამ არგუნა ნიკოლოზ მეორეს „სისხლიანი“ გამხდარიყო. მისი ოცდასამი წლის მეფობის განვლილი გზა თვით ბოლომდე გვაძებით მოფენილი და სისხლით მორწყული იყო. განა ნიკოლოზი არ გახლდათ უაზრო ომების თავკაცი, მილიონობით ადამიანი რომ ეწირებოდა, ხალხს რომ მასობრივად ხერეტდა და ეშაფოტზე გზავნიდა. ან ვინ მოთვლის რამდენი ადამიანი დაიღუპა მეფის დილეგებსა და საპყრობილებეში. ბედმა ისე განსაჯა, რომ თვით მისი მეფედ კურთხევის გამო მოსკოვში ხოდინკის ველზე მოწყობილი დღესასწაულიც კი ტრაგედიად უნდა გადაქცეულიყო და ათასზე მეტი კაცი, მათ შორის ქალები და ბავშვები ემსხვერპლა.

ხოდინკის ტრაგედიამ თავის დროზე

აღაშფოთა მთელი რუსეთი. ხალხი ანათემას უთვლიდა მის ორგანიზატორებს. „ბედუქუღმართი დღე“ უწოდა მას ლევ ტოლსტოიმ. როგორც ცნობილია, მეფედ კურთხევის რიტუალის შემუშავება დაევალა კომისიას, რომელსაც თავმჯდომარეობდა ახალგაზრდა იმპერატორის ბიძა, დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე, იმ დროს მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი, ნაირ-ნაირი ქვიფებისა და ბალ-მასკარადების დიდი ოსტატი და ორგანიზატორი. ამ კომისიის ერთ-ერთი მთავარი პირი იყო კარის მინისტრი ვორონცოვ-დაშკოვი. სწორედ მას მოუვიდა აზრად დღესასწაული მოეწყობოთ ხოლმეის ველზე — სამხედრო მოედანზე, რომელიც სულ ერთ კვადრატულ ვერსს შეადგენდა და გადათხრილი იყო სანგრებით, ორმოებითა და ჭებით. აქ, კერძოთ, სხვა ცერემონიათა შორის, გათვალისწინებული იყო მეფის „გულუხვი“ საჩუქრების დარიგებაც... ამ საჩუქარს შეადგენდა ქალაქის პარკში ჩალაგებული პურის კვერი, ძეხვის ნაჭერი, ერთი თაფლაკვერი, ათიოდე შაქარყინული, ხუთი კაკალი და... სამახსოვრო ტოლჩა, მომინანქრებული ნიკოლოზ მეორის ინიციალებით.

თუ მაშინდელი იუსტიციის მინისტრის მურავიოვის მოხსენებას დავიმოწმებთ და მივიღებთ მხედველობაში, რომ შას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაეწამებთ მომხდარი ამბების გამჟღეობას, აგრეთვე მოვიშველიებთ ზოგიერთ სხვა დოკუმენტსაც, ხოლმეის ტრაგედია შემდეგნაირად წარმოგვესახება.

მეფედ კურთხევის წინა დღეს, 17 მაისს, უკვე შუადღიდან საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული ხალხის ნაკადი ხოლმეის ველისკენ გაეშურა. ღამის პირველ საათისათვის აქ, ამ პატარა გადათხრილ ტერიტორიაზე უკვე 400-500 ათასმა კაცმა მოიყარა თავი. ისეთი სიციწროვე შეიქნა, ჰაერი იმდენად დამძიმდა და ბუღმა მოიკვა არემარე, რომ ბევრს გული უღონდებოდა, ბევრიც იქვე სულს ღაფავდა. გაისმოდა

სიკვდილის პირას მისულთა შემაძრწუნებელი შეძახილები: „შიშველეთ!..“ ხალხი ხელიდან ხელში თავზე გადატარებით ერთმანეთს გადასცემდა, გაგულულთა და გასრესილთა გვაშებს, მაგრამ ბევრი მათგანის გამოტანა ჭედვის გამო შეუძლებელი ხდებოდა და ისინი ცოცხალთა შორის რჩებოდნენ. შეძრწუნებული „მოზიმიენი“ ცდილობდნენ გასცლოდნენ მიცვალებულებს, ეს კი უფრო ართულებდა მდგომარეობას, აძლიერებდა პანიკას, ჭედვა-ქყულტვას. მაშინ, როცა საჩუქრების დარიგება დაიწყო, და ბრბო ბუფეტების გასასვლელებს მიაწყდა, მან თან გაიტაცა გვამებიც, და ისინი მხოლოდ-ღა სასეირნო მოედანზე ცვივოდნენ ძირს. აქვე გამოდიოდნენ ლასლასით ღონემიხილნი, ტანსაცმელშემოგლეჯილნი, გაოფლილნი, გაველურებული თვალებით „მოზიმიენი“. ბევრი მათგანი უსულოდ ეცემოდა, გარშემო ისმოდა თხრილებში ჩაცვნილთა გმინვა. ბრბო ფეხით თელავდა მათ. როცა საჩუქრების მეორედ დარიგება დაიწყო, ყველაფერი ხელახლა განმეორდა. მაშინ 2190 კაცი დაშავდა, რომელთაგან 1389 გარდაიცვალა.

ზეიმი ტრაგედია იქცა. ჩამწარდა და აღარც ღირდა მისი გაგრძელება... მაგრამ, არა! ახლად გამომცხვარი თვითმპყრობელი დამშვიდებული სინდისით აქედანვე პირდაპირ გაემართა საფრანგეთის ელჩის მეჯლისზე, საღამოს კი თავის დღიურში ჩაწერა: „მომხდარმა ამბავმა ჩემზე საზიზღარი შთაბეჭდილება დატოვა“. მორჩა და გაათავდა უფრო მეტიც, რამდენიმე დღის შემდეგ გამოიკვა იმპერატორის რესკრიპტი, რომლითაც დიდ მთავარს სერგი ალექსანდრეს ძეს — ხოლმეის ამ მთავარ დამნაშავეს — მადლობა გამოეცხადა „ზეიმის სანიმუშოდ მომზადებისა და მოწყობისათვის“. შესაბამისად აღინიშნა ვორონცოვ-დაშკოვის „ღვაწლიც“.

...ამრიგად, ვორონცოვ-დაშკოვი შეუდგა კავკასიაში მეფისნაცვლის მოვა-

ლებობის შესრულებას. აქვე უნდა დავძინოთ, რომ გრაფი ახალი ხილი როდი იყო ამ მხარეში. იგი ჯერ კიდევ ჭაბუკი გახლდათ, როცა ჩამოვიდა პეტერბურგიდან. გვარდიელთა ჭკუფთან, „ოქროს ახალგაზრდობასთან“ ერთად და კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის, შერე კი კავკასიაში მეფისნაცვლის ბარიატინსკის ადიუტანტი იყო. იგი შემდეგ ვშიაც არაერთგზის ჩამოსულა კავკასიაში კარის მინისტრის რანგში.

გრაფი გაეცნო ქუთაისის გუბერნიისა და კავკასიის სხვა ადგილებზე შექმნილ რთულ და დაძაბულ ვითარებას და, როგორც გამოცდილი და საზრიანი კაცი, მიხვდა, რომ მოწინააღმდეგეთა ძალების ახლანდელი თანაფარდობის ბირობებში გაუჭირდებოდა რევოლუციურ მოძრაობასთან გამკლავება. საჭირო იყო ყოველგვარი ბერხით, თუნდაც კომპრომისების ხარჯზე დრო მოეგო, რათა მოესწრო დამსჯელი ორგანოების გაძლიერება — პოლიციის, ენდარმერის, არმიისა. „ჯერ რამდენადმე სადავეების მიშვება, შემდეგ კი უკიდურესი სისასტიკე“ — აი ფორმულა მისი მოქმედებისა. ამის აღსრულებას დაუყოვნებლივ შეუდგა. რამდენიმე დღის შემდეგ გრაფმა შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნა მოხსენება, რომელშიც ჩიოდა, ამჟამად რევოლუციურმა მოძრაობამ ამიერკავკასიის ვრცელი რაიონი მოიცვაო. დაძაბულობა შეიქნა „იმდენად სწიშვნილოვანი და იმდენად სავსე სოციალისტურ და ნაციონალისტურ ნიადაგზე რევოლუციური ტერორის ფაქტებით, რომ დაუყოვნებლივ საჭიროა მასთან სისტემატური ბრძოლის ორგანიზაცია...“ იქვე ამასთან დაკავშირებით განაგრძობდა: „ამჟამად არსებული საშუალებანი კი ასეთი ბრძოლისათვის სრულიად არასაკმარისია“. იგი დაყენებით მოითხოვდა, რომ გარდა მხარეში ამჟამად მოქმედი ენდარმთა სამმართველოებისა და რაზმების, საიდუმლო პოლიციის განყოფილებებისა და სამძებრო პუნქტებისა, დამატებით შუ-

მოღებულ იქნეს კავკასიაში პოლიციის გამგის თანამდებობა მეფისნაცვლის ნაშემწის უფლებებით, რომელსაც დაეჭვემდებარება მხარეში სახელმწიფო დანაშაულობათა გამოვლენისა და გამოძიების საქმეები და წესრიგისადმი საერთო მეთვალყურეობა. აქვე სხვა ღონისძიებებთან ერთად იგი თხოულობდა საპოლიციო საიდუმლო საქმიანობის ხარჯებისათვის ყოველწლიურად გამოეყოთ ასიათასი მანეთი. აქვე უნდა დავძინო, რომ ყველა ესა და სხვა მრავალი მოთხოვნა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის რეკომიტით მთლიანად დაკმაყოფილდა, კერძოდ, 1905 წლის 22 მაისს გამოიკა „სახელობითი უმაღლესი ბრძანებულება“ კავკასიაში პოლიციის გამგებლის, საპოლიციო ნაწილში მეფისნაცვლის თანაშემწის თანამდებობის დაწესების შესახებ. ამასთანავე გამოქვეყნდა შესაბამისი „დებულება“, ხოლო 1905 წლის 25 ივლისს ამ თანამდებობაზე დაინიშნა სასახლის პოლიციის უფროსი, გენერალ-მაიორი ევგენი ნიკოლოზის ძე შირინკინი...

...გვიანი დამე იყო, როცა ვორონცოვ-დაშკოვმა სასახლეში საგანგებო, თათბირი მოიწვია.

— როგორც ჩანს, ბატონებო, გურიასა და იმერეთში ამჟამად ჭარბების გაგზავნას შეიძლება დიდი გართულებანი მოჰყვეს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაშიც, — ასე, ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო მოწვეულებთან კონფიდენციალური საუბარი მეფისნაცვალმა. — ცნობები, რომლებიც მივიღეთ ბაქოდან, ერევნიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან და, განსაკუთრებით, თბილისიდან, ცხადყოფენ, რომ დამსჯელმა აქციამ საზოგადოებრიობის გულისწყრომა გამოიწვია. ამასვე ადასტურებს ჩემი საუბრები სხვადასხვა წოდების ცალკეულ წარმომადგენლებთან და დღეუგაციებთან...

— თქვენო ბრწყინვალეობავ, — შე-
აწყვეტინა მას შირინკინმა. — ამ დე-
პუტაციებმა და ყოველგვარმა ცნობე-
ბმა მოსახლეობის მულისწყრომაზე არ
უნდა შეგაშინოთ, ძალაა საჭირო, ძალა
უნდა გამოვიყენოთ...

ვორონცოვ-დაშკოვს არ ეპიტნავე
პოლიციელის ამგვარი თავხედური გა-
მობლობა და მკვახედ მიუგო:

— მოწყალეო ხელმწიფეო, ცნობი-
სათვის უნდა მოგახსენოთ, რომ მე
მხდალთა რიცხვს არ მივეყუთენები და
ჩემი შეშინება არც თუ ისე იოლი სა-
ქმეა.

— ვთხოვთ მამატიოთ... მომიტე-
ვოთ... სწორად ვერ გამიგეთ. თქვენი
მამაცობა და გულადობა საყოველთაოდ
ცნობილია, — დაიწყო მლიქვნელუ-
რად ხასიათწამხდარმა შირინკინმა, —
ჩვენ ვიცით, თქვენო ბრწყინვალეობავ,
რომ თავის დროზე იმპერატორის პი-
რადი დაცვის უფროსი ბრძანდებოდით.
ისიც ვიცით, რომ ბევრი რამ გაგიკე-
თებიათ ყოველგვარი ჭურის მეამბოხე-
ებთან ბრძოლაში...

მას მხედველობაში ჰქონდა ის დრო,
როცა ვორონცოვ-დაშკოვი გრაფ პავლე
შუვალოვთან, სხვა დიდებულებთან, ზო-
გიერთ მინისტრთან და გენერალთან
ერთად საიდუმლო საზოგადოების „სა-
ღვთო რაზმის“ ორგანიზატორი იყო,
რომლის წევრებიც აწყობდნენ რევო-
ლუციონერთა მკვლელობას, პროვოკა-
ციებს, არბევდნენ არაღვთალო სტამ-
ბებს, პოლიტიკურ მეძებრობას კადრუ-
ლობდნენ და ხშირად პოლიციისა და
ენანდარმერის მავიერობას ეწეოდნენ.

მეფისნაცვალმა ყურად არ იღო ში-
რინკინის ეს თავისმართლება და განა-
გრძობ:

— მე მგონია, ზოგიერთებმა იჩქარეს
ჯარების გაგზავნა, — და ვახედა გენე-
რალ-ლეიტენანტ იაკობ მალამას. რა
თქმა უნდა, იგი მიხვდა, რომ ეს გადა-
კრული სიტყვები მას ეხებოდა და თა-
ვის მართლებას შეუდგა:

— თქვენო ბრწყინვალეობავ, თქვენ
ჩამობრძანებამდე მე ჩემი ნიჭისა და

ტკუისდაეკვალად ვმოქმედებდი და შე-
საძლებელია, შევეცი კიდევ...
— პირადად მე აქ ვერავითარ შეცდო-
მას ვერ ვხედავ, — კვლავ გამოავლინა
თავისი პოლიტიკური მრწამსი შირინკი-
ნმა.

— ნება მიბოძეთ ვითხრათ, ბატონე-
ბო, — მკაცრად დაიწყო ვორონცოვ-
დაშკოვმა, — სწორედ უშეცდომოდ
რომ გემოქმედათ, ცხადია, ეს საკითხი
ახლა საკამათო და სადისკუსიო არ გა-
ხდებოდა.

— მე მხოლოდ საკითხი აღვძარი ში-
ნაგან საქმეთა მინისტრ ჰოფმანსტერ
ბულიგინის წინაშე და იგი დათანხმდა,
— რამდენამდე ნაწყენმა შენიშნა მა-
ლამამ.

— მაგრამ 1892 წლის 28 ივნისის
კანონის პირველი მუხლის თანახმად,
სამხედრო წესების შემოღება შეიძლე-
ბა მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, რომ-
ლებიც საომარი მოქმედების რაიონში
შედის, — წარმოთქვა მეფისნაცვლის
თანაშემწემ კრიმ ვირეიმ, აქამდე რომ
დღემდა.

იგი გუმანით მიხვდა, რომ გრაფს
სხვაგვარად სურს საკითხის გადაწყვეტა,
მაგრამ როგორ, რანაირად, ჭერჭერო-
ბით ნათლად ვერ წარმოედგინა.

— მერედა, რით არ არის ეს საომარ-
ი მოქმედების რაიონი? — შეესიტყვა
შირინკინი.

— რა შუაშია აქ მინისტრი, იგი ხომ
თქვენი ინფორმაციით ხელმძღვანელო-
ბდა, — მოუჭრა მეფისნაცვალმა.

დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა, ში-
რინკინს კიდევ რაღაცის თქმა სურდა,
მაგრამ ვორონცოვ-დაშკოვმა ეესტით
გააჩუმა იგი. აქ მალამამ პაუზით ისარ-
გებლა და გაუბედავად თქვა:

— მე ჩემი სინდისი, ღვთისა და იმ-
პერატორის წინაშე პასუხისმგებლობის
შეგნება მამოძრავებდა, თანაც მინის-
ტრისადმი ჩემს დეკლარაციას უმდაბლესად
ვთხოვდი, თუ სამხედრო წესების შე-
მოღება მიზანშეწონილად არ იქნებოდა
მიჩნეული, მე, ამას დაყენებით არ მო-
ვითხოვდი. მაშინ საჭიროდ მიმაჩნდა

უფლებამოსილება მომნიჭებოდა აღნიშნულ ადგილებზე გამოძევენებინა მღვლევარების აღკვეთის სხვა ღონისძიებანი — ეკზეკუციები, დაპატიმრებანი, დასჯა, სასამართლოში გადაცემა და სხვა, მაგრამ მისმა ბრწყინვალეობამ ბულიგინმა წინადადება მომცა სამხედრო წესები შემომელო.

— ბატონებო, ვთხოვთ სწორად გამოვიკითხო. განა მე რეპრესიების წინააღმდეგი ვარ, მე სხვა მაწუხებს, რამდენად დროული და ეფექტური იქნება შექმნილ ვითარებაში ჯარის ჩარევა.

— ნებას თუ მომცემთ, თქვენო ბრწყინვალეობავ, მოგახსენებთ, — ამჯერად საგანგებო თავაზიანობით და ფრთხილად დაიწყო შირინკინმა, — თუ ჩვენ ახლა უარს ვიტყვით ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათ, შეამზობენებინა ამას აღიქვამენ როგორც ჩვენს სისუსტეს, დათმობათ წასვლას და უფრო გათავზიდებიან.

— მომიტყევთ, ბატონებო, მაგრამ მე სულ სხვა აზრისა ვახლავართ, შეესიტყვა კრიმ-გირეი, — უფრო ბრძნული და მიზანშეწონილი იქნებოდა მოსახლეობისათვის გვეგრძნობინებინა, რომ ჩვენ, მართალია, შეგვიძლია ძალა გამოვიყენოთ, მაგრამ მოხარული ვიქნებით, თუ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით გადაწყდება. რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ პირობით, თუ ხალხი უსიტყვოდ დაემორჩილება ხელისუფალთ.

— არაფერი არ გამოვა. იარაღის ძალა, აი, რა გვეჭირდება დღეს, — შენიშნა შირინკინმა.

— ნება მიბოძეთ არ დაგეთანხმობთ. ჩვენ ჯერ კიდევ კარგად არც ვიცით, — როგორია ამ მღვლევარებათა მიზეზები და მისი ფესვები, — უპასუხა კრიმ-გირეიმ. — აგენტურული მონაცემები და ჩვენი ოფიციალური უწყებებისა და დაწესებულებების მოხსენებანი, — აქ მან მალამასა და შირინკინს გადახედა, — არ არის სრული და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის საწინააღმდეგოცაა. რატომ არის, რომ მთავრობის ზოგიერთ მოხელეს თავს ესხმიან, კლა-

ვენ, სხვებს კი ინდობენ და მხარსაც უჭერენ...

— ლაჩრებსა და მოლაღატეებს უჭერენ მხარს — ბოლომთ უპასუხა შირინკინმა.

— საკითხის ასე დასმა არ არის მართებული...

კრიმ-გირეის კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ გრაფმა შეაწყვეტინა:

— ბატონებო, აქ იმისთვის კი არ მოგიწევით, რომ თქვენ უსაგნო კამათსა და კინკლაობას ვუსმინო. მე საქმიანი რჩევა მჭირდება, რომელსაც საფუძვლად დაედება თქვენი მრავალი წლის — აქ გრაფმა მალამას და კრიმ-გირეის მიაპყრო მზერა, — დიდი გამოცდილება აქაურებთან ურთიერთობაში. აქ მე რამდენადმე ახალი კაცი ვარ.

— პირადად მე, — ფრთხილად გადახედა რა გრაფს, დაიწყო კრიმ-გირეიმ, — იმ აზრისა ვარ, რომ შევაჩეროთ ჯარების წინსვლა, რათა ცოტა მიინც დაცხრეს თავფიცხელ ადამიანთა ვნებები.

— დაცხრესო... ადვილი სათქმელია მთელი იმპერია დენთის კასრს დაემსგავსა, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება აფეთქდეს, აქ კი „დაცხრესო“. ეს სენი შეიძლება მთელ კავკასიას მოედოს, მალე ამ შეამზობენებს კიდევ აჩანყებული გემი „თავადი პატიომკინ-თავარიზელი“ მიემატება რომელიც, როგორც ირკვევა, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროსკენ მოდის, სოხუმისა თუ ბათუმისკენ. მაშინ რაღა ვქნათ? არა, ახლავე, დაუყოვნებლივ, ჩანასახ-შივე ცხელი შანით თუნდა ამოვწვათ ეს ბოროტება, — აღშფოთებული ხმით დაასკვნა მალამამ და ისე მოიქნია ხელი, თითქოს ის გავარჯარებული შანთი უკვე ეკავა.

— სწორია! — დაუმოწმა შირინკინმა.

— ამოვწვათ... მერე და არ გეშინიათ, რომ თავად დავეადებებით? — შეედავა კრიმ-გირეი. — ცუცხლთან ხუმრობა სახიფათოა!

— კმარა, ბატონებო. თქვენ, ალბათ,

ჯერ არ გასცნობიხართ განკარგულებას, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრისგან ახლახან მივიღეთ. — გრაფმა წითელი საქალაქიდან ამოიღო საბუთი და კითხვა დაიწყო: „...ჩვენის მხრივ, იმეამდ შექმნილი განსაკუთრებული პირობების გამო, საჭიროდ მიგვაჩნია კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველის მოვალეობის შემსრულებელს მივანიჭოთ მის მიერ გამოთხოვილი საგანგებო უფლებამოსილება; ამიტომ შინაგან საქმეთა მინისტრს აქვს პატივი ეს საკითხი განსახილველად გადასცეს მინისტრთა კომიტეტს, რათა ნებართვა გამოსთხოვონ იმპერატორს აღნიშნული წინადადების განსახორციელებლად. შინაგან საქმეთა მინისტრი პოდმაისტერი ბულიგინი“.

— ხედავთ, თქვენო ბრწყინვალეობავ, ამ წერილიდან აშკარად ჩანს, რომ იჩქარეს, როცა სამხედრო ნაწილები გაგზავნეს, — თქვა კრიმ-გირეიმ. — მინისტრთა კომიტეტის თანხმობა ჯერ ზომ ოფიციალურად მიღებულიც არ არის.

— მართლაც, იქნებ დაველოდოთ ამ გადაწყვეტილებას, — შენიშნა გრაფმა.

— კეთილი, მაგრამ რიონის რაზმი უკვე დაიძრა სალაშქროდ.

— ამას წინათ მინისტრთა კომიტეტის საქმეთა მმართველს, სტატმდივან ბარონ ნოლდტეს ველაპარაკე. იგი დამპირდა, რომ ეცდებოდა ეს საკითხი რაც შეიძლება მალე გაიტანოს კომიტეტის სხდომაზე, — გაეხშიანა მალამა.

— ჰოდა, ძალიან კარგი, — განაგრძო თავისი აზრი კრიმ-გირეიმ. — დაველოდოთ გადაწყვეტილებას. გავცეთ განკარგულება, რომ რაზმის წინსვლა შეაჩერონ, ბრძანება ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ ჩანდეს: თქვენი ბრწყინვალეობის დიდი სურვილია თავიდან აიცილოს შესაძლო სისხლისღვრა. და კიდევ, მასწავლებელს უნდა გავგზავნოთ ჩვენი საბჭოს რომელიმე წევრი. დაე, აღვალბე გავრკვეს შექმნილ ვითარებაში.

— ასეც მოვიქცეთ. თქვენ თვითონ

გაემგზავრებით, ბატონო... უფიქრულ მომრჩეველო სულთან სკრამჩრანგა — როგორღაც საზეიმოდ წარმოთქვა მეფისნაცვალმა.

— თქვენო ბრწყინვალეობავ, გამოდის, რომ ჩვენს სამსახურს არ ენდობით, — თმის ძირებამდე გაწითლებულმა და ნაწყყნმა შენიშნა შირინკინმა.

— არა, რატომ... მაგრამ გადამოწმება საქმეს არ ავენებს. ჩემი წინამორბედი ენდობოდა სმაგინს, ქუთაისის გუბერნატორს, მაგრამ, თურმე, ის მთლად სწორად არ მოქმედებდა.

— ჩვენ ამის შესახებ ცნობები არ გავგაჩნია, — გამოექომაგა გუბერნატორს შირინკინი.

— სწორედ ამიტომ ვგზავნი ბატონ კრიმ-გირეის, — რომ ყველაფერი დავაზუსტო. და კიდევ აი რა, ურიგო არ იქნება, — მიმართა მან კრიმ-გირეის, — კარგად დავაკვირდეთ ჩვენს ძველ ნაცნობს, საფუძვლიანი ცნობები შევავროვოთ მის შესახებ. იქნებ ისე მოხდეს, რომ მალე ეს კაცი დაგვპირდეს...

დაკვირვებული ადამიანი მაშინვე შენიშნავდა, როგორ შეეცვალა შირინკინს სახე გრაფის ამ სიტყვებზე.

მცირეოდენი პაუზის შემდეგ ილარიონ ივანეს ძემ უკვე მალამას მიმართა ბრძანების ტონით. ყველანი ფეხზე წამოდგნენ:

— შეადგინეთ ბრძანება გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკისადმი, — დაიწყო გრაფმა, — არა სამხედრო წესების გაუქმების, არამედ რაზმის წინსვლის შეჩერების შესახებ. დაახლოებით ისე ჩამოაყალიბეთ ბრძანება, რომ მეამბოხეთა მოძრაობის ჩახშობისას შესაძლო სისხლის ღვრის თავიდან აცილების მიზნით თქვენ, ესე იგი მალამამ, გადაწყვიტეთ უკანასკნელ საშუალებას მიმართოთ — საგანგებოდ მივლინებული პირის მეშვეობით შეგანებინოთ მოსახლეობას დაემორჩილოს კანონებს, და კიდევ: ყოველი შემთხვევისათვის დეპეშა გაუგზავნეთ ყველა უწყებას და გააფრთხილეთ: საქართველოს შავი

ზღვის ნავსადგურებში არ შემოუშვან ამბოხებულნი ხომალდი.

ამის შემდეგ გრაფმა მოკლედ დასძინა:

— ნახვამდის, ბატონებო.

შირინკინმა პირველმა დაავლო ხელი პორტფელს, ქუსლი ქუსლს შემოჰკრა, თავი დაუკრა მეფისნაცვალს და კაბინეტიდან სწრაფად გავიდა.

— მეტის-მეტი ფიციხი ყოფილა, — შენიშნა გრაფმა, როგორც კი შირინკინი კარს მიუფარა.

— დიახ, ფრიად ჩქარია, როცა საქმე რებრესიებს ეხება, — გაეხშიანა კრიმ-გირეი.

მალამამ დუმილი არჩია, მაგრამ მას აშკარად ეტყობოდა, რომ განაწყენებული იყო.

• • •

ლაბორატორიის კარი სწრაფად გაიღო და დირეზე აღელვებული სტაროსელსკი გამოჩნდა.

— ვაივ, ვალოდია, ალიხანოვის ჯარების წინსვლა შეაჩერეს. მეფისნაცვალმა ხალხთან მოლაპარაკება იკადრა...

— დემოკრატიზაციას თამაშობენ, უპასუხა მამ ისე, რომ მიკროსკოპის თვის თვალთ არ მოუშორებია. — ეშმაკური ილეთია, ზურგს იმაგრებს: აქაოდა, ყველაფერი ვიღონეთო: მოლაპარაკებაც, დარწმუნებაც, მერე კი იტყვიან, არაფერი არ გამოვიდა და ამიტომ იძულებული ვაგხდით სამხედრო ძალა გამოგვეყენებინაო. — აქ სტაროსელსკი გაჩუმდა, შემდეგ კი დასძინა:

— ისე კი, რაც გინდა თქვი, და ეს მაინც დათმობაა. მთელი საქართველო აღსდგა, როცა გაიგო, რომ გურიაში ჯარებს გზავნიან. ჰოდა, ხედავ, ახლაც რა გულკეთილები ვახდნენ.

— რას ამბობ, მარტო საქართველო? მთელი რუსეთი აღმფთვებულია. პეტერბურგში, მოსკოვში, ბაქოშიც მშრომელმა ხალხმა ხმა აღიმალა გურულების დასაცავად. ეტყობა, კავკა-

სიის ხელისუფალთ კარგად გერას! აქეთ საქმე, რაკი მშვიდობის მომხრეებად ასალებენ თავს. მერე და იცი, ვის გზავნიან მოსალაპარაკებლად?

ვალოდიამ ცნობისმოყვარე მზერა მიიპყრო ძმას.

— სულთან კრიმ-გირეის, სწორედ იმას, შენს ძველ ნაცნობს...

— ოოო...— შენიშნა ვლადიმერ სტაროსელსკიმ. — ეგ ხომ პირწავარდნილი მელაა.

— თბილისში ხმები დადის, გრაფის დაახლოებული პირიაო. — მოკრძალებით ჩაერია უფროსების საუბარში ვასილ პეტროვი.

— საინტერესოა, შენთან შეხვედრას თუ მოისურვებს?

— ეშმაკმა უწყის მაგის თავი... ერთ დროს მემეგობრებოდა, ახლა კი ჩვენი გზები გაიყარა; ეგ დიდი სახელმწიფო მოხელეა, მე კი უბრალო სოფლის აგრონომი ვარ.

— თავს ნუ ისაწყლებ — „სოფლის აგრონომი?“ შენ ქვეყანა გიცნობს როგორც შესანიშნავ მეცნიერს. დარწმუნებული იყავი: კრიმ-გირეის სრული ინფორმაცია ექნება იმის შესახებ, როგორი პოპულარული და ავტორიტეტული კაცი ხარ საქართველოში...

ეზოში ვაშმაგებული ძაღლის ყეფა ატყდა.

— გახედეთ ერთი, ვინ შემოიჭრა ჩვენს სამფლობელოში?

იულიმ სარკმელში გაიხედა.

— ჩვენი მურია გადასანსვლას უბირებს ვილაც ჩაფარს...

— მოიწამლება უბედური — გაეღიმა ვლადიმერს.

— მარტოა, არა მგონია გასაჩხრეკად ან დასაპატიმრებლად მობრძანებულიყო.

იული სწრაფად გავიდა ეზოში და ძაღლი დააოკა.

— თქვენ ბრძანდებით ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკი!

— არა, ვლადიმერ ალექსანდროვიჩი შემოთ ვახლავთ, რა მოვახსენო, რისთვის მობრძანდა-თქო?

— პირადი დავალება მაქვს.

— წამობრძანდით...

ქვედა სართულიდან რამდენიმე შეფოთებული სახე გამოჩნდა. იულიმ ანიშნა, ნუ გეშინიათ, ყველაფერი რიგზეაო და ისინიც წამსვე გაუჩინარდნენ.

— გამარჯობათ, ბატონო, — მდაბლად დაუკრა თავი მოსულმა.

— გამარჯობათ. რით შემიძლია გემსახუროთ?

— თქვენო კეთილშობილებავ, დავალებული მაქვს პაკეტი გადმოგცეთ. ეს საიდუმლო მრჩეველის კრიმ-გირეის წერილი იყო. იგი ბოდის იხდიდა რომ საშუალება არა აქვს პირადად ეახლოს სტაროსელსკის, რათა თავისი პატივისცემა დაუდასტუროს. ამიტომ

უმორჩილესად სთხოვდა, ჭვალ-თავად მისთან მაზრის სამმართველოში მთბრძანებულებო.

ვლადიმერმა მას გადახედა, მან კვერი დაუკრა იმის ნიშნად, რომ დათანხმდით.

— კეთილი...

— ნებას მომცემთ წავიდე?

— თავისუფალი ბრძანდებით!

მურიამ ღრენით გააცილა სტუმარი და ვერაფრით ვერ დაწყენარდა, სანამ იგი ჭიშკარს არ მიეფარა.

— აი, ამას ჰქვია, ძალი ახსენეო...

— ესეც ამოცანა, როგორ მოვიცე?

— ამხანაგებს მოგვეთაბიროთ, იმათ ნამდვილად ეცოდინებათ ამ მიბატყების ამბავი.

თავი 4

მოლაპარაკება სამციონირებულთა შეხვედრა ნიხართან. დიალოგი. გახვის მანიფესტი.

სტაროსელსკები ცნობილი იყვნენ თავიანთი სტუმართმოყვარეობით, ამ გარემოებას კარგად იყენებდნენ კონსპირანციის მიზნით. აი, დღესაც, სახლი სტუმრებით იყო სავსე. სანერგის ზოგიერთი მუშაკის გარდა აქ ნახავდით რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრებსაც. ყოველ ახლად-მოსულს შეკრებილნი, როგორც კარგ ნაცნობს, ხმამაღალი შემახილებით ხვდებოდნენ, ჩანდა, რომ აქ ყველანი შინაურები იყვნენ. ზოგი უშუალოდ მაგიდას მიუჯდა, სხვანი საეარძლებში და სკამებზე განლაგდნენ. იგრძნობოდა, რომ ყველა ვიღაცის მოლოდინში იყო. აი დიასახლისი, პიანინოს მიუჯდა, და თავისთვის კლავიშები ათამაშა. იული, მისი მანლი, ვიოლინოს აწყობას შეუდგა... მეერ ქალბატონმა ნადეჟდამ საკუთარი აკომპანიმენტით წამოიწყა საყვარელი სიმღერა:

ლერკო ზღვაჲ, მღელვარეჲ,
ქართ მტირალი და ბობოქარო,

შენ, შელამის ნაზო ვარსკლავო,
ო, დამბრუნეთ ჩემი სწორფერი...

იული ვიოლინოთი აპყვა ნაცნობ მელიოდის. ამღერდნენ სტუმრებიც. ვლადიმერი თან ბანს აძლევდა თავისი ხავერდოვანი ხმით, თანაც დირიჟორობდა. როცა უკანასკნელი აკორდები მიწყდა, გაისმა ტაში, ვლადიმერი მეუღლესთან მივიდა, მდაბლად დაუკრა თავი და ხელზე ეამბორა.

უცებ ეზოდან მურიას გააფთრებული ყეფა გაისმა. ვილაცამ დატუქსა ძალი და ისიც გაყურდა.

— ეტყობა, უცხო უნდა იყოს, — შენიშნა ვლადიმერმა.

— იქნებ ის არის, — ივარაუდა ვილაცამ.

თუმცა საშიშროების შესახებ დათქმული გამაფრთხილებელი ნიშანი საგუშაგოზე მყოფმა არ მისცა, ვლადიმერმა გადაწყვიტა, სიფრთხილეს თავი არა სტყვიო. ხელი შემართა და ოთახს შტრაუსის ვალსის პანგები მოეფინა...

კარზე კაკუნი გაისმა. ორნი შემოვიდნენ.

— სტუმარი მოგიყვანეთ, მეგობრებო, იმედია იცნობთ? — შესძახა კალონინმა და მიუთითა გრუხათმიან სქელ უღვაშებიან ჯმუხ ვაეკაცზე, რომელსაც შარვალი ჩექმებში ჩაეტანა, ხალათზე კი ფოჩებიანი აბრეშუმის სარტყელი ეკრა. მის იერში დიდი შინაგანი ძალა იგრძნობოდა და ანდამატივით იზიდავდა ადამიანს, შავი ცოცხალი თვალები ეშხიან სახეს გულწრფელობისა და სიკეთის გამომეტყველებას აღლევდა.

— აჲ მშვიდობა, — პირდაპირ გეტყვით, ჩინებული კონსპირაციაა, — თქვა მან და სახეზე ღიმილი აუთამამდა. მუსიკა შეწყდა.

— ააა!.. გამარჯობათ, ძვირფასო სერგო, რა ხანია არ გვინახხართ... — შემოეხვივნენ ამხანაგები.

— ოჰო! — შეხე, მთელი კომიტეტი შეკრებილა, — თქვა მან და ხელის ჩამორთმევა დაიწყო.

როცა ვასილ პეტროვს მიუახლოვდა, ახალგაზრდა კაცს სიამაყისა და მღელვარებისაგან სუნთქვა შეეკრა, თვალები გაუბრწყინდა.

— ეს ვაეკაცი ვილა! — დაინტერესდა სერგო.

— ეს, ასე ვთქვათ, ჩვენი „ტელეგრაფის მავთულია“, — გაიხუმრა ვილაცამ.

— გასაგებია, გასაგებია, — გაელიმა სერგოს და მცირეოდენი პაუზის შემდეგ ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად მიმართა ვლადიმერს:

— მაშ ასე, ახლა სიტყვა თქვენ გეკუთვნით!

— რა გაქვთ მხედველობაში, პატივცემულო სერგო?

— კრიმ-გირეისთან თქვენი მომავალი შეხვედრა, — აქ სერიოზულ, საქმიან ტონზე გადავიდა და განაგრძო:

— ამხანაგებო, შემიძლია ვაცნობოთ, რომ შეხვედრა კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ სანქციონირებულია და მე მთხოვეს გადმომეცა თქვენთვის, ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, რომ ყველა ღონე უნდა იხმართ იმისათვის,

რომ მეფისნაცვლის ემისარს შეაგნებნოთ, ძალმომრეობით არაფერი გამოუვა. უნდა დაარწმუნოთ, რომ საქირთა დაუყოვნებლივ გაუქმდეს სამხედრო წესები, რადგან ამან გუბერნიაში საპირისპირო რეაქცია გამოიწვია, კიდევ უფრო გაამწვავა და გაართულა ვითარება, გაალიზიანა ხალხი. სამხედრო წესების გაუქმება ჩვენთვის არქიმნიშვნელოვანი საქმეა, — გაუმეორა სტუმარმა.

— რალა თქმა უნდა! ძალ-ლონეს როგორ დავუზოგავ იმისათვის, რომ სისხლისღვრა ავაციდინო ჩემს საყვარელ მხარეს...

— ურჩიეთ კრიმ-გირეის შეხვედეს ხალხს, იქ კი ჩვენები ეტყვიან ყველაფერს, რაც საჭიროა.

— ემისარმა სიმართლე უნდა იცოდეს, — შენიშნა ვილაცამ.

— ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, ისიც უთხარით, რომ ხალხი მზად არის გაბედული მოქმედებისათვის და არავითარ დათმობაზე და კომპრომისზე არ წავა — სიტყვა შეაშველა მეორემ.

— როგორ მოვიქცე, თუ კრიმ-გირეიმ მთხოვა ხალხთან შეხვედრისას ჩემთან იყავით, რა ვუპასუხო?

— მერე რა, გაპყევი, — გაისმა ხმები.

— არავითარ შემთხვევაში, — თქვა სერგომ — მაშინ ისე გამოვა, თითქოს ვლადიმერ ალექსანდროვიჩი ხელისუფალთა მხარეზეა, ასე ვთქვათ „მათი კაცია“. ეს კი, ჭერჭერობით ჩვენ ხელს არ გვაძლევს. პირიქით, თქვენი შეხვედრის ამბავი, რაც შეიძლება ნაკლებმა ხალხმა უნდა იცოდეს... აქ სერგო ოდნავ შეყოვნდა, შეიშმუნა და განაგრძო:

— გთხოვთ, ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, სწორად გამოგოთ, ნუ მიწყენთ! თქვენ ჩვენი ზოგიერთი ამხანაგი ისედაც უნდობლობას გიცხადებს, ყველაფერი არ იცის, და ჰგონია, რომ თქვენ ჩვენი ბრძოლისა არაფერი გავგებდათ, მათთვის ხომ თქვენ „ბატონთა წრიდან“ გამოსული ბრძანდებით. ყველა-

ფერი ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა. მაგრამ, სამწუხაროდ, კონსპირაციის მოსაზრებით ამის უარყოფა ახლა არ შეგვიძლია. ეჭვი ოდნავადაც ნუ შეგეპარებათ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენი ჩვენ გვჭერა, უერთგულეს მეგობრად მიგვაჩინიხართ.

— სწორია! მართალია! — გაისმა ხმები.

ვლადიმერს ბოლო ნათქვამი გულზე სითბოდ მოედო, შეცბუნდა... იულიმ ძმას მხარზე ხელი მოუთათუნა და გადაეხვია.

შეკრებილნი გვიან ღამემდე ბუბდნენ სტაროსელსკის კრიმ-გირეისთან მომავალი შეხვედრის დეტალებზე, ერთმანეთს უზიარებდნენ წინადადებებსა და მოსაზრებებს. ბოლოს ჩუმად იმღერეს მარსელიეზა იმპროვიზირებული ორკესტრის თანხლებით და თითო-თითოდ დაიშალნენ.

• • •

მეორე დღეს ვლადიმერ სტაროსელსკი ორთვალა ეტლში ჩაჯდა და ფიქრებით დამძიმებულმა კრიმ-გირეისკენ გასწვია...

შორაპნის სამაზრო სამმართველოს შენობის წინ პატარა მოედანი სხვადასხვა ჭურის ხალხით იყო გაჭედილი. ჩაემწყრივებინათ ურბები, ეტლები, ხეზე მიბმული ცხენები. შენობის მისადგომებსა და შესასვლელს ჩაფრების გაძლიერებული ბადრაგი იცავდა.

ის-ის იყო ვლადიმერ სტაროსელსკი გამოჩნდა, მას სამაზრო მოხელე მიეგება, ღიღი პატივით მიესალმა და შენობაში შეუძღვა.

სტუმრის მოსვლის ამბავი შეიტყო თუ არა, კრიმ-გირეი სწრაფად წამოდგა, მუნდირი გაისწორა და კაბინეტის ზღურბლთან მიეგება, გადაეხვია და სამგზის გადააკოცნა.

— რამდენი ხანია არ მინახავხართ ვლადიმერ ალექსანდროვიჩ! როგორა ხარ, მეგობარო, ხომ ჯანმრთელად?! ღმერთმანი, პეტერბურგში ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ თითქმის არ შეცვლილხარ.

— გმადლობთ, თქვენო მაღალაღმატებულებავ, ეტყობა კარგად შევნახულვარ, — გაიხუმრა სტუმარმა.

— შეეშვი, თუ ძმა ხარ, მაგ, „მაღალაღმატებულებას“, მოდი, შენობით, ვილაპარაკოთ. რაც უნდა იყოს, ჩვენ ხომ ძველი მეგობრები ვართ. აქ შენზე ლეგენდები დადის, ფილოქსერას ამარცხებსო.

— ვცდილობ... — მოკრძალებულად შენიშნა სტაროსელსკიმ და თვალი თვალში გაუყარა თანამოსაუბრეს.

კრიმ-გირეის არ გამოპარვია ეს მხერა და დალილ-დაქანცული კაცის ტონით დაიწყო:

— მძიმე დრო დაუდგა ჩვენს სამშობლოს...

— დიად, მართალია, დადგა ესეი დიდი ცვლილებებისა — ჩაურთო სტაროსელსკიმ, თითქოსდა ვერ მიუხვდა ნათქვამის ნამდვილ აზრს.

— მართალი ხარ, დადგა ესეი ვარკვეული ცვლილებებისა — უპასუხა კრიმ-გირეიმ და ყურადღებით შეათვალიერა თანამოსაუბრე.

— არა, დიდი ცვლილებებისა. — ექოსავით გამოეხმაურა სტაროსელსკი.

— დიდი თუ პატარა, არ ვიცი, მაგრამ ზოგი რამ რომ უნდა შეიცვალოს, ეს ცხადია.

— ზოგი რამ კი არა, ძირფესვიანი გარდაქმნებია საჭირო. — ჯიქურ გაიმეორა სტუმარმა.

— ე, ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, ეგ კი მეტის მეტი მოგივიდა.

კრიმ-გირეიმ ანიშნა სტუმარს, დაბრძანდით. ისიც ჩამოჯდა და ცნობის-მოყვარეობით შეხედა მასპინძელს, თითქოს ეუბნებოდა: — „გისმენო“.

— არ დაგიმალოვ, — დაიწყო კრიმ-გირეიმ, — ჩემი მისია ფრიად ძნელი და რთულია. მეფისნაცვალმა, მისმა ბრწყინვალეობამ გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა დამავალა ადგილზე ვაგერკვე შექმნილ ვითარებაში.

— ეს, თქმა არ უნდა, იოლი ამოცანა არ არის, — კვერი დაუკრა სტუმარმა.

— სწორედ ამიტომ მჭირდება შენი მეგობრული რჩევა. იმედი მაქვს, უარს არ მეტყვი. სხვა არა იყოს რა, შენი ლეიძლი ბიძა დიმიტრი სემიონოვიჩი, თავის დროზე მეფისნაცვლის თანამემწე, ასე ვთქვათ, ჩემი კოლეგა იყო...

— და იგი, რამდენადაც შეეძლო, ეხმარებოდა და ხელს უწყობდა ქართველ ინტელიგენციას ხალხის განათლებაში, — გააწყვეტინა თანამოსაუბრეს სტაროსელსკიმ და განაგრძო: — ხელს უწყობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობას. მზრუნველ იანკოვსკის აკრძალვის მიუხედავად, გაახსენებინა წინამძღვრიანთკარში სამეურნეო სკოლა, მხარი დაუჭირა მისი ორგანიზატორების წინადადებას, რომ სკოლაში ქართულ ენაზე ესწავლებინათ. ყოველივე ამის გამო მას დიდ პატივს სცემდნენ და უყვარდათ...

— ბარაქალა მას, და, თუ სწორად გავიგე, ყოველივე ამას ჩემთვის ჰქუის სასწავლებლად ამბობ, — შენიშნა კრიმ-გირეიმ. — იმ ქართული ანდაზისა არ იყოს, ლიტრავ შენ გეუბნები და კოკავ შენ გაიგეო.

სტაროსელსკიმ დასძინა:

— შესანიშნავი ადამიანი იყო, ღმერთმა აცხოვროს მისი სული. არაერთგზის წავეყვანივართ სტუმრად თავის ქვის-ლთან ილია ჭავჭავაძესთან საგურამოში. სიტყვამ მოიტანა და ალბათ იცნობ ბატონ ჭავჭავაძეს?!
— როგორ არა, დიდი მწერალი და პოეტია, თუმცა მის აზრებში მემამბოხის სული იგრძნობა...

აქ სტაროსელსკიმ პროტესტის ნიშნად ხელები გაასავსავა და უცებ ოფიციალურ ტონზე გადავიდა:

— მოწყალეო ხელმწიფეო, თავს უფლებას მივცემ შევნიშნო, რომ ჩვენს სახელმწიფოში ყველა ის, ვინც ხელს არ უწყობს ან მითუმეტეს არ იზიარებს ხალხის დათრგუნვისა და დამონების პოლიტიკას, მემამბოხედ ინათლება. მე ილია ჭავჭავაძე მიყვარს და დიდ პატივს ვცემ...

— მომიტევე, ღვთის გულისთვის, მე სრულიადაც არ ვაპირებდი თქვენთანეთსაური გრძნობების შელაგვას.

— საქმე ეგ არ არის. ილია ჭავჭავაძე სწორედ ის მოღვაწეა, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს, იგი ჭეშმარიტად ერის სინდისია, მისი მამაა. სხვათაშორის, ცნობისათვის მოგახსენებთ, რომ მან შესანიშნავად იცის ქართველთა და რუსთა ნამდვილი მეგობრობისა და ერთობის ფასი.

— კმარა, თუ ღმერთი გწამს, ჩვენ ხომ იმისათვის არ შევხვდით ერთმანეთს, რომ ვიპაექროთ და, მით უმეტეს, ვიკინკლაოთ, — შემრიგებლურად შენიშნა კრიმ-გირეიმ და საუბრის თემა შეცვალა.

— როგორც ვიცი, შენ აქ შინაური კაცი ხარ, ყველას იცნობ და ყველა გიცნობს, როგორც ამბობენ, ამათ ენასაც კარგად დაუფლებულხარ. ეს ფრიად საქებაარია.

— საქებაარი კი არა, პრაქტიკულად სრულიად აუცილებელია. თანაც ეს პატივისცემაა ხალხისა, რომელთანაც ცხოვრობ, ვის ლუკმაბურსაც, ჭირსა და ლხინს იზიარებ... და თუ კი თქვენ...

— „შენ“ — ლიმილით გაუსწორა თანამოსაუბრემ.

— და თუკი შენ გსურს ვითარებაში გაერკვე, შეეცადე ოდნავ მაინც გაუგო ამ შესანიშნავ ხალხს, ჩასწვდე მის სულს, გულთან მიიტანო მისი სატიკვარი, გაიგო რა უჭირს, და სხვებსაც დაეხმარე ამის გაგებაში... აუხსენი მათ, რომ ხალხს, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე ბრძოლის ქარ-ცეცხლში და ბედუქუდმართობაში გამოატარა თავისი დამოუკიდებლობა და თვითმყოფადი კულტურა, ვერავინ დაიმონებს...

— არც არავინ აპირებს მისი თავისუფლებისა და უფლებების ხელყოფას, — ჩაურთო კრიმ-გირეიმ. — ჩვენ უბრალოდ გვინდა, რომ აქ წესრიგი და სიმშვიდე დამყარდეს.

— მომიტევე, ნიკოლაი ალექსანდროვიჩი, თუ იმას, რაც აქ ღღემდე ხდება,

თავისუფლებასა და უფლებებს უწოდებდნენ, მაშინ მონობა და უუფლებობა რაღაა?

— ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, აშკარად აზვიადებ... —

— სრულიადაც არა. სრული საფუძველი მაქვს ვამტკიცო ეს. მე მშვენივრად ვიცი იმ სოციალურ ცხოვრებას, რომელიც სადღეისოდ დამკვიდრდა საქართველოში, რომ არაფერი ვთქვა მის ისტორიაზე. მე შევადგინე პოლიტიკური ცხოვრების ზოგადი მიმოხილვა, გავარკვეე მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთება ერთმორწმუნე რუსეთთან.

— მაშ ახლა რატომ იჩინა თავი სეპარატიზმმა, რატომ სურს გამოეყოს რუსეთს?

— მტკნარი სისულელე, წმინდა წყლის პროვოკაციული მონაჭორია. თავს უფლებას მიეცემ და დავიმოწმებ შესანიშნავ ქართველ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს ჩვენი უშინსკის ერთგულ მიმდევარს იაკობ გოგებაშვილს. მან ერთხელ როგორღაც აღნიშნა: ყველა, ვინც კარგად იცნობს ქართველი და სომეხი ხალხების სულსევეთებას და განწყობილებას, დამეთანხმება, რომ მათი მხრივ სეპარატიზმი ნებისმიერი ფორმით და ნებისმიერ ვითარებაში ისევე წარმოუდგენელი და შეუძლებელია, როგორც თვით მოსკოვის გუბერნიაშიც. ცნობილია, რომ მრავალნი ქართველნი თავდადებით და ვაჟაკურად სწირავენ სიცოცხლეს ჩვენი სამშობლოს ბედნიერებისა და ღირსებისათვის. — აქ სტაროსელსკიმ მკაცრად გადახედა თანამოსაუბრეს და განაგრძო:

— მაინც, რა გნებავთ ამ მშვენიერი, ერთმორწმუნე, მცირერიცხოვანი ხალხისაგან?

— რა უნდა გვნებავდეს? — უპასუხა კრიმ-გირიმი. — მხოლოდ ერთი რამ — ხელი აიღოს მეამბოხეობასა და ურჩობაზე.

— კეთილი, მაგრამ, თქვენ ხომ შეგიძლიათ იგივე მოთხოვნები წაუყენოთ

ჩვენს რუს თანამემამულეებსაც? გუბერნიაში მოძრაობა თავდაპირველად ადგილობრივი ეკონომიკური პირობებისა და წოდებრივი ურთიერთობის ნიდადაზე იშვა, მაგრამ სულ მალე აქ უარი თქვეს, ხელი აიღეს განმარტოვებულ ბრძოლაზე და წინა პლანზე წამოსწიეს საერთო-რუსული, უფრო სწორედ საერთო-საკაცობრიო იდეალები-სათვის ბრძოლა და იგი განუყოფლად შეერწყა სრულიად რუსეთის მოძრაობას.

— ჩვენ, როგორც მოგეხსენება, ყოველი საშუალებებით დაუნდობლად ვებრძვით ამ მოძრაობასაც.

— ამრიგად, გამოდის, რომ რუსებს და ქართველებს ერთი მტერი, ერთი მოწინააღმდეგე ჰყოლიათ. მოისმინე, რას ამბობს შენგან „მეამბოხედ“ მონათლული ილია ქავჭავაძე:

„...სწორედ სამშობლოს სიყვარულია ის ნაყოფიერი ნიადაგი, რომელშიც ფესვს იღვამს, რომელზეც ხარობს და ღონიერდება ჩვენი ერთგულება რუსეთისადმი. სწორედ ეს სიყვარულია ის მტკიცე ჭაჭვი, რომელიც ჩვენს ზრახვებსა და ოცნებებს საუკეთესო რუსთა ზრახვებსა და ოცნებებს უკავშირებს.“

— გესმის, რას ამბობს „საუკეთესო რუსთაო“, და არა სატრაპებსა და უხეშ დამთრგუნველებს.

— კი, მაგრამ, დაუკვირდი, რამდენს უსიამოვნებას აყენებს ეს პატარა ხალხი ხელმწიფე-იმპერატორს! — წამოიძახა კრიმ-გირიმი.

— ცდები, პატარა ხალხები არ არსებობს. ყოველი ხალხი თავისებურად დიდია, არსებობს მცირერიცხოვანი ხალხები.

— გეთანხმები, ეს ხალხი პატივისცემის ღირსია, მაგრამ ახლა ვილაყა აღიზიანებს, ვილაყა ბოროტი განზრახვით განგებ აქეზებს ღვთისა და მეფის წინააღმდეგ, დამახინჯებულ ინფორმაციას აწვდის ჩვენი პოლიტიკის შესახებ. ექვი არ არის, აქ ბოროტგანმზრახველი პოლიტიკური აგიტატორების ფართო ქსელი მოქმედებს, — ისე,

თითქოს სხვათა შორის შენიშნა კრიმ-გირეიმ.

— მე არაფერი ვიცი მაგ ქსელის შესახებ, მაგრამ თავისუფლებისმოყვარული იდეების გასავრცელებლად აქ რომ მართლაც ნაყოფიერი ნიადაგია, ეს ცხადია. ეს ნიადაგი კი დიდის მეცადინეობითა და გულმოდგინებით შექმნეს აღმინისტრაციისა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა. განსაკუთრებით ისეთებმა... — აქ სტაროსელსკიმ ხმას დაუწია, — როგორც არის ქუთაისის გუბერნატორი სმაგინი. მე გირჩევთ: ნუ აპყვებით მის წაქეზებას, ნუ გაამარტივებთ და გააუბრალოებთ მოძრაობის ჩახშობის ხერხებს და, რაც მთავარია, ნუ გეჭენებათ იმის იმედი, რომ ქარებს ძალუძთ სისხლში ჩაახშონ ეს მოძრაობა.

— ჯარი არ ჩაერევა, როგორც მისი ბრწყინვალეობა დაგპირდა, — ჩაუტოო კრიმ-გირეიმ, — თუ, ხალხი მორჩილად და მშვიდად იქნება.

— ასე იქნება თუ ისე, — უპასუხა სტაროსელსკიმ, — მე ღრმად მწამს, რომ ტყვია და ხიშტი აქ უძლურია. მოძრაობა შეიძლება შევსაყვნოთ, შევაჩეროთ, მაგრამ მისი სრული ჩახშობა შეუძლებელია. იგი მანამდე გაგრძელდება, სანამ ხალხის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ, თანაც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს რუსეთში. თუმცა, რა მალაპარაკებს, შეხვდები ხალხს და თვითონ შენი ყურებით გაიგონებ ყველაფერს.

— პირდაპირ გეტყვი, ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, როგორც მრჩეველი, ოპტიმისტობით მიინცა და მიინც არ გამოირჩევი. შენმა გულახდილობამ, უნდა გითხრა, ფრიალ დამაღონა...

— გულახდილობას მსაყვედურობ?

— რას ამბობ, რას ამბობ, ძვირფასო, პირიქით, ფრიალ მაღლიერი ვარ ამისთვის, მე გულწრფელად მიხარია,

რომ ასე საფუძვლიანად ერკვევი საქმეში და ასეთ კომპეტენტურებას იტყენ ვნახოთ, შევხვდები ხალხს, მოველაპარაკებო... იმედი მაქვს, არ მესვრიან.

— რატომ უნდა ესროლონ ადამიანს, რომელიც იმისათვის ჩამოვიდა, რომ გაეცნოს შექმნილ ვითარებას, კაცის სიღუბურეს, ხალხის მოთხოვნები მოისმინოს და იმათ გადასცეს, ვისაც სათანადო დასკვნების გამოტანა ევალება. აქ ხალხში ამბობენ: „პატიოსნება სინდისის დარაჯია“. შენს წესიერებასა და პატიოსნებაზე, რაშიც ეჭვი არ მეპარება, ბევრი რამ არის დამოკიდებული. ეცადე იხსნა ეს შესანიშნავი ხალხი უაზრო სისხლისღვრისაგან. გულწრფელად გთხოვ ამას...

— შენ ალბათ გაცებული გექნება, რომ გენერალ ალიხანოვ-ავარსკის ჯარების წინსვლა დროებით რიონთან შეჩერებულია?

— დიახ, სწორედ რომ, დროებით. საჭიროა საერთოდ იქნან უკან გაწვეულნი, — მგზნებარედ წამოთქვა სტაროსელსკიმ.

— მაპატიე, მაგრამ ეგ უკვე ჩემზე არ არის დამოკიდებული...

ამის თქმა და კრიმ-გირეი უეცრად აჩქარდა.

— დიდი მაღლობა, იმედია კიდეც შევხვდებით. ჰო, მართლა, კინალამ დამავიწყდა, თავად გრაფმა დამავალა სალამი გადმომეცა შენთვის.

— მაღლობა მომიხსენებია.

— იმედი მაქვს, კიდეც შევხვდებით, — რალაც მრავალმნიშვნელოვნად გაიმეორა მან და წამოდგა, რითაც სტაროსელსკის აგრძნობინა, რომ აუდიენცია დამთავრდა.

სტუმარი თავაზიანად დაემშვიდობა და კაბინეტიდან გამოვიდა. კართან იგივე მოხელე დახვდა, რომელმაც წელან მოაცილა. იგი სტაროსელსკის ეტლამდე მიჰყვა, სამხედრო სალამი მისცა, მდაბლად დაუკრა თავი და გაეცალა.



ტარიელ ჭანტურია

კრებულიდან: „მწიგნოს ნითელი ნიგნი“

• • •

შენს წასაყვანად, კარგო, ისევ მოვიდა „არგო!“ (ამდენი კარგი გოგო სანამდე უნდა ვკარგოთ!).

გამგზავრების წინ უნდა პერანგი მომიჭარგო! — სანამ ცრემლების ზღვაში შეცურდებოდეს „არგო!“

ჯემპრიც მოქსოვო უნდა, შენი მიჯნურის სარგო! უნდა აჩქარდე ცოტა, თორემ წავიდა „არგო!“

წასვლის წინ ცრემლი ღვარო — თავი ბალიშში ჩარგო! უცხო მხარეში წავა ოცნების გემი „არგო!“

იქ, სხვის მიწაზე მყოფმა, უნდა შენს კოლხეთს არგო! აი, უსვამენ ნიჩბებს! აი, დაიძრა „არგო!“

იქაც — ჰეკატეს ბალში — ხე სასწაული დარგო... ლურჯი ევქსინის პონტოს დინჯად მიაარღვევს „არგო!“

ცრემლის ამარა დგახარ — უმზითვო და უბარგო... მე შენს მშვენიერ სულზე სულ მლოცველი ვარ, კარგო!

მსხვერპლი შესწირე ღმერთებს, სულს რომ რაიმე არგო... სული კი აწრთე — კოლხეთს ვინძლო, რაიმე არგო...

• • •

ბინად მერგო აივანი მცხეთის!
მე შენ გეტყვი, არ უვარგა ხედი!
ვინ აზ მოჩანს ამ კამკამა ციდან:
შუმერი და აქადი და ხეთი...

ახლოს — ჯვარი და ზედაზნის ქედი!
შორით — ვანი! შორით — ჯავახეთი...
ვაზს — ცრემლი სდის, ცას კი —
ოქროს ზეთი!

(ეზუმრები? — ექვსი მესადი! —
მცხეთის მიწა! — ექვსი მესადი!).

შუადღეა!
მზე უღმობლად აჭერს
ლომის ტორსზე მიფარებულ ნაჭერს!
ჯერ კაკლები არ დაზრდილან ჩემი!
ვბეჭდავ ამ ლექსს —
თაკარაში ნაწერს!

მანსური იდილია



სწუხს ქალბატონი—რვა შვილის დედა—
არ გამოდგება ყაყაჩო მხალად...

მშობლის კალთაში ბარტყები სხედან—
ლამაზი ქალი ძლივს იკრავს ხალათს...

თქალს გააპარებს მკერდისკენ ქმარი —
ღიმვორეული — ჩაუთქვამს მეცხრეს!...

უკვდავებისკენ მიქშუის მტკვარი
და ემატება შვილები მესხეთს!

სტუმარი მაზლი ზინკალს აფიცხებს!
ვილაც ტურისტი ეძებს ქვაბისხეგს!
და რვა ბოკვერის თექვსმეტი ხელი
ერთად მიიწევეს ჩითის კაბისკენ!

• • •

მიყვარს ცქერა მტკვრის — საქართველოს ხელრთვის!
სიამაყეს მგვრის, როცა ვლუმზერ ხერთვის!
შხამი ამ ფუტკრის — წამალია ჩემთვის
მიყვარს ცქერა მტკვრის! თმოგვის გამოხედვის!

მიყვარს ცქერა მტკვრის —
საქართველოს ხელრთვის!
აქვს ამ მესხელ ტიპს
აღნაგობა ხეთის!

სიცხეში გავლილი ასი ნაბიჯი

ხოკეი და სკეიდბორდი —
მიმსხვრეული ბორტზე ბორტი!
აქეთ — პორტი. იქით — პორტი.
ცა — ოფორტი. ზღვა — ოფორტი.

პლანკი. ბრამსი.
ბორნი. კორე.
ბორი. ბიზე.
ფერმი. ლისტი.
(დასტურ იტყვი, არ ნაჰორად —
ვარ ერთგვარად ფორმალისტი!).

ცა — ღრუბლებზე გაყიდული! —
ჩემი ოდა გაყიდული!
ცისარტყელა — უფალსა და
სოფელს შუა გახიდული!

მეც შემეძლო, ლიანდაგზე
გამეარა კილომეტრი...

(ლიანდაგი — ჩემი ტაქსი,
და შპალები — სპიდომეტრი...).

შენ შემყარე, ცაო, სნება —
მე შენს გამო ავადა ვარ...
ისლა დამრჩა საოცნებო —
ეს აღმართი ავათავო...

მძივებივით დაბნეული,
პოეტივით დაპნეული —
გვირგვინები მენატრება —
მწევანილეულ-დაფნეული...

ცა — ოფორტი.
ზღვა — ოფორტი.
პორტში ბიჭი სკეიდბორდით...
ღრუბლებო და
ტალღებო და
თელებო და ბლებო, სწორდით!

ფუტკარი აბარაკჯა



ველი, სკეებით მოჩითული:
 სკა; სკა; სკა; სკა; სკა; სკა; სკა; სკა...
 უკვირს ქართველს:
 — სასწაული!
 რუსის ქალი ამბობს:
 — სკაზჯა!

პატრონს მგონი ეშინია —
 დაუხურავს თავზე კასკა
 და სკებს ისე უქოთქოთებს.
 ბზინავს ველი—სკა; სკა; სკა; სკა...

სულ წამალი. სულ სათბური.
 სულ კომპრესი. სულ პიპეტი.
 კაცს არ ყოფნის მარტო პური! —
 კაცს სულ ცოტა — უნდა ბედიც!
 ვინც კი იცი ნალდი ბიჭი —
 გ. ტაბიძე, ბლოკი, ფეტი... —
 ჰქუხდნენ არა მხოლოდ ნიჭით! —
 ცოტა ალბათ — ჰქონდათ ბედიც...

ვინც დაგვეცქერის მთაწმინდიდან —
 უკვდავების პარაპეტით —
 თუმც სუყველა იყო დიდი —
 ცოტა ყველას ჰქონდა ბედი!
 რო ასცქერი ზეცის თავანს,
 ფებს ნუ ითრევე, მიდი, შედი! —
 სამოთხეში გაგჩითავენ,
 თუ, ცხადია, გექნა ბედი!

ვიოლინო — ჩელოს
 ნიჭიერი შვილის შვილი,
 მაესტროსთან დადის
 დილით. თანაც — ყოველ დილით.
 მასთან ერთად დადის
 ვიოლინოს თანატოლი
 კლარნეტი და ერთიც —
 მოცუცქნული, თეთრი დოლი!
 სულ უკრავდა მოცარტს! —
 ვერ იტანდა ბრამსს და ბარტოკს!
 თან მაესტროს გვერდით
 ყოფნა სურდა მარტოდმარტოს!
 როგორც ვალაკტიონის
 ნანგრევებში — ლედვი,

ან ლომებში გაზრდილი
 ფინიების ლეკვი —
 იყო ისე პატარა,
 მომზიბლავი თანაც! —
 როგორც თვალშეჩვეული —
 ბაბუს ჭაყვა დანა!
 ვიოლინო — ჩელოს
 ნიჭიერი შვილის შვილი,
 სულ დგებოდა ადრე —
 არ გამძლარა ერთხელ ძილით!
 და, საუზმის მერე,
 მარტო დაჩეხოდა როცა,
 განა ბრამსს და ბარტოკს —
 სულ უკრავდა მხოლოდ მოცარტს...



სევდა: აბრეშუმი

ვიცი იცი, რაა ყაჭი, რაა ბეოლი, რაა ცახი... დედა,
გალიმებულ სახით, წავიდაო, გაიძახის...

სად წავიდა — აყვა ძეწნას, მწვანე გზები მოიგზოვა,
პარკი შექმნა, პარკში შეძვრა, მარტოობა მოიქსოვა...

ვიცი იცი, რაა დარდი! მხიარულიც ბევრი დადის! წავიდაო,
წავიდაო! — გალიმება მახსოვს დედის...

საათობით უყუყურებდი, მარტოობას როგორ ქსოვდა... დალილს
სევდით უკურნებლით ვახშმის ქამა არც მახსოვდა!

სად წავიდა ნეტა თვითონ! რა ქვეყანა მოიქსოვა! გაუჩნდება
ვითომ ფრთები? ვითომ მოვა? როდის მოვა...

**ტაქსტი სიგლარისთვის! — ინვანტილური, როგორც
თითქმის ყველა სასიგლარო ტაქსტი**

მიუყვება აღმართს ქალი
დინჯად, სვენებ-სვენებით!
ბერიკაციც მისდევს უკან
სვენებ-სვენებ-სვენებით!
ხეიბარიც მიდის სვენებ-
სვენებ-სვენებ-სვენებით!
ქალს საცოდავს ღამისაა
სულ დაუსკდეს ვენები!

აღმართისკენ მოთმინებით
მისდევს ალაღს ალაღი!

ბავშვს აცვია აბრეშუმის
კოფთა ახალ-ახალი!
გლებს ახურავს ყაბალაბი —
ახალ-ახალ-ახალი!
მღერის ბიჭი! — მაღალ-მაღალ-
მაღალ-მაღალ-მაღალი!

იმ საღამოს იმ აღმართში
მეც იმათთან ვიყავი:
ვიპურმარილ-ვიჩაიეთ,
ვიპურმარილ-ვიყავეთ!

გაგანს დაცდენილი სიტყვა

ახლაც მახსოვს ფრაზა, მას რომ
ათას ცხრაას სამოცდა-
ცხრა წელს მცხეთის სახინკლეში
ლუღის სმის დროს წამოცდა:

— არასოდეს! ოღონდ ერთხელ,
რა ვქნა, ხელი წამიციდა!
ჰო, წავილე! — კი არ გვითხრა,
მე მგონია, წამოცდა!
— არა! არ დავუნახივარ!

შემრჩა! მაგრამ წამიც და...
ქურდობა არც მიფიქრია,
ისე, ხელი წამიციდა!

ყველასა გვაქვს გამოცდილი
ხინკლის უსიამო ცდა!
ხომ უნდა თქვა კაცმა რამე!
მასაც ისე — წამოცდა!

შერიული ჟანრი



როგორც პროზაში ჩართულ ლექსებს—
ყურძენსაც ვხედავ თათრულ ლელვზე.

ლელვიდან ჩამოვარდნილ ფოთლით
იფარავს მუცელს „პეპსის“ ბოთლი.

მამალი დედას ეპარება
(სამჯერ მოასწრო შეყვარება).

ყურძნით მაძლარი—ვზივარ ლელვზე!—
ვფიქრობ პროზად და
ვმღერი ლექსებს!

• • •

ყოველ მწუხარ კაცის მწე ხარ! გამორჩევით მიტომ მწამხარ!
ამ მიწისთვის — ღმერთი ხარ და იმ ღმერთისთვის — შენც მიწა ხარ!

როდის როგორ! ხან — ღმერთი ხარ, ხანაც კაცი — მისი თიხა!
ღმერთი ხარ თუ თიხა ხარ თუ რაც ხარ—ჩვენი იმედი ხარ!

მიწის ღმერთო! ღმერთის მიწავ! თუ დამიცავ, შენ დამიცავ!
შემოველე საქართველოს!
შემოგველოს დედამიწა!

სიყვარულის ახსნა

მერცია, მერცია, მერცია, მერც...
მთელ ჭუჩას უყვარხარ! მიყვარხარ მეც!

მეწვიე, რა მოხდა! მეწვიე, მეწ...
მთელ ჭუჩას მოსწონხარ! მომწონხარ
მეც!

მინდოდა მეცინა, მეცინა, მეც...
ლიმილის მაგიერ ცრემლებს ვღვრი მეც!

მეწყინა, მეწყინა, მეწყინა, მეწ...
სხვებივით უბრალოდ გამწირე მეც!

აღარ მეძინება! სულ აღარ მეძ...
მჭირს უძილობა და ფიქრი მჭამს მეც!

ცახცახი მეწყება, მეწყება, მეწ...
რამდენი მომკვდარა, მოკვედები მეც...

სამოთხე ხომ იცი? — სამოთხის მერს
მოსწონხარ, მერცია, მერცია, მერც...

მერწმუნე, მერწმუნე, მერწმუნე, მერწ...
მე უფრო მომწონხარ, მერცია, მერც...

გიყიდი მერსედესს, მერსედესს, მერს...
ოღონდაც შეეშვი სამოთხის მერს!

სასახლეს აგიგებ, მაგ თმების ფერს!
მე შენთვის ოქროსაც ვიშოვი ბევრს!

მერცია, მერცია, მერცია, მერც... —
მომწონხარ! მიყვარხარ!
მადლობა ღმერთს!

• • •

საქართველოში დავეხეტები. მის მკერდში ვწეები და
ვეხუტები. ვიცი, ერთი დღე გამითენდება — მის ველს
წვავილად დავეხატები!

შვილი მგონია თავი ხეთებნის! — თითქო მათ გზებზეც
დავეხეტები! ვეალერსები და ვეფერები! ვეალერსები და
ვეხუტები!

გატენილი მაქვს თავი ხატებით — მეც უფლის სახედ
დავეხატები... ხოლო მანამდე, ხოლო მანამდე — დავდივარ
ასე. დავეხეტები!

სულ ვიმუქრები და ვიქადები! ბალღევით მომწონს თავი
ქედებით! შეეძვრები ერთხელ ჩემს დარიალში — შიგნიდან
მაგრად დავიკეტები!

— — —



ბახვას გულგა რეჩხი უყო

(ციკლიდან „ქართული ხასიათები“)

მოთხრობა

1.

რეჩხი-მეჩხი ბახვამ საერთოდ არ იცოდა, თუ მშვიდად იყო, მშვიდად იყო, თუ გაბრაზდებოდა და, მტრისას — ორ ბაზარ ხალხს ისე ვალახავდა, როგორც არაფერი, ოღონდ ქალების გამოკლებით — ქალებს პატივსაც სცემდა.

აღზნებადი იყო. ვიწრო-აღამიანური გაგებით, სამართლიანად — უსამართლობას ვერ იტანდა კი არა, თავფეხიანა აყრივლებდა. თავად ბახვა ვინმეს რომ გაებრაზებინა, კიდევ ჰო, მაგრად სხვათა საქმეებში სჩვეოდა ცხვირის ჩაყოფა. უფრო სწორად, მუშტის ჩარევა — ასე მაგალითად, ერთხელ ბახვა ტროლეიბუსის მოლოდინში თავისთვის იღგა და იქვე ტაქსის გრძელი რიგი ოხრავდა, ძალიან დიდი სიციხე იყო; მივიდა იმ მისავათებულ რიგთან ვიღაც ჯანმრთელი ახვარი და იკითხა: „ვინაა პირველი?“ „მე“. — უპასუხა რიგის პირველმა. „ჩემ შემდეგ იქნები“, თქვა ახვარმა და ძალიან ამაყად, ზურგით დაუდგა რიგს, ხოლო ამის გამოგონე ბახვა სწრაფად მიეჭრა ახვარს და გაუქანა და ხია შიგ შუა ყბაში. ოთხი თვის მერე (ცოტათი ადრე

გამოუშვეს), ცოლს რომ ეგონა ჰკეუას ისწავლიდაო, ბახვა მონატრებულ ბნელ ქუჩებში სასეირნოდ გავიდა და, რასა ზედავს: წაუქცევია ვიღაც კაცს ვიღაცა ქალი და სულ ფეხებით ურტყამს. ასე არ უნდაო, ბახვამ, და თავისი ქნა, მაგრამ შემდგომ გაიჩკვა, მონინცინდენ-ტენი ცემა-ტყევაში გამოწრთობილი სტაქიანი ცოლ-ქმარი ყოფილიყვნენ და ქალმა სასამართლოზე ქმარს მხარი (ქმარს მხარი ისევე თაბაშირში ჰქონდა) დაუჭირა, ბახვაზე, უსამართლოდ დაგვესხაო, წინა ნასამართლობაც გაუხსენეს და სად ბახვა და სად ბნელი რეციდივისტი (იგი აკი სამართლიანობისა და სუსტთა დაუჩაგვრელობისთვის იბრძოდა), მაგრამ ორი წლის შემდეგ ანკეტურად რეციდივისტად გამოიყურებოდა. წარმოიდგინეთ, იმ ამბის შემდეგ ქალებს მაინც პატივსაც სცემდა — ქალია დედა და ყველაფრის თავი და თავიო, ტყუილად კი არ გვაქვს ქართულში „დედამიწა“, „დედაენა“, „დედაბოძი“; თანაც ნაზია, სუსტი, ქალის დაჩაგვრას ვერ ავიტანო და ცოლი რომ აუჭაპყანდა, რა შენი საქმე იყო, ვერ დაეტყოდი შენთვისო, ვინ გვეკითხებოდაო და ამისთანები — ბახვამ მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა:

— ქალო.

მაგრამ ისე თქვა, მაშინვე დაჩემდა ცოლი.

ახლა, არ გეგონოთ, რომ ძალ-ღონით დიდი ყარამანი და ამირანი იყო. დაწყნარებულზე, ამხსრივ საშუალო მონაცემები ჰქონდა, მაგრამ თუ აღვგზნებოდა, უჭუჭუ, მტრისას და მაწყევრისას — სამი ბაზარი ხალხის ძალა ჩაუდგებოდა ჯანში. ბაზარს რალაცა ხშირად ვახსენებთ, ალბათ იმიტომ, ბახვას თბილისის გარეუბანში დედამამისერთა ცოლის მზითვად მოყოლილადგილზედარჩენილი სათბურები ჰქონდა, კიტრი და პამიდორი მოჰყავდა და სხვას აყიდინებდა ბაზარში — ვაჭრობა რა ჩემი საქმეაო. ანგარებიანი მოხალისე ფულს შუაზე უყოფდა, საერთოდ კი ბახვა ერთ-ერთ ღია აუზში დარაჯ-მეხანძრედ მუშაობდა, თუმცა რატომღაც გეოგრაფიული ჰქონდა დამთავრებული; არ იყო თანამდებობებით უკმაყოფილო და, ხახვივით შემრჩა გეოგრაფიული, ამბობდა.

რა სჯობდა დარაჯობანას — სძინავს ღამით მზიურ დედაქალაქს, ხანდახან თუ ჩაივლის შეგვიანებული ფარდებიანი მანქანა, ძირითადად სიჩუმეა მშვენიერი კარგი, ზოლო ბახვა ლალად ფართქუნობს და მიმოდაცურავს, საითაც უნდა. ბედნიერია ამ დროს, ხალისიანი, სულაც ვერ ხედება, რომ ეს რომელიღაც მუხლით თანამდებობის ბოროტად გამოყენებაა, მაგრამ ერთხელ მაინც დაისაჯა — ტანსაცმლის დიდი ნაწილი მოჰპარეს. ვის რად უნდოდა იმისი შარვალ-ხალათი და ცალი ფეხსაცმელი, ვერაფრით გაერკვა, ალბათ ხუმრობისა ან სანაძღვოს გამო დაზარალდა. კიდევ კარგი რომ, იქვე ცხოვრობდა და ნამეტანი უშუალოდ რომ მიადგა ცოლს, იმან, ახლავე სახელიო! რა სახელიო, ბახვამ, თავიდან ვერც იაზრა, რომ იეჭვიანა ცოლმა. არ გაბრაზებულა, მერე და მერე ესიამოვნა კიდევ — ვეკარებივარო. კვლავაც ხალისით განაგრძნობდა თავის შეთავსებულ საქმიანობას, მაგრამ ბახვა ხან

ძველ და ხან ახალ და ხან საშუალო წყალს აქეთ რომ დარაჯობდა, სათბურიდან, კიტრს და პამიდორს ჰპარავდნენ უარყოფითი ადამიანები და ბახვამ თავის კარგ ამხანაგს, ხნიერ ანდრადეს, თეთრით წითელზე, ასეთი პლაკატ-გაფრთხილება რამ გაამზადებინა: „თუკი მთხოვთ, ჩემი თავი გენაცვალთ, ხოლო თუ მომპარავთ, გეტრებთ ყოფა“. თვითონ კი ძალიან მსხვილად მიაწერა: „ბახვა!“ წარწერის თავზე მსლავეროლტიანი ნათურა დაჰკიდა, აბა, ვილა შებედავდა იქ, რომელი სულელი, ოხერი... გამოსწორდა საქმე, წინ წავიდა, წინ.

ხოლო ანდრადე ინტელიგენტი იყო, პალტო არ ჰქონდა ზამთარში. ცხენზე ჯდომა და ლასის ხმარება სულ არ იცოდა, მაგრამ კოვბოიკით გადადიოდა იოლს. ბახვას უყვარდა მარტოხელა მეზობელი, იმისი უმწეობა ეცოდებოდა. ანდრადე კი თავისთვის, ჩუმად აფასებდა ბახვას; საერთოდ მოდუნებულს, იმისი უანგარობაც დუნედ ხიზლავდა, ხანდახან კი ბახვასთანას შუა ომში გაშმაგებულად ხმალდატრიალებულს რომ წარმოიდგენდა, ალბათ ასეთებმა შეგვიანარჩუნეს ასე თუ ისე სამშობლოო, კვლავაც დუნედ ფიქრობდა. რეციდივისტად სახელდავარდნილი ბახვას შიშით ანდრადეს ვინ გაუბედავდა რამეს, მაგრამ სიმთვრალე რისი სიმთვრალეა? — რატო არ გაქვს კაი სიგარეტი, შენ ჩემ ჭინზე ეწევი მაგ სიმყრალესო, აუხირდა ერთხელ შუალამისას მთვრალი მეზობელი და ანდრადეს სულ გვარში გასათხოვარი აგინა. გვარში გასათხოვარი ანდრადეს თუმცა სულ არ ჰყავდა, ბახვამ მაინც დიდ შეურაცხყოფად მიიჩნია ეს, ორმაგი სამუშაოდან დილაადრიან მობრუნებულმა, ერთი კვიმატი მეზობლისგან ჩურჩულით შეიტყო მომხდარი ამბავი და რადგან მეზობელ-დამნაშავე მოკეთების მიერ საღდაც კასპთან უკვე საიდუმლოდ იყო გადამაღული, ბახვამ აღარ იცოდა ვისზე, ან რაზე ეყარა ჯავრი, ტრიალებდა, წრიალებდა,

ტანსაცმელს უმიზეზოდ იცვლიდა, ანდრადეს კი შურისძიებისდამაგვარი რამ არც მოსვლია ახრად: ისეთი კაცი იყო, ერთ უბანში რომ გაგერტყათ, მეორეს არ მოგიშვებდათ — ხელ-მეორედ რატომ შევაწუხოო, და — კარგი, გაჩერდი, დაწყნარდი, გაჩერდი, მერე რა, რა მოხდაო, დუნედ ამშვიდებდა ანდრადე და ბახვა ამაზე უფრო ცოფდებოდა და, გადაპყვებოდა კიდევ ჭავრს, მაგრამ მისდა სასიხარულოდ იმ მეზობლის ქირისუფლებმა ორკაციანი დელეგაცია აწვიეს: ერთი ტანმომცრო ტკბილმოუბარი კარგი საპალტოვებითი ილიაში და ერთიც გოლიათური აღნაგობის ქორებრ შხირალი კასპელი ექსსამბისტ-ფალაიანი, რომელიც, გადავუსწროთ მოვლენებს და, უიღბლო დესპანობის შემდეგ სამსახურიდან კინალამ დაითხოვეს — ექვს თვეზე მეტი ბიულეტენი არ შეიძლებაო. რა იყო, შე კარ აღამიანო, რას ერჩოდით, ანდრადემ, აღამიანის გაღაბვა როგორ შეიძლებაო, აღამიანს ტყვილით რომ შეაგნებინო რაიმე, რა წესითაო, დუნედ საყვედურობდა, მერე კი მთლად მოფამფალეულნი იქდა და იმ თავის ყველაზე იაფფასიან სიგარეტს თავისთვის აბოლებდა.

ასეთი გახლდათ ანდრადე, ასეთი გახლდათ ბახვა.

მაგრამ ბახვა ბევრად უფრო ქართველი იყო.

2.

მაგრამ სისუსტე რომელს არა გვქირს — ბახვას, ერთი გამხდარი, სიფრიფანა, წითური ბიჭი ჰყავდა.

იმას სახეზე რომ ჭორფლი ეყარა, ბახვას მთელ ვარსკვლავებს ერჩია.

უცნაურია, არა, სიყვარული? — შვილისა განსაკუთრებით... აი, ზომ ვითომ არაფერია, არა?: ზის თავისთვის ბიჭი და საშინაო დავალებას ამზადებს, მაგრამ სუნთქვაშეკრული ბახვა ფრთხილად, მზერითაც კი რომ არაფერი ატკინოს, ძალიან ფრთხილად მიჩერებია ზურგზე და ეკუმშება ტევედი გული. ანდა, ბავშვია და დიდი ამბავი, გაუცა-

წრია სადღაც ფეხი, მაგრამ აბა ბახვასთვისაც გეითხათ — ბატონი მანათჭყვის დანახვაზე, სულ ჭივარი ეწყოლა. ახრად, ხანდახან ისეთი ფერმკრთალი ჰყავდა, ბახვას სულ გულ-მუცელი ეფლითებოდა და, გინდაც ფერმკრთალად არა ჰყოლოდა, ის სიყვარული გაუნელებლად, მუდამ, ყოველთვის, ღონივრად ენთო შიგანში ბახვას, აი, ეს მძლავრი, მოკრძალებული და გიზგიზა სისუსტე სჭირდა.

3.

გაიხედა ერთხელაც ბახვამ და, რასა ჰხედავს: დგას, მაგრამ რა დგას, ქალის უნახავს გაგზდის, ყელიც მოუღერებია.

თუმც უნებური, თანდაყოლილი, ბუნებისმიერი, მაგრამ მსგავსი თავხედობა ჭერ არ ეხილა ბახვას: კი ბატონო, ლამაზი ხარ, კარგი, ნამეტანი მშვენიერი, კი ბატონო, მაგრამ ასე დაუღბლობლად? აჰ, არა, არა... როგორ შეიძლება.

არცა ჰქუსს, არცა წვიმს, მაგრამ კოკისპირულ შთაბეჭდილებებშია ბახვა, რა იყო მაინც, ვინ ქალი იყო, ტანი მშვენიერი, ფეხი მშვენიერი, მხრები მშვენიერი, მკერდი — მთლად უარესი, მიჩერებია მთელი აუზის საზოგადოება, განზე გაჩოჩებულა ფიჯულტურა და სპორტი, ვეღარავინ ცურავს, ბახვა მშრალზე დგას, მშრალზევე დგას იქით წყევლასავით ქალი, ყელიც — მოუღერებია, და, თვლებმომოჭუტულს, თუმც მზისთვის მიუშვერია სახე, მზეთუნახვია მაინც, გიზიდავს, გიზიდავს რომ... აი როგორც... აი ისე გიზიდავს როგორც... აი, როგორც რალაცა. — შედარებისა და მეტაფორების თავი ჰქონდა ბახვას? არა: წარსდგა ბახვამ ერთი ხეაღური ნაბიჯი, მეორე, მესამე, „სახე მაინც ექნებოდეს ამ ოხერს გლახა“, ამასლა ებლაუჭებოდა, მაგრამ რომ მიაშტერდა სახეში ქალს და, იმანაც, ზომიერად გაკვირვებულმა, ფართოდ რომ გაახილა აეოვეე, ისეთი თვალით, თვალ-სახე აღმოაჩინდა ოხერს იმგვარი, იმგვარი რომ, ბახვას სულ მიავიწყდა

იმისი ფეხ-თეძო და იმისი სხეულის შვიდივე მთავარი ბორცვი, თუმც არა, არა, ტყუილი რა საჭიროა? — სულ კი არ მიავიწყდა, უბრალოდ, პატარა ხნით ჩრდილში აღმოჩნდა ქალის სხეულის სხვა ღირსშესანიშნაობანი, სხვა რამე, თუმც, რამე ემახე და, კი არივ-ღარია კაცი, არა, კი არ არია, პირიქით, შეკრა, არა, კი არ შეკრა, ნაბიჯები გადმოადგმევინა და მგონი, ავირით ჩვენც და, მოკლედ რომ დაესძინოთ, ქალი იყო რალაც მეტისმეტი.

დგანან, ა, ასე:

ადამიანთა დაბნევის მიჩვეული ქალი მკრთალად აბეჭებულ ღიმილით შესცქერის, ცალთვალმოჭუტულია, ბახვა კი პირდაღებული მიჩერება ბრყვივით და ქალს რა, ვითომ არაფერი, მაგრამ მაინც ქათინაურს ელის, აკი რამდენჯნის აღენიშნეთ რომ, ქალია და მეუთვალავერაც ესიაშოვნება პირში-მთქმელური შექება, თანაც მზის გულზე დგას, აუზიდან ახლახან ამოსული, ნეღლი, სითბოთი ნელინელ იფურჩქნება და კარგ განწყობაზეა, ყელიც — მოუღერებია და აღფრთოვანებული მამაკაციდანაც სიტყვიერ სითბოს მოელის, მაგრამ ბახვა თავისებურად აღგზნო და ისეთი რამ წარმოსთქვა, ნამდვილად გაგვიკვირდება.

აი, წარმოსთქვა ასე:

— შენ, ვილაცა ხარ, ქალო, სულ-მთლად დაკარგე სვინდის-ნამუსი?

და თუმც ბახვასმიერ გამონათქვამში რალაცა კარგიც ბუნდოვნად იგრძნობოდა, ქალი ჯერ შეკრთა, მერე, ფართოდ თვალეზღახელილი, ძლიერ დაიბნა და მაგრა განარისხდა ბოლოს:

— როგორ თუ დავკარგე! როგორ თუ მიბედავთ!!

ბახვამ აქ თავი ჩაღუნა და ხმადაბლა იკითხა:

— აბა, შეიძლება ასეთი სილამაზე?

ისე უმწეოდ იკითხა ესა, ქალებს თუმც ძლიერები მოსწონთ, იმ თავდაპირველი უტოფრობის შემდეგ ბახვას ასეთმა გაუმწეობამ ქალს იმდენად აუჩუყა გული, მოუნდა რომ, ბავშვი-

ვით თავჩაქინდრულისათვის კეფაზე გადაესვა ხელი, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა — იყო ბახვაში კიდევ რალაცა, რალაც აშკარად მამაკაცური, ნამეტანს ვერ გაუშინაურდებოდი. ამან თითქოსდა ცოტათი დააფრთხო, მაგრამ საკმაოდ შეუთამამდა:

— ძალიან მოგეწონე?

— აბა, არ მომეწონე?—თ, — პატარა ხნით თვალი შეაღო ბახვამ.

დასჭილივით იღგა.

— მერედა, რა გიყო? — შეათვალეირა ქალმა, ბახვას თითქოს არა უშავდა რა, — ვერაფრით ვიშველი.

— როგორ ვერ მიშველით, — თქვა ბახვამ, შეხედა და ქალის განსარისხებლად მომზადებულ თვალებს რომ წააწყდა, საჩქაროდ დაამატა, — დედის სულს გეფიცებით, რაიმე გლახა თუ მედოს გულში, უბრალოდ, პატარა ხნით მყურებინეთ თქვენთვის, შეგხედავთ კარგად, როგორც სილამაზეს, დაგიმხსოვრებთ სამუდამოდ და სხვა არაფერი არ მინდა მეტი.

აქ აის ქალიც დაგვიინტერესდა — არ ჰგავდა ბახვა ჩვეულებრივ მამაკაცს. აწონა, დაწონა...

— კი მაგრამ, ამ შუაგულ ხალხში უნდა მათვალეიროთ?

— თქვენი ნებართვა თუ იქნება, დავსხდეთ იქით, სკამზე.

— კარგი, — თქვა ქალმა, ხანდახან რომელს არ გვიყვარს ცელქი გარემოებანი.

ბახვას ჯერ ეგონა თუ, რალაც შეუძლებელს თხოვდა, და რომ მოჩვენებითი თანხმობით ემასხრებოდნენ, მაგრამ ქალი წავიდა, წავიდა, წავიდა და დაჭდა. ბახვაც, რასაკვირველია, მივიდა, მივიდა, მივიდა და იქვე დაუდგა, ერთადერთ ნაბიჯზე და, ოხერმა, მაინც გაიფიქრა, რომ ამდენი ნაბიჯით შედარებით ადვილად მიუახლოვდა და რალა იქნებოდა ის ბოლო ფეხის წარდგმაც, მაგრამ აჰ, არა, კილომეტრებიც რომ გამოეელო, ის ბოლო, შესაერთებელი ნაბიჯი მაინც ურთულესი, სრულიად

მატერიკთა გამყოფი და მხოლოდ ოცნებით წარმოსადგენი იყო.

...დაჩერებია, დაჩერებია ბახვა და, აღარ იცის, თავიდან და მეტისმეტად რა შეუთვალეიროს, ქალს კი ერთი საუცხოო ფეხი... „ნეტა ვინმე მუდრეგზე ცუდად გათხოვილია?“ — ერთი საუცხოო(!) ფეხი მეორე საუცხოვეზევე გადაუღია, გაშლილი ხელები მერხის საშურგზე რაღაც მტაცებლურად უღევს, რადგან მწვანედ შეღებულ ხეს წვეტიანფრჩხილებიანი თითებით ჩაბლაუჭებია და, ხელებგაშლილს, ორი ისეთი მხრისთავი ამობურცვია, ერთიმეორეზე უკეთესი, მკერდს ჭერ ვერ უთვალეირებს ბახვა, ერიდება, თუმც კარგად მოეხსენება რომ საამო იქნება საცქერლად, „ღიაციხე უბესავითა“, უკლი აქვს ისრერიგ ჩამოთლილიც და აჭიმულიც, ნულარ იკითხავთ და, მხრისფსკერითა მიდამობენ? — აიშეებსაც ერთიმეორესდა თუ შევადარებთ, ვინ მოიგონა ეს არცთუ ისე ამოდ მოსასმენი სიტყვა „ილია“, რომელიც ბახვამ გააწონასწორა ნახევრადნაცნობი სიტყვით „ფიანდაზისებრი“, ხოლო თქვენ, ძალიან მოწყალეო აუზელო მკითხველო!, უნდა დაგვიჩეროთ:

„ხომ არ მეჩვენება ყოველივე ეს?“
— გაივლო აჩქარებულ გულში დაუდგრომელმა ბახვამ და საყუთარ შუბლზე მოუხდა ხელის მოსმა, მაგრამ გახევდა, სახე ჰქონდა იმ ქალს იმგვარი.

აი, ხომ ვითომ ცნობილია რომ, თერთად გადატყეცილი პირისკანი სუყოველნაირს სჯობია, არა? მაგრამ ქალს თალხი რამ ფერი, დანაწეიმარზე გარდასული შერუჭვის ალაგ მკრთალი და ალაგ — უფრო, ნაკვალევი დამჩნეოდა და, ეგებ თიხოვანს, მეტად უხდებოდა. არადა, ისე აშკარად ერია თიხა, რომ ასფალტმისცილი ბახვა მხოლოდ ფეხისგულებით კი არა, მთელის არსებით ნატრობდა მიწას, და ამ თიხნარიან ქალს ახლა თვალეებში, შიგ თვალეებში ჩაჩერებოდა, სადაც რომ ბუნების სუყოველგვარად უხვი — მწვანე გინდა თუ, ლურჯი თუ, და ყვითელი, და წითე-

ლი, მონაცრისფრო და ასე, მთელი ფერები ძალიან. ჭრელად ირეოდა და თვის აღრე წყნარსა და ახლა კი გამძვეთრებულ სოფელსა და იმის შემოგარენს გამძაფრებით აღიქვამდა ქალის თვალეებში თავადაც სრულად ჩამდგარი ბახვა, იმ თვალეებში კი მთელი ნეტარი სხეულის დაგვირგვინებდა ჩანდა ბალახი, ტყე და მოწინაურებული ხეები, — აი, ნაყოფს რომ იძლეოდნენ და უნაყოფო ხეებიც ჩანდნენ, ვრცელჩრდილიანებს, ქალის თვალეებში სისოველედ რომ მოჰყავდათ წყალი, რა საოცრება იყო მაინც ეს, გაბრუებული, და თავს მიწადატეხილი ბახვა ვერ გრძნობდა, ზურგზე რომ ფრთხილად უკაქუნებდნენ, და დამკაქუნებელს — ანდრადესაც დიდად უკვირდა, ასე ძალიან რამ გაახევა დანაწეიმარ მიწას ჩაჩერებული კაცი, და ბახვა უცებ რომ გამოერკვა, მიხედვისთანავე შეკრთა — ანდრადეს გამომეტყველებისდამიხედვით, რაღაცა საქმე ვერ იყო კარგად.

— რა იყო, რა მოხდა... — იკითხა ბახვამ და შეკითხვისაც გააჩნია — თან კოვბოიკის საყულო კისერთან ჩაუბლუჯა.

— დაწყნარდი, ახლა კარგადაა, — ვითომ მხნედ უბასუხა ანდრადემ, შიშგამოვლილი ჩანდა, — ახლა რა უქირს, ხასიათზეც მოვიყვანეთ, ახლა კარგადაა, შენ არ ილელეო არაფერზე, ახლა ყველაფერი უკანაა...

— რა ყველაფერია უკან... — გაშრა ბახვა.

— არ აღელდე ახლა! — ბოლო სიმხნევეც მოიკრიფა და ცოტათი გაყოჩაღდა ანდრადე, — შენ ბიჭს პატარა რაღაც ჯოხი ჩაართყეს თავში და ახლა მშვენივრადაა, წყალიც დალია და ყველაფერი...

ბახვას გაცოფების წარმოდგენა თქვენთვის მომინდია, დამხმარეო მკითხველო, თქვენს მოწყალეობას კი მხოლოდ ისლა შეიძლება დაემატოს, რომ შინისაკენ სირბილით გაჭრილ ბახვას კარგა საგრძნობლად ჩამორჩა ანდრადე, ხოლო ბახვას ცალ მომუშტულ ხელში

უნებურად შერჩენილი მეგობრის კოვ-
ბოიკის საყულო უფრიალებდა.

4.

ბახვას ლიფტით არ უსარგებლია —
სულ ნახტომ-ნახტომ აიჭრა შეექვეს
სართულზე.

სანამ კარს შეგლიჯავდა, წამით რა-
ტომლაც თავისი უბიწო (ცოლების გა-
მოსისობით შექენილი და სერკანტში გა-
მოსაშვურებლად ტყვედქმნილი) ჭუ-
რჭულელი დაუდგა თვალწინ — „დავამს-
ხვრევ ყველაფერს!“, მაგრამ ოთახში
რომ შეგრგვინდა, სულ ფეხისწვერებ-
ზე შედგა — ლოჯიაში, ტახტთან, ექი-
მი იჯდა და რალაც სათამაშო ჩაქუჩით
იმის შვილს სინჯავდა. ბავშვისთვის სა-
ბანი გადაეხადათ, ძალიან გამხდარი
იყო, „ახხხ!“ და დროებითი თავშეკავება
ძვირად დაუჯდა ბახვას — სულ იდაყ-
ვებზე იკბინა. მერე ყურები გაიფაცი-
ცა, მაგრამ ლოჯიის ფართო კარი დაკე-
ტილი იყო, მთლად გადაირია, ოღონდ
ისევ სულგანაბულად, ექიმს ხომ ვერ
შეუშლიდა ხელს. აქ ანდრადეც შემოქ-
ლოწინდა, და ბახვამ, ადამიანი რა და-
ინახა, კბილებში გასცრა: „შენი ბრა-
ლია, შენისთანების ბრალია ყველაფე-
რი ეს...“ — და ახლად შემჩნეული
საყულო შიგ მკერდში სტყორცნა. ანდ-
რადე დაიხარა, აიღო თავისი საყულო,
ჭიბეში შეინახა. ასეა, ყოველთვის ინ-
ტელიგენტი უფრო იჩაგრება, მაგრამ
ბახვას ახლა საერთოდ ადამიანი, რო-
გორც ასეთი, ყოველნაირი, აცოფებდა
და სძულდა, ოღონდაც, შვილის გამოკ-
ლებით. და, დერეფანში გამოსული
ექიმის სიტყვები მოესმა: „არაფერია
საშიში, რეფლექსები სრულიად ნორ-
მალურია, მაინც, ყოველი შემთხვევისა-
თვის, იწვეს ორი-სამი დღე და...“

ცოლმა ექიმი საშუალოდ რომ გაის-
ტუმრა (N № მანეთი, ბახვამ მეუღლეს
(ამჟამად მეორე ნახევარი არა ისა)
თვალეები თვალეებით ამოუბურღა და,
იკითხა:

— ქალოლო?

ენაგადაყლაპული ქალი ვერაფრის

თქმას ვერ ახერხებდა, და ანდრადე-
დემ გამოიღო თავი:

— თურმე სკოლიდან მოდიოდა და...

— შენ ხმა გაკმინდე! ქალოლო?

— სკოლიდან მოდიოდა ზურციკო და
რალაც მოსახვევთან...

— შენ ჩაიგდე ენა! — და ანდრადეს-
კენ იქცია პირი, — მერე?

— და რალაც მოსახვევთან ერთი კა-
ცი ყოფილა დადარაჯებული და ზური-
კო სხვაში შეშლია და ჩაურტყამს თა-
ვში ჭოხი.

— ვის დადარაჯებია?

— აბრაზებდნენ თურმე ბავშვები.

— რატომ!

— რა ვიცი...

— როგორ!

— რა როგორ...

— როგორ აბრაზებდნენ-შეთქი!

— აღისაბებას ეძახდნენ თურმე.

ბახვაც კი დაიბნა:

— რასს?

— აღის-აბებას.

— ეგ რალას ნიშნავს? — იკითხა ბა-
ხვამ და ჭიბეში ჩაიყო ხელი.

— ქალაქია აფრიკაში ერთი.

იციოდა, როგორ არ იციოდა, აკი ყო-
ფილი გეოგრაფი იყო, მაგრამ უცებ
ვერ მიხვდა.

— მერედა, — ხმადაბლა, მაგრამ
რალაც წარმოუდგენლად (მკითხველო,
დამხმარეო მკითხველო) დაოკებული
მრისხანებით იკითხა ბახვამ და ცხვირ-
სახოცი ჭიბეშივე თითებით დაფლითა,
— იმ აფრიკაში რომ რალაცა ქალაქი
იყოს, ჩემ შვილს ჭოხი უნდა ჩაართყან
თავში?

ქალმა თავი იბრუნა და თანაც ჩაჭინ-
დრა. ასევე — ანდრადემ.

— მოვკლავ! — დაიქუხა უცებ ბა-
ხვამ და კარისკენ გაეარდა, მაგრამ სა-
ხელურის სიგრილემ იყო თუ რამ, ერთ-
ბაშად გამოაფხიზლა — „კი მაგრამ,
ვინ უნდა მოვკლა მაინც?“

შემოგვიბრუნდა.

— ეინაა. — იკითხა მკაცრად. —
იციით?

— ვიციით, — აღიარა ანდრადემ, —

თვითონ მოიყვანა ბავშვი.

— ვინაა. — ისევ იკითხა ბახვამ.

„რაც არის, არის“, გაიფიქრა ანდრადემ და:

— არა, ჩემო ბახვა, ჯერ ერთ რამეს გეტყვი და დამიგდო უნდა ყური. შენ რომ...

— ვინაა-მეთქი!!! — ერთი ისეთი დასტეჟა ბახვამ, წესით სამთავენი უნდა წაქცეულიყვნენ, ხელიც შეშართა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად არ აღმოჩნდა ანდრადე ჯაბანი:

— მიდი, დამარტყი! — წვრილი ხმით დაიძახა და ყბა შეუშვირა, — მიდი, მეტი სინდის-ნაშუსი თუ არ გაქვს! მიდი, დამახიე ბარემ ბოლომდე ეს კოვბოიკა თუ რალაც ჯანდაბა და ეგებ ჩაგეთვალოს ვაეკაცობაში! მაინც რა გითხარია ისეთი, რომ დამღრიალებ თავზე ამ ხნის კაცს, ბოლოსდაბოლოს, მაშალ გეკუთვნი! და ამხანაგი ვარ შენი!

და ბახვა უცებ მიხვდა რომ, ანდრადეს ასე ხელალებით ვერ გაიმეტებდა, და ისიც იგრძნო რომ, წავიდეს, წამოვიდეს — კეთილია.

მაგრამ არ იყო ადვილად დამთმობი და, ვერც წარმოიდგენთ, ვისზე იყარა ჯავრი:

— შენ, ბიჭო, რომ წამოპლაკულხარ მანდ! — გამოთხერიშა ლოჯიის კარი, — რას დაეთრევი აღმა და დაღმა!

— სკოლიდან მოვდიოდი, — ხმადაბლა თქვა ბიჭმა, წითური და ძალიან გამხდარი იყო.

ბახვას თუ გული არ ჩაეფლითებოდა, რას წარმოვიდგენდით, მოწყალეო მკითხველო, მაგრამ გაუძლო ამასაც და, დაძაბუნებულმა, ანდრადეს მხარზე დაადო ხელი:

— კარგი, მითხარია,

— აღამიანი ვარ მეც, — თქვა ანდრადემ და ჩამოჯდა.

სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ ორი რამ მკვეთრად შეიცვალა: ა — ანდრადეს გაბრაზება ნელინელ გაქარწყლდა და ეს ხანმოკლე გაბრაზება წამით წამამდე შიშში გადადიოდა იმის გახსენებაზე, თუ რას გადაურჩა, და

ბ — ბახვა კი თანდათან ცოფდებოდა, რადგან ნამდვილად დამნაშავე კაცი ჰყავდა სასწრაფოდ შურისსაძიებელი და დრო კი ასე ფუჭად გადის და გადის.

— კარგად დამიგდე, ჩემო ბახვა, ყური, კარგი მინდა შენი ოჯახისთვის და შენთვის, — რამდენადაც შეეძლო, მხნედ წამოიწყო ანდრადემ, როცა შიში საბოლოოდ დაეფულა, — იმ კაცის მისამართს მხოლოდ იმიტომ გეტყვობ, რომ მაინც გაიგებ და არ მინდა უჩემოდ რომ მიჰვარდე, მაგრამ სანამ სამაგიეროს გადაუხდი („შუაზე გადაეტხავ“, გაიფიქრა ბახვამ), ერთ რამეს გირჩევ.

— რას. — თქვა ბახვამ და განზე გაიხედა.

— რას და, ცოტათი შენს შვილზეც ხომ უნდა იფიქრო, — მტკიცედ უთხრა ანდრადემ, გააქრომოდა შიში, — აბა, ერთი წუთით წარმოიდგინე, ხვალთან შენ — ციხეში და ის კაცი — საავადმყოფოში. ნუ იზამ ჯერ მაგას, ნუ...

„საავადმყოფოში? — გაუკვირდა ბახვას, — საავადმყოფოში კი არა, შავ მიწას მოვანატრებ...“ — თქმით კი ასე თქვა:

— შუბლზე ვაკოცებ.

— არა, მაგას კი არ გეუბნები, არამედ წარმოიდგინე, ბავშვს ამ შემთხვევისგან რა შერჩება, რა გაპყვება ცხოვრებაში. ხომ საბოლოოდ დაითრგუნება, ხომ ჩაეწვება უდანაშაულო გული. განა არ აჯობებს, ჯერ ის კაცი მოვუყვანოთ და, დარწმუნებული ვარ, გულწრფელად მოუბოდიშებს, დაუყვავებს, აუხსნის თავის შეცდომას; ბავშვიც მიხვდება, რომ ცხოვრება კი არა ასეთი დაუნდობელი, არამედ რალაც სულელური, ბრმა შემთხვევა. დავაჯეროთ ამაში ბავშვს... ამაში ბავშვს... ამაში ბავშვი და, იმ კაცს რაც გინდა ის უყავი მერე.

„სწორია, კეთილძალი“, გაიფიქრა ბახვამ.

— წავალ მე და მოვიყვან, ისეა შე-

წუხებული, ნამდვილად გამოყვება, მაგრამ შენი ამბავი რომ ვიცი, იმის ბოდიშებამდე ნამდვილად ვერ მოითმენ და, რა ვქნათ? ეგებ მეზობელთან გახვიდე სადმე... ისე, რომ იცოდე, იმას უკვე თავისი დამართა, როცა გაიგო, ვისი შვილიცაა.

— ვინ.

— ზურიკო, ვინ. არადა, თურმე იმ საწყაოს ვილაც აბეზრები წამდაუწუმ ჩაპყვიროდნენ — აღისაბებაა, აღისაბებაა... სარდაფში ცხოვრობს.

— სადა...

— სარდაფში. და თან სულ — აღისაბებაა! — ჩაესმოდა.

— დიდი ამბავი.

„შენ მე ბახუნისაც არ მამბებინებ“, კინალამ წამოსცდა ცოლს. იქ იყო. — კარგი. — თქვა ბახვამ. — აგრე იყოს.

და გაიფიქრა: „ჯერ ბავშვის წინაშე ბოდიშს მოვახდევინებ, მერე გამოვიყვან, მუხლზე დავირტყამ და შუაზე გადავტეხ“.

— შენ პირს შექარი...

— ფი... — ნიკაბი ჩამოეწია ბახვას, წიწაკა და ამისთანები უყვარდა, — მაგრამ მეც წამოვალ. სახლი მინდა ვიციოდე.

— გაგიყდი, კაცო?

— არა, გზაში არ გადავტეხავ. მერე.

— რა უნდა გადატეხო... მერე...

— ის კაცი.

— არა, აჰ, არა, შენ ვერ წაგიყვან.

— აბა აქ რა გააჩერებს! უსაქმოდ!!

ხომ გადავირიე!! — მაგრამ, რალაც მოიფიქრა, ხმას დაუწია, — პატარა ხანი მაკალე.

ბახვა აივანზე რომ გავიდა, ანდრადემ დრო იხელთა და ქალს წასჩურჩულა:

— მთავარია, რომ მაშინვე არ დაეძგერება... მერე კი, ღმერთია მოწყალე.

— ვაიმე, არა, ბიძია ანდრადე, არა, ნამდვილად გადატეხავს...

— არა.

— ვიცი მე მაგისი ხასიათი...

— მეც ვიცი. ჩუ!..

ბახვამ კი აივანიდან ორი ზომიერი თოკი გამოიტანა და თქვა:

— ა ბატონო, ისეთაირად გაგეოკინები, რომ ველარც ხელს გაიქნევ და ველარც ფეხს. წამიყვანე.

5.

მსგავსი რომ ერთ ტაქსის მძღოლს ჯერ არ ეხილა: ხნირ დამჭირაგებელს საყელოშემოგლეჯილი კოვბოიკა რომ ემოსა, ეს კიდეც არაფერი, თუმც ასეთი ჩაცმულობის ხალხი იშვიათად ქირაობს ტაქსს; მერე სადარბაზოდან ძალიან მოკლე-მოკლე ნაბიჯებით გამოვიდა ვილაც გაშეშებულხელებიანი მოჭუფრული კაცი, რომელსაც დამჭირაგებელმა წინა კარი გამოუღო და იმან კი ჯერ ზურგ-კეფა შემოჰყო მანქანაში, დაჯდა, მერე ფეხები ტყუპად ასწია და ასე შემოიტანა იგივე მანქანაში, გასწორდა, კოვბოიკიანმა კარი მიუჯახუნა და თვითონ კი უკანა სავარძელზე მოკალათდა. აშკარა იყო, წინა მგზავრს მუხლები და მკლავები შებოჭილი ჰქონდა, ოღონდ გრძელი ლაბადა ფარავდა ამას. მერე იყო და, სულ რალაც სამას მეტრში გააჩერებინეს ტაქსი, ბარგი რომ თუ ჰქონდათ გადმოსაზიდი, უკანა მგზავრი გადავიდა და სადღაც ეზოში ფეხაყრფით შევიდა, წინა მგზავრმა კი კბილები ძალიან გააღრჭილა. მერე ის ხანშიშესული გამოვიდა და ეზოსთან დადგა, იმასთან კი მეორე ეზოდან გამოსული კაცი მივიდა და რალაც ჰკითხა, ხოლო ხნირმა წყენით გაიქნია თავი. „ვაბ?“ — გაიფიქრა ტაქსის მძღოლმა.

(მცირე ახსნა: გვერდითა ეზოდან მანქანა ვერ გამოჰყავდა პატრონს, რადგან ზედ ჰქონებოდა ვილაცას უშნოდ დაეყენებინა ტრანსპორტის სხვა სახეობა; მანქანის პატრონმა მიიხედ-მოიხედ და ქუჩაში კი იყო საკმარისად ხალხი, მაგრამ ჩაცმულობისდამიხედვით კოვბოიკიანი ადამიანი გამოარჩია, მიუახლოვდა და ჰკითხა:

— ბოდიში, ეს მატაცოკლეტი თქვენია?

— არა, — თქვა ანდრადემ. იგი ინტელიგენტი იყო.

ხოლო ბახვას ხელ-ფეხი გაკოჭილი ჰქონდა).

მერე იყო და, ეზოდან გამოვიდა ვიღაც ტანსაცმლიან-სახიანა ძალიან გაცრეცილი ათრთოლებული ადამიანი, და იმას ფერი ეღო? მტრისას... აი, იმას ფერი ეღო? აი როგორც... როგორც... აი... აი, გამწვანების ტრესტის სიმბოლურ თანამშრომელსა ჰკავდა.

მაგრამ იმის გამოჩენისთანავე დამუხრუჭებისდამაგვარი ისეთი ღრქიალი გაისმა, პროფესიონალმა მძლოლმა მაშინვე ფანჯარაში ტუცა ინტერესებ-მოძალეებული თავი, მაგრამ არანაირი მანქანა შორიახლოს არ ჩანდა და, მიხვდა — ეს ისევე იმ კაცის კბილთა ღრქიალი იყო, წინ მჭდომი მგზავრის. „ვახ?“ — გაიფიქრა ისევე მძლოლმა.

ხნიერი და ახლადშემომამატებული უკანა სავარძელზე რომ დასხდნენ, მძლოლს მოეჩვენა, რომ მანქანას მილიციისაკენ წააყვანიებდნენ, მაგრამ აქაც დაიბნა, რადგან წინა მგზავრმა ბრძანა: „მოაბრუნე და ისევე ამ ქუჩას გაუყვივო“. — კაცო, თუ მილიციაში მიდიოდნენ, ეს, გაკოჭილი უნდა ყოფილიყო მბრძანებელი და, წამყვანები კი, ასეთ ფერზე? ვახ...

ხოლო როდესაც ისევე თავდაპირველ სადარბაზოსთან გააჩერებინეს ტაქსი და წინამ პირველ უკანას თავის ჯიბეზე ანიშნა და იმან რომ ორი თითით ამოუღო ხუთმანეთიანი და მძლოლისგან გამორთმეული სამმანეთიანი წინას ისევე ჯიბეში რომ ჩაუღო, და კარი რომ გაუღეს და წინამ ისევე ტუცუბად რომ ასწია ფეხები და მანქანიდან გადასდო, და თანამგზავრები მოკლე-მოკლე ნაბიჯებით სადარბაზოსკენ წინ რომ გაირეკა, — „ვახ?“ — მეოთხედაც გაიფიქრა მძლოლმა და მოუსვა.

თარს ფეხზე იყო ამდგარი.

6.

— ეს, — თქვა ბახვამ და გადასატრეხისკენ მოკლედ და მკვეთრად გაიქნია თავი, ანდრადეს უყურებდა, — ფეხით ამოვიდეს.

— ფეხით ამოვყვები მეც, — ითხოვა ნებართვა ანდრადემ.

— კარგი. იცოდე, არ გაგეჭვებს. და აჭირე ხელი...

ანდრადემ მიაღო თუ არა თითი გარეთა ლილას, ლიფტის კარი მშვენივრად, ნარნარად, თანაბარი სვლით გაიღო. ბახვა თავისებური ნაბიჯებით შევიდა ლიფტში, ანდრადემ წამით შეჰყო ხელი და მეექვსე სართულის ლილას რომ დააჭირა, კარი, გაღებისა არ იყოს, ასევე თანაბარი სვლითვე დაიხურა, ლიფტიც, ასევე ნარნარად წავიდა მალე-მალე, მაგრამ საღდაც შუა გზაში უცებ გაჩერდა და სინათლეც გამოიროთო, ბახვა აღმოჩნდა უძრავად და ბნელში.

არ ესიაშოვნა.

ბახვას პატარა და კეხიანი ცხვირი ჰქონდა, ხელბეშეკრულისთვის, სხვა რა გზა იყო, აიღო და რიგრიგობით მიაჭირა ცხვირი ლილაკებს, მაგრამ, გაგიგონია? დგას ლიფტი ჯორივით...

— ანდრადე, ანდრადე!! — იყვირა ბახვამ.

— აქა ვარ, გენაცვალე! — ჩამოსძახა ლიფტის კარის შუაგულზე პირ-მიღებულმა ამხანაგმა.

— რაშია საქმე, რა მოხდა! — ასძახა ბახვამ.

— ფუჭდება ასე ხანდახან!

„ოხ, მე მაგისი“, — გაიფიქრა ბახვამ და მაინც გასძახა: — რისი ბრალია ვითომ!

— ალბათ ტექნიკის, ბახვა!

ვილას ახსოვდა სანუკვარი დედა-მიწა, დედა-ენა და დედა-ბოძი — ოხ, მე ტექნიკის დედა, ოხ მე კი ტექნიკის პალატი დედაო, სულ ასე გაიძახოდა გულში ბახვა.

— წავალ მე სახლმმართველობაში და ვინმეს მოვიყვან.

— ის კაცი არ გაგებაროს.

— ვინ კაცი!

— გადასატები, ვინ!

— აქა ვარ, პატივეცემულო ბახვა, — გაისმა მორიდებით, — არსად არ წავალ.

„მოდით, გავიქნით და ვურტყავ ამ მუდრეგ ლიფტს თავი?“ — სისულელე გვიფიქრა ბახვამ, რადგან ძალიან გაბრაზებული იყო.

ანდრადე მალე მობრუნდა, მაგრამ ცული ამბავი მოიტანა:

— სანამ ტოპოლკაროევი არ მოვაო, ვერაფერს გიშვებო.

— ვინაა ტოპოლკაროევი...

— მთავარი ხელსახანია ლიფტების.

„ტოპოლკაროევსაც მოვკლავ“, — გავფიქრა ბახვამ.

— ბახვა, დამიგდე ყური! — გაისმა მერე, — მანდ მაინც ტყვილა ხარ და, რომ არ დავკარგოთ დრო, ავიყვან ამ ადამიანს ბაშვ... ბავ-შე-თან და ბოდიშს მოვახდევინებ. მერე ისე დაწერილებით გიამბობ ყველაფერს, გინდაც იქ ყოფილიყავი.

ბახვამ აწონ-დაწონა და თქვა:

— კარგი. ოღონდ მერე არ გაგება-როს.

იმათი ფეხის ხმა რომ მიწყდა, ბახვა ლიფტის კედელს მიეყრდნო, და პატარა ხანში დაიბნა — ისევე ის ქალი გაახსენდა, აუზში მოჩვენებული, ყველაზე ვრცელი და ლამაზი, ყველაფრისა და ყველას გამზრდელი, რა ქალი იყო? სოფელში უფრო მეტად ხარობდა...

იღვა ბახვა და იმ საოცრებას იქამდე იხსენებდა, სანამ ანდრადეს ხმა არ შემოესმა:

— კარგადაა, ბახვა, საქმე!

— რანაირად...

— ამ კაცმა ისეთი ტკბილი სიტყვები უთხრა ბაშვ... ზურციოს, ისე კარგად აუხსნა საქმის ვითარება და თავისი შეცდომა, აქეთ ამ კაცს მოაწვა ცრემლები და იქით — ზურციოს.

— მერე რა...

— მერე ამ კაცმა ზურციოს მუხლზე აკოცა.

ბახვა არ მომბალა, მაგრამ... — კი მაგრამ, ზურციომ როგორ აკოცინა!

— მოულოდნელად მოხდა.

— მაინც გადავტეხავ. ხომ არ გაპარულა!

— არა, აქა ვარ, პატივეცემულო ბახვა.

— მოვიდა, მოვიდა! — იყვირა უცებ ანდრადემ.

— რა მოვიდა... — დუნედ იკითხა ბახვამ, რალაც თავისას ფიქრობდა.

— ტოპოლკაროევი მოვიდა!

— გული არ გაიტეხო ჯიგარო, სალუტ! — მხნედ ჩამოსძახა ლიფტის ქუქრუტანიდან ახალმა ადამიანმა.

— ჯიგარს ამოგიყვან მე შენ კბილებში, სად ეგდე ამდენ ხანს!

იმ კაცმა; როგორც ჩანს, იცოდა ბახვას ამბავი, მორიდებით უთხრა:

— სხვაც იყო ლიფტში გაჭედილი, უფროსო, ორმოცდამეხუთე ნომერში.

„მაინც ყოფას გიტირებ“, — გაიფიქრა ბახვამ, მაგრამ ამჯერად შედარებით უგულოდ, გული სხვაგანა ჰქონდა, ვერა და ვერ იცილებდა იმ დიადი ქალის, ხეები, ბალახი და ყვავილები რომ ამოჰყავდა, სახეებს.

ლიფტი ძალიან ნელა დაიძრა, მერე რომელიღაც საართულზე აცოცდა და, კარიც გაიღო.

გადასატები ადისაბება კედელთან ვითომ წყნარად ატუზულიყო, მაგრამ ფერი ეღო ისეთი? აჰ...

— შემოიხსენი, ანდრადე, ხელ-ფეხი...

ადისაბება კი ასლოკინებდა. შიშისგან იყო თუ რა, მომეტებულად ასლოკინებდა და ძალიან ეუხერხულეზოდა ეს.

ანდრადე ბახვას გამკოჭავ პირველ თოკს მუხლებთან ეჩალიჩა, შემოხსნა, მერე ლაბადა გახადა, კიბის სახელურზე გადაკიდა და ახლა ბახვას ზურგსუკან, მკლავიდან მკლავამდე გადაჭიმულ მეორე თოკს დაუწყო კირკიტი.

— შენც დამიცადე, ვაეკაც, პატარა საქმე შენთანაცა მაქვს, — მიუგდო ბახვამ ტოპოლკაროევს. იმას მეზღვაურის განივზოლებიანი მაისური ეცვა და შლაპა ეხურა.

— მე აბა რა დამიშავებია, გენაცვალეთ, გამოძახებული ვიყავი სხვა გაქედნიდან, იმიტომ რომ...

მაგრამ ბახვა ყურს არ უგდებდა. იგი ათვალერებდა სხვა კაცს, რომელიც უხერხულად უცდიდა მორიგ დასლოკინებას, და ვისაც სახეც გაცრეცილი ჰქონდა, გაცრეცილივე ჰქონდა პიჯაკი, შარვალი, პერანგი, რალაც სულელურ-ფერებიანი და გულისამაჩუყებლობამდე დაძველებული პალსტუხი საწყლად ეკიდა, და, რალაცნაირად, იმ დიადი ქალის ობოლ-შვილივით იყო.

„ამ ოხერს, ოდნავ საშუალოდ მაინც ეცვას“, — გაიფიქრა ბახვამ და მკაცრად ჰკითხა:

— რატომ გეძახიან მაინც აღისაბეზას?

— არ ვიცი, — თქვა კაცმა და დაასლოკინა.

— რალას ბრახდები მაშინ!

კაცმა თავი ჩაღუნა და თქვა:

— სიხშირეშია, ბატონო, საქმე.

„და მაინცდამაინც ჩემი უდანაშაულო ბიჭისთვის უნდა დაგერტყა ჯობი? — თავიდან გამწარდა ბახვა, მაგრამ ანდრადე ჯერ ვერა ხსნიდა ყულფს, — მაგ მუხლზე კოცნამ შენ ვერ გიშველოს, მერი არაა ჩემი მტერი, მაინც გადაგტეხავ“, — გაიფიქრა ბახვამ, მაგრამ უცებ შიშითაც კი იგრძნო, რომ გულის კუნჭულში რალაცა უკვე გამლხვარი ჰქონდა. მაინც იფეთქა:

— კი მაგრამ, ვერავე დაგიცვა? პატრონი არ გყავს, შე უპატრონო?..

— აქ არავე მყავს, პატივცემულო ბახვა, — ისევ, სლოკ! — მეუღლე შარშან გარდამეცვალა, ქალიშვილი კი ნავარძეთშია გათხოვილი.

ბახვამ ისევ ახედ-დახედა; რალაცი-სათვის შემზადებული ჰქონდა გული.

— ის შენი სიძე პატარა ხნით ვერ ჩამოვა და ვერ დაიფრენს იმ ბავშვებს? ასეთი რა კაცია...

— მალაროში მუშაობს მუშად... ქიათურაში... ნავარძეთიდან, აბლოა... სადა აქვს ჩემი თავი. ანდა, სირცხვილით როგორ ვუთხრა.

— და... ქალიშვილი?

— ქალიშვილი ბიბლიოთეკაშია... პატარა ბოსტანიც აქვე.

ანდრადეს მეორე გაუქმებული თოკიც ხელთ ეპყრა.

კაცმა თავი ჩაღუნა, გახევებული იდგა, მაგრამ კვლავაც ერთი ისეთი დაასლოკინა, თითქოს შეხტა კიდევც, განზე გაიხედა და თქვა:

— რაც გინდათ, ის მიყავით, ბატონო, დამნაშავე ვარ... გამაბოროტა, ალბათ, ცხოვრებამ, — და პირველად შეხედა თვალეში, — ოლონდ ჯერ წყალს თუ დამალევივინებთ...

და აი, სწორედ აქ, ბახვას გულმა რეჩხი უყო.

მიმოიხედა. ტოპოლკაროვეიც, ისევ იქ იდგა და მაზუთიან ხელებს უხერხულად იფშვნეტდა.

— ავიდეთ პატარა ხანს ჩემთან, — თქვა ბახვამ და აბლალა შენიშნა ლიფტების ხელოსნის განივზოლებიანი მაისური, — წამოდი, კონტრ-ადმირალო, შენც.

ოთხივენი ბახვას მშვენიერ, ერთნახევაროთახიან და ლოჯიიან ბინაში შევიდნენ, ცოლმა შიშით შეათვალერა ხელებზე განთავისუფლებული ბახვა, გადასატეხი აღისაბეზა, მაზუთიანი ტოპოლკაროვეიც და უსაყულო ანდრადეზეც რომ გადაიტანა მზერა, ბახვამ, ამჯერად უკვე გამეორენახევრებული მეუღლის მისამართით, წარმოსთქვა:

— რას მოგვჩერებინარ რომ მოგვჩერებინარ... ვაშალე, თამარა, სუფრა.

...ბახვას სიმთვრალეც კარგი ჰქონდა და ყველაფერი.

ნეტავი, მართლა მარტივი იყო?

პრის ჩირაღღანი

კოსტა ხეთაგუროვის წიგნი — „ირონ ფანდირი“ პირველად სოფლის საეკლესიო-სამრევლო სკოლის მოსწავლემ წავიკითხე მშობლიურ კობში, საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე ერთ-ერთ უღამაზეს სოფელში. ჩემი უპირველესი წიგნი იყო „ანანია“ და მის შემდეგ კი ზემოთ მოხსენიებული — „ირონ ფანდირი“.

მას მერმე 70 წელი გავიდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში უფრო და უფრო მიცხოველდებოდა აღფრთოვანება კოსტას პიროვნებით, მიაყვებდა მისი გენია, ნიჭი და შემოქმედებითი გმირობა. ისური ლიტერატურის ფუძემდებელი ამავე დროს მის მოკაშკაშე მწვერვალად იქცა.

„ირონ ფანდირი“, მოცულობის თვალსაზრისით ამ მომცრო წიგნის გადაკითხვისას ისევ და ისევ თავიდან იშლება მწერლის გენიის ახალი სამანები, მისი აზრის სრულყოფილება, ოქროსურველი მარგალიტები. სწორედ ამაზე ნათქვამი რუსული ანდაზა — „ოქროს მცირეა, მაგრამ ძვირფასია“. და მაინც ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ჭერ კიდევ უკვლავიერი რიგში ნათქვამი კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედების შესახებ და ამავე დროს ის თქმულიც განაუკრავთ თვის შეესახებება სასურველ დონეს?

ბუშენს მუავედა ბელინსკი. კოსტას კი ჭერ არ გამოხატენია თავისი ბელისკი. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მისი ლექსების, ერთი შეხედვით გარეგნულა, ტექნიკური ოსტატობაც კი არ შეფასებულა ჭეროვანად და ამომწურავად. მე თვითონაც მხოლოდ ახლანან მივაქციე უფრო ახლანან მისი რთობის ვირტუოზოზობას. კოსტა რთობას „ბირასა“ და „ბირაგს“. მისი ეპოქის რუსული ლექსოწყობის კანონების მიხედვით ახეთი რთობული შეთანაწყობება მიუღებელი, არაკორექტული უნდა ყოფილიყო. იმეამად მიღებული იყო რთობება, რომელიც დაბოლოებაც ასობობრავად ეხადებოდა

ერთმანეთს, ხოლო საერთო ასოციაციური ეფექტი საოვალავში არ მიიღებოდა, როგორც ეს გვხვდება უახლეს რუსულ პოეზიაში მიაკოვსკისა და ევტუშენკოსთან.

მაგრამ კოსტას ლექსოწყობის რუსულ სკოლასთან ერთად გავლელი ჰქონდა კიდევ სხვა სკოლა — ეს იყო მშობლიური ფოლკლორის სკოლა. სწორედ ისური ხალხურ სიმღერებში ასონანსური რთობები რაც თუ იშვიათი მოვლინაა.

რადა თქმა უნდა, რთობა უმთავრესი რიგში პოეზიაში. მაგრამ მე საჯანგებოდ მიწადა გავამაგებო უპრადღება ამ, ერთი შეხედვით, მეორესმისსხვან მხარეზე მწერლის შემოქმედებისა. საქმე იმაში გახლავთ, რომ კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში მკვლევართა ინტერესი ძირითადად მიმართულია მწერლის საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივ პოზიციაზე, მის იდეურ-ესთეტიკურ შეხედულებებზე, და აგრეთვე პოეტის ნაწარმოებთა შინაარსზე. ეს ბუნებრივია. მაგრამ ამასთანავე სასურველია კოსტა ხეთაგუროვის პოეტური გენიის სხვა ასპექტებზედაც გავამახვილოთ ყურადღება, რომელთა გარეშეც მის ხილიადგეს ბევრი რამ მოაკლდებოდა. მე მხედველობაში მაქვს კოსტასათვის ეგზოზ ნიშანდობლივი თვისება, ეს გახლავთ პოეტური სიტყვის ვირტუოზული ფლობის ოსტატობა, რის თაოსანედაც ჭერ-ჭერობით ძაღან ცოტა რამ დაწერილა.

ელემენტარულ კომპარტიკებს წარმოადგენს, რომ თვით უკვლავზე სრულყოფილი და უზენაესი იდეობაც კი ვერ გახდება ფართო მკითხველი საზოგადოებრიობის, მთელი ერის კუთვნილება თუ კი ეს მოსაზრებანი შენაფერისი ენობრივი ოსტატობითა და დახვეწილი მხატვრული საშუალებებითა და ფორმებით არ არის გამოკცმული. აქვე მიწადა ხაზი გავუსვა იმ მდგომარეობას, რომ ამ თვალსაზრისითაც კ.

სტა ხეთაგურაძე, ეს შესანიშნავი მკოდნე რუსული პოეზიისა და ოსური ფოლკლორისა, გვევლინება როგორც ბრწყინვალე ქაღოქარი მხატვრული სიტყვისა. იგი დღემდე რჩება თანამედროვე ჩვენი მწერლებისათვის გადუღახავ მიწნად, იშვიათ მაგალითად...

ქოსტა — ეს გახლავთ შემოქმედებითი შრომისა და ზოგადდამაინურ თვისებათა მარმონული თანხმირება, იდეალური ერთიანობა. როგორც პოეტი და როგორც ადამიანი იგი სამუდამოდ რჩება ჩვენი ხალხის მორიალდე ჩიოდღნად.

ერება ხამაყით წარმოთქვამენ იმ ადამი-

ანთა სახელებს, რომლებმაც უველაზე ბრუნეყოფილად და შთილის ბრწყინვალეობით წარმოაჩინეს მათი ეროვნული გენია. ინგლისელი ამაყობს შექსპირით; შოტლანდიელი — ბერნსით; გერმანელი — გოეთეით; იტალიელი — დანტეით; რუსი კი — პუშკინით.

ჩვენ, ოსება ვამაყობთ — ქოსტათი. ვისი სახელის წარმოთქმაზედაც ჩვენი ბულიერი სამყარო სიამაყითა და ამბლებული სიყვარულის გრძნობით იყვება.

ჰანსო აბბაძე

მშვიდობით

გზად ვეშურები. ზურგზე გულდა, ხელში არგანი...
წელზე მარტყია ქამარივით არყის ხის წნელი,
რა უნდა მჭონდეს უკეთესი დასაყარგავი,
მშვიდობით ჩემო, ველარ გნახავ მრავალი წელი.

დიდი ხანია მაგრძნობინე თვალებით — „წადი“
და მე მივდივარ, ჩემო მზეო, რადგან გამწირე,
დავიკარგები, საწყალ გულში ჩავიკლავ წადილს
და მერე შენი გულისცემა გზად გამაცილებს.

მივალ, მშვიდობით, მესსომები სამარემდისაც,
ალარასოდეს არ იქნები ჩემი მნახველი,
დაგავიწყდება ჩემი სახე სამარადისოდ,
დაგავიწყდება უსწრაფესად ჩემი სახელი.

თუ კი მარტოსულს გამიხსენებ სადმე, ოდესმე,
მიხვდები აღბათ, რომ ოცნებით, გულით გეძებდი,
ნუ გაიკვირვებ ჩემი კვენესა თუ შემოგესმა,
გათოშილ ღამით თუ კი სადმე ჩავიკეციბი.

ნუ შეშინდები, ჩემო მზეო, ვინ მიგატოვებს,
მოვა ვინც შენი მწუხარება გაინაწილა,
შეივედრება უფალს იგი, შენთვის მარტოდენ
და თუ დაგპირდა, ვიცი, შენთვის თავსაც გასწირავს.

აჰა, მივდივარ, ჩვენი ბედი გზად გამაცილებს,
მოწმე საზარელ მარცხისა და უამინდობის,
დამოკლდი გზაო, სამუდამოდ რადგან გამწირეს,
მონანიება რას მიშველის, მივალ, მშვიდობით.

მწუხრით მოსილი რომ მენახეთ, მთებო, მერჩინა,
რად არ შთაინთქა გზები მწარე ბედ-იღბლის ზეავით,
გამოჩნდა ვინმე, რომ სამშობლო გადაერჩინა,
მშობელ ხალხისთვის გაეწირა ამაყად თავი?!

ქვითინებს ვინმე?! ხალხის ვარამს ვინმე ვანიცდის?!
აფიქრებს ვინმეს ათასობით ტანჯულთა ხვედრი?!
საუბედუროდ აღარავის, დრო კი არ იცდის,
გადაგვარჩინე, მოგვეშველე, ამასლა გვედრი.

მთები წაგვართვეს და თანდათან დაგვიმორჩილეს,
ჩვენ ბედისწერამ გვიწილადა მწარე ნაყოფი,
რა გვეშველება განწირულებს და გაკოჭილებს,
დამცირებულებს, გათელილებს და უარყოფილთ.

როგორც ცხვრის ფარა მგლების შიშით მიმოფანტული,
ჩვენ გავიფანტეთ, დავცალკევდით, სიკვდილს მოველით,
შეგვკარიბე მწყემსო, შეერთების ჩვენ ვართ ნატრულნი,
შენ დაგვიბრუნე სასოება და სამყოფელი.

ო, ღმერთო, მტერი უფსკრულისკენ მიგვერეკება,
დაბნეულები უფსკრულებში ვხტებით ჩვენ თვითონ,
შენს დამახილზე ხალხი ისევ გამოერკევა,
ხმა გაგვაგონე, მოგვეშველე, მწყემსო კეთილო.

გადმოგვწედა

არ მყავს დედა და არც მამა,
ბედმა არ გამოათამამა,
გადახიზნულს სამშობლოდან,
ობოლსა და არასმქონეს,
ტკბილ სიტყვას ვინ გააგონებს
და იმედი მაინც მქონდა.

ვთქვი: თუ არის ბედისწერა,
დავბრუნდები, მელის კერა,
მივაშურებ ისევ მამულს...
ვტირი სიხარულის ნაცვლად,
გულში ცეცხლი ჩაინაცრა,
გზედავ ცრემლით გადანამულს.

წამედინა ცრემლის ღვარი,
რადგან გზედავ ჩემზე ღარიბს,
უპოვარს და შთენილს ობლად.
მთები გაპარტახებულა,
შავ ნისლეტში გახვეულა,
აღარავინ მღერის სოფლად.

ველარ ხედავ ვაყვაცს გულადს,
ვინც ბრძოლებში გიერთგულა
და უაზრო სიკვდილს ელი.
უასტირჯა — გზის მფარველო,
გადმოგვხედე საყვარელო,
შენგან დახმარებას ველით.

გალა შალვაშვილი

უბერებელი ქართული სული

მიყვარს ნიადაგ ყოფნა ნათელში,
თუნდაც, დღისით და მზისით...
თავისი ფასი იცის ქართველმა,
არცთუ ნაკლებად — სხვისი.
არამცდარამც არ იცის შური,
ლაღობს თვისით და შენით...
უბერებელი ქართული სული,
მარად უკვდავი გენი.
არ ეხერხება ვინმეს გათელვა,
ცხრა უცხოთა შემწე,

სხვისთვის უფრო მეტს შეძლებს
ქართველი,
ვიდრე თავისთვის შეძლებს.
სიტყვას არასდროს ისვრის ჰაერზე,
მისთვის სიტყვაა პური...
ლხენისთვის მუდამ მიზეზს დაეძებს,
და თუკი ილხენს — გულით.
ახსოვს წარსულის ყოველი წყლული
და კარგად იცის შენიც...
უბერებელი ქართული სული, —
მარად უკვდავი გენი.

აჰა, მობრძანდა სიხარული...

აჰა, მობრძანდა სიხარული, ბოლოსდაბოლოს,
მოიყოლია დაფდაფები, ყვავილთა ცვენა...
მე გავიცრიცე, ჩამივარდა ქვესკნელში ენა
და ამნაირად წარვუდევქი სიხარულს მხოლოდ.

ვერა და ველარ, ვერ აღვმართე სხეული — მძორი,
შეწყვიტა სისხლმა მოძრაობა, დამეხშო სმენა,
მიყუჩდა, მიწყდა სურვილები ზენა და ქვენა
და სამზერელნი დაემსგავსნენ სივრცეში ლტოლვილთ.

ეგ იყო, გულის მომძლავრებით ისმოდა ცემა
და ამით ვგრძობდდი — ამაქვეყნად ჯერ კიდევ ვენთე,
ღღეს, გონზე მყოფი, მუხლმოყრილი ვენუკვი ღმერთებს —

ალარ მარგუნონ სიხარული, ან მომცენ ძალა, —
იმგვარი ძალა, რომ ეს ძალა ეიფარო ფარად
გავუძლო ყველა დიდ სიხარულს ათასის დარად.



როგორ უხდება!

როგორ უხდება ის ჩიტი იმ ტოტს,
 ის ტოტი იმ ჩიტს, — შერდილან ლამის...
 და აღარ მახსოვს, თუ ვინმემ მიმტრო
 და ვშიშობ, რამემ გაიღოს ჩქამი.
 როგორ უხდება ის მღვლო იმ ხეს,
 იმ მღვლოს ის ხე... შერდილან ლამის,
 დაცემულ მინდორს — ბებერი ციხე,
 ციხეს — მინდორი — ზურმუხტის ჯამი.
 როგორ უხდება ამ მცხეთას ჯვარი,
 ჯვარს — მცხეთა, ერთურთს შერდილან მტკიცედ,
 თითქოს შეაღე სამოთხის კარი,—
 აქ იმნაირი იგრძნობა სივრცე.

იქნებ ბოლოა

იქნებ ბოლოა ეს გაზაფხული
 და ამიტომაც ასე მალეღვებს,
 სულსხვანაირად ვესაუფთებ
 ტიტებს, ამაყად თავანაღერებს,
 ამ გაზაფხულზე, სხვა სიბეჭითით
 მე ვიმეორებ ძვირფას სახელებს,
 ამ გაზაფხულზე, სულ უმიზეზოდ,
 რაღაც მტანჯავს და რაღაც მამღერებს.
 იქნებ ბოლოა, საბოლოოა
 ეს გაზაფხული ჩემთვის, ვაიმე,
 ჰო, გაზაფხული, თორემ მისდარად
 ქვეყნად არ მიყვარს არაჩაიმე,
 თავში ათასი აზრი ბოჭირობს,
 გულში ათასი დარდი გაირბენს,
 სადღაც უკრავენ ჩემთვის გიტარებს
 და რომღიღარი გააქვს დაირებს.
 ეტყობა, მართლა ბოლოა ჩემთვის, —
 ეს გაზაფხული, ისე მახარებს,
 თანაც ცა არის წრესგადასულად
 მოკამყამე და ახალთახალი,
 ნუთუ უჩემოდ, ისევე იმგვარად,
 ისევე ისე გზნებამალალი,
 მოცაზვავდება აყვავილება
 დაფდაფებით და ებან-ნალარით.

სიზმრების ბრაღია

სიზმრების
ბრაღია

მხოლოდ სიზმრების ბრაღია, მენდე,
მხოლოდ სიზმრების, სხვა არაფერის,
რომ ვერ შევძელი წავეშალო დღემდე
შენი სახე და შენი სახელი.

ჰო, ერევიან სიზმრები ცხადში,
ცხადი — სიზმრებში, რისთვის და
რატომ,

ვერ გამოხსნია ეს სიზმარ-ცხადის
განგებით ქმნილი უსახო ჯაღო.

ცხადში სიზმრების გავლენით დახვალ,
სიზმრებში — ცხადის... ამრიგად, ასე,
მაღალმა იცის, არა მაქვს ზრახვა, —
ცხადს სიზმრით, სიზმარს — სიცხადით
ვაესებ.

ასე... სიზმრების ბრაღია, მენდე,
მხოლოდ სიზმრების, სხვა არაფერის,
რომ ვერ შევძელი წავეშალო დღემდე,
შენი სახე და შენი სახელი.

შემოქმედის დღეგრძელება

ათასი წელი ამგვარად ვცხოვრობ, —
არცავეს ვდებობ, არცავეს ვცოლობ.

მიწყევ ფერებში მეფლობა თვალი,
ეს არის ჩემი პური და წყალი.

მიწყევ ბგერებში მეფლობა ყური,
ეს არის ჩემი წყალი და პური.

თვალწინ სიტყვები მიყრია გუნდად,
ამ სიტყვებს სული ჩავბერო უნდა.

სიტყვას სდევს სიტყვა, მღუმარებს ბაგე,
ლექსს, ანუ ბროლის სასახლეს ვაგებ.

დავბორიალობ სიტყვებში მიწყევ,
მზერას ვაპურებ ცითა და მიწით.

ათასი წელი ამგვარად ვცხოვრობ, —
ვღაობ და ვზვაობ, ვღელავ და
ვმღოვრობ.

ათასი წელი დავეძებ სათქმელს,
ეს არის ჩემი ჯაფა და საქმე.

ნიადაგ მიჭირს, ნიადაგ ვხარობ
და ვერ გავლევ ჩერ ჩემი კაღო.

ამგვარად ვცხოვრობ ათასი წლობით...
ვერ შევიღებე ქანგი და ობი.

მიცვნია მაღლა

ჩანს დავიღალე და თანაც ისე,
ოცნებისათვის არ შემრჩა ძალა,
ჯერ კი იმ ძალას ვდარაჯობ მტკიცედ,
ამ დაღლილობას რომლითაც ვმაღავ.
დრო მაქვს იმდენი, იმდენი დრო მაქვს,—
დრო ვერ მოვნახე—დაფიქრდე შენზე,

ადრე მზორკავდა სურვილი-ნდომა,
აღარ მსურხარ და... თამამად გეძებ.
დაქანგდა ცრემლი, დაჩლუნგდა
ცრემლი, —

მეტი ნაღველი მომძლავრდა რადგან...
ბრუნავს და ბრუნავს ჩემს თავზე კვერი
და ბრუნვა ეგე მიცვნია მაღლად.

მწერალ კარლო არსენაშვილს დაბადების 50 წელი შეუსრულდა. „მნათობის“ კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია ულოცავს ამ თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობასა და დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს.

კარლო არსენაშვილი

თურლოს ხეობის ლეგენდები

მოთხრობა

ხეებს იქით თურლო ატორტმანებდა თავის უზარმაზარ სხეულს. ადიდებულ მდინარის ხმაური ფარავდა წვიმის ხმას. კალაპოტი წყალს გაევსო. მღვრიე მდინარეს თან მოჰქონდა უამრავი ღორი და ნაზამთრალი ნამტკრევეი ტყისა. ბობოქარი მდინარე ნაპირებს ძირს უღრღნიდა. დიდ ხეებს, პაწია ჰუჩქებს და გაზაფხულის ნაზ ყვავილებს ურევდა ერთმანეთში.

ახლაც არ ვიცი, მარტის წვიმიან ღამეში ვხედავდი თუ არა ყოველივე ზემოდჩამოთვლილს. ეს კი ზუსტად მახსოვს, რაც უფრო დიდხანს ვიციკრებოდი მომქუხარე მდინარისაკენ, ჩემი ბავშვური ფანტაზია უფრო მეტად ისხამდა ფრთებს:

აი, თურლო უღმობლად ანგრევდა ნაპირს, ზედიზედ იტაცებდა ხეებს და პაპა თორნიკეს სახლს უახლოვდებოდა. ცოტაც და... აქ კი ჩემი გამონაგონი მევე მაშინებდა, ელდანაკრავივით ვსხლტებოდი მოაჯირს და ოთახში შევბროდი.

ოთახში მელოდებოდა მოგუგუნე

ბუხარი და თეთრწვერა გზის ოსტატი, პაპა თორნიკე.

იგი დინჯად გადმომხედავდა:

— შენ ხარ? მოდი, ახლა ვივანშმოთ. და პატარა ოთახი უეცრად ივსებოდა ხმიადისა და ღველფში შემწვარი კარტოფილის სუნით.

პაპა თორნიკე ჩვენი შორეული ნათესავი იყო და ახლაც არ ვიცი, მშობლებმა რატომ დამტოვეს მასთან საგაზაფხულო არდადეგების დროს.

გზის ოსტატის სახლი შუა ტყეში, გზების გასაყარზე მდებარეობდა, მდინარე თურლოს ახლოს.

ახლა, როდესაც ასფალტმა თითქმის ყველა გზა დაფარა, ხოლო ავტომობილმა ისევე იშვიათი გაბადა ურემი, როგორც უასფალტო გზატკეცილი, გზის ოსტატებმა თავიანთი ძველი მნიშვნელობა დაკარგეს და მათი სახლებიც იშვიათად გვხვდება გზატკეცილების გასწვრივ.

ამ ორმოციოდე წლის წინ კი მათი მნიშვნელობა ძალზე დიდი იყო, გარდა იმისა, რომ ეს პატროსანი, მშრომელი

ადამიანები მხოლოდ წერაქვითა და ნიჩბით შეიარაღებულნი უვლიდნენ გზებს დარსა თუ ავღარში, ისინი ამავე დროს, უანგარო შრომას ეწეოდნენ მგზავრთათვის, როგორც მეგზურნი, როგორც ვასაქირში ხელგამმართველნი. მათი სახლი ხშირად ასრულებდა ძველებური ფუნდუკის როლს.

ო, პაპა თორნიკე! რა კარგი იყო შენთან ყოფნა. როგორი დაუზარელი იყავი, რა გულმოდგინედ ასუფთავებდი გზის გასწვრივ რუებს, რამხელა ღონე გქონდა, როცა ფერდობიდან ჩამოვარდნილ ლოდს ავადმდი გზიდან და რა კეთილი იყავი, როცა გზაზე ჩამორჩენილ მგზავრებს ათევიანებდი ღამეს შენს პატარა სახლში, რომელსაც სამი კედელი ფიცრული ჰქონდა, ხოლო მეოთხე, რომელშიც ბუხარი იყო დატანებული — ქვიტიკისა.

რა კარგი ამბები იცოდი და რა კეთილი ხმა გქონდა, როგორ დაგეფინებოდა ღიმილი სახეზე და როგორ გეტყობოდა, რომ შუბლის შეკვრას დაჩვეული არ იყავი.

— კაცს შენი საქმე უნდა გიყვარდესო — ამბობდი და ჰყუებოდი:

— აგერ ქვევით, ხო იცი, თურღოზე ახლაც ბევრი წისქვილია. წინათაც ყოფილა ერთი წისქვილი, ხოლო იმ წისქვილში მეწისქვილე დაფუსფუსებდა.

ის მეწისქვილე ჩემზე ხნიერი ყოფილა, წვერი თურმე ჩემსავით მკერდამდე ჰქონდა მოშვებული. იმ მეწისქვილეს წერა-კითხვა სცოდნია და რასაც ნახავდა ან გაიგებდა, ყველაფერს იწერდა.

მეწისქვილე ძალზე კეთილი ადამიანი იყო და მთელ სოფელს უყვარდა. ერთხელ განაფხულზე სამჯერ მოსულა სეტყვა, მერე გვალვა დამდგარა და მოსავალი სულ გაუნადგურებია. საფქვავე არა ჰქონია მეწისქვილეს და მიწისავე ვერ აძლევდა ბატონს.

გაბრაზებულა ბატონი და მხლებლებთან ერთად წამოსულა მეწისქვილისაკენ.

მეწისქვილე წისქვილის სარკმელთან

მჯდარა და ნახულსა და გავიწილს წერდა სქელ წიგნში.

სარკმლიდან დაუნახავს, როგორ ჩამოდიოდნენ მხედრები დაღმართზე. მიმხვდარა, ბატონი მოდის ჩემთანო. გულს ცუდი უგრძენია. ერთი სამალავი ჰქონია და ნაწერები იქ შეუნახავს.

ბატონი და მხლებლები შემოსულან წისქვილში. ამ მხლებლებში ერთი ბატონის მდივან-ბეგი ყოფილა. ის მდივან-ბეგი, როცა პატარა ბიჭი იყო, თურმე ბატონის მამას მოუთხოვია თათრების ყვენისთვის მისართმევად. დედამამს კი მეწისქვილესთან გადაუმალა. მან მეწისქვილის ყველა ავან-ჩავანი იცოდა. როცა ახალგაზრდა ბატონის მამა მომკვდარა, მხოლოდ მაშინ წაუყვანიათ მშობლებს.

ჰოდა, ბატონმა გადასახადი მოსთხოვა მეწისქვილეს. მეწისქვილეს საფქვავე არა ჰქონდა, მიწიც არა ჰქონდა და ფქვილი როგორ უნდა გადაეხადა.

ბატონი გაბრაზდა და წისქვილის გაჩხრეკა ბრძანა. მხლებლებმა იქაურობა გადააქოთ-გადმოაქოთეს, ნაპოვნი ფქვილი, ერთ ხმიაღსაც რო არ ეყოფოდა, ისიც კი წაართვეს. თან ბატონმა მათარაბი გადაუქირა მოხუცს.

მაშინ წამოღდა ის მხლებელი, რომელმაც მეწისქვილის სამალავები იცოდა. მეწისქვილეს ფერი წაუვიდა. იმ ბოროტმა კაცმა ვერაფერი იპოვა, გარდა მეწისქვილის ნაწერებისა.

ბატონმა ნაწერები, ხან აღმა ატრიალა, ხან დახმა, ვერაფერი გაუგო და ბუხარში შეყარა.

მეწისქვილე წამოენთო, ბუხრისკენ გაქანდა, შიგ ორივე ხელი ჩაჰყო, სიღამწერე არ უგრძენია, მაგრამ ხელში მხოლოდ ქაღალდის ფერფლი ამოჰყვა, მეორედ ჩაჰყო ორივე ხელი, ორი დიდი მუგუზალი ამოიყოლა და ბატონს შეუტია. ვილაცამ წიხლი ჰკრა. ზედ შესდგნენ, სცემეს და წავიდნენ.

მეწისქვილე როცა გონს მოვიდა, თავის გარშემო მხოლოდ ცეცხლი დაინახა. მკლავებით წამოიწია, მერე გაახსენდა, რომ ხანში შესული იყო, ბევრი

რამ გაეგონა და ბევრი რამ ენახა, რაც წერა-კითხვა ისწავლა, ყოველდღე წერდა და ამდენი გაგონილისა და ნახულის დასაწერად სიცოცხლე აღარ ეყოფოდა. ოდნავ კიდევ წამოიწია, გარშემო ცეცხლი იდგა, გაუფალი ცეცხლი... მაგრამ იგი უკვე აღარაფერზე დარდობდა — რალა აზრი ჰქონდა უაზრო სიცოცხლეს თუკი ნანახსა და განცდილს ქალღღებზე ვერ გადაიტანდა და შთამომავლობას ვერ აუწყებდა...

ასე აღესრულნენ იმ წყევულ დღეს სოფლის მარჩენალი წისქვილი და მისი გულის მესაიდუმლე... ეს თავისებური მატთანე ერისა“.

პაპა თორნიკე ჩაახველებდა, უღვაშებზე ხელს გადისევამდა:

— კაცს შენი ქვეყანა უნდა გიყვარდესო — იტყოდა და ჰყვებოდა:

„მთიელ ბერდიას და ბარელ წყალობას არც ახსოვდათ, როდის ნახეს პირველად ერთმანეთი. როცა ქულზე კაცს დაიძახებდნენ, მთიდან დამჩრული გუნდი, ბარში წყალობას სოფელზე გამოივლიდა ხოლმე.

შეერთებული ლაშქარი ერთად მიდიოდა საომრად.

ლაშქრის კორიანტელს უკან მისდევდნენ წყალობა და ბერდია.

წყალობას და ბერდიას მხოლოდ მაშინ იხსენებდნენ, როცა სამხედრო ბანაკს დასცემდნენ და ისიც იმისთვის, რომ ბანაკის გუშაგობა ჩაებარებინათ.

მარტონი და ობლები გარეგნობითაც ჰგავდნენ ერთმანეთს:

ორივე დახლართულნი დაიარებოდნენ; ორივეს შუბლზე ნახმლევი ეტყობოდა და ცალი თვალით უყურებდნენ ქვეყანას, მარჯვენაზე ორივეს ჩამოთლილი ჰქონდა ნეკა და არათითი.

მათ ძველებურად უკვე არავინ იხსენებდა და მხოლოდ მაშინ აგონდებოდათ, როცა ბანაკის გუშაგებად ნიშნავდნენ.

ერთიმეორე კი ძალზე უყვარდათ და შეხვედრისას მოიკითხავდნენ ოჯახებს, თუმცა მარტოხელანი იყვნენ, მოიკითხავდნენ საქონელს, თუმცა მხოლოდ

ჯაგლაგა ცხენი ჰყავდათ, მოიკითხავდნენ მოსავალს, თუმცა წამსტყეცი არ გააჩნდათ.

ნანადირევი იყო მათი ძირითადი საჩხო, ხოლო ოცნება — ცხოვრება.

ღამე ანთებდნენ პატარა კოცონს, შემოუსხდებოდნენ გარშემო და ისევ ცხოვრებაზე საუბრობდნენ, თუმცა მარტობაში გატარებულ ერთფეროვან დღეებს, მხოლოდ ომის ძახილი არღვევდა.

და ერთი ჰქონდა სანატრელი წყალობას:

— ოღონდ საქართველოს გარეთ არ მოვკვდე. თუ ვინმე მომკლავს ჩემი ცხედარი წამოიღე და სადაც პირველ ქართულ სოფელს ნახავ, იქ დამმარხეო.

ბერდაც მხოლოდ ერთს ნატრობდა:

— არც მე მწადს სხვაგან სიკვდილი და თუ ღმერთი გწამს, მთაში წამიღე, თუ მომკლავენ და ჩემ სოფელში დამმარხეო.

და აუტყდებოდათ ამაზე დავა. ამაო იყო წყალობას ცდა გადაეთქმევიწინებინა ბერდიასთვის სურვილი. გაცხარდებოდნენ, აბუზღუნდებოდნენ, შემდეგ გაიზუმდებოდნენ, ნალვლის ფერი გადაუვლიდათ სახეზე.

ბოლოს წყალობა შესთავაზებდა:

— პა, ცოტა ხანს წაუძინე, ხვალ ხომ ჩვენაც უნდა ვიომოთ.

— არა, ჭერ შენ დაიძინე, კაცო.

— არა, ჭერ შენ.

და ახლა ერთმანეთის თავაზი დაერეოდათ. ბოლოს კენჭს ჰყრიდნენ და ერთ-ერთი გაეხვევოდა ნაბადში, შემდეგ გამოიღვიძებდა და მეორე დაიძინებდა. ძილში სიზმრებს ხედავდნენ.

ესიზმრებოდათ ტკბილი ნაზუჭი, რომელიც დედის გარდაცვალების მერე აღარ ეჭამათ.

ესიზმრებოდათ ლამაზი ქალი, რომელსაც არასოდეს ჩახვევიან.

ესიზმრებოდათ უცხო იარაღი, რომელსაც ნადავლში არავინ უყოფდოთ. ესიზმრებოდათ ყველაფერი, რაც ბე-

დმა თუ უბედობამ მოაკლოთ. აკლდით კი ბევრი რამ...

იმ ღამესაც ერთთ კოცონი. ლოლნიდნენ ქერის პურსა და კალტს და საღი თვალით გადასცქეროდნენ კოცონს ზევით ერთმანეთს.

შვიდი ღამე იდგა. ცა მოწმენდილი იყო, მაგრამ შემოდგომის შემპარავი სუსხი იგრძნობოდა.

წყალობა უგუნებობას ამჩნევდა ბერდიას. ხან დედა მოიგონა, მატყლს რომ ართავდა დიდი კაკლის ქვეშ, ხან წინა ომის ამბავი.

ბერდიას უგუნებობა წყალობასაც გადაედო და რატომღაც სიკვდილი გაახსენდა. გაახსენდა და ტანში გააყრუოლა.

— ჰაი, დედასა! ნეტა ომში მიინც მოგვედმე, შენც იქვე იქნები და პატრონობას გამოიწვევ.

— არა, წყალობავ, კაცი ნუ მოგვედება, თორემ დაუმარხავი არ დარჩება.

— მართალია, მაგრამ პატრონი სულ სხვაა... აი, თუ ჩვენს მიწა-წყალზე მოვეკვდი. მაშინ ხომ აქვე დავიმარხები — არა ვნადვლობ სიკვდილს; თუ უცხო ქვეყანაში, — მაშინ წამოიღე ჩემი ცხედარი და სადაც პირველ ქართულ სასაფლაოს ნახავ, იქ დამმარხე.

— კარგი, წყალობავ, კარგი — სიტყვა მისცა ბერდიამ, ტიკჭორიდან წყალი დაისხა ჭამზე, დალია და მეგობარს მიუბრუნდა — შენ კი ჩემ სოფელში წამასვენე და სადაც ჩემი მამა-პაპის საძვალეა, იქ მიმზარე.

— რა ბედენაა. შენი მამა-პაპის საძვალეც ჩვენია და ეს მიწაც ჩვენია.

— არა, წყალობავ, არა! მამა-პაპის საძვალე სულ სხვაა!

— ეჰ! გეყოფა ერთი. იქამდე ვერ გატარებ. საცა ჩვენი მიწა შემგვდება, იქ დამმარხავ — უცებ მოიქუფრა წყალობა და ცეცხლს ფიჩხი დააყარა. ფიჩხი ტკაც-ტყუცით იწვოდა.

— ჰაი, დედასა! — დაიკრა მჭილი ბერდიამ, ერთ რამესა გთხოვ და...

— მერე და არ გესმის, რომა ესეც ჩვენი მამა-პაპის მიწაა!...

— არა, წყალობავ, არა! მიწა, მიწა, მაგრამ მამა-პაპის საძვალე სულ სხვაა. აქ არ დამმარხო. ერთ რამესა გთხოვ, წამოიღე და...

— საღ წავიღო, საღა? ხეალ აქ რომ მოგვლან, აქ არ დამმარხო?

— არა, წყალობავ, არა!

— შენს სოფელში უნდა წავიღო?!

— უკვირდა წყალობას ბერდიას სიჯიუტე.

— ჰო, წყალობავ, ჩემ სოფელში, მამა-პაპის საძვალეში ჩამფალ. ერთ რამესა გთხოვ და... — იოცებდა ბერდიას წყალობას სიჯიუტეს და ვერ გაეგო რა აბრაზებდა მეგობარს.

— მაშ, უნდა იქ წავიღო? რათა მერე? რა ბედენაა, ესეც ჩვენი მიწაა, ჩვენი!... — უკვე ფეხზე ამდგარი ყვიროდა წყალობა.

— ჰაი გიდი, რო ჩვენი მიწაა, ჩვენი, მაგრამ ჩემი მამა-პაპის საძვალეს მიმზარე, გესმის, ჩემი მამა-პაპის საძვალეს. — ბერდიამაც ხმას აუწია.

უცებ სიბნელეში ვიღაცამ დაიძახა: — დაგვაბინეთ ვაეკაცებო, როცა ჩვენ ვიომებო, იჯექით ცეცხლთან და რამდენიც გინდათ, იმდენი იყბედეთ...

წყალობა სწრაფად შეტრიალდა სიბნელისაკენ, ხანჯლის ტარს მარჯვენა ჩაარტყა, ამოიგმინა და კუნძზე ჩამოჯდა.

ორივეს მოულოდნელად საშინელი სევდა შემოაწვა და მთელ ღამეს კრინტიც არ დაუძრავთ.

მეორე დღეს, დილაადრიან კენჭი ყარეს: ომში პირველად გასვლა ბერდიას ერგო.

პირობა დათქვეს: მზე შუბის სიმაღლეზე რომ ამოიწვედა, ბერდია ბანაკში დაბრუნდებოდა, გუშავს შესცვლიდა და ახლა წყალობა მოსინჯავდა იარაღს.

და აი, გათენდა კიდევაც...

მზემ შუბის სიმაღლეზე ამოიწია — ბერდია არ ჩანდა.

„ბრძოლაში გაერთობოდა. წინათაც დაუგვიანია. ბოლოს გამოვიდოდა და იტყოდა: — კარგი ვაეკაცი იყო მამა-

ძალი, არც სიკვდილი უნდოდა, არც გაიქცა, მებრძოლა, მებრძოლა და მეზურგეს ხო არ ვაჩვენებდიო, ახლაც გამოვა“ — თავის სანუგეშოდ ფიქრობდა წყალობა და უნაგირის გარშემო წრიალებდა.

მზემ ორი შუბის სიმაღლეზე ამოიწია — ბერდია არ ჩანდა.

შუადღემ მოატანა — ბერდია არ ჩანდა...

მზე გადაიხარა — ბერდია არ ჩანდა...

მზე უკვე ქედს წამოედო, არც მაშინ გამოჩნდა ბერდია და გონჯი გუშავი საგონებელში ჩაეარდა.

დამთავრდა ომი. მტერი გაიქცა, მეომრები მკვდრებსა და დაჭრილებს კრეფავდნენ. ეშხადებოდნენ შინ დასაბრუნებლად.

წყალობა დაბრუნდა და ბერდიას ეძებდა

ბერდიას სოფლებებს მიაკითხა.

— ბერდია და ომი? — აროხროხდნენ ვაჟკაცები — ათი წლის წინ ბიძაშვილი მოუკლეს გიორგობაში, იმის სისხლიც არ აუღია — ბერდია და ომი?! — როხროხებდნენ ვაჟკაცები.

წყალობა მთელი ღამე ეძებდა ბერდიას.

იქნება მოჰკლეს? — არა, არ მოჰკლავდნენ.

იქნება ტყვედ ჩაეარდა? — არა, არა! ეს არ შეიძლება! მაშ, სად არის? სად არის?

წყალობა მთელი ღამე ეძებდა ბერდიას და მეორე დღეს, დილით, ბინდბუნდში მდინარის პირას ლიჭვიანში მიაგნო.

— ბერდია! ბერდია!...

წყალობამ პეშვით ამოიტანა წყალი

მდინარიდან და სახეზე დაასხა. შერე ბეჭებქვეშ შეუცურა ხელის სისხლიც გარშემო.

— ბერდია! ბერდია!

ბერდიამ ოდნავ გაახილა სალი თვალი.

— ბერდია! არ მოკვდე! ბიჭავ, არ მოკვდე, ნუ გეშინია, გესმის, შენი მამა-პაპის საძვალეში დაგმარხავ, ოღონდ ახლა არ მოკვდე, ბიჭავ! არ მოკვდე!

— რა ბედენაა, რა ბედენაა — ლულულეზდა ბერდია და ნელა ხუჭავდა ქუთუთოს, — პირველ ქართულ სასაფლაოზე, პირველ ქართულ სასაფლაოზე...

— არ მოკვდე ბიჭავ! არ მოკვდე ბიჭავ! არ მოკვდე! — ღრიალებდა გონჯი წყალობა.

დიდხანს უჯდა წყალობა მომავლად ბერდიას თავითი და სიცოცხლეში პირველად ტიროდა.

ცხელარი ცხენზე გადაჰკიდა და ბერდიას სოფლისაკენ გასწია. მას არ გაუგია რას ლულულეზდა ბერდია სიკვდილის წინ...

— ჰა, ხომ არ დაგეძინა, შვილო! — შემეხმინა პაპა თორნიკე.

— არა პაპა, — ვუპასუხე მე.

— შენ, ხომ მიხვდი, რის თქმა უნდოდა ბერდიას?

— მივხვდი, პაპა თორნიკე, მივხვდი! — და ოთახში ისევ ჩნდებოდა მაგიდა, ისევ გამოკრთოდნენ კუთხეში მიწყობილი ძალაყინები, ნიჩბები, წერაქვები, გუგუნებდა ბუხარი.

ბუხართან იჯდა ბეჭებში მოხრილი უზარმაზარი მოხუცი, რომლის სახეს ალისფერი შარავანდელი ღანძავდა, ხოლო შორიდან კი შემოდინოდა ამღვრეული მდინარის ხმაური.

სიკეთი

შენ შემოგველე, საღ დადიხარ, დაეხეტები,
უკრდეგანო ამ ქვეყანაზე!
დარჩა კი ვინმე ისეთი, შენს წმინდა გულზე
ფეხი რომ არ დაედგა,
ან დაცინვა ნაცარივით არ შეეყარა
შენთვის თვალებში?...
მოგვიტევე დანაშაული,
აუხსნელია და მიუგნები შენი სხივები:
ჩვენ კი საბრალოთ, — ტალახისგან მოზელილებს,
ლაქვარდისფერი მოშრიალე ფარჩებით მოსილთ,
გვეუცხოები უცხო მგზავრი, —
დაძინილი შენი სამოსით...
შე უცნაურო, აუხსნელო, შე კონკისძველავ,
გედიდებით, გელალებით, გედიდგულებით, —
შენი ღიმილის ერთ გვირილადაც
რომ არა ვღირვართ.
თავზე დაგზურეთ ეკლიანი მძიმე გვირგვინი,
რომ მოგარიდოს თავი ყველამ,
დაგდევთ ყიყინით,
შენი წაჭყევის მოლოდინით აღტკინებულნი.

შენ ისევ დახვალ დედამიწაზე,
აუმღვრეველი სიმშვილით სავსე...
ყველას კარებზე აკაკუნებ, ყველას ეწვევი,
ყველას გულიდან აძრობ ხიწვებს, შხამიან ისრებს...
არ მიწყინო შენი ჭირიმე,
ყველა ვით გიყვარს,
ყველას ცისკენ ვით იპატიეებ?!

ისე მცირე ვარ, უსუსური და საბრალოსი
რაც შენ დამტრევე,
წაჭყეულის წამოყენებაც არ შემიძლია,
და მეშინია, მეშინია სულაც არ გავქრე...



შემოდგი ფეხი ჩემს ბილიკზე,
 აცეკვდება შენტვის ბალახი,
 შემოდგი ფეხი ჩემს ბილიკზე,
 გამიცისკრე ღამის უკუნნი.
 შემოდგი ფეხი ჩემს ბილიკზე,
 კვლავ ხელახლა აღმომაცენე,
 ამამალე, ამაყვავილე, ამახშიანე,
 და მიმსახურე,
 მიმსახურე შენი ჳირიმე,
 რადგან მე შენთან,
 მხოლოდ შენთან ვარ ბედნიერი.

გადასახდელი ღალა

პინაო, ჩემო სიცოცხლის
 რა ცუდუბრალოდ ქანაობ;
 სტუმარ მოგიდის უცხოი,
 ადე, გახედე ქალაო.

ფერ-ფერი რაზედ გიკრთება,
 შენს თავთან რისთვის ძალაობ?!
 გაბრუნდეს დიდი რამეა,
 თუ ვერ მოგივა კვლავაო...

არა გაქვს ბროლი, ბადახში,
 არცრა გექნება ხვალაო,
 თურმე გამართებდა მაინცა,
 გადაუხდელი ღალაო:

უცქერდი მზისა ამოსვლას,
 გიმწიფდა პურის ყანაო,
 მომკალსაც მოიძიებდი,
 არ დაგაცლიდნენ განაო?!..

ვარსკვლავთა უბეს იყრიდი,
 ახლა ცრემლებში ბანაობ,
 რა თავსასთუმლად დაგიდევეს,
 გაფხავებული დანაო.

ნუ მეცრუები, ამოთქვი,
 გიჭირს, რომ ასე ცალაობ.
 სიცოცხლე გადაგქცევია
 გადასაყრელი ჩალაო.

შენც მოსავალი მოგემკა,
 მზის მოწეული ყანაო,
 პური გექმია მწიფრთა,
 არა გიჩნს მადლად განაო?!..

გესმის, თბოლი ქვითინებს,
 ცრემლთ აუფსია ქალაო...
 ე, მასთან გადაგებდა
 გადაუხდელი ღალაო.

არა თქვა, ვალი არ მმართებს,
 არცა სიკეთეს ვმალავო:
 გაიხსენებდა ჩემობას,
 გაუკვალავ გზებს ვკვალავო...

დღენი ხან დაგილონდება,
 აგიმღერდება ხანაო,
 დაგვიწყებია, ბედშაო,
 ბუნების ტკბილი ნანაო...

სულ რომ ულხინდეს, ვინაა,
 სულ რომ აღმასი თვალაო...
 გულს რომ გვიჩუყებ სიკვდილით,
 ვერ დაგვიმგზავრებ თანაო...

სასო რომ წარგიკვეთია,
 ქარში ლერწამებრ ქანაობ;
 სტუმრად სიცოცხლე მოგვსვლია;
 გაუმასპინძლდი, ქალაო!

რწმუნა

საქართველოს
საბჭოთაო კავშირისთვის

გეაჭები, ნუ გამწირავ
მოვკვდი, შენ კერძ დაშმარებო...

გურამიშვილი

სად ხარ, ჩემო, რწმუნის შუქო,
მზეს, საწუთროვ, მპარავ რადა?!
ჩამოჭურფრა თვალთა ზეცამ
ცრემლთა წვიმის მძიმე ფარდა;
თითქოს ჩემთან აღარა ხარ,
თითქოს მაინც დამდეგ ლანდალ.

მე ტარიგი ვიყავ შენი,
სხვა სამსხვერპლო არცა მწამდა;
შენი საკურთხეველის ნათლის
და დაღვრილი სისხლის გარდა, —
არც მქონია სალოცავი, —
არც მიმყვება სხვა რამ დარდალ.

დაკარგული ჩემი ზეცის
სევდა მზაფრავს, სევდა მდაგავს,
ვერ ვთენდები, ვერვის ვშველი,
კუნაპეტი ლამე მთანგავს.
საესაგო, დღესამომდე
შენ მიხრავდი მწუხრის ლაგამს.

მაქეზებდი კეთილის ქმნად,
ახლა ვგავარ მხოლოდ ავდარს,
ვინ მიპოვოს შენისთანამ,
თვით სად ვპოვებ მე შენს სადარს?!
ლექსით მაინც ვუაღერსო
შენი სახის ღვთიურ ჭავარს.

ხმა მაწვდინე მომლოდინეს,
შეზინულსა უცხო კარავს;
ვაჲ, მოვთქვამ, ცრუ საწუთრო,
უკანასკნელ დღეებს მპარავს...
„მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი
სატკივარი არა ჰფარავს“.

ვაჲ, როგორ მწარედ ჩავხვდი
ამ ცხოვრების მძიმე ანბანს.
მაგრამ შენი წმინდა ცრემლი,
ვიცი, ბალღამისგან გამბანს;
მერე თვითვე გიამბობენ
ჩემი გადარჩენის ამბავს...
ჩემი გადარჩენის ამბავს...
ჩემი გადარჩენის ამბავს...



ვახა ჩორღელი

ღატიანთ მინისტრი

მოთხრობა

გასულ ზაფხულს გადაწყდა...

სიდერმა ყანა-ბოსტნის გვერდით, იქვე, სახლის ახლოს შესთავაზა დასახლება სიძეს. რა თქმა უნდა, მეუღლემ, ქალბატონმა ლიანამ (ლიას ნძახდნენ ქალაქში) დედამისს კვერი მაშინვე დაუკრა. ისიც კი დააყოლა: მაგისი სოფელი რად ვარგა, ერთი თუ წამოწვიმა, მორჩა და გათავდა, ტალახიდან ვერ ამოხვალა, რიონი ველარ გაგრეცხავსო. ჩვენი სოფელი პარიზივითააო...

— ვინ მომცემს სამოსახლო ადგილს სხვის მიწა-წყალზეო. — ერთი თქვა შავლემ და ხელიც კი აიქნია.

— მაგხელა თანამდებობის კაცს, ტრესტის მთავარ ინჟინერს, ხვალ-ზევით რომ მინისტრი უნდა გახდეს, ვინ გაგიბედავს უარის თქმას, თანაც ამ მივარდნილ ადგილზე. არც საბჭო იტყვის რაიმეს და არც მიწვანი. ერთი კაცი კი ჩამოემართოს ამ სოფელს, ზაფხულობით მაინც და ვინ უნდა იყოს უარის მოქმედი, თანაც თქვენი თანამდებობის კაცისთვის! აბა, ბეჩა, კი გაგიბედავდნენ და! — შავლეს სიდერმა მჭილი დიაკრა.

— არა, კაცო, არა, რას ამბობთ, ხომ ამიკლო სოფელმა, სხვის მიწა-წყალზე დასახლდით, აქ ვერ იხარაო...

— ააგდო ქვა შავლემ.

— აბა, გენაცვალე, რაღაცა ერთი

თვით ჩამოვალ დასასვენებლად, შენს ავშარა მიშვებულ კახელ დედინაცვალს ვერ შევვაკმევინებ თავს! ხორცებს მაგლეჯენო, გამოპრუტუნებულ მამაშენს რომ ატყუებს და აცოდებს თავს! ვითომ არ იცოდე! სადაც მოშარდავს, ბალახი აღარ ამოდის და ისეთი ქალის გვერდით გინდა დამასახლო? არა, გენაცვალე, არა, ცოცხალი თავით არ ვიზამ! — შავლეს აგდებულ ქვას ლიანამ შეუშვირა თავი.

— ჩვენთვის ვიქნებით, იქით, ტყის პირას... — განუმარტა შავლემ ცოლს.

— კაცო, ახლაც აგერ ვართ თბილისში, ჩვენთვის და ისე გვწყველის, მეორე კაცს ენა არ მოუბრუნდება ისე. ჯანდაბა მაგას, მაგის გვერდით რა მინდა! საერთოდ არ მინდა აქაურობა, ზამთარ-ზაფხულ იქ, თბილისში, გამოვიხუთები, მაგისი ზიარი არც მზე მინდა და არც პაერი და არც სოფელი. რო დაიბადება ჯიშიანად ამოსაგდები ადამიანი, მორჩა მერე, იმასთან არაფერი არ გაჭრის! — ისე გაცხარებით ლაპარაკობდა ლიანა, სისხლი რომ ჩაქცეოდა, გასაკვირიც არ იქნებოდა.

— წინ კლდე, უკან მეწყერი, შუაში კილევ თქვენი თავი! — გაბრაზებულმა შავლემ კიბის საფეხურები სირბილით აიარა, აივანზე, კუთხეში მიდგმულ ტახტზე წამოწვა და ერთი კვირის

უკანდელი გაზეთი ზედ ცხვირწინ მი-
იტანა.

— ან შე გავიტან ჩემსას, ან საერ-
თოდ არ მინდა სახლი და აგარაკი! იმ
ქალს რომ ენა აქვს, მტრისას! რაც იმ
სოფელში ყვავი დაფრინავდა, ყველა
მისმა ენამ ჩამოაგდო ძირს! ისიც კი
დაუტრიაბა, ჩემი გერების ჭინაზე
ისეთი სახლი უნდა ვიყიდო თბილის-
ში, თვალები დავეყენო! თვალც მ-
გას დაუშტეს და ჭიშიც! — ისე ხმა-
ლა ელაპარაკებოდა დედას ლიანა, შო-
რიდან მაცქერალ კაცს ეგონებოდა,
ეს-ესაა, დედა-შვილი ხელჩართულ
ჩხუბზე გადავლენო.

— ბები, ბები, მამა სად არის? —
უმცროსი შვილიშვილი შეეკითხა ბე-
ბიას.

— ზევით არის, ავიანზე.

— მამი, მამი, სანახშოზე გიძახიან,
აუცილებ უად ჩამოვიდესო.

— სანახშოზე არა, ისაა... — ჩაი-
ბურტყუნა შავლემ, — ერთხელაც იქ-
ნება, მოკვდება იი ოჯახდასაქცივი, აბა,
ცასა და მიწას ხომ არ გამოეკერება
და... — დააყოლა ბოლოს.

— ბეჩა, არ გამაცოფა ქალი? — თა-
ვისთვის ბუტბუტებდა ლიანაც.

„კამაზი“ დატვირთეს და დასავლ-
თისკენ მიმავალ გზას დაადგნენ...

ბიჭმა მოიწყინა...

— რა ცხვირი ჩამოგტირის, ხომ
არაფერი გტყავა? — შავლე რამდენ-
ჯერმე შეეკითხა შვილს.

გზადაგზა, წოორ-წოორ, არც მძო-
ლმა მოუსვენა ვოგას, რა იყო, ზმას
რატომ არ იღებო, ხომ არაფერი გაწ-
ყენინეო...

— რას გადამეკიდეთ, სხვა სალაპა-
რაკო გამოგელიათ თუ რააო! — გაწყ-
რა ბოლოს ბიჭი.

— ეგრე ქენი, რა, დაილაპარაკე, შენ-
ხელა რომ ვიყავი, ერთი არშინი ენა
მქონდა, ცოტა ახლა დამიმოკლა ცხოვ-
რებამ თორე, ევე! — ბავშვობა მოი-
გონა მძოლომა.

— მარცხ რა იყავი ისეთი! — გაკენ-
წლა შავლემ.

— ყარამან ყანთელი! ნამდვილი ყა-
რამან ყანთელი! არ მეტყობა თუ ამ-
ხელა ბებლენ მანქანას რომ გამოეკ-
არა ვარ ყარამან ყანთელი თუ? ეჭე-
პეეე, სიჭეილე! — გადაიხარხარა ბო-
ლოს ზალიკომ და საჭე ისე ღონივრად
მიღრიბ-მოღრიბა, მკლავებზე კუნთები
დაეყარა.

— ნათქვამია, გზა სიარულმა დალიაო,
აი, ესაა პურის საჭმელი ადგილი. შუა
გზააო, ამბობენ ისე, სიტყვაზე, რად-
გან აქედან იქამდე, სოფლამდე, ისეთი
მიხვეულ-მოხვეული გზაა, ბევრ დროს
გართმევს. დროის მიხედვითაა შუა
გზა, თორემ ისე ვაცილებით ნაკლები
კილომეტრაჟია. აქ გააჩერე, იქით გა-
დააყენე მანქანა, გვერდით, აქ იმდენი
„შიგულეები“ დაქრიან, არაფერ წაგარ-
ტყას და არა გაგიფუტოს რა. — არ უნ-
დოდა, მაგრამ მინც ვაეცინა ბოლო
სიტყვებზე შავლეს.

— ეს ვინ ყოფილა, რავე გაუცინარ
ხელმწიფესავით ზის, გაიცინე, ბიჭო,
გაიცინე, ცოდვა არაა ჩვენი „კამაზი“
„შიგულეებმა“ რომ გაგვიფუტოს? რო-
გორღა ვაჭამო ცოლ-შვილს ლუკმა-
პური, გაიცინე, ბიჭო, ვა! — ახლა
ზალიკო ჩააჭინდა ბიჭს.

— პატარა ვისადლოთ. პირი ვავიხ-
სნათ. ჩემმა „კენინამ“ საგულდაგულოდ
გამოგვატანა საჭმელები. ჯერ იყო და
ბიჭს არ უშვებდა. თავიდან მეც არ მი-
შვებდა სატვირთო მანქანით, სამსახუ-
რის მანქანით წადი, დაფასებულადო.
ეე, ქალებს რომ აყვე! — ხელი ჩაიჭ-
ნია შავლემ და ხორავით საესე ჩანთას
ხელი წაატანა.

— ოპა! ესეც გაჩერება! — დაამუ-
ხრულა მანქანა ზალიკომ.

— რამოდენა ხალხი გამოშლილა, კა-
ციო! სულა მგონია, ქვეყანა ფეხადაა ამ-
დგარი, მიღის და მოღის, დასაჯდომად
არაფისა სცალია-თქო, მე და ჩემმა ღმე-
რთმა, და! მართლდება კია!

— კოლუმბს მაშინ რომ ეს ტექნიკა
ქონოდა, მეორე ამერიკასაც აღმოაჩე-
ნდა! — დაუსვა ბეჭედი ზალიკომ.

გზის პირები, წყაროს შემოგარენ-

თან, მსუბუქი ავტომატანებით იყო გაძევილი. სატვირთო მანქანაც ბევრი იდგა.

რკინის მილით გადმოდიოდა წყარო.

— მაგარი წყალია, ძმაო, მაგარი! ეს მომცა თბილისურ პაპანაქებაში რუსთაველის პროსპექტზე და ფულს გავაკეთებ! ამ მანქანას რო დავათრევე, დავჭდები მშვიდად და ვიცხოვრებ. წყალზე ვიცხოვრებ-მეთქი, მერე ნახეთ ჩემი ტრაბახი! — წყლით მოინდომა ზალიკომ გამდიდრება.

შავლეს გაეცინა.

გოგამ პირი დაიბანა, თმები ჩამოისწორა. მეცხრე კლასში გადადიოდა, აწოწილი ბიჭი იყო, სიგამბრდრე უხდებოდა...

— შავლე ბატონო, აქეთ, აქეთ, შავლე ბატონო! — უძახდა შავლეს ვიღაც მაღალი, შავგვრემანი კაცი.

შავლემ იქით მიიხედა, თვალი მოავლო სკასავით მოფუსფუსე მიდამოს.

— აქეთ, აქეთ, შავლე ბატონო! — ხელაწეული კაცი შავლესკენ გაემართა.

„ვოლგის“ საბარგულზე გაეშალათ სუფრა.

— ეგ საკმელ-სასმელი იქით დაგჭირდებათ, წაიღე, ბიძიკო, ისევე მანქანაში! ახლა ჩვენთან მობრძანდით, ისეთი ღვინო გვაქვს, ფრჩხილზე გამოყვანილი, ხვთის წილი მარნიდან მოგვაქვს, დედის რძე და ეს ჰაი და ჰა! — შავგვრემანი კაცი ღვინოს აქებდა, — ეს შოფერი ჩვენებური არ უნდა იყოს, — დააყოლა ბოლოს.

სწორი ბრძანდებით, მეორედ მოედვიარ თქვენს მხარეში. — თითქოს დაირცხვინა ზალიკომ.

— აბა, ჩვენს სტუმრებს გაუმარჯოს! ორიოდ სიტყვით მოვახსენებთ: ძველი მეგობრები ვართ, ჩემი სოფლის სიძეც ვახლავთ! ბალობაში კარგი მოსწავლე იყო! სოფლის ბიჭებს კი არა, ძმებსაც მოუჭოკრა! ფრიადებზე სწავლობდა! რო წამოიზარდა, პალსტუხი გაიკეთა, გამოიწვიპა! ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთხელ ვილაკას, სოფელ ინტრიგანს, დაუნახავს ამისთვის

პალსტუხი და რა უთქვამთ, იცით? ეს ძალი ჩვენია, მარა, ღობეზე გამოსამგელი ჭრელი თოკი ყელზე ვინ ჩამოკიდაო! შენ გააჩუმებ მერე სოფლის ენას? იგივე ინტრიგანის ენით გავარდა ხმა, დათიანთებს მინისტრი ეზრდებათ სახლიო! ის დღე იყო და ის, იმის მერე დათიანთ მინისტრის სახელით მონათლეს! დათია ერქვა ამათ პაპას, თურმე! არა, ამისთანა ნათლია, ამას რომ აღმოაჩნდა, ინტრიგანი კი არა, წინასწარმეტყველი ყოფილა! ვენაცვალე მის ენა-პირს! მეგობრებო, ჩვენი შავლე დღეს მართლა ხელმწიფის ტოლი კაცია ტრესტში, მთავარი ინჟინერია, მთავარი! რიგითი კი არ გვეგონოთ, რიგითების მეტი რა ყრია ქვეყანაზე! აბა, შევსვით ჩვენი სუფრისა და კუთხის საპატიო მამულიშვილის სადღეგრძელო! — რიხიანად თქვა შავგვრემანმა და ჭიქა ხახაში ჩაიცილა.

— შენ, ძამიკო, არაფრის შეგეშინდეს, ორი-სამი ჭიქა დალიე, მაგოდენა კაცს ფული ვერას გიზამს, — ზალიკოს მოუბრუნდა შავგვრემანი, — ამის იქით ინსპექცია-მინსპექცია საერთოდ არაა, არ არსებობს, ისე ნელა დადღვივართ, არ გვჭირდება რაჭველებს ინსპექტორები, ჩვენი რაიონისთვის გამოყოფილი შტატები სხვა რაიონებს გადასცეს, ქვევით, დასავლეთისკენ, აბა, ჰე, აიღე ჭიქა, არ გამამეორებინო! — არ იშლიდა მასპინძელი.

— აბა, თქვენს მხარეს გაუმარჯოს, ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს! — თქვა ზალიკომ და ცარიელი ჭიქა ჰაერში შეათამაშა, — მაგარი რამეა, ძმაო, რა, ყოჩად მეღვინეე! — დააყოლა ბოლოს.

— შავლე ბატონო, რა მიგაქვთ ამოდენა სატვირთო მანქანით? — დამპატიებელმა „კამაზს“ თვალი შეავლო.

— სახლი უნდა დავდგა სოფელში. თქვენს სოფელში. ვთხოვე რაიონის ხელმძღვანელობას! იკადრეთ, ჩამოდიოთ და... სიღიდრის სახლის გვერდით უნდა ჩავდგა. ჩვენი მხარე კურორტია, გადამთიელი ჩამოდის და ისვენებს, მე კი სხვაგან დავრბივარ ცოლ-შვილით. ფი-

ნურს რომ ეძახიან, ის არის! სწრაფად, იაფად და მოხერხებულად! ნახევარი კი დაგვრჩა თბილისში, მაგრამ ზალიკო ისეთი ბიჭია, ორ დღეში ჩამომიტანს... მე და ჩემს ბიჭს გვეყოფა და მერე შვილიშვილებმა იფიქრონ კარგზე და გამძლეზე, ათ საუკუნეს რომ უძლებს, ისეთზე! — შავლემ გოგას ბეჭზე ხელი დაადო.

— შენი ბიჭი და გოგო შარშან ვნახე. რამოდენა ვაჟკაცი გამხდარა! კალათბურთზე დადიხარ, ბიძიკო, თუ ზოგიერთი ჩვენებურის ადათზე. სამზარეულოსკენ გიჭირავს თვალი! არა, — იქვე თქვა შავგვრემანმა, — შენ ისეთი მამის შვილი ხარ და ისეთი ძირი გაქვს, მინისტრი უნდა გამოხვიდე, აბა, ამ წაქეველ მხარეს ერთი შავლე ბატონი რას გაწვდება, რა სულს მოათქმევინებს, ასე არაა, ბიჭებო?! — დიომოწმა მაგიდის წევრები უკვე შექმედიანებულმა მასპინძელმა.

სადღეგრძელოებმა კარგა ხანს გასტანა...

ზალიკომ „კამაზს“ კახინა წამოხადა, ძრავში რალაცას დაუწყო ჩხიკინი.

შავლემ ზელ-პირი მაშინ დაიბანა წყაროს წყლით, როცა მასპინძლები „ეოლგაში“ ჩასხდნენ და თბილისისაკენ გააგრძელეს გზა.

— მაგ შავგვრემან კაცს კაკო ჰქვია, ხომ? — ჰკითხა მამას შვილმა.

— კი, კაკო, აკაკი. დედულეთელი კაკოა მაგი. ძველი ნაცნობები ვართ. ექმაკაცობდით კიდევაც, ადრე, ბიჭობაში. — მშვიდად უპასუხა შავლემ შვილს.

— ჰოდა, მაგ კაკომ, იცი, შენზე რა თქვა?

— კარგის მეტი რა უნდა ეთქვა!.. დღეს თქვა? — გვიან შეეკითხა ბიჭს შავლე.

— დღეს კი არა, შარშან თქვა! სოფელში გვანახა მე და ჩემი და! შარაზე მომავალ კალისტინეს შეეკითხა, ვისი ბავშვები არიანო. ჩემი ყურით გავიგონე! მან კიდევ უთხრა, ჩვენი ლიანასი

არიანო. მერე მაგ კაკომ, შენმა ამბავცმა, — გამოკვეთილად თქვა გოგამ ბოლო სიტყვები, — გვერდში რომ მოყვებოდა, იმ კაცს უთხრა, ჩვენი ლიანას ბავშვები ყოფილან, შავლე რომ ითხოვა აქეთო. იმან უთხრა, აბა შავლეო! კაკომ უთხრა, შავლეს როგორ არ იცნობ, სიძეს, კაკო, მინისტრობას რომ უმიზნებსო... აი, შენი ძმაკაცი! — გულნატკენად მოყვა შარშანდელ ამბავს გოგა.

შავლეს ღიმილი შეეყინა ბავშვზე...

„კამაზი“ დაიძრა.

ბიჭმა ისევ ჩამოუშვა ცხვირი.

— არ გაგიარა მოწყენილობამ? წავიმღეროთ ერთი, შენს მამა-პაპისეულ მხარეში მიედვიართ და გული ცოტაზე მაინც არ გაგეხსნა? — არ მოეშვა ზალიკო გოგას.

— რა იყო, კაკო, შენ და მამაჩემმა რა თვალი დამადგით დღეს, არ მემღერება და რა ვქნა ახლა! — გული მოუვიდა ბიჭს.

— შენ, კაკო, გულის მოსვლაც გცოდნია! კაი, ბატონო, იყავი ეგრე, მარტოც კარგად ვიმღერებ, სულ მართო არა ვმღერივარ? კაი, ძამია...

„დამცინის“ უკან ვილაცა... დედინაცვლის გამო ჩემს სოფელში რომ ვერ ავდივარ, ვის ეტყვი ამას! ისიც არ იყოს, ბავშვებს მაინცდამაინც ბებია და სოფელი უნდათ! ეებს, დედაჩემი იყოს ცოცხალი და მეტი არაფერი მინდა! რავა დაგვიბნია გზა ამ დედინაცვალმა, მაგას გაუჩნდა მოურჩენელი! ჩასიძებული რომ გითხრან და გიძახონ, კიდევ არა უშავს, გათხოვილიო! გათხოვილიო, კაკო!.. გეტყინება გული კაცს, ბოლმა მოგბეჭინება ეელში... მამ, იქით ვყოფილვარ გათხოვილი თურმე... ბავშვმაც ახლა მითხრა, მაშინ ხმა არ ამოუღია... ერთი წელიწადი შეინახა თითქმის... ლიანას მტერი ელაპარაკა ამ საკითხზე... ჩემი სოფლის სახელის გაგონებაზე რალაც ახალი, წითელ-წითელი, ყაყაროს ყვავილისმავარი ალერგია აყრის... დაყარა ტანსო, იტყვიან ასეთ დროს ჩვენ სოფელში... რა ვუყო ახლა

ამ საქმეს? ეშველება რამე? ან და ჩემი სოფელი შავის სოფელზე ნაკლებია? სად შავათი სოფელი და სად — ჩემი! პირიქით! ჩემი სოფელი ჭობია კიდევ, უფრო მაღლობი, სიმშვიდე, უღრანი ტყეებით გარშემორტყმული... ცოლს ვერა ვგავებინერა, ვერ გადავათქმევი-ნე... ქვა კი არ ავადო, რაღაც ბომბის მაგვარი უბედურება შეისროლა ცაში და ჩემი თავი შეუშვირა... ღმერთო ჩემო, მომხედე ერთის წუთით და მირჩიე რამე, შენც, ჩემი არ იყოს, ტრესტიე ხომ არ მუშაობ და არ გცალია ჩემსათვის... თათბირიდან ვინ არ გამოსულა... გაუთავებელმა თათბირმა არ ააშენა იმ წყალსაქაჩის მარცხენა დანადგარ-კომპლექსი თუ ეშმაკი და არც აშენდება კარგა ხანს... წყლის მოლოდინში ხახა ამოუხმათ ოთხი მიკრორაიონის მესვეურთ... ვიღაცა არ აწერს ხელს, ხარჯი მოგვივაო... ვითომ ხარჯზე შეტყივა გული... ხარჯი, თორემ საკუთარი ჯიბიდან იღებსა და ნაოფლარის გაღება გულსა ტყენს... მე თუ მკითხავთ, ყველა ხარჯთაღრიცხვა თუ დაგეგმარ-დაფინანსება კულის რიკამდღეა შესამოწმებელი“... — იქამდე შეჰყვა შავლე ფიჭვს, რომ ბოლოს გულიც კი მოუვიდა.

ზალიკოს ღიღინის მადა აეშალა. ეტყობა ცივმა წყარომ „წინ წყაროს“ სიმღერა მოაგონა... მერე წაუყინა და წაუყინა, არა და არ მოეშვა წყაროზე ჩამოსულ ქალს...

„ნახე, კაცო? გაიგონე? გაიგონე, ბიჭმა რა მითხრა? კი მარა, კაცოს რაში დაჰქირდა იმ კაცთან ამის ლაპარაკი? თანაც ბავშვებთან? კალისტინე ენამქნევართან?!“ — შავლემ ახლა ეს ფიქრი აიხვია კარგა მანძილზე.

გოგა კაბინის წინა სახელურს ორივე ხელით იყო დაყრდნობილი, თვალები ოდნავ მოეხუჭა და ისე ვასცქეროდა კლდეხვევიწროებში ნასროლი თოკივით ჩაგდებულ ზვას...

„კამაზი“ აღმართს ღმუილით მიჰყვებოდა.

— მამი, ასე პატარა სახლი, კინაღამ

ერთ მანქანაზე რომ დაეტია, რა სახლი იქნება. ბიძაჩემებს რომ ექვთე ცოდველში, შენს ძმებს, კიდევ ქვეყნით! მამა გოგია ცალფეხს, უშანგი მებელლეს, თეკლანთ ჭიალოს, აი, სახლები ის არის! მაღალი, ორსართულიანი, აივნებიანი, ბუხრებით გაწყობილი... ფინურიო! ჩვენთან უკეთეს პროექტს ვერ გააკეთებენ, ხომ? ეს ფინურია თუ რაღაც ეშმაკი, სკვითებს თუ გამოადგებათ, მოხეტიალე ტომები რომ იყვნენ... ფინურიო! გამოიგონე იოლი ცხოვრება რა! — ბოლო სიტყვებზე გოგამ ხმის აუწია.

შავლესთვის მოულოდნელი იყო შვილის ასეთი საუბარი.

ზალიკომაც გულიანად მიაყურადა ბიჭს...

— საკურორტოდ ესეც დიდია, ერთი თვით ჩასულ კაცს მეტი რა უნდა, წამოწეკი მხარ-თეძოზე და იოცნებე გაუთავებლად. მე შენ გეტყვი, საოცნებოს გამოგიღვეს ეს დალოცვილი მთები! — ისე თქვა შავლემ ეს სიტყვები, შვილის ნათქვამი ყურიდან არ გაუშვია.

— კი მარა, ძირძველ ადგილზე ისეთი სახლი მაინც ჭობია. — თავისაზე იყო ბიჭი.

— შეიძლება გოგა მართალი იყოს, შეიძლება არც იყოს მართალი, მარა, იოცნებეო, რომ თქვი. ჰამა-სმა საიდან, შავლე ბატონო? — ზალიკომ ერთი წუთით მიატოვა ქალი წყაროზე და კაბინას დაუბრუნდა.

— საიდან და სამსახურიდან! დანაზოგი ხომ გაქვს, პრემია ხომ გაქვს, საშვებულებო დახმარება და ხელფასი ხომ გაქვს! აი, საიდან ცხოვრება ისე უნდა ვაატარო, სირცხვილი არ უნდა ჰამო! ხომ გაგიგონია ანდაზა: საბანი ისე უნდა დაიხურო, როგორც გაგვადებო! — ისე დაბეჯითებით ლაპარაკობდა შავლე, თვალი არ დაუხამხამებია.

გოგამ ისევ ჩამოუშვა ცხვირი...

— თუ საბანი ისე მოკლეა, მუხლებს ვერ გიფარავს, მერე? მერე რას შერე-

ბი! — ზალიკომ სიგარეტი გააბოლა.

— გამოდის, რომ შენა გაქვს გრძელი ფეხები! ან მოკლე ფეხებია საჭირო, ან წელეებზე უნდა დაიდგა ფეხი, გრძელი საბანი რომ შეიკერო, აბა!

— ნაწლავებს ვერ დავიფხეწ და. — ჩაილაპარაკა ზალიკომ და სიგარეტს ორჯერ გულიანად დაუბლაყენა.

„კამაზი“ ახლა დაღმართს ჩასდევდა ღმუილ-ღმუილით.

შველე ისევ სახლის აშენებისა და გაწყობის ორომტრიალზე დაუბრუნდა გრძელი ფიჭრის გზას...

ზალიკო არა და არ მოცილდა „წინ წყაროს“...

„რა ხალხია ქვეყანაზე:.. ქვეყანა გველივითაა ჰრელი... თუმცა გველის სიჰრელე კი ჩანს, ხედავ, რომ ნაღდად ჰრელია... კაცი შიგნიდანაა ჰრელი, ჰკუდიდანაა ჰრელი და აგრერიგად არა ჩანს... ზოგი პირში მთქმელია, ზოგი ზურგს უყანაც არა... გათხოვილია... ეგ გათხოვრები, ეგენი... რა მჭირს გასათხოვარი... ვინაა გათხოვილი და გასიძებული, დათიანთ შველე?.. ვაი, შენ შველე მერე... მაშინ რალა შველე ხარ!.. ამ ცოლმა ხომ მთლად გამიჭირა საქმე... — შვილს გადახედა შველემ, — ეშმაკის მოგონილია ქალი აღბათ და აწი არა ეშველებარა... უხ, ის ავშარამიშვებული დედინაცვალი რომ არა, რალაცას კოდეე ვაეწყობდი... არა და სახლი კი გვინდა, როგორ არ გვინდა... ჯურორტია ეს ჩვენი მხარე და გამოვიყენო მინდა... უკან დასახევიც არაა, რაკომს ვთხოვე, აღმასკომი შეეაწუხე, სოფლის საბჭო, გამომიყვეს, ახლა რომ ეს ჩემს სოფელში ავიტანო, არ მეტყვიან, თაეში სად იყავიო? სირცხვილიც კია, დიდი სირცხვილი“... — ათასი ფიჭრი უტრიალებდა შველეს.

— შველე ბატონო, თქვენებურმა წითელმა ღვინომ დამუნჯება იცის? — ღმილით შეეკითხა უკვე შეთამამებული ზალიკო შველეს.

— თუ ბევრი მოგივიდა, დაყრუებაც არ აცდებია, — სიცილით უპასუხა

მძლოლს შველემ, — ისე შენ, *ქვეყნე* უცობა რა, ღლიონზე გადაჯიქვანა *ქვეყნე*

— რა ქვია მაგ ღვინოს? ჩვენი მაგეთი არ მოდის!

— ძველშავი ჰქვია, ზალიკო ჩემო. ზოგი ძელშვასაც ეძახის. თხელი ღვინოა, წითელი, სასიამოვნო დასალევი, მსუბუქი, თავიდან ვითომც აქ არაფერიო, მერე იცის შეპარება... რო დაიწყებს ძარღვები დაფართოებას, ასე გგონია, იზრდება, აღვილზე იზრდება, სიცოცხლე გემატება... ჩვენი ხალხი ღვინის ძალამ მოიყვანა აქამდე, ვაზის კულტმა გააძლებინა და გადაატანინა ათასი ჰირი და ვაი-ვაგლახი... ძველშავი მაგარი რამეა, ძმაო, სოფელში რომ მივალთ, ისე გასვთ, გასაწური შეიქნე, აბა! — შველემ ღვინით მოიწონა თავი.

ხევეწკრილებში მოქნულ მათრახის კულს ჰგავდა მკვეთრი მოსახვევი. მძლოლმა რამე სიჩქარე გამოუტვალა, „კამაზმა“ ერთი კაი გვარიანი ამოიქმინა, მერე კი ისევ ბოლებ-ბოლებით ჩაპყვა მოხვეულს.

— ნამეტანი მიხვეულ-მოხვეული გზებია თქვენსკენ. ერთხელ ვარ ნამყოფი, ადრე, მაშინ „გაზიკი“ მყავდა, ბიჭები ვიყავით, ძალიან გავვიჭირდა მგზავრობა, ორგან მეწყერი ჩამოწოლილიყო და ძლავს გავედით, — ძველი ამბავი მოიგონა ზალიკომ.

— ახლა არა უშავს, სამინისტრო ჩაერია, გააფართოვეს, ასფალტი დააგეს, საშვავებსა და საზვავებზე ცემენტის სამაგრები შეუყუდეს... კარგად მიდი-მოდის ხალხი, დედა ეს რა ვნახეო, ისე არაა, მაგარამ... — შველემ მხრები აიწურა.

„კამაზმა“ შემალეება იიარა, მარჯვნივ მოუხვია და უცხად, ისეთი შთაბეჭდილება შეიქნა, მანქანა თითქოს მთის წვერზე ავიდა და ცხრა მთას იქეთ გადასახედს თავს წაადგაო...

— ვაა, მაგარი რამეა ძმაო, აქაობა, ერიპა! ვაა, კაცო, ვაა! მაშინ არ შემომჩნევია, კაცო, რამ დამიხუჭა თვალი, კაცო, ვაა! — სიხარული ვერ დაფარა ზალიკომ, მერე სვლა შეანელა.

ბოლოს გააჩერა მანქანა, კაბინის კარი გააღო და ძირს ჩახტა.

— ვაა, კაცო, ეე რა ნახა ჩემმა თვალებმა, ვაა! ჩამოდი, შავლე ბატონო და სათქვენიანოთი ერთხელ კიდევ ისიამოვნე! — ზალიკოს ხელები მაღლა აეწია და ისე მიდიოდა გზის პირისაკენ. კაბინიდან შავლემ ჩამოვიდა.

ჭეჭვრის ზეობა თვალის საწირზე გაწოლილიყო. ნაჭერ-ნაჭერ მიტოვებული და გამინდვრებული ყანები ცას შედგმულ ტყის ხასხასა სიცოცხლესთან კუკუდამალობანას თამაშს მოგაგონებდათ. ზევით და ზევით სიმწვანე ნაკლებ-ნაკლებ აღწევდა. მერე მიჭრილი კლდიანეთი იწყებოდა. კიდევ იყო შუროვებზე თოვლი ჩამოუმდნარი, ზევით კი, უფრო ზევით, განმგებელთა საუფლოსკენ, ჩრდილიწვერის მთა ხევისბერებით წამომართულიყო და საჭეჭვირთან არწივის თვალით ჩამოსკქეროდა... მერე იყო და მთიდან ხეებმა და ტყე-მინდვრებს ისეთი ფეხფრთხილი სიო ჩამოჰყვა, ყვავილებში მოფუსფუსე ფუტკარ-მწერნიც კი გაიზინდნენ...

— მაგარი რამეა, ძმაო, მაგარი! აქაური კაცი ნამდვილად უკვდავია, ძმაო, წყალი არ გაუვა, აბა! — საოცრებისგან მიღებულ სიხარულს ვერ ფარავდა ზალიკო.

— ბუნება მხატვარია! ბუნება მშენებელია! მაგნიარი მხატვარი და მშენებელი არ დაიბადება მეორე! პირველობას თვითონ არ მისცემს თავის შექმნილს! ბუნება და ღმერთი ერთია! — ჩრდილიწვერის მთისკენ გაიშვირა ხელი შავლემ.

— ეგ მთა მართლაც მიუწვდომელია, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა, ვაა, კაცო, ვაა! — ახლა ხელების ფშვინტას მოჰყვა ზალიკო.

ჩრდილიწვერის მთის დაბლა, ძალიან დაბლა, პირდაპირ გასახედზე, გაღმა, სერის ბოლოში, გორა დაკვირვება-დაკვირვებაში ისე იზრდებოდა და ლამაზდებოდა, თითქოს მხატვარია მიმდგარი და ფუნჯს მოსვენებას არ აძ-

ლევსო. ქვევით-ქვევით ჭეჭვრის წყლიდან საფარდე ქსოვილივით ამოსიფრთვანებულიყო ერთმანეთს ვაკიდებული ნისლები.

— აი, ის გორა საჩვენიაო. ჩემი სოფლის განუყრელი ნაწილია... მაგ გორას იქით ჩაყვანებული ადგილია, სოფელიც იქაა გაშენებული, აუუ, რამდენი ზნის სოფელი... მაგ გორაზე ჩვენი წინაპრების საფლავებია, ასწლოვანი გათლილი ჭვარდასხული ლოდები რას არ ვეტყვიან, ვის არ გავაცნობენ შორეული წარსულიდან. — მძიმედ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ყვებოდა შავლე თავისი სოფლის ამბავს.

გორას იქით, სოფლის გაღმა წამომართულ შიშველ მთის წვერს შუბლი ოდნავდა მოუჩანდა.

— გოგა, ბიჭო, ჩამოდი მაგ კაბინიდან და აქაობას გახედე, ვინ ყოფილა ეს, კაცო, ვაა! — დაუძახა ზალიკომ ბიჭს.

— მთელი დღე გაბრაზებულია ვილაცაზე თუ რაღაცაზე და არ ამბობს, ეგ მამაძალი, ეგა! — შავლემაც გახედა კაბინას.

ზალიკომ ჭიბეები მოიქექა, მერე მანქანასთან მივიდა, სიგარეტის კოლოფი კაბინის კარის „ჯიბიდან“ ამოიღო, გახსნა, ასანთი გაჩხაკუნა და დანაფაზებული ბოლი გულიანად გამოუშვა.

— რატომ არ ჩამოდიხარ, უკეთესი რა უნდა ნახო! მე რომ კინოგადაძღების ხელობა მქონდეს, მოვიდოდი აქ და ხან გაღმიდან გადავიღებდი, ხანაც — გამოღმიდან. ვიღებდი და ვიღებდი დაუსრულებლად, რა გამოიღვეს აქ გადასაღებს. ბუნებას შევყვარებდი ხალხს, უკვე შეყვარებულებს კი პირდაპირ სიგიყვამი ვუტრავდი თავს, მაგარი რამეა, ძმაო, მაგარი! ეეხ, ჩემი შოფრობა რა ეთქვა! — ჩაიქნია ხელი ზალიკომ და ისევ გაღმიანეთს გახედა.

ბიჭს ხმა არ ამოუღია, ისევ ისევ და კუშტად და გაუნძრევლად.

ზალიკო ქვაზე ჩამოჯდა.

„ვინ იცის, რამდენი კი კაცი წევს იმ გორაზე... რამდენმა ახალგაზრდა

დედამ ჩაიტანა შვილის გაუჭერებელი სიყვარული... რამდენი წელი ვერ მოესწრო შავჭირიანობაზე სიყვარულის საგალობელს, სიყვარულის ნაყოფს... ცუგრუმემა შვილებს... მზეს... ქალაქას... სიბერეს... ვინ იცის, ახლა ეგებ დედაჩემმა გვერდი იცვალა და აქეთ იხედება, სად მიდიხარ, შვილო, ვის მიწაზე იშენებ სახლსო, მეძახის ეგება და მე არ მესმის... მზემ მზერა არ მომიტარასო, მარჯვენათი ექნება მოჩრდილული შუბლი... არა, მარჯვენათი არ ექნება, დედას ხომ მარჯვენა მხარე ტიოდა... მარცხენათი ექნება მოჩრდილული... ოხ, ეს მამაჩემი, მამაჩემი, რა დოყლო კაცი გამოდგა, როგორც უნდა, ისე ათამაშებს ის ოჯახდასაქცივი... ან და რა დროს მაგის ცოლი იყო, ამხელა შვილები და შვილიშვილები როცა გყავს... ცოლის ენას რომ აყვება კაცი... გათხოვილიაო, ისიც კი უთქვამთ ჩემზე, ამას ზურგს უკან მეძახიან... დათიანთ მინისტრი კი, ჯანდაბას, მეძახონ, ჩვენი ხალხის ენა რომ ვიცი, რატომ დათიანთ მუდოს არ მეძახიან, ისაა გასაკვირი... რა ჩასიძებული მე ვარ, მარა, ჩასიძებულის თქმაც არ მაკმარეს, გათხოვილიაო... ვაი, შენ ჩემო სოფელო, რა ენა გაქვს გადმოგდებული? — ფიქრის კორიანტელი აეშალა შავლეს.

— წავიდეთ, შავლე ბატონო, თორემ ჩემი დასალევი ძველშავი დალია ვილაყამ და დავრჩი ხახამშრალი. — ზალიკომ სიცილ-სიცილით უთხრა შავლეს, მერე სიგარეტი ჩააქრო და ფეხზე აღგა.

შავლეს მძლოლისთვის ყური არ უთხოვებია...

„ეგებ დედამ მართლა იბრუნა გვერდი“...

— შავლე ბატონო, არ წავიდეთ? — ხმას აუწია ზალიკომ.

— ჰო, კი, უნდა წავიდეთ. — გამოერკვა შავლე, — წავიდეთ, აბა, რა უნდა ვქნათ. — წამოიწია, წონასწორობას ვერ მოუყარა თავი, წაბანცალდა, მერე ფეხქვეშ ლორღი აუგორდა, მუ-

ხლის ძალა მოეჭრა, ხელი დაეშველა, რომ არ წაქცეულიყო.

— რა იყო, შავლე ბატონო! — ხელი მიატანა ზალიკომ.

— არაფერი ისეთი, კარგა მთვრალი ვარ ახლა მე. ნომ გითხარი, ძველშავმა მერე იცის ხელის მოკიდება-თქო. თავიდან ვითომ აქ არაფერიო, ისე სვამ, მარა, აა, ნახე, რას მიშვრება! მერე იცის შეჭდომა და როგორი, თანაც — სულ თავის გემოზე გათამაშებს, გამღერებს; ჭირვეული სიმთვრალე თუ იცი, გაჩხუბებს კიდევ. მთვრალი ვარ კარგა ძალზე, აბა! — შარვლის მუქასარები ჩაიფერთხა შავლემ, ერთი კიდევ გახედა გალმიანეთს, მერე მიბრუნდა და კაბინას მიაშურა.

„კამაშმა“ ერთი რიგიანად დაიღმუვლა და დაღმართს დაუყვა.

— შენ დღეს არ მომწონხარ, ყმაწვილო, რა გჭირს, ავად ხარ? — მხარზე ხელი დაადო მამამ შვილს.

— ეს ისეთი წყნარი ბიჭი ყოფილა, ვაგლაბად ბუზს არ ააფერეს, არაფერი ეწყინოსო. — ახლა ზალიკომ სცადა ბიჭის გამოლაპარაკება.

— რა გჭირს, შვილო, არ იტყვი? ფეხებურთზე ლაპარაკით მეზობლები გყავს გადაღლილი, თქვი რამე თბილისის „დინამოზე“, მოსკოვის „სპარტაკზე“, ქუთაისის „ტორპედოზე“, გინდაც „ნისტრუზე“, საერთოდ, თქვი რამე, კაცო, რა ენა ჩაყლაპე! კაი, ბატონო, მე ნასვამი ვარ, ნუუ, დავთვერი, ზალიკო ხომ არის ფხიზელი, იმას უთხარი რაიმე! რომელი გაუცინარი ხელმწიფის როლს თამაშობ დღეს, ის მაინც გვითხარი, შე კაცო, დაგვაყენე საშველი, თუ ღმერთი გწამს. — შავლე გულსგულ ჩააჭინდა ენაჩავარდნილ ბიჭს.

— არაფერი არ მომივიდა, ბებია ვნახე სიზმარში წუხელ, წუხელ კი არა, გამთენიისას... ბაბუას ეჩხუბებოდა, ეკამათებოდა, ებრძოდა... მერე ჩურჩხელები მომიბანა და მითხრა: ჩემი გაყვთებულისა, ჭამეო... აქეთ რომ მოვიდი-

ვართ. სულ ბებიაზე ვფიქრობ... — ენა ამოიღო ბიჭმა.

— ბებია გახსოვს? — შეეკითხა ზალიყო.

— როგორ არ მახსოვს, აგერ ახლა მოკვდა, მაგნაირი ბებია ზღაპრებშიც არ წამიყვითხია. — თქვა ისე ბიჭმა, რომ სახეზე კუჭტი იერი არ შეცვლია.

— კაი ბიჭი ყოფილხარ, მართლაც, რომ კაი ბიჭი. — მოფფერა ზალიყო ბიჭს.

„ბიჭს სიზმარი უნახავს... ბებია უნახავს... ბაბუასთან მოჩხუბარი ბებია... ეგებ დედამ გვერდი მართლა იბრუნა და აქეთ იხედბა, ჩემი შვილი და შვილიშვილი გზაზე ადგანან, სახლი უყიდიათ და უნდა ააშენონო, ღმერთმა მშვიდობა და ჯან-ღონე მისცეთო... გზა კეთილიო... ალბათ, ასე ამბობს ახლა დედა და პირაჯვარს ისახავს... რას არ იფიქრებს მთვრალი კაცი... თუმცა... სიმთვრალე რა შუაშია... ბიჭს სიზმარი უნახავს... ბებია უნახავს... — ცალთვალმოკუტული შავლე კარგა გრძელ ფიქრს აედევნა.

ზალიყომ გზის პირას წყარო დაინახა და ჩამოწოლილ დუმილის გასაფანტავად ისევ „წინ წყარო“ წამოიწყო. მეტადრე იმ ადგილს იმეორებდა — სიტყვა ვუთხარ და იწყინაო...

ის იყო, გაღმა გორას გვერდი ჩაუარეს, რომ შავლემ სათავისიანოსკენ ერთი კიდეც იბრუნა თვალი. ქულაჯ-ქულაჯა ღრუბლები მაღლა ასულიყვნენ, ვაშლილიყვნენ, დანაწევრებულიყვნენ, ოწიოდ მოსდებოდნენ იქაურობას. ზევით, გაღმოსახელზე, ნისლის ერთი ვაკოვ; ვეებერთელა ადამიანის გამოსახულებასაც კი ჰგავდა. თითქოს მანდილი ჩამოშლიათ მხარზე... თითქოს ცის ამოურწყავ სივრცეში ხელი აქვს აპყრობილიო... შავლეს გონებაში წამით გაწყდა ფირი... მერე კაცმა თვალი მოხუჭა და გუგების ფსკერზე დარჩენილ აჩრდილებს უგონო თვალით უყურა...

„ეს დედაა, დედაჩემი, დედა, გვერდი უცვლია და აგერ, თავზე დავე-

ყურებს დედალი არწივივით... მართენი მოდიანო... არწივი არწივი... რა დედალი, რა — მამალი... კარგად ამბობს პოეტიც, დაუკართ, არწივების ასაფრენიო“...

შავლემ თვალი გაახილა და ისევ გორას გახედა. ცხრა სივრცის იქიდან მოსული მზის სხივები ნისლის მანდილში ჭლარასავით გაბნეულიყო...

„ეს დედაა, დედაჩემი, ქვეყნიერების დედა“...

ბიჭი ისევ ისე იყო ჩაფრენილი სახელურს...

ზალიყო „წინ წყაროზე“ იჯდა და გოგოს ელოდა...

შავლეს ოფლმა გამოჟონა საფეთქლებთან...

„კამაშმა“ ერთი კიდეც მოუხვია...

— აი, ჩვენი სოფლის გზა ისაა, ვაღმა რომ ჩანს. — გულნაწყვეტად თქვა გოგამ.

ციკქნა ადგილზე, ხევში ჩასახედზე, ისე ახლო-ახლოს იყო ერთმანეთთან ოთხი მკვეთრი მოსახვევი, გზა კი არა კიბე ეგონებოდა კაცს, თითქოს მანქანამ კი არა, კაცმა პირდაპირ გზიდან გზაზე უნდა ამოაღაცოსო. მერე ხიდი იდო ქვეჯორზე. იქით კი ჭობრულა ირემზე ნასროლი ქამანდივით ეგდო გზა აღმა მიმავალ ხეობაში. —

— წყალი არ გაუვა, მამაზეციერი პირადად ხატავდა აჭაურობას, მხოლოდ მის ხელს შეეძლო ასეთი რამეების გაკეთება. აქ მაცხოვერლებს დევების გულბი ექნებოთ, ჩიტის გულიც კაცს ამ გზაზე რომ შემოაღამდეს, მყარულე მერე კარგად, — ცოტა ხანს გაჩუმდა ზალიყო, — ისე, შავლე ბატონო, თქვენი სოფელი მართლა იქითაა? — მძლოლმა ხელი იქით გაიშვირა.

— კი. მამა-პაპანი იქაურები არიან და მეც იქაური ვარ... ახლა წარმოშობით ვარ იქაური, თორემ რაც სასწავლებლად აქეთ ვქენი პირი, ათასში ერთხელ თუ ჩამოვსულვარ... ბოლო წლების სავალი გზა დედინაცვალმა აგვიტალახა... ეე, ვერაფერს იტყვი, ცხოვრება უკულმართია... ზოგის ბაპმა ჩხრია-

ლებს, ზოგის — კაკალიც არა. — მძიმედ ლაპარაკობდა შავლე.

სოფლის გადასახვევს რომ ჩასცდნენ, გოგა წელში გასწორდა, მამას შეხედა და ისე დაიწყო:

— რა უნდა მოხდეს, ეს სახლი ჩვენს სოფელში რომ ავიტანოთ და ავაშენოთ? რად გვინდა დედულეთის ნაჩუქარი მიწა! ჩვენ რა, სოფელი არა გვაქვს? თუ ჩვენს სოფელს არ ჰქირდება მოსახლე!

შავლემ პირველად ნახა ასე წარბშეკრული ბიჭი. კარგა ხანს უყურა.

— ვინ მოგვცემს მიწას... დამტკიცება უნდა, დადგენილება უნდა, ეს უნდა, ის უნდა... — ისე ამბობდა შავლე, მაინცდამაინც მიწის გამო იკავებდა თავს, ვერ იტყოდი.

— ბაბუას სახლის უკან დავდგათ, ბიძაჩემის ყანაში დავდგათ, ტყეში დავდგათ... მე დავდგამ და ერთი ვინმემ რამე მითხრას და კარგი ბიჭი იქნება! — ვაქაცობაზე დაღო თავი გოგამ.

ზალიკოს ჯერ გაეცინა, მერე ბიჭს მარჯვენა ხელი კისერზე მოხვია და შუბლზე აკოცა.

— მივიტანოთ და ავაშენოთ! სოფლის ბიჭებს მე მოვიხმარ! — ისევ თქვა გოგამ.

— ყოჩაღ, მაგარი ბიჭი ყოფილხარ, აბა, შენ უნდა იხარო და იხარდო ქვეყანაზე, თუ სადმე ღმერთი არსებობს, ყოჩაღ! — ისე მოეწონა ახლა მთელი გზა ენამოუღებელი ბიჭის ნათქვამი ზალიკოს, ერთხანტელმა თავით-ფეხამდე დაუარა.

— ეექ... — მძიმედ ამოიხვნეშა შავლემ, მერე კაბინის კარზე გადადებულ ხელს შუბლი ჩამოღო.

თითქოს მუნჯად იქცნენო, ხუთიოდე წუთი არც ერთს ხმა არ ამოუღია. მარტო ძრავის ღმუილი და მუხრუჭების მკვეთრი ჰრიალი ისმოდა.

ზალიკო გოგას ნათქვამზე ფიქრობდა...

ფიქრს ადევნებული ბიჭი კი სოფლის გადასახვევის გზას ადგა და იქით მიდიოდა...

„დედამ გვერდი იცვალა... ალბათ სხლა აქეთაა მობრუნებულა და ზურგიდან გვეყურებს... ალბათ იმასაც ამბობს, კარგი ზურგის ქარი გვექნეთო... ცხოვრების ზღვაში ვართ შეცურებულნი, ეს ყველაფერი კი გემია, უზარმაზარი გემი, მიცურავს, მიცურავს და მიცურავს... დედას ახლა თმები სულ გათეთრებული ექნება... გაღმიდან გამოღმიანეთს საბაგიროსავით გამოკიდებოდა დედის ხმა... კარგი ზურგის ქარია... ვაი, თუ იმასაც ამბობს, შენ კაცად ვერ გამოიზრდიხარო?.. შენ კაცად ვერ გამოიზრდიხარო! თითქოს მესმის კიდევ, შენ კაცად ვერ გამოიზრდიხარო!.. კი, მესმის, მომძახის... კაცი... კაცად“...

— გააჩერე მანქანა! მანქანა გააჩერე! — იყვირა შავლემ და კაბინის კარს მუშტი დაქრა.

— რა იყო, შავლე ბატონო, ცუდად ხომ არა ხარ? — დაიბნა ზალიკო.

— გააჩერე-მეთქი, გუუნებში! — ისევ დაქრა კარს მუშტი შავლემ.

გაოგნებული შესცქეროდა ბიჭი მამას.

— ალბათ ძველშავმა იცის ეგრე! — ხუმრობა სცადა ზალიკომ.

— ხუმრობის დრო არაა! გააჩერე მანქანა! — უბრძანა მძღოლს თვალამღვრეულმა შავლემ.

ზალიკო ახლა კი მიხვდა, რომ სხვა რამეში იყო საქმე, სვლას უკლო, ფათერაკი არა იყო რაო, ფართო ადგილს ეძებდა გასაჩერებლად.

— ახლა მოაბრუნე და უკან წავიდეთ! — ბრძანა ისევ შავლემ.

— თბილისში? — გაკვირვებით იკითხა ზალიკომ.

— ალბათ იმის იქითაც!

„რა ჰირვეული სიმთვრალე სცოდნიაო!“ — გაიფიქრა მძღოლმა.

— მამა, რა გეპარტება, თითქმის მოვედით და ახლა უკან მივბრუნდეთ?

— ჩემი საქმის მე ვიცი! — ისევ დაქრა კაბინის კარს მუშტი შავლემ.

— სანამ ადგილამდე ჩავალთ, მაგ კარი გამოსაცვლელი შემექნება. —

ლიმილით თქვა ზალიკომ და მანქანა მიიმე-მიიმედ მოაბრუნა.

— დიახ, ასე! დიახ ასე! — ორჯერ თქვა შავლემ, კაბინის კარზე ისევ გადადო ხელი და შუბლიც ზედვე ჩამო-დო.

„კამაზი“ ახლა უკან მიუყვებოდა თბილისისკენ მიმავალ გზას...

ისევ ჩამოწვა სიჩუმე...

ზალიკო უხერხულად იჩეჩდა მხრებს...

ბიჭმა სულ ჩაყლაპა ენა...

მანქანამ აღმართი აიარა, მოსახვევი უკან მოიტოვა და ის იყო, განში უნდა გაეგრძელებია გზა, რომ შავლემ ხელი შემართა:

— აქ ჩაუხვიე, მარჯვნივ ჩაუხვიე,

ჩემი სოფელი ამ გზის ბოლოშია... შავლემ ხელი გაღმისკენ გაიშვირა.

ზალიკომ სვლას უკლო, „კამაზი“ მარჯვენა გზაზე გადაიყვანა, მერე კი უნებურად უღვაშებში გაელიმა...

ბიჭმა ახლა ვახსნა წარბი...

თითქოს კიბის საფეხურებზე ჩადისო, „კამაზმა“ ისე ჩათვალა ოთხი ზედმიჯრილი მოსახვევი-მისახვევი, ჯეჯორზე გადებულ რკინა-ბეტონის ხიდზე გავიდა და აღმართს შემდგარმა, მაყუჩიდან სამჯერ ისეთი დღავილითა და ქშენით გამოუშვა მკვარტლი, გაღმა სოფლებში გასულ ექოზე იტყოდნენ, ჩორდულას ხეობაში მეწყერი მოსკდაო...

აზიან აზშილავა

დიდი ქესპერიმენტი კატარა ქალაქში

ფოთი-კობდი და რკინიგზა: აქაურებს არა და არ სიამოვნებთ, როცა ფოთს პატარა ქალაქად მოიხსენიებენ ზოლში.

თუ დამეჭვრება, არც ასეთი პატივმოყვარეობა იყოს იქნებ ნაკლებ მოსაწონი, ზოგჯერ დამილსაც რომ გეგვრის ზოლში.

მთ უმეტეს, როცა აქაურები ახე ზეგითად გიმტაცებენ... ტერიტორიით ფოთს პირველი ადგილი უჭირავსო რესპუბლიკაში — თბილისის შერშე; რომ მათი ნავსადგური, ტვირთბრუნვის მოცულობით, ერთ-ერთი უდიდესი უოსფიაა მთელ კავკასიაში; რომ (მთილოცავთა და ანტიკური პერიოდის ჩათვლით) ეს დიდი, 125 წლის წინათ ხალაგარჩაყილი ხელოვნური ნავსადგური, დღესაც ხალაღდებავით დგას და ამ ხნის მანძილზე ვერც ერთმა ბოზოქარმა შტორმმა ვერ უყარ ძვრას!

1958 წლის 1 დეკემბერს შესრულდა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი.

ნავსადგურის პოტენციურ შესაძლებლობებზე ნაწილობრივ მაინც რომ ეიკონით წარმოადგენა, ვეჭვრობთ. ერთი სტატისტიკური მონაცემის დასაბუთებაც გვმართებს: 1952 წელს პორტმა საბრუნველად 7 მილიონ 400.000 მანეთის სულთა მოგება მისცა.

ამიტომაც უჭირს დავა აქაურებთან ქალაქის ხაღდებს თუ სიძვირზე.

ნავსადგური, საერთოდ უველეგან, თუ არ ვეძებთ ცალკარსი ქალაქია ქალაქში. ფოთიც ამიტომ ვაიუო, აღბათ, ორ მიკრორაიონად — რიონის მარცხენა მხარე — ნიკო ნაგოლაძის, მარჯვენა — ნავსადგურის მიკროსახპებოდ იწოდება.

გარდა საწარმოო რაიონებისა, ნავსადგურის საშეღრნეო ობიექტებია — ფლოტი, ცენტრალური სარემონტო-შემკანაქური სახელოსნო, ავ-

ტომეურნეობა, სამშენებლო-სარემონტო უბანი, საზღვაო ვაჭრობა, უწყებრივი საავადმყოფო და სხვ.

ნავსადგურში ფართოდაა დანერგილი ტვირთის ვაღამუშავების პროგრესული მეთოდები. ერთ-ერთი ასეთია, როგორც აქ ეძახიან, — ქარდაპარი ვარიანტი: გემი-ვაგონი-გემი. ან კიდევ: გემი-წისკვილაქარხნის ელევატორი. 1952-58 წლებში ამ ვარიანტით გამოთავისუფლდა 2.875 ვაგონი.

არის სხვა ვარიანტიც: გემი-ავტოსატრანსპორტი. რაკი ახლომანბლო რაიონებში (ვკულისხმობთ დასავლეთ საქართველოს რეგიონს) რკინიგზით ტვირთის გადატანა ხშირ შემთხვევაში რენტაბელური არ არის, საჭიროებამ მოითხოვა სწორედ ასეთი მეთოდის დანერგვა. გაამართლა კიდევ, — ამ გზით 1952-58 წლებში გამოთავისუფლდა 427 ვაგონი.

ზოგჯერ რკინიგზის ვაგონების მოცდენა უამინდობის გამო ხდება ზოლში, — არ არის მიწანშეწონილი სასურსათო ტვირთის დაშუშავება ავღარში, — ფუჭდება. ნავსადგურებშია უკვე დანერგეს ახალი ოპტიმალური ვარიანტი, — კნევატაკური საშუალებებით ვაღამუშავთ აშქრად ზომილდებიდან ეგვომ სათუთი საქონელი. ამით ორჯერ და მეტად შემცირდა უამინდობით გამოწვეული მოცდენები.

1952-58 წლებში გვემართა სტატისტიკურა დატვირთვის გზით გამოთავისუფლდა 2.861, ხოლო ჩქაროსნული დაშუშავების შეთოდით — 5.457 ვაგონი. ე. ი. ამ ხნის მანძილზე სულ გამოთავისუფლდა 10.407 ვაგონი.

უოველევე უწმოქმულს ბარემ ახვ დავუმატოთ, რომ მყირედ დაზიანებულე ვაგონების რემონტს თვით ნავსადგურებეი კისრულდებენ. მსსკველთა მავალითით მათ 1952 წელს შეაკეთეს 180 ვაგონი.

ესეც ხომ საქმეა?

1982 წლის ბოლო კვარტალი განსაკუთრებული აღმავლობით აღინიშნება ნავსადგურში, — 11 თვეში გემების ზევით გადაშუშავებულია 92 ათასი ტონა ტვირთი.

ფლოპორტს დიდი ხანია ტრადიციული შევგობრობა აკავშირებს რიგის, ბერდიანსკის, ედანოვის, ბაქოსა და კახანოვოდსკის ნავსადგურების კოლექტივებთან.

ნავსადგურტლები სამერქისოდაც ფიქრობენ, პერსპექტივაში გათვალისწინებულია ფლოთა და ბერდიანსკის შორის საზღვაო-საბორჯონო გადასახდელი, რომლის ხორცშესხმით საბორჯონო მომსახურებით ერთმანეთს დაუკავშირდება აზოვისა და შავი ზღვების უმსხვილესი პორტები ვარსაოდესა-ბერდიანსკი-ფლოთი.

— ბორანი უდავოდ ეკონომიკურ ექვემტ მთვეცემს; დაახლოებით 4-ქტრ შეშეირდება ტვირთის გადატანისა და დამუშავების ხარქები, — ვარაუდობს ნავსადგურის უფროსი, ქველი, გამოდელია მეზღვაური ვიორჯი ვატაევი.

როცა ამ წარმოსადეგ, მშვენივრად მოქართულე ჰეღარა კაცს (რაც არ გამკვირვებია, — ფლოში მცხოვრებმა უველა ქილაგის კაცმა იცის ქართულ-მეგრული) შეეკაობზე მოდგმა-გვარტომობის თობაზე, — გაიციწა და მიხატება, — ქართველი ვარ, ბერულავაო; ხაზუანემს ვატა ერქვა, მამანემმა სვიმონმა, მისი ხათითა და ხიფარულით ალბათ, მამის ხატელა გვარად გადაიკეთა და შოამომავლობაც ამ გვარზე ჩაწერათ.

ბატონმა ვიორჯიმ, მისმა მოადგილემ ვაღერი გეგიძემ, ნავსადგურის მთავარმა ინჟინერმა შენმა მამალაქემ და პარტიული კომიტეტის მღვანამა ზურან გულორდვამ მის ფეხით, ხანაც სწრაფმავალი კატარლი აჩა ერთგუნის მომანტარეს და დამათვალერებინეს ბოღანი, მთელი მისი აკვატორია.

შევედებია ვაგეზართო აქ ნანახით გამოწვეული პირადე შოამბედილებით, მოსახრებანი, მათთან საუბრის ზოგიერთი ფრაგმენტიც.

რავინდარა ქვეუნისა და კუთხის ზომალდებმ არ შეხედებოთ აქ... იცლებიან, იტვირთებიან მთელი მდ საათის განმავლობაში ბუნდოს-პირესს თუ ლისხანს, მარხელსა თუ ნეაპოლს, პირვის ისტამბულსა და მსოფლიოს სხვა უდიდეს ნავსაუდლებს მიწერილი ვეიხა ხატვართო გეშები. აგერ, ნავსადგურის ერთ-ერთ ხატვართო პირსზე შეჭრით, ხართლდება აწვეია ფერად-ფერადი კონტინერები.

— ვისია ესენი? — ვეკითხები თანმზლებთ.

— ხატრანოატო ტვირთია, უცხოეთიდან მივადეო, ირანში უნდა გაიგზავნოს, — მისხნის ვატაევი.

— კარგა ხანია, აქ აწვეია... რკინიგზას ვერ გააქვს, — ამბობს გულორდვა.

— აი, ის ქვანახშირი, უცხოეთში უნდა გაიგზავნოს? — ვეკითხები იმავე პირსზე, ლიანდაგ-

ზე მდგარ, მადნით პირამდე ჩაქვე ღეგ-გეგონეზე.

— არა, ხატონო... ეს ჩვენი, დონეცის ქვანახშირია, რუსთავისთვისა ვანქოთვლილი... აგერ ირი კვარა ველოდები... საშველი არ დავადგამოს გაყვანას, — მამალაქის პასუხში ხაყვედურიც იგძმონბა და გულისტკივილიც.

— არც ჩვენ ვართ მამა-ახარამის ხატვრები ამ საქმეში, მაგრამ რკინიგზაც აუღებელი ცინიხინაგერ ვახდა., არ ვიცო, ხანამდე ვაგრტელდება ასე, — შეშფოთებულია ნავსადგურის უფროსი.

... და ურია პირსებხა და ჩიხებში, ღეგ ცის ქვეშ ძვირფახი ტვირთი, დგანან ლიანდაგებზე ქვანახშირით, ზორბლით, თვევით, დანადგარბეხთა თუ სხვა საქონლით დატვირთული ვაგონები, რომელოაც ახე მოუთმენლად ელან თბილისას, რუსთავის, ქუთაისის, ბაქოს, კიროვანადის, ერევნის, ლენინაქანისა და ამირკავახისის სხვა ქალაქების ქარხნები თუ წარმოებდაწესებულებები.

საერთოდ, ამირკავახისის რესპუბლიკებს, უშთავრებად, რკინიგზის მიწეზით აკლდებთ ხატრანოატო ტვირთის 15 პროცენტო. ასეთია ხატვრებტკაცო.

ახე რომ, მარტო ფლოში კი არა, რკინიგზის მუშაობა შეტად არახანარბიელთა მთელ ქვეუნაში. ეს მკვეთრად აღინიშნა სკეპ ცენტრალურო კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზედაც, ბოლო ახლამან სკეპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „მარტის XXVI ყრილობის, სკეპ ცენტრალურ კომიტეტის 1982 წლისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტალებოთა შესახარულებლად ამარატის კომუნისტო ინსტიტუცის“ განვითარებისა და პასუხისმგებლობის ამალღებისათვის გზათა ხამინისტროს პარტკომის მუშაობის შესახებ“, ხადაც აღნიშნულია — „ზოგიერთი დადებითი ტენდენციების მიუხედავად, რომლებიც ამბინარტეხებს დისასბა, რკინიგზის ტრანსპორტისრული მოცულობით ვერ ასრულებს ქვანახშირის, ხე-ტყის, ცემენტისა და მთელი რიჯი სხვა მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის დავალებებს“ კვლავ არის ნაკლოვანებანი მოძრავი შემადგენლობის ექსპლუატაციაში, დიდია არარაციონალური ტვირთიზიდვა. არის ხატვრებლების მოძრავობის კალორკის დარღვევის მრავალი შემთხვევა. დაბალია მგზავრთა მომსახურების კულტურა“.

ამირკავახისის რკინიგზის სხვა საყენარო სადგურთა ტვირთბრუნვის მონაცემები არ ვიცო და ვერც ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ სადგურ ფლოთის მიმდინარე წლის თებერვალ-მარტის ოპერატიული მასალები ხელთა მაქვს და, ინებეთ:

... თებერვალში სადგურს დააკლდა 732 ვაგონი, რომელთა მიღების შემთხვევაში შეიძლე-

ზოდა 45619 ტონა სხვადასხვა ტვირთების ტრანსპორტირება.

... 17 მარტს სადგური რკინიგზის სამტრედიის განყოფილებიდან მოკლულა 282 ვაგონს, ფაქტობრივად მოვიდა 148 ვაგონი, დააკლდა 84 ვაგონი;

...17 მარტს სხვადასხვა ტვირთებისაგან (ხორბალი, ლითონი, საკონტინენტო) შედგენილი 8 შემადგენლობიდან მხოლოდ ორი გაიწვია დანიშნულების მიხედვით, ხოლო ოთხი გამრეცხ პუნქტში ჩააყენეს ე. წ. „შეხვეწებაზე“;

... 18 მარტს 200 ვაგონის ნაცვლად გამოაგზავნეს 112, ე. წ. დააკლეს 87, ამის გამო სადგურის პირველ დღეს დაუტვირთავი დარჩა 5040 ტონა ტვირთი, ხოლო მეორე დღეს, 19 მარტს — 5100 ტონა;

...18-ზე ხორბალი დაიტვირთა 50 ვაგონი, ლითონი — 18, იმპორტული ფეკალით — 10, ვადაპროდული ტვირთით — 20, შუა კაფშითი — 8 და ა. შ. ამ და სხვა ტვირთებისაგან შედგენილი 8 შემადგენლობიდან აღბისთ არც ერთი არ გაუყვანიათ. მხოლოდ ჯვან ღამით სამი შემადგენლობა გაიყვანეს;

... 19 მარტს დღის 12 საათისათვის სადგურის სამანერო ლიანდაგებზე იდგა ლითონითა და კონტინენტული ტვირთით შედგენილი შემადგენლობა ბაქოსათვის და ნახშირით დატვირთული შემადგენლობა რუსთაველსათვის, ხოლო მესამე შემადგენლობა, რომელიც შორბლით იყო დატვირთული, გამრეცხ პუნქტში იყო ჩაყენებული.

ამ დროისათვის კი სადგურში მოხული იყო მხოლოდ 69 ვაგონი.

ამ შედეგებით, თორემ ფაქტობის ჩამოვლია, როგორც იტყვიან, დღემდე მოგვიწევს.

ოქტომბრის დამლევს, როცა ნარკვევის ეს თავი თითქმის უკვე მზად მქონდა, პრესაში გამოქვეყნდა საქინფორმის ცნობა ამირკავკასიის რკინიგზის მიერ წლებიდან დღემდე მესამე კვარტალისა და, საერთოდ, ცხრა თვის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დავალებათა გადაჭარბების შესრულების შესახებ, რისთვისაც კოლექტივი სრულიად საკეთნარო სიციხედასტურ შექმნილება გამარჯვებულად ცნეს და გადასტეს სარკვევით გზის სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტისა და ხატარხპორტო მშენებლობის მუშათა პროსუკავშირის ცენტრალური კომიტეტის ვარდაპევილი წითელი დროსა.

დღემ დასაწყება ეს. შესაძლებელია ავტორის პირში ბურთივ ჩასხაროს ამგვარი ავტორიტეტული დოკუმენტით აღჭურვილმა უწყებამ, მაგრამ რკინიგზით ტვირთთადაზიანდვა, სამწუხაროდ კვლავ არც ფერხდება, ამაზე რა, — ენას კბილებად დაუპირით, თავი მოიტყუროთ!

მიწვევები, გამოშვებები მიწვევები უნდა ვეძიოთ, მათ უნდა ჩაუყვები კვლადაკლად...

ვაგონების ამგვარი დეფიციტის პირობებში, ცხადია, განსაკუთრებული ყურადღებები უნდა გვაქვას რეგულაციების ტვირთის დატვირთვისა და მათი სარკინიგზო ჩიხების სრულ წესრიგში მოყვანას, სამწუხაროდ, ამ მხრივად ხარვეზებია.

შარშან, მაგალითად, ნავსადგურში სულ 74958 ვაგონი მიიღო. აქედან მოკლენით დამოშვება 1727 ვაგონი, ხოლო მოკლენის დროს 7409 ვაგონსათა შეადგინა. ამისათვის ნავსადგურს დღეისა 2899 მანეთის ქარიმა.

ქალაქის სამომხატო-სამშენებლო კანტორის მიერ 1952 წლის აგვისტოდან 1953 წლის 1 ივლისამდე ამ ორგანიზაციის მიზნით რკინიგზის ვაგონების მოკლენისათვის ქარიმის სახით გადახდილია 476 მანეთი.

სხვა ორგანიზაციებიც არ გამოიყურებიან ამ მხრივ სახარბილოდ.

სატვირთო ოპერაციების არაორგანიზებულად ჩატარების შედეგად მიმდინარე წლის ცხრა თვეში რკინიგზის სადგურში ნორმავზე ზევით მოკლდა 2228 ვაგონი, ე. წ. 88281 ვაგონსათა. რისთვისაც ტვირთიმძღვრებს 89438 მანეთის ქარიმა დაეკისრა. ვაგონების არამწარმოებულ რიგ მოკლენების იმის შედეგად, რომ ზოგიერთი ორგანიზაცია ქარავნად ყურადღების არ უთმობს რკინიგზის ჩიხებისა და მისასვლელი გზების ტექნიკურ მდგომარეობას, არ აწარმოებს ჩიხების დროულად შეკეთებას.

ღიამ, ცუდად მუშაობს რკინიგზა, მაგრამ მის ძირითად მომხმარებლებსაც რომ არ შეკინათ მთლად დალაგებულად საქმე! ამაზე რა ვთქვამ?

ღიამ, შედარებით კარგად მუშაობს საზღვაო თუ სამდინარო ფლტობი, მაგრამ ხომალდებს რკინის წყვალთ ლიანდაგი რომ არ სჭირდება! მისი ლიანდაგი ხომ მის მიერვე გაკეთებული ცისფერი ხლიკებია?

რაშია საქმე? რატომ ახლართ-ჩაბლართა მდგომარეობა ისეთ ორგანიზაციებში, სადაც მუშაობა ფილიგრანულ სიზუსტეს მოითხოვს?

რატომ აირ-ღირთა ვითარება ფოთის რკინიგზის სადგურის კოლექტივში, რომლის საბეღალეთში შრომითი თუ სახარბილო ტრადიციები ქარ კიდევ პირველი რეგულაციის პერიოდშიდან მომდინარეობს? კოლექტივში, სადაც უმუშევრობის ღენინის ორდენის ერთ-ერთ პირველ კავალრებს ფოთში — მემანქანებებს გრიგოლ ცანავასა და ამხერკო მიქელაძეს? კოლექტივში, რომელმაც მას წინათ თავისი არსებობის ასათა წლის ოფიხედ გადაიხადა და ამ თარბს მშვენიერი ძეგლიც მიუძღვნა (რკინიგზებშია ზუსტად აღადგინეს ფოთი-თბილისის მაგისტრალზე მოქმედი ერთ-ერთი პირველი ორთქლმავალი № 210 და სადგურის მოედანზე კვარცხლბეკზე დადგეს)?!

რა დემარტია ამ ერთ დროს წარჩინებულ სადგურს?

ამერად მახუბად საყოთარ მოსაზრებებს თავს არ მოკავებეთ. კომპეტენტურ პირებს მოვუსმინოთ, ანუ აჩვენებს.

ბირთვი ვატიკანი: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად ნავსადგურის სიმძლავრეება წლითწლით იზრდება, რაც საშუალებას გვაძლევს გადავამუშავოთ უფრო მეტი და მეტი ტვირთი, ხოლო რკინიგზის სადგურის ვატიკურ-ნარჩენებს, სულ ცოტა 30 წლის წინანდელ დონეზე დარჩა. სწორედ ეს იწვევს, საერთოდ, ფოთის სატრანსპორტო კვანძში დისბალანსის. არადა ისეთი შეთხვევებიცაა აქმნება თითქოსდა ჩვენ რკინიგზაზედგომან თანხმობით არ ვცხოვრობდეთ, სინამდვილეში ანუ არ არის, — დოკუმენტებსა და რკინიგზაუბრებს თანდევს და თანამეგობრობს ოდნოვე მოვლევას. ჩვენ ერთ-მანეთზე საყვედურს ვერ გვაქმნიდნენ. მწვავე ურთიერთობა, რომელიც ჩვენ შორის აქმნება, ოპოზიტური მიჩვენებით აიხსნება მხოლოდ: თუნდაც ასეთით, — არის პერიოდი, როცა ჩვენს პირებსზე და მოედნებზე ტვირთი თავსაყრელადაა, ხოლო რკინიგზის სადგურს დროულად არ აწოდებენ ვაგონებს. პირქითაც ხდება, რაც შეეხება ქარხნებს, — რკინიგზასაც უწყებს ხოლმე მისი გადაჭრა, — 1982 წელს ვაგონების მოწოდებლობისათვის იგი დაქარაზდა 412 ათასი მანეთით.

რკინიგზის კანონიერი, რკინიგზის სადგურის უფროსი: გეგმების შეუსრულებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ვახსენებ სადგურ ფოთის ტვირთბრუნვის არასწორი, არარეალური დაგეგმვა. მხედველობაში გვაქვს წლების განმავლობაში არსებული დისბალანსის ტექნიკურ და საფინანსო გეგმებს შორის. ტექნიკური გეგმა 20-25 პროცენტით აღემატება საფინანსოს. 1982 წლის 10 თვის გეგმა სადგურს უნდა მიეღო 57372 ვაგონი, ფაქტურად კი მივიღეთ 46478, — გეგმის 80 პროცენტი. მიმდინარე წლის შეხაზამის პერიოდში გეგმით უნდა მიეღვაო 64975, სინამდვილეში მივიღეთ მხოლოდ 45990 ვაგონი, ე. ი. უფრო ნაკლები, ვიდრე გახულ წილს. გეგმები იზრდება, ვაგონების რაოდენობა კი კლებულობს.

ქვეყნის დონეზე, რკინიგზის სადგურის უფროსის მოდელი: საჭრებრივად, დისბალანსის ხელს უწყობს ტვირთის არარეალური მოწოდება. — მიმდინარე წლის ოქტომბრის დამთავრება და ნოემბრის პირველი ათ დღეს ნავსადგურში სატრანსპორტულ შეწყობა ტვირთი, საერთოდ, ვაგონების მოცდენება უმეტესად შეხატო-კვარაზე მოდის, ამ დღეებში წარმოება-დაწესებულებებს არასაშუალო პერიოდის მიზნით ვერ გააქვთ სადგურიდან ტვირთი.

წარსული დროისათვის, — რკინიგზის კვანძის პარტოული კომიტეტის მდივანი: ნავსადგური ასრულებს სასურსათო თუ სხვა ტვირთების გადაზიდვას გეგმებს, ჩვენ ვერ ვაჩერებდით. რკინიგზის ფაქტობრივ, ჩვენ რა, ნაკლებად მოწოდ-

ებული ხალხი ვართ! მოელი ქალაქი იცნობს ჩვენს შრომისმოყვარე კოლექტივს. პირველი მიზეზი ჩვენი არასახარბილო მუშაობის განხილვა მოუტყვევებელი შეუსაბამო დაგეგმვაში: ნავსადგურში ტვირთბრუნვა იგეგმება რეალურად, ხოლო რკინიგზაზე ვაგონების რაოდენობით, — აქედან შეხაზამის ტრენებში. ქალაქზე — გეგმით ვაგონების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს, ხოლო ფაქტურად ვდებულობთ ვაცილებით ნაკლებ რაოდენობით, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ჩემი აზრით, საერთოდ, ტვირთბრუნვის რეალური დაგეგმვა თავიდანვე უნდა იყოს დაანგარიშებული გზით მიმოსვლის, სასწრაფო და გეგმობრივად საპრობლემო სამინისტროების ერთობლივი შეთანხმებით, არადა, კრიტიკის არაკეთილმოკვდის დღეებდობით.

კიდევ: გეგმების შეუსრულებლობის შედეგად ექვსი მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის დონეცა, — გაზარდა კადრების დენადობა, არ გვაქვს კომპეტენტური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, — ამასთან რკინიგზის კვანძის 750-იან კოლექტივში მხოლოდ ოთხი კაციღა სპეციალური უმაღლესი განათლების მქონე.

წინააღმდეგობა: რკინიგზის კვანძზე არსებული მდგომარეობის გამოსწორებლად პარტიის საქალაქო კომიტეტმა ქვემოთ დონის მიზნები გაატარა. სახელდობრ, — ხანი ათწლეული წლის შემდეგ კვლავ აღდგა აქ პარტიული კომიტეტი, რომელიც, უპირველესად, საქარხნებზე იყო ქალაქის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მიმდინარე პროცესების განვითარებით, რკინიგზაზე კომუნისტთა როლის ასაძლავლებლად ამ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საქმეში, მათი ძალებს შეესაყრება და გასაერთიანებლად.

შეიცვალა სადგურის ბელმძვანელობა. კვანძის მუშაობაში უკვე შეიმჩნევა დადებითი ტენდენციები, შემცირდა კომერციული წუნის გამოწვეული დანაკარგები, 1982 წლისა და მიმდინარე წლის 10 თვის დათვლებებს წარმატებით ვაჩრთვს თავი კვანძის ცალკეულმა დარგებმა და სამსახურებმა, მაგრამ სადგურის მოვლი ძალით ასაშორებელია ვერ კიდევ მრავალი რამ არის გასაყეთებული, რაც, სამწუხრად, მარტო ფოთელ რკინიგზელთა მონდომებამოწადინებაზე არ არის დამოკიდებული. ავიღოთ ისეთი მაგალითი, — სადგურში დატვირთვა იგეგმება ორი მაჩვენებლით, — საფინანსო და ტექნიკური. მიხანსწინებლია, რომ ტექნიკური გეგმა ყოველთვის აღემატება საფინანსოს და ეს იწვევს მის სისტემატურ შეუსრულებლობას 20-25 პროცენტით, ხოლო დისბალანსის ძირითადი მიზეზი ვახსენებ სადგურში შემოსული და დაცული ვაგონების რეგულაციების მოტვივით უკანვე ვაგონება. ეს მაშინ, როდესაც ნავსადგურში თვეების მანძილზე დიდი რაოდენობით ვრცელდება სატრანსპორტო საშუალო თუ

რი ქალაქების წუნარი მოედნებმა, შევადანს ხეატი და ჩრდილში მოღულუნ ქატრებმა, მოსთენილობა და სრული სიმშვიდე. ახეთ ადგილებში აღმანიის სული ტრილობებს იშუშებს და ამბობის ხმას ახშობს. გრძნობამორიულს, ტირილი მინდებდა და შა, ბოლოს, ვიჩენცა და აჭარბი დღვების ერთფეროვანი მდინარება. დილაობით ქათმებს ქოქოთი მადვიძებს... მწუხრისას, მზე კვიპაროსების უკან ჩაეხვევება და ბუნება ნაზდება, მაერს კი ტრიკინობელების გამაყრებელი ვნახი ავსებდა... ჩემი შინაგანი დღვლილუ დღვთა მონაცვლობის უფოვლ რიტმს მიყვება... ჭველი ავევით გაწუბილი ოთახის ფაჩრები დაღვობს ვადამყურებს, ფაჩრებზე არშამოვლებული ფარღები ჰკი-ღია... მე მიტეა არაფერი მინდა: ან კი სხვა რა ვისურვო? ცის შუკი სახეზე შედარება, დღვ დღვს ენაცვლება და ასე მგონია, მეც მივევები ფაშის ცვალებაღობას, მეც ამ წრებრუნვის მონაწილე ვარ. მთავარი კი ის არის, რომ ერთადერთი შესაძლებელ ბედნიერებას ვეჩირათ — საყოთარი ვრნება შემოვირავე და მეგობრად გავიხადე, მთელი დღვ ვსვირნობ: გორაკიდან ქალაქისკენ ვეშვები ან კიდევ ქალაქის შემოგარენში დღვებტებო. ეს აღმანიებიც მივეარს და ქრებების სურნელი სხარულით მავსებს გულს. შოგარაკე ქალიშვილები, ნაყინის გამყიდველის საყვირის ხმა (ნაყინს ურიკებით დაატარებენ, რომელიც ბორბლებზე შევენებულ გონდობას წაგავს. მხოლოდ ეს არის, რომ ხელმა მიუშტებიათ), ზღის გროვა, შევმარცალიანი, წითელი საშმარობები, გამჭვრავლე და წებოვანი ყურძნის მტევნები — ყოველივე ეს სიმარტოვს ვამოცდებებას მავიწებს. შაგრამ ტრიკინობელას გამშული სიმღერა, წყლისა და ვარცკლავების სურნელი, სეტამბრის ღამის ზიბი და უვავილნარში გაკაღული გზა სიმარტოვე მისკილი კაცის ამქვეყნური სიმდიდრებია. აი, ასე ვადის დღვები. მზით აბრღვიალებულ დღვს ჩამავალი მზის სხივებით მოვარყებული და კვიპაროსების ჩრდილებით ჩამოქრებული ღამის ენაცვლება. ამ დროს მინდვრის ბილიკს მივუსვები აქითკენ, სადაც ტრიკინობელების ხმა ისმის. რაც უფრო ვუახლოვები, მით უფრო სუსტდება სიმღერა, მეტრე კი სულიც მყოფდება. მშინდ მავამეჭ, თოქოს მთელი ეს მშვენიერება ტვიართად შევებოდეს მხარებზე. ზურგსუკან ტრიკინობელები იბევ იწყებენ თავიანთ სიმღერას... იღვ-მალი ზეცა გულგრილია და მშვენიერია მზის უკანასკნელი სხივი ავარაკის ფროტონზე აკი-აფდა და მე ვეთოშლობ წარწერას: „მუნების სიღაღემში, სული აღორძინდება“. ვწრდები და სულს ვითქვამ. ცაზე პარკული ვარცკლავი აკი-აფდა, გორაკის თავზე სინათლე აინთო და სიბრუნელე ჩამოწვა, უციარი და მოღვლენელი: ბუჩქებს ნიავმა ჩამოუარა; დღვ ვაჭარა და ხახსოვრად თავისი სიმშვიდე დამიტოვა.

1 ბაუსტენი — ქალაქი გერმანიაში, დრეზდენის ახლოს.

რა თქმა უნდა, არ შეეცვლილვარ, ეს იყო, რომ მარტოსული აღარ მიეჭმოდა. პრალაში, ოთხკედელშია გამოქვეყნდებული ვიხუთებოდა; აქ კი სამყაროს სული გადავუშალე და ნაცნობი ფორმებით დავასახლე იგი. მაგრამ, ჭერაც არაფერი მოთქვამს მზეზე. დიდი ხანი შევადიე იმის გარკვევას, თუ რით მშობლავდა ხელარბზე, რომელშიც ბავშვობა გავატარე; მსგავსად ამისა, მხოლოდ ახლა ჩავწყვიდი ამ სიბრძნის, რომელიც მზემ და მშობლიურმა მხარემ ჩამინერგა. დიდი აგარაკიდან გამოვდიოდი და ადრევე შეგულებული ადგილისაკენ მიიქარბოდი. აქედან, ჩემს თვალწინ, ვიჩინვას დაბლობი იშლებოდა. მზე შუბის ტარზე იდგა, წყვილად დედამიწას შერკოვანი სიღრმეც ეფინებოდა. ხინათლე გორაკის კალთებს თავქვე დაუფებოდა, მხურვალე კაბად ეტმანებოდა სახლებსა და კვიაროსებს, დაბოლოს შორიზონტის მიღმა, თვალწინდელ სივრცეში განიბნეოდა. მზის გულზე აღაპლაქებულ დაბლობს ოსშივარი ასდებოდა. თვალწინ კი ისევ და ისევ ის მტკივნეული ზანება მიცოცხლებოდა: დაბალი, სქელი შამაკის შორიზონტალური ჩრდილი. მზის სხივებში გახვეულ მტკრიან ველზე, ბორცვებს შორის, რომელთაც შეტრუსული ბალახის მერხერი ქორიბი შემორჩენიათ აქა-იქ, თითქოს ბელით ვებებოდი არსოფნის ამაზრუნესა და განძარცულ სხეულს. ეს მხარე ჩემს საყუთარ წილში მარბუნებდა და იდუმალი კავშირის ტყვედ მაქცევდა. პრალის კარვანი იყო თუ სხვა რამ? ვერ ვიტყვით. ერთი კი ცხადია, — ბებოთ, დამილითა და მშით ხავს იტალიის ველების პირისპირ მდგომი, უფრო მძაფრად ვგრძნობდი სიკვდილის სუნთქვას და სამყაროს არადაშიწურვობის განცდა, ეს ერთი თვეა ჩოტად თან რომ მდებდა, სულ უფრო ძალუშად მიმოხებდა. სიცოცხლის სიჭარბის განცდა, ისევე როგორც უსიხარულო სიმშვიდე სულისა, რომელიც ჩემს არსებას ავსებდა, ერთი გრძნობიდან იღებდა სათავეს. ეს იყო შეგრძნება იმისა, რომ ამქვეყნიურა სიმდიდრებით ტკბობაში მე წილი აღარ მიღო. ეს შეგრძნება კი სამყაროსადმი უანგარო მიმართებას გულისხმობს. ვანა მომკვდავს, რომელშიც შეიციო სიკვდილის გარდუვალობა, აღვლევს ცოდვის მომავალი ბედ-ილალი? ამის მტკიცებას მხოლოდ რომინებში თუ შევხვდებით. აი, სწორედ ამგვარ დაშორებულებში ცხადდება ქეშარიტი ბუნება კაცისა, თავყე-

რდა, ესე იგი, იმედგადაწურული არსებისა, მე რომ შეიბოთ, სამყაროში არაფერია ისეთი, რაც უკვდავებას გვიპირდებოდეს. ან კი რაში მადგა სულის უკვდავება, თუ კი ვეღარ დავტყვებთ ვიჩინვას ხელაშაწით, თუ კი ვეღარ შევებთ ურჩინის მძიმე მტევანს, თუ კი მოწინა-მარკოდან ვილა ვილმარანსკენ ვაღ მიშავალი, ვეღარ ვიგრძნობ ღამის ნახ ალერსს? დიას, ყოველივე ასეა. მაგრამ, ამავე დროს, მზესთან ერთად, ჩემში შემოდის რაღაც, რის ახსნად ძლიან მიჭირს. უკიდურეს ზღვარამდე დაქიმული ცნობიერება ყოველივეს თავს უყრის და ჩემს ცხოვრებას დასრულებული სახით წარმოიხვედს, იგი ან მთლიანად უნდა მვიცოდ, ან მთლიანად უნდა დავიშო. საყუთარ ღირსებას და სიდიადეს ვძიებდი და ვპოვე კიდევ, რამეთუ იგი ჩემი ღრმა უიმედობისა და ამ თვალწინმტაცი პეიზაჟის პაექრობაში შეგულების. ეს შეჯახება მხნეობას შატებს და გონებას მიმხველებს. მძიმე წინააღმდეგობებით სავსე განცდა... მარტოსულისთვის ესეც საკმარისი ტვირთია. შეიძლება, ჩემდაუნებურად სხვ ეწყვადე იმას, რაც მაშინ ასე მწვავედ განვიცადე. მთავარი ისაა, რომ ზწირად ვიხსენებ პრალს და იქ გატარებულ, სიკვდილით დაღდასმულ დღეებს. ახლა მშობლიურ ქალაქში ვარ მაგრამ დროდადრო, კიტრისა და ამრის მკეთარი სუნი გულს მიტრიალებს და გარდასულ წუხილს ადვილებს. მაშინ ვიჩინვას ვიხსენებ. მე ორივე მჭირდება, პრალე და ვიჩინვაც; ორივე ერთნაირად ძვირფასია ჩემთვის, რამეთუ არ ძალიან ერთმანეთს დაეშორა სინათლისა და სიკაცხლის ხეყარული და ის მწარე, უიმედობით გაფლენილი გამოცდილება, რომლის აღწერასაც აქ შევიცადე მიიხველი თვედ მიხვდება, რომ მე-ვერც ერთი შეველავი და ვერც შეივრის. აღწერის გარეუბანში ერთი პატარა, ბრინის შვეკრიანი სასაფლაოა. სასაფლაოს ტოლოში თუ გახვალ, ბეობასა და მომცრო ურრეს მკვლევ თვალს. შეგიძლია საათობით უჭკრიტო ბუნების ამ საოცარ ძღვენს. მიღამოს სუნთქვა ზღვის სუნთქვას ერთვინს. უკან რომ გამობრუნდები, ერთ უპატრონო საფლავს გადაუტრები. საფლავის ქვაზე წარწერაა: „მარადიული ნაღველი ჩემი“. საბედნიეროდ, ამქვეყნად ჭერ კიდევ არ გადაშენებულან იტალიისტები, რომელთაც ყოველივეს მოგვარება ბედნიერებათ.

სიცოცხლის სიყვარული

ღამით, ახლანაჲ ქალაქის ცხოვრება ბაზრის უკან, კაფე-შანტანების უბანში ინაცვლებს. ბნელ და მთურბულ ქუჩებს გაუყვები და ერთბაშად კაფეების კარებიდან ხინათელ და მუსიკის მანკები გადმოიღვრება. ერთხელ, მთელი ღამე გაუტარე ასეთ კაფეში. დაბალტერიანი, პატარა დარბაზის კედლები მწვანედ შეედლებათ. კედლებზე უვალდების თაიფულები ცივია. ხით გაწოხილ ჭერს პაწაწინტილა წითელი ნათურები ანათებდა. ორკესტრი და ფერად ფერადი ბოთლებით გამოკედილი ბარის ძლივს ტეტოდა ამ სივიწროვეში. ტუტმარები ლამის ერთმანეთს ახსდნენ, ნემსის ჩასავარდნი ადგილიც არსად იყო. დარბაზის შუაგულში ერთი მტკაველა თავისუფალი ადგილი დატოვებინათ. მიმტანები ბოთლებსა და ჭიქებს დაარბენინებდნენ. ვიღაც მწვლედაურმა ზედ ჩემს ცხვირწინ ამოაბოყინა და როგორც ვადამთერალ კაცს ჩვევია, უთავბოლო ბოდნიშებს მომყვია. პირისპირ მჭდომი ჭუჭია თავისი ცხოვრების ისტორიას მიყვებოდა. ძარღვები დასკომოაზე მქონდა და მისთვის არ მცვალა. ორკესტრი თავდავლებული უყრავდა, მაგრამ რიტმის გარდა არაფერი ისმოდა. კლიენტები ფეხას ბრავუნით იხვლიდნენ ურველ ტაქტს, ღროღადრო კარი იღებოდა. ახალშობულს მზარდი ყვირით ზვდებოდნენ და რის ვაი-ვაგლობით უძებნიდნენ ადგილს.¹

უცებ დარბაზში გიტარის ხმა დაიბზა და იმ ვიწრო წრეში ვიღაც ქალი ჩადგა. „ოცდაერთი წლისაა“ — მიმწრო მწვლედაურმა. ჰოი, საღვრებაჲ! მოცეკვავეს მართლაც უმაყველი ქალის სახე მქონდა, მაგრამ სხეული ბორცის შთან მიუგავდა. მეტრ და ოთხმეცი სანტიმეტრის შიანც იქნებოდა სამას ლიტრამდე აიწონის-მეთქი, გაიფიქრე. დონიჭშემოყრილი იდგა და ილიმებოდა. უფროელი კანა და თეთრი ტუპის კურტაკი ეცვია. ტურჩების კუთხებთან და უფრებთან ბორცი ნაკეცებად ედო. დარბაზში შეტრებილი თითქოს ეშვავი შეუფჯათ ტანში. თქმა არ უნდა, ქალს კარგად ეცნობდნენ. ეტყობა, უყვარდაჲ კიდეც და ახლა ერთი სული მქონდათ, ხანამ რაკვას დაიწყებდა ქალი კი იდგა და იცინოდა; მერე მაყურებლებს მოავლო თვალს და სწრაფი მოძრაობით მუცელი გამოჰწინა. დარბაზმა დაიღრიალა და რაღაც ცნობილი სიმღერის შესრულება მოითხოვა. ანდალუზიური სიმღერა იყო. ქალი ბორბისმიერი ხმით

მღეროდა, ორკესტრის მედროლე კი ურველ შესამე ტაქტს დოღს აყოლებდა. ქალი მღეროდა და თან სხეულს ისე ათამაშებდა, ფიქრბდით ვნებიაჲ! ალტინებამ აიტაცაო. სხეულის მონოტონური რხევისგან, თეძობთან ხორცეებრებოდა და მთელ ტანზე ტალღებად იცობოდა. დარბაზმა ხმა გამოინდა, მაგრამ, იმ მისამღერის ჭერიც დადგა. ქალი ადგილზე დაბზრიალდა, ძძუძებზე ზელები წაივლო და კიდევ უფრო ფართოდ დაადო წითელი და სველი პირი. მაყურებლები ფეხზე წამოდგნენ და ერთხმად აუდნენ სიმღერას. ქალი დარბაზის შუაგულში იდგა. თმაგაწერილსა და ოფლად გაღვრილს, მიმე მკერდი უცახცახებდა და გულისპირადან ამოვარდნას ლამობდა. წულღან ამოსულა, არააქვეყნიური ღვთაება გეგონებოდა. დაბალე, ბრიფული შუბლი მქონდა და ღრმად ჩაჭდარი თვალები. ქანდაკებასავით გახეცებული იდგა; ერთი ეს იყო, რომ ნარბენი ცხენავით უფროოდა მსულები. ამ ავბორცული ფერხული შუაგულში სიცოცხლის უსამს დაუნებისმომშელი კერამდ აღმართულიყო, თვალეზში უიმედობა იდგა, სქელ მუცელზე კი ღვარად დასდებოდა ოფლი...

კაფეები და ვაზეთები რომ არა, მერწმუნეთ, მოგზაურობა ძველი ასატანი იქნებოდა. მშობლიურ ენაზე დაბეჭდილი ვაზეთი და ჩანელებული სარდაფი, სადაც საღამოობით სხვა ადამიანებს ზელები და ეხები, თითქოს საკუთარ თავთან გაბრუნებს და ისეც ამ ადამიანად გაქცევს, როგორც შინ იყავი, მანამ, სანამ აქეთ გამოემგზავრებოდი. მოგზაურისთვის ყველაზე დიდი შენაძენი შიშია. ეს გრძობა შენაგან დეკორაციებს არღვევს, ასე რომ ამიერადან თავს ადვილად ევეღარ მოიკუყუბ. შთავარი კი ის ვახლავთ, რომ ურველდღიურ სამულშაო საათებს ევეღარ ამოეთარები (ჩვეუ გეძულს ის საათები, რომელსაც დაწინებულეზში, ან სამშენებლო ხარამოებზე ვატარებთ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, სწორედ ისინი დავვისხინან სიმარტოვის სიმძაძილსაგან). ამიტომაც იყო, რომ მულდამ ვეპირებოდი დამეწერა რომანი, სადაც რომელმე გმირი იყოთავდა: „ეს სამულშაო საათები რომ არა, ერთი მაცოდინა, რა შეშველებოდა?“; ან კიდევ იტყოდა: „მართალია, ცოლი მომიკვდა, მაგრამ, სახედნიეროდ, ზეალისთვის შემიძია საქმიანი წერილი მაქვს დასაწერი“. მოგზაურობა სწორედ ამ თავშესაფარს გვიწვრევს. აბლობლებსა და მშობლიურ ენას დაცილებულნი, ჩვეულ საყრდენებს მოკლებულნი და ნიღაბგლქილნი (აქაური ტრამვას ბილეთის ფასიც კი არ ვიციოთ), ხაკუთარი თავის ანახარა ვრჩებიოთ. ამასთანავე, სულიერი შეფთის მტკივნეული გაცდა გვეშ-

1 არის რაღაც მიზიდველი იმ სილაღეში, რომელიც ურველ ცივილიზაციას თან ახლავს. ესანეთი კი ვერობის ერთ-ერთი ყველაზე ცივილიზებული ქვეყანაა.

ფლება და უკველი არსება თუ საგანი სასწაულდებრივ ფერებში წარმოგვიდგება. უაროდ მოცდევად დედაყვი, გამჭვირვად ფარდის უკან, მაგადაზე შემოდგმული ბოლი — ნებისმიერი სურათი და ხან ახლა სიმბოლიურ მნიშვნელობას იძენს და თითოეულ მათგანში მთელი სამყარო ირელება. ჩემი საკუთარი არსებობაც ამ საგნების საზღვრებშია მოქცეული. რარივ აღწერიო ის წინააღმდეგობრივი გრძნობა, რომელიც თრობას უფრო წაგავს და რომელიც ამ წუთებში მეფუფლება? (ერთი კი ცხადია: ამ თრობას გონების სიფხილე ახლავს თან). ხმელთაშუაზღვის სანაპიროს თუ არ ჩავთვლი, არსად არ ვყოფილვარ ესოდენ შორს და, ამავე დარს, ესოდენ ახლოს საქუთარ თავთან. იმ საღამოს, კახეთში გაცდილი გრძნობა, ეტყობა, სწორედ აქედან იღებდა სათავეს. მეორე დღეს, შუადღისას ქაქაქის ტაძრის სიახლოვეს დავიპიტებოდი... ძველი სასახლეების გრალი ენობები, უცაცრიელი, ჩრდილებით ჩამუქებული ქუჩები, ფოთლების ყრუ შრიალი — ყოველივეს რაღაცნაირი „სიზნატის“ დავი ენვა. კაცის კუპანება არსად იყო. სახლების ბანებზე ვახვებული დედაბრები დაღაღად. სახლების რიგს მივუყვებოდი, მწვანედ ახასხახულ ენობებთან ნაბიჯს ვანულებდი და სულ უფრო მეტად ვიფრინებოდი ირავლივ გამეფებული დუმილის სიღრმეში. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოსდა საკუთარი არსების საზღვრებს ვაქადვ, ჩემვე ნაბიჯების ხმად ვიქვი ან კიდევ ჩიტების გუნდს შევუფრთხვდი, რომლის ჩრდილშია ავტრ, ახლა ვადაუარა ჩამავალი მზით განათებულ ქონჯურებს... წმინდა ფრანცისკის გოთური მონასტრის ხშირი სტუპიარი გახლდით. მონასტრის ფიქვი და ბეროვან სვეტებზე ძველი ესპანური ძეგლები-სათვის დამახასიათებელი ვარაუი ბზინავდა. ენოში დაფნა და წაწავა უვარდა. რკინის ქის თავში, გრძელ ქაჭვზე ჩამოკწწილდებული, ეანგომოდებული ბადაი ევიდა. გამწვლელები ჩერდებოდნენ და ქის წყალს სვამდნენ. ახლაც ჩამქსის ქვის კედლებს მიხლილი ბადაის უსიამო ხრქვალა... არა, სიცოცხლის სინასა ვანცდა ამ მონასტერში არ მივწვინა... შტრედების ფრთების ტყლამუშში, ბაღში ანაზღად გამეფებულ სიჭრქესა და ქის საწევარას ტრიალში ახალი და მანც ენოში ნაცნობი სუნთქვა ჩამქსოდა. საგანთა ფერცვალება ვუღვს მიანობებდა და გონებას მიფხილებდა. ერთი გაფრთხილებული მოძრაობა და სამყაროს მომღმარე ხანგ გაქრებოდა, რაღაც წამბარა მოიწვებოდა და ჰკვდარა შტრედები ტყაბა-ტყუბით დასკვებოდნენ მიწას. მარტოოდნ ჩემი დუმილი და უძრავობა შეტენდა — სიმყარეს ამ იდუწისას. მე თამაშში ჩავვრთივ და სამყაროსეულ წმანებათა ბიბლს ვეწონე, თუწყვდა იმასაც კარგად ვხვდებოდი, რომ უკველივც ეს წამიერი მოქვენება იყო და სხვა არავტარი.

ოქროსფერი მზე ნაზად ელამუნებოდა; მონასტრის უვითელ ქვებს. ვიდაც ქალი ვიდაც ქალი დიას ეწიებოდა. ერთი საათი, ერთი წუთი, ერთი წამი და წმანება განქარდებდა. მაგრამ არა — სასწაული ცოცხლობს, სამყაროც აგრძელებს სვლას და მის ამწუთიერ ყოფიერებაში იგრძნობა მარტოსულობა, მსუბუქი ხევა და ფარული ირონია. (მსგავს გრძნობას ქალებთან სიახლოვე ვეცდებოვას ბოლმე). ვარდუვად სიკვდილის მოლოდინით შეფერილი წონასწორობა არ ირდევია.

სწორედ აქ და ახლა, უკველივც წარმავლობის მდუმარე განცდიდან, ჩემში იწვა სიცოცხლის სუფარული. მაგრამ, სიცოცხლის თინს მწარე ნაღველიც ახლდა თან. მონასტრის რომ ვტოვებდი, ვგრძნობდი, საკუთარ თავს აღარ ვეუთვნებოდი — უწარმანარი სამყაროს ნაწილად ვიქვი... მახსენდებოდა დორიული აპოლონის უტყვი თვალები და ქოტოს სურათების განცეხული, სულის მწველი პერსონალები...¹ იმასაც მივხვდი, თუ რა გავკეთოვს მთავაზობდა ესპანეთის მსგავს ქვეყნების მოხილვა: ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე სიცოცხლის რწმენას ეწარბები, გონებასაც დააპურებ და აღამიანურ ოპტიმიზმს კემშირიც არს მოუძებნი. სამყარო აღამიანურ თარგზე არ არის გამოჭრილი; ერთი ეს არის, რომ აღამიანი სამყაროს ბოლო ზღვარია. საოცარი აღმოჩენა გახლდათ. მთავარი ის კი არ იყო, რომ ეს ქვეყანა ჩემს განცდას ენახებოდა, არამედ ის, რომ იგი ჩემი კოხვეებისა და შუოთის ამაოებას მიმტკიცებდა. შადღეირების გრძნობის საწაცვლოდ, ჩემი არსებობის სიღრმედან სწორედ ის Nada ამოიწვლიებოდა, რომელიც მხოლოდ მშის სიმჭურვალით დადაღული პეზაბების სიღვისას იხადება... სიცოცხლის სიყვარული არ არსებობს უიმედობის გრძნობის ვარეზე.

იხისაში სანაპიროზე მიმოფანტულ კაფეებში დედილოდა. საღამოობით სანაპიროს იქაუბრი ახალგაზრდობა ავსებს. წყელები ზღვისპირა დამბასთან აღმა-დაღმა დასეარნობენ. მომავალი ცოლ-ქმარი პირველად აქ ეცნობა ერთმანეთის და მთელი მათი ცხოვრებაც ასე საამყაროზე, უველას თვალწინ მიედინება, მეც სწორედ ამაზე მეგულვის მათი არსებობის სიღაღად, არსებობისა, რომელიც უკიდევანო ზღვის პირას, ვრცლად გააშლილი სამყაროს წინაშე იწყება და მოავრდება. მზით გათანგულს, ჭერ კიდევ თვალწინ მედდა თეთრი ელემიების ქათქათა

1 ბერძნული ქანდაკების დეკადანსი, ისევე როგორც იტალიური ფერწერის დეკემა, ხელოვნებში დიმილისა და მზურის შემოჭრასთან ერთად დამიწყო. ამიერკლდან მწვენიერებამ გონებას დღემო აღვილი.

2 Nada ესპანურად ნიშნავს არარას, არყოფნას.

გუმბათები, დაკბილული ქონგურები, გადაბრუ-
კული, გამოშრალი ველები და წეთისხილის
აქორჩილი ბეები. ფართობლის მომწარო წყენს
წრუპავდი და გორაკებს გავუტრებდი. ზღვიკენ
დაქანებული გორაკები რკალად ევლებოდნენ
უტრეს. ზღვიდან წამოსული ნიავი, ყველაზე
შაღალი გორაკის თავზე, ქარის წისქვილის
ფრთებს ეთამაშებოდა. ბუნების სასწაულით
მოხიბლული ადამიანები უწინდებოდნენ და სულ
უფრო მკაფიოდ ისმოდა, ცხრა მთის გადაღ-
მიდან მოდენილი, ზეცისკენ აღმავალი უცხო
სიმღერის მითრთლვარე ჰანგები. ბინდში იბა-
დებოდა რაღაც მოუხელთებელი, წაშიერი და
მელანქოლიური, ჩაშლის სიახლოვეს ყველაწი
ვკრძნობდით. უშიწეზო ცრემლივით მომქალა
სიუვარული. იმასაც მივხვდი, რომ ამიერიდან,
ძილის ყოველი წაში უქმად დაკარგული, სი-
ცოცხლება და ვნებას წარტაცებული დრო იქ-
ნებოდა. პაღმას კახარებებსა და წმინდა ფრან-
ცისკოს მონასტერში გატარებული, გზნებით

სავსე საათები მიხსენდებოდა. ახლაც ისეთივე
უძრავი და ძარღვებდაბოული ვიყავი, რა-
გორც მაშინ და ახლაც ვერ ვუძალიანდებოდი
იმ იღუმალ და ძლიერ სწრაფვას, რომელიც
სამყაროს დაუფლებიბსკენ მიმიძებდა.

ვიცი, რომ ყველბი. იმასაც კარგად ვუწი,
რომ ადამიანმა საკუთარ სწრაფვებს ზღვარი
უნდა დაუდოს. მხოლოდ ასე თუ შესძლებს
იგი რაიმე ღირებული შექმნას. მაგრამ სიუვა-
რული საზღვრებს არ სცნობს; იგი ყოველივეს
დამონებას ესწრაფვის. ჰუნული ქალების ღი-
მილი მახსენდება. მე მათ ვეღარასოდეს ვიხი-
ლავ. რა თქმა უნდა, ასეც უნდა იყოს. მაგრამ
ვაი, რომ სინანულს ვერას ვუწამლებ. წმინდა
ფრანცისკოს მონასტრის ქის წყალში მტრე-
დების გუნდს ვპვრებ და წუწრული მიწელ-
დება... მაგრამ კვლავაც შოვა ეამი წუწრვი-
ლია.

1986

მთარგმნელის გოლომთვა

„სიკვდილის აღმოჩენამ კიდევ მეტად შეუ-
ვარა აწყო.“

(ა. მაღრო „ღამაჰარობალინი“).

„სიკვდილი გვაცოცხლებს“.

(მ. გოლდერი).

წინამდებარე ესსეების ავტორი ოცდერთი
წლის ახალგაზრდა კაცია... საკმაოდ გრძელი
და რთული გზის გავლა მოუწივეს ალბერ კა-
მიუს, სანამ ფრანგული კრიტიკა მის მიეცე
საუტუნის ლიტერატურის მეტრად შეტაცავს.
ახლა კი ჩვენ ვერ კიდევ საკუთარი ხმის მიფ-
ბაში მყოფი შწერლის ბირველი ნაბაქების
მოწმენი ვხდებით. ესსეები ნათლად ემჩნევა
კამიუს ლიტერატურული გატაცებების ყვლი.
ანდრე ვიღ, ანდრე მალრო, ფრიდრიხ ნიც-
შე, თეოდორე დოსტოევსკი — აი, არასრული
სია კამიუს იმეაჩინდელი კერპებისა. მაგრამ,
უკვე ამ პირველ ცდებშიც, იყვითება კამიუს
ლიტერატურული შემოქმედების ძირითადი
პრობლემებიცა. სამყაროს აბსურდულობის შე-
გრძნება, პირველად სწორედ ჩეხოსლოვაკიაში
მოგზაურობისას ეფულება შწერალს. ალერის
მზაური ნაბიჯების ნოსტალგია კიდევ უფრო
მეფთრად წამოაჩენს უცხო სამყაროში „გა-
დავლებული“ ადამიანის ტრაგიკუზს. პრადაში
ხდება ცხოვრების სარჩულის აღმოჩენა და
სიყვდილოან პირველი შეხვედრის ადგილიც
აქ არის. „მოგზაურობის უმთავრესი გავეთი-
ლი იმეია, რომ საკუთარ თავთან და საკუთარ
ცხოვრებასთან მარტოდმარტო რჩები“ —
წერს კამიუ. შორდები აბლობლებს, ნაჩევე

ადგილებს, ჩვეულ ვესტებსა და სიტყვებს, ირ-
ღვევა არსებობის მონოტონურა რიტმი, ჩვე-
ვათა ფარდა იხდება და დიდი სიციარცილე
გადაგეშლება თვალწინ. ეს არის სწორედ ეამი
ღირებულუბათა ვადაფასებისა. საღამოხანს
უცნობ ქალაქში ხეტიალით დაღლილი, რომე-
ლიმე კაფეში შეიელი — გარშემო უცხო ადა-
მიანები უცხო ენაზე ლაპარაკობენ. უურადღე-
ბას არავენ გაქცევა, რადგანაც შემთხვევითი
სტუმარი ხარ და სულ უფრო მეტად გვიძლე-
ბა საკუთარი „ზედმეტობის“ განცდა. უტრა-
ღლებით ავირდები ადამიანების ვესტებსა და
მიმიკას, მათ აზრს კი ვერ წიღებდი. ერთი უბე-
დურება ისიცაა, რომ თუ კი უკან მოიბედავ
და საკუთარ თავს გაიხსენებ, ისეთი, როგო-
რიც იქ, შშობლივ მხარეში იყავი. ერთმა
შად „ექ დატოვებული“ ცხოვრებისადმი უც-
ხოობის გრძნობა მოგვახლება. პირი და სარ-
ჩელი — მზე და ჩრდილი, ბუნების პარპო-
იული წონასწორობა და სადღაც, იქვე ახ-
ლოს ჩასაფრებული არყოფნის მწველი ვინც-
და—აი, ის უკიდურესი პოლუსები, რომელთა
შორის მარად ირწევა შეშფოთებული გონება.
კამიუს შემოქმედების კომენტატორი როდ
კითხ წერდა: „რემბოს, ნიცშეს თუ ვიღის
ლიტერატურული რემინისცენციების მიღმა,

მეოთხედი ადვილად იბოენის ყველა იმ წინა-აღმდეგობას, რომელიც კამიუს შემოქმედებას ეკება; ბედნიერების სურვილი და ცხოვრების ტრაგიზმი, ჰუმანიტებისავე სწრაფვა და შინი მოხელთების შეუძლებლობა, სიყვდილის შიში და სიცოცხლის ზღვარუდები სიყვარული.

ეს ორი ესეი კამიუს მსოფლალქვის ორი მხარის წარმომჩენია, რომელთაგან ერთი ჰოს სფეროა, მეორე კი არა-სი. კამიუ არც მზეს უარყოფს და არც ზარდის, რამეთუ, ყარგად უწყის, რომ მზიან ქვეყანაში დაბადებული კაცისთვის, რომლის ცხოვრება თეოსიმომჭრელი სინათლით სავსე ზღვის პირას მიედინება, „მზე ზოგჯერ ბნელია“ (რენე შარი).

სიცოცხლის სიყვარული და ერთგულება ამ ქვეყნიერი სიტუაციებისა და სიმწარის ერთდროულ მიღებას გულისხმობს... სხვას რომ თავი ანებო, საკუთარი არსებობის წარმავლობის შეგრძნებას ჰაინც ვერსალ გაეპქევი და „მიწიერ საყვებს“ დაწაფებულ ადამიანს, ეამიამ ეელინება სიყვდილის აჩრდილი, რომელიც ჰიასავით შიგნიდან ღრუნის ნეტარების ხის ნაყოფს.

„პრალის გადასახლება“ მწარე გაყვეთილი იყო კამიუსთვის. მატროსული მოგზაური სამყაროს ჩრდილოვან მხარეში მოხვდა, სადაც მზიანი ნაპირების გახსენებაც კი მტყიენეულ განცდად იქცევა.

მძიმე კეშისგან განკურნება და სულიერი წონასწორობის მოხვეჭის ცდა ესპანეთს უკავშირდება „ტემპერამენტიანი ადამიანებისა და იმპულსური ემოციების ქვეყანას. „სიცოცხლის სიყვარული“ „კეშანზე“ ერთი წლით ადრე

დაიწერა, მაგრამ თავის კრებულში კამიუ ერთნოლოგიურ რიგს არ იცავს ეტყობა, მწერალს სურს თავის მეოთხედს ჭერ სიცოცხლის საჩუხელი წარმოუჩინოს და მელანქოლიის ღრმა უფსკრული ჩაახდლოს იგი, რათა ერთხელ კიდევ თვალნათლივ უქადაგოს ის გაყვეთილი, რაც საკუთარი გამოცდილებით შეიძინა: უიმედობიდან იმედი იბადება, ტყვილისგან სიხარული იშვება, ხოლო ბნელის უკიდურესი ზღვარი სინათლეა, სწორედ ის სინათლე, რომელიც, საბოლოო ჯამში, ადამიანს სამყაროსთან შეარბევს.

კამიუს ესეების სტილი დაუბვეწავია, გაუჩანდავი. ნაწარმოების სტალი, როგორც ჩანს, არც თუ ისე ანაღვლებდა ახალგაზრდა აეტროსს. მისთვის მთავარი იყო, ეს-ეს არის „ჩაქერილი“ ჰუმანიტებისათვის ეზიარებინათვისი მეთხველი.

კამიუს ესეებში ერთერთს ერწყმის ფილოსოფიური აზრი და პოეზია. პირველი ჰუმანიტების ძიებას ემსახურება, მეორე კი თვით ამ ძიების გინიანი, დაუოყებელი ხასიათიდან, მისი „დაძაბულობიდან“ იღებს სათავეს. შეიძლება სტილის ეს „უმწიფარობაც“ იყოს ამ ესეების ერთი დიდი ღირსება, რადგანაც მასში უფრო ძალზედ შეიგრძობა უმწიველური გულის იღვმალი თროთუა.

თავის „დღიურებში“ კამიუ წერდა: „მე მსურს ერთ მთლიან წრედ შევკრა ჩემი შემოქმედება და საკუთარ ფესვებს მიეებრუნდე“. ეს ორი ესეიეც მეთრე ნაწილია იმ ფესვებისა, რომელთანიც მიბრუნება ალბერ კამიუს აღარ დასკალდა...

თარგმანი და ბოლოთქმა
გიორგი მაიხაშვილისა



იოანე პეტრიწი „ფილოსოფიური მემკვიდრეობის“ სერიით

შუა საუკუნეების გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის შემოქმედება მუდამ იყო ქართველი სწავლულების ყურადღების ცენტრში, იოანე პეტრიწის შემოქმედების დიდ შეფასებას აძლევდნენ ანტონ ბაგრატიონი, იოანე ბატონიშვილი... მოკლე და ლაკონურია სოლომონ დოდაშვილის შეფასება: „პეტრიწი ესე იყო კუშიარტი ფილოსოფოსი, ფრიად საფეარელი მოღუქსე საქართველოსა შინა, სრულის აზრით იყო დიდი და ჩინებული კაცი დროისა თავისისა“.

იოანე პეტრიწის შემოქმედების მეცნიერულ შესწავლას საფუძველი დაუდო ნიკო მარმა გამოკვლევით — „იოანე პეტრიწი, XI-XII საუკუნეების ქართველი ნეოპლატონიკოსი“ ამ გამოკვლევაში დამაჯერებლადაა ნაჩვენები იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობის ნეოპლატონური ხასიათი და მისი შემოქმედების დიდი მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის. ახალ დროში კიდევ უფრო დიდ მზრუნველობას იჩენენ ქართველი მკვლევარები იოანე პეტრიწის შემოქმედების მიმართ. ამ მზრუნველობის დასტური იყო 1937 და 1940 წლებში იოანე პეტრიწის შრომებზე ორტომეულის გამოცემა. გამოცემას დართული ჰქონდა ლექსიკონი, ზოლო ორივე ტომს, ცალ-ცალკე, ვრცელი შესავალი წერილები. ამ გამოცემისათვის დიდი შრომა გასწიეს — შალვა ნუცუბიძემ, მისე გოგიბერიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა.

1942 წელს კი იოანე პეტრიწის ორიგინალური თხზულება — „განმარტება“ პროკლესოვს დიაღოზისისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის“, რომელიც 1937 წელს გამოიცა, შრომების მე-2 ტომში რუსულად გამოვიდა. თარგმანი შეასრულა პროფესორმა ილია ფანცხავამ. ეს ფაქტი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული კულტურისათვის, რამდენადაც იოანე პეტრიწის შემოქმედება ზელმისაწვდომი გახდა სპეციალისტთა და მკითხველთა ფართო წრისათვის, აღნიშნულ გამოცემებს თან ახლდა შ. ნუცუბიძისა და მ. გოგიბერიძის საანტე-

რესო გამოკვლევები და სხვადასხვა შრომებში გამოთქმული მოსაზრებები იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობაზე. შემდგომში იოანე პეტრიწის ფილოსოფიას გამოკვლევები მიუძღვნეს პროფესორებმა — შალვა ხიდაშელმა, გურამ თევზაძემ, თამარ კუკავამ.

ზემოაღნიშნულის შემდეგ ერთგვარ ვაჟიკრებასაც კი გამოიწვევს ანტიეტრი კულტურის ცნობილი სპეციალისტის ალექსეი ლოსევის ნათქვამი: „აქ შეუძლებელია არ გაეჩხენოთ ერთი ცნობილი სახელი, რომელიც, სამწუხაროდ, აქამდე არ გამზღარა უოველი საბჭოთა ფილოსოფოსისათვის საქმარისად ცნობილი და ახლობელი, ეს არის XI-XII სს. ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომელმაც მოგვცა პროკლეს სწორედ ამ ტრაქტატის (იგულისხმება პროკლეს „თეოლოგიის პირველსაფუძემ“ მ. შ.) შემოქმედებითი გადაამუშავება და რომელმაც შეძლო პროკლეს ფილოსოფიის ღრმა ცოდნა და გაგება შეეთანხმებოდა თავისი საკუთარი ფილოსოფიური თეორიის არაფერულბერტ ორიგინალიობასა და სიღრმესთან. იოანე პეტრიწის შემოქმედების, მთელი მისი ორიგინალიობის გამოკვლევა შესაძლებელია მხოლოდ მისი თხზულების პროკლეს შრომებთან დაწვრილებითი შედარებით, რამდენადაც პეტრიწი წარმოადგება სწორედ ზვენი ტრაქტატის — „თეოლოგიის პირველსაფუძემის“ — მთარგმნელად და განმმარტებლად“. ა. ლოსევის სიტყვებში ძნელი არაა გარკვეული საყვედურის ამოკითხვა, და, რასაკვირველია, თუ ეს საყვედური შრომებზეა, იგი, უპირველესად, ფილოსოფიის ისტორიის ქართველ მკვლევარებისადმი მიმართულია.

იქნებ ქართველ მკვლევართა გამოკვლევები უცნობია ა. ლოსევისათვის და მის მიერ გამოთქმული საყვედურის მიზეზიც ესაა? მაგრამ ვისთვისაც ცნობილია ა. ლოსევის შემოქმედება, მისთვის ამგვარი ეპეი უსაფუძვლოა. ა. ლოსევი ქართული კულტურის, განსაკუთრებით კი ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიისა და ქართული რენესანსის საკითხების კარგი მცოდნეა. აღნიშნულის დასტურად იქმარება მისი „აღორძინების ესთეტიკის“ მიზმობა, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს და-

იოანე პეტრიწი, განმარტება პროკლესათვ დიაღოზისისა და პლატონურის ფილოსოფიისათვის, გამოცემილია „მბლ“. მოსკოვი, 1940 წელი (რუსულად).

თმობილი ქართული რენესანსის საკითხებს. აღნიშნულ შრომაში, როცა ა. ლოსვევი ქართულ რენესანსის საკითხებზე მსჯელობს, იგი იხილავს თითქმის ყველა გამოკვლევას ქართველი მკვლევარებისა, რომლებიც ქართული გულტურის საკვანძო საკითხებს ეხებიან. ამდენად, ა. ლოსვევის საფუძვლიანი არაა საფუძველს მოკლებული და ითანე პეტრიწის ფილოსოფიისადმი უფრო მეტი ყურადღებასაცენ მოგვიწოდებს. ჩვენი მხრივ დავამატებდით, რომ, საკმაო რაოდენობის გამოკვლევების მიუხედავად, ქართველი მკვლევარები ვალში არიან ითანე პეტრიწის — უპირველესი და უძლიერესი ქართველი ფილოსოფოსის — შემოქმედების წინაშე. რადგან სისტემატურისა ხაზით ვერ კიდევ არაფერი თქმულა პეტრიწის ფილოსოფიის სხვადასხვა მხარეებზე (ლოგიკა, ეთიკა, ესთეტიკა...).

ზემოაღნიშნულის ფონზე სიამოვნებით შეიძლება აღვნიშნოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი, რომლებსაც ბოლო 2-3 წლის განმავლობაში ჰქონდა ადგილი პეტრიწის ფილოსოფიისთან დაკავშირებით: 1. 1981 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ნაშრომში — „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები“, ნაწილი 1, შესულა ითანე პეტრიწი (ავტორი გ. თევზაძე) და დასაბუთებულა მისი ფილოსოფიის ორიგინალურობა ანალოგიის პრობლემის გადაწყვეტისას; ეს მოსაზრება მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ანალოგიის პრობლემა შუა საუკუნეების ფილოსოფიაში უმნიშვნელოვანესია და ნაკვარსია აღნიშნოს, რომ „პეტრიწის თთმა აკვირელის ეცტრალურ პრობლემად თვლის“; 2. 1982 წელს მოსკოვში, რუსულ ენაზე — „წახსელის მოზაროვნეების“ სერიით გამოვიდა პროფესორ ილია ფანცხავას „ითანე პეტრიწი“; 3. 1983 წელს ვერმანის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოცემულ ფილოსოფიურ ლექსიკონში, პლატონის, არისტოტელეს, პლატონის და სხვა გამოჩენილი ფილოსოფოსების გვერდებზე, გვეხდება სტატა ითანე პეტრიწიზე. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ლექსიკონში შესულა ქართველი ფილოსოფოსების (მ. კელიძე, შ. ხიდაშელი, გ. თევზაძე) დაწერილი სტატიები; 4. ა. ლოსვევისადმი მიძღვნილ სპეციალურ კრებულში, შესულა გ. თევზაძის სინტერესო სტატა — „ითანე პეტრიწი ადამიანის დანიშნულებას შესახებ“. ამ სტატიით პეტრიწის შემოქმედება კიდევ ერთი სინტერესო კუთხითაა წარმოადგენილი და, რაც მთავარია, მისი ფილოსოფია დღევანდელობის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი ხდება; დასაბუთოს — 5. „ფილოსოფიური შემოკიდრების“ სერიის 91-ე ტომი მიძღვნილია, უფრო სწორად ამ ტომში გამოქვეყნებულა ითანე პეტრიწის „განმარტება“, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროკლეს „თეოლოგიის პი-

რველსაფუძველზე“ დართული პეტრიწისეული კომენტარებია და ორიგინალურ თხზულებას წარმოადგენს. თარგმანი ი. ფანცხავას გუთენის, შესავალი წერილი და შენიშვნები გ. თევზაძეს, ხოლო ამ ტომის რედაქტორები არიან გ. თევზაძე და ნ. ნათაძე. ამ უკანასკნელთ მრუხდენით, აგრეთვე, თარგმნილი რუსული ტექსტის შედარება „განმარტება“-ის უძველეს ქართულ ზელნაწერთან.

„განმარტება“-ის თანამედროვე რუსული გამოცემა მრავალმხრივია საყურადღებო: 1. 1942 წლის გამოცემა შესრულებული იყო XVII საუკუნის ზელნაწერის მიხედვით, ახლანდელი კი ხელმოწერადა შედარებული „განმარტება“-ს. XIII საუკუნის უძველეს ქართულ ზელნაწერთან. აქვე შეიძლება ითქვას, რომ პროკლეს „თეოლოგიის პირველსაფუძველების“ პეტრიწისეული თარგმანის XIII საუკუნის ქართული ზელნაწერი უძველესია ამ თხზულების ყველა ენაზე არსებულ ზელნაწერებთან შედარებით; 2. თაისთავად მნიშვნელოვან ფაქტად უნდა ჩათვალოს „განმარტება“-ს გამოსვლა „ფილოსოფიური შემოკიდრების“ სერიით, რადგან ამ სერიას უკვე დიდი ხანია გამოჩენილი პოპულარობა აქვს დამსახურებული და ამ სერიით ხომ მხოლოდ გამოჩენილი ფილოსოფოსების შრომები გამოდის; 3. „განმარტება“-ს ამ ახალ გამოცემაში წამდგირებული აქვს საინტერესო მეცნიერული შესავალი წერილი — „პეტრიწის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა“ და ბოლოში დართული აქვს სათანადო მეცნიერული აპარატურით აღჭურვილი შენიშვნები (სულ 262). როგორც შესავალი წერილიდან, ისე შენიშვნებიდან ნათლად ჩანს, რომ ავტორი — გ. თევზაძე იცნობს და გათვალისწინებული აქვს თითქმის ყველა ის გამოკვლევა თუ მოსაზრება, რომლებიც არსებობს ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე პეტრიწის ფილოსოფიის შესახებ. ყოველივე ეს საფუძველს ვაძლევს წინასწარ ვანეციხდეთ: ითანე პეტრიწის „განმარტება“-ს თანამედროვე რუსული გამოცემა სრულ წარმოდგენას შეუქმნის, როგორც სპეციალისტებს, ისე დიპტირესებულ შეიხველებს ითანე პეტრიწის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე, მის წყაროებზე, კავშირებსა და გავლენებზე.

ის ეპოქა, რომელშიც მოღვაწეობდა ითანე პეტრიწი, ქართული ეკლტურის განსაკუთრებული აღმავლობით ხასიათდებოდა. ამ დროს საქართველოში ინტენსიურად ხდებოდა ანტიკური ეკლტურული შემოკიდრების ათვისება, ვაშლილი იყო დიდი მთარგმნელობითი შუშობა. მაგრამ ქართველი სწავლულები მათი მეზობელი ქვეყნების — ეკლტურის მინალწევართა ბრმა გადმოღებას როდი მიმართავდნენ. ადგილი ჰქონდა საბირისპირო მოვლენებსაც — ქართული ეკლტურის პირველ გავლენასაც, რასაც მიუთითებდა ნიკო მარი. პეტრიწის შემოქ-

მედება ლოგიკური შედეგი იყო იმპროვიზირებული ქართული კულტურის განვითარებისა. ამიტომაც სრულიად მართებულია გ. თევზაძის პოზიცია, როცა იგი პეტრიწის შემოქმედებას, მის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას, მსოფლიოს ფილოსოფიის ისტორიაში რთავს. პეტრიწის შემკვიდრებობას დიდი მნიშვნელობა აქვს შუა საუკუნეების ფილოსოფიის განვითარების გზების დასადგენად აღმოსავლეთში.

როგორც ცნობილია, ფილოსოფიის ისტორიაში არსებობდა პლატონის ფილოსოფიის ნაკადი და არისტოტელეს ფილოსოფიის ნაკადი. ფილოსოფიის ამ ორ მძლავრ ნაკადს დიდი გავლენები ჰქონდა შუა საუკუნეების აზროვნებაზე, რაც აისახა ქართულ სინამდვილეშიც. არისტოტელეს ფილოსოფიის საქართველოში არსენ იყალიბებდა, ხოლო პლატონის ფილოსოფია ნეოპლატონიკოსების მეშვეობით იკადრებდა ფეხს ქართულ კულტურაში. თუ რომელი ფილოსოფიური ნაკადი იყო იმ დროის ქართული სტელსათვის უფრო მისაღები, ამაზე პასუხი არც თუ ისე იოლია. თუ ფაქტებით ვინაყვლებით მამინ, უპირატესობა უფრო პლატონის ფილოსოფიის მიმხრეებს მიენიჭებათ. მაგრამ ეს სრულბოთაც არ ნიშნავს არისტოტელეს ფილოსოფიისადმი უპრეფერენციულ დამოკიდებულებას. ამიტომაც მართებულად მიგვაჩინა გ. თევზაძის პოზიცია, როცა იგი ფილოსოფიის ორივე ნაკადს ობიექტურად, ისტორიული თვალსაზრისით აფასებს.

გ. თევზაძის შენიშვნით, პლატონის ფილოსოფია ორი გზით შემოდიოდა ქართულ კულტურაში: არეოპაგიტური ნეოპლატონიზმი, რომლის წარმომადგენელიც იყო ეფრემ მცირე, და პროკლესელი ნეოპლატონიზმი, რომლის ძირითადი პრინციპებიც გადმოცემულია პეტრიწის „განმარტებაში“. მაშასადამე, გ. თევზაძის საინტერესო აღნიშვნით, შუა საუკუნეების ქართულ ფილოსოფიაში სამი ძირითადი მიმართულებაა: არისტოტელური (წარმომადგენელი — არსენ იყალიბელი), არეოპაგიტური ნეოპლატონიზმი (ეფრემ მცირე) და პროკლესელი ნეოპლატონიზმი (იოანე პეტრიწი).

რამდენადაც პლატონური ფილოსოფიის გავლენა მომდევნო დროის ქართულ კულტურაზე თვალსაჩინოა, ბუნებრივად, დადგენს საკითხი საქართველოში არსებული პლატონური ფილოსოფიის ორ მიმართულებას (არეოპაგიტულისა და პროკლესელის) შორის ურთიერთ მიმართებაზე. გ. თევზაძე ყურადღების აქცევს ერთ მხრად საინტერესო და მნიშვნელოვან ფაქტს: იოანე პეტრიწი, რომელიც ასე კარგად იცნობს წინამძღვალ ფილოსოფიას და მის წარმომადგენლებს, ერთბაშად არ ასენებს ფსევდო-დონის არეოპაგელს. რაში უნდა იყოს საქმე? არეოპაგიტული მოძღვრება შეუძლებელია არ სცოდნოდა პეტრიწს: ჯერ ერთი, ეს

მოძღვრება ნათარგმნი იყო ქართულად ეფრემ მცირის მიერ და მეორეც — ზეინის „წიგნების კითხვების (პირველი — ერთის) განკვეთა“ მართების არსებობისადაც. „პეტრიწი დეპოლი“...) გაგება არეოპაგეტიკისა და პეტრიწის ფილოსოფიაში ერთმანეთს ეხმარება. ამ მეტონი მნიშვნელოვან საკითხს საინტერესო ასხნა აქვს მოქმედი. გ. თევზაძის აზრით, იოანე პეტრიწს არ აკმაყოფილებდა პროკლეს არეოპაგიტური ინტერპრეტაცია და ამიტომაც უშეალოდ პირველწყაროს მიმართავდა. ამასთანავე, პეტრიწი, შესაძლებელია, გრძნობდა იმას, რაც ა. ლოსევის ასე ნათლად აქვს ჩამოყალიბებული. „საქართველოში (შემდეგში სხვაგანაც) არეოპაგეტიკები გადამწყვეტილ უშედეგზე ხელს უწყველად წარმართული სიბრძნის აღდგენას და ისინი მხოლოდ ეხმარებოდნენ გაერმაევიზიონთ და უფრო ცოცხალი გაეგადით საეკლესიო ლთისმეტყველების დოგმატიკური მოძღვრება“. ეფრემს, მართებულად იმერებს გ. თევზაძე ა. ლოსევის თვალსაზრისით, რაც არეოპაგეტიკაზე პეტრიწის ლუმილის მიზნის ასხნაც უნდა იყოს.

არეოპაგეტული მოძღვრებისადმი პეტრიწის დამოკიდებულების გარკვევის შემდეგ, გ. თევზაძე ყურადღების აქცევს „განმარტებას“ ბოლოსიტყვაობის ერთ ადგილს, სადაც პეტრიწი აღნიშნავს, რომ მას ზელი შეუშალეს, რათა „ხედავამდა ფილოსოფოსთა განკლესიად შეარისტოტელურა და ღმრთისმეტყველებად. ნეთისაგან მიუხეხელი წარმოწყევნა“. პეტრიწის ეს აღნიშვნა თითქმისა წინასწარვე მიუთითებს მისი ფილოსოფიის არისტოტელურ ხასიათზე. გ. თევზაძის სარწმუნო მისაზრების თანხმად, აღნიშნული არ ნიშნავს პეტრიწის „სრულ თანხმობას სტაგიროლთან“. მიუხედავად იმისა, რომ პეტრიწი დიდ შეფასებას აძლევს არისტოტელეს ფილოსოფიას, მისი „დიდებულის ნაწარმოებები ძირიდათში მისთვის წარმოადგენს მხოლოდ დამხმარე საშუალებებს პლატონის ფილოსოფიის იდეების დასამტკიცებლად“.

შუა საუკუნეების ფილოსოფიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, თუ როგორც ეს მოდა ამო თუ იმ მოაზროვნეს ღმერთის ცნება. ფაქტობრივად ამ გაგებას ეფუძნებოდა ამო თუ იმ ფილოსოფიის მსოფლმხედველობის მიმართულება. იოანე პეტრიწი ღმერთის გაგების ფილოსოფიურ თვალსაზრისზე იდგა, გ. თევზაძე აღნიშნავს: „ქართველი ფილოსოფოსისათვის ღმერთი საბოლოო ჯამში ფილოსოფიური კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს სიყვითის ტოლფას, ჩვენთვის მიუღწეველ პირველ მიზეზს ყველაფრისა“. ეს მოსაზრება იმ მხრითაცაა საყურადღებო, რომ უკანასკნელ ხანებში, იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობაზე მსჯელობისას, ზოგჯერ უვიდურად ცალმხრისა და მკლარ შეხედულებებს ეხდებოდათ. ამ

შეხვედრების თანახმად, პეტრიწი გამოცხადებულია მხოლოდ თეოლოგად, აჩანებლათრიკოსად და ა. შ. გ. თევზაძეს ეს თეალაზრისი, რომელიც სიდავო არაა, საფუძვლიანად აქვს დასაბუთებული და, ამასთანავე, მითითებულია პეტრიწთან ფილოსოფიის თეოლოგის მსახურად მინიჭვის თავიანთობა: „მაგრამ ეს ისეთი მსახურია, რომელსაც, კანტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩიჩაღდანი მიაქვს და გზას უჩვენებს თავის ბატონს“.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება კატეგორიულად ითქვას, რომ პეტრიწის მსოფლმხედველობა შუა საუკუნეების ძირითადი ფილოსოფიური თეალაზრისების გამოამატველია. თუი მხედველობაში მივიღებთ იმ დროისათვის რეციკალი რელიგიური მსოფლმხედველობის ერთობ პრივილეგირებულ და ვაბატონებულ მდგომარეობას, მაშინ ცხადი ვახდებ, თუ როგორი ერთგული ყოფილა იოანე პეტრიწი ფილოსოფიური პრინციპებისადმი. ამასვე უნდა აღსატრეზდეს გ. თევზაძის შეზღვევი შენიშვნა: „არაფრისგან შექმნას, ისე როგორც ღმერთის ყოვლად კეთილობას, პეტრიწი საქმოდ თავისუფალ განმარტებას აძლევს, რომელიც ძნელად შეუთავსდება ქრისტიანი ავტორიტეტების გამოანთქამებს — უყანასენებელი პეტრიწი მხოლოდ მაშინ ემყარება, როცა ეს მნიშვნელოვანია მისი პოზიციისათვის“.

იოანე პეტრიწის წინააზვალ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ სისტემაში ქრისტიანობისა და ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის (არსებითად ნეოპლატონიზმის სახით) შეგუება-შერეგების ენერგიულ ცდებს ჰქონდა აღგილი (ორივენი, არეოპაგიტაი, იოანე სკოტ ერიუგენა...), პეტრიწის ეპოქისათვის ეს ორთოდოქსულ ქრისტიანულ მსოფლმხედველობას გაბატონებულ მდგომარეობა უყავია და არც აღნიშნული „შერეგების“ ცდებია. ერთი შეხედვით, ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანობის შერეგება-შეგუების ცდები პეტრიწის ეპოქაში ისტორიის კეთილდებაა. მაგრამ გ. თევზაძის დამაჯერებელი დასაბუთებით, იოანე პეტრიწი აგრძელებს აღნიშნულ ტრადიციას და ცდილობს ეს ორი დიდი მიმდინარეობა ერთმანეთს შეუთავსოს. გ. თევზაძე აღნიშნავს: პეტრიწის აზრით, ქრისტიანული მოძღვრება, სამყაროს არაფრისგან შექმნის შესახებ, არ ეწინააღმდეგება ემანიტორ პრინციპს (ემანიტიზმი — სამყაროს გამომდინარეობა პირველ-მიზეზზედა აუტონომლობის საფუძველზე, ნეოპლატონიზმის არსებით პრინციპად იქცა მ. შ.); „პეტრიწი მოციქულ პავლეს მოძღვრების თავისუფალ ინტერპრეტაციას ახდენს, რათა აჩვენოს ნეოპლატონიზმის პილებს შესაძლებლობა რეციკალი ქრისტიანული დოქტრინებისათვის“; პეტრიწი ამ დოქტრებს პროლეგუელი ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანული თეოლო-

გის სრული შეთავსებადობის დასაბუთებლად იყენებს“.

შუა საუკუნეების მსოფლმხედველობის მდინარეობებში დიდად აქტიური იყო საკითხი სიყეთისა და ბოროტების დამოკიდებულების შესახებ. ნეოპლატონური ფილოსოფიის უდიდეს წარმომადგენელთან — პლოტინთან სიყეთე აბსოლუტური პრინციპია, ხოლო ბოროტება არასუბსტანციურია. მაგრამ პლოტინთან ბოროტებას ვარკვეული პოზიტიური მნიშვნელობა ვაჩნია და იგი დაშვევლია, რათა სიყეთის „დასი“ ვავიგოთ (პეგელი, ცეღერი). ნეოპლატონიზმის მეორე დიდი წარმომადგენელი — პროკლე ბოროტების ყოველგვარ მნიშვნელობას აუქმებს. ეს პრინციპი უფრო ვაშვევლია ფსევდო-დონისვე არეოპაგელმა და დამაქვიღრა იგი ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში. იოანე პეტრიწი იზარტებს ამ თეალაზრისს და, გ. თევზაძის მართებული შენიშვნით, ამას აკავშირებს ბიბლიურ თქმულებასთან ყველაფრისადმი აღამიანის სიყვარულის შესახებ (შესაქმე, 1, 26). პეტრიწი ამით აგრძელებს ჰუმანისტურ ტრადიციას, ხოლო „სამყაროსადმი ასეთი მიმართების ფილოსოფიურ დაფუძნებას ხედავს ბოროტების არასუბსტანციურობისა და სიყეთის აბსოლუტურობის თეორიაში“.

საკუთრივე სიყეთის მონიშნისა და ბოროტების არასუბსტანციურობის თეორიას ის ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ბოროტების არასუბსტანციურად გამოცხადება მისი საბოლოო ვაუქმების შესაძლებლობას უშვევდა. ეს თეალაზრისი იმ ეპოქისათვის მოწინავედ და პიოგრესულად უნდა ჩაითვლოს და ასეცა აღიარებულა. აღენდა, იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობა ამ მხრისაკა მნიშვნელოვანი და მწელი არა იმის დანახვა, რომ იგი ამ საკითხში თავისი ეპოქის პროგრესული მსოფლმხედველობის დონეზე დგას.

ამ ბოლო დროს, გ. თევზაძის მიერ ვაწეული კვლევა-ძიების შედეგად, ცხადი ვახდა პეტრიწის მსოფლმხედველობის მნიშვნელობა თანამედროვეობის პოზიციდანაც. საუბარი ეხება აღამიანის პრობლემას პეტრიწის ფილოსოფიაში, რაც ვამოწეულია აქვს შესწავლით. გ. თევზაძეს და აქ ამის შესახებ საუბარს აღარ ვავაგრძელებთ. აღენიშნავთ მხოლოდ, რომ, გ. თევზაძის აზრით — „შესაძლებელია, ის (პეტრიწი, მ. შ.) ერთი პირველთაგანი იყო შუა საუკუნეების ფილოსოფოსთაგან, რომელიც აღნიშნული პრობლემის (აღამიანის პრობლემა იველისხმება, მ. შ.) თეორიულ ასპექტს აკავშირებდა რეალური აღამიანის, როგორც მოცემული ხალხის კონკრეტული კულტურის წარმომადგენლის დანიშნულებასთან“ (გვ. 20).

ამ გამოცემაზე დართულ შენიშვნებში, რომლებზედაც ნაწილობრივ უკვე გვქონდა საუბარი, პეტრიწის ფილოსოფიის სიღრმესთან

ერთად, ნაჩვენებია ის შეცდომები, რაც შეინიშნება „განმარტებაში“, სინამდვილე არ მავალით განვიხილავთ. პეტრიწი იზიარებს პლატონისა და პროკლეს თვალსაზრისს აუცილებლობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ბელისწერასთან. პეტრიწი უწევს, რომ ამავე აზრისა იყო პლატონი. გ. თევზაძის შენიშვნით, ეს სიმაართეს არ შეესაბამება, რადგან პლატონსა და არისტოტელესთან აუცილებლობის არსებობა განპირობებულია ღმერთისაგან დამოუკიდებელი მატერიის დამყვანობით.

მეორე მაგალითი: პეტრიწი ასახელებს შემეცნებელი პირველი მატერიის წარმოშობას პირველი ერთისაგან და ფიქრობს, რომ ამ საკითხში მიყვება პლატონს. ეს, გ. თევზაძის შენიშვნით, არ შეესაბამება პლატონისა და არისტოტელეს ონტოლოგიურ დოქტრინას — „აქ პეტრიწი თავისი ეპოქის ისეთი ფილოსოფოსების შეცდომას იზიარებს, როგორც იყო, მაგალითად, თომა აკინაღლი. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელს არისტოტელისაზე კი ნეოპლატონური იყო“.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ გამოცემაზე დაბრუნდნის შემთხვევაში გამოშვებულია პეტრიწის ფილოსოფიასთან დაკავშირებული ყველა ნიშნის. ბევრ ადგილს ნახვენიძე, თუ რას და ვის გულისხმობს ამა თუ იმ მსჯელობაში პეტრიწი. ყველაფერი ეს კი უშუალოდ პეტრიწის ტექსტიდან როდი ჩანს. პეტრიწი ხშირად მიმართავს პლატონის დიალოგების პერსონაჟებს (მაგალითად, პარმენიდესს, ზოგჯერ კი უშუალოდ ამ პერსონაჟის მსოფლმხედველობას ეხება. პეტრიწის ტექსტში ყოველთვის ვერ ხერხდება იმის გაგება, თუ ვინაჟაეის მხედველობაში კონკრეტულად, მაგალითად, პლატონის დიალოგის პარმენიდეს თუ უშუალოდ პარმენიდეს და ა. შ. შენიშვნებიდან კი ყველაფერი ნათელი ხდება. ასეა სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც.

გამოცემის შენიშვნებში გაანალიზებულია და დასაბუთებულიაა გავრიტაძეების ცნობილი ინგლისელი მკვლევარის — ე. დოდსის მოსაზრება, რომელიც ფიქრობდა, რომ ქართული ხელნაწერის ნაკლებდრეხული და საეჭვოა გამოდგება პეტრიწის ორიგინალის აღსადგენად. ამ კრიტიკისა, გ. თევზაძე ემყარება ნიკო მარის თვალსაზრისს, საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც შესავალ წერილში, ისე შენიშვნებში იგრძნობა დიდი ანგარიშის გაწევა უკვე არსებული მოსაზრებისადმი (ნ. მარი, გ. ნუცუბიძე, ა. ლოსკვი, ე. დოდსი, ს. ყუუზხიშვილი, და ა. შ.), რაც უდავოდ მისასალმებელია.

შენიშვნელოვანია მიგვანია გ. თევზაძის დასაბუთებული მოსაზრება ნეოპლატონიზმის, ანთოპოკრეტული მოძღვრებისა და პროკლეს მსოფლმხედველობის ვალენის შესახებ ქართულ კულტურაზე (შეფთვლი, ჩიხრუბაძე, რუს-

თაველი, გვ. 265, შენ. 194). ეს მოსაზრება, რომელსაც სისტემის სახე შ. ნუცუბიძემ მისცა, უკანასკნელ ხანებში, ზოგიერთ მკვლევარს მიერ ყოვლად უსაფუძვლოდ იქნა ეჭვქვეშ დაყენებული. ვფიქრობთ, რომ ფილოსოფიის ისტორიის კარგი მცოდნისა და პეტრიწის ფილოსოფიის მკვლევარის — გ. თევზაძის ამ მოსაზრებას გვერდს ვეღარ აუვლიან ქართული კულტურის ისტორიის მკვლევარები.

საერთოდ კი, შესავალ წერილსა და შენიშვნებში გატარებული თვალსაზრისი პეტრიწის ფილოსოფიაზე, მის დამოუკიდებლობაზე, ნეოპლატონიკოსებსა და შინიშვნელობაზე ქართული კულტურისათვის, არის იმ ტრადიციის გაგრძელება, აკად. შ. ნუცუბიძემ რომ დაუღო საუფუძვლოდ ქართულ მეცნიერებაში. ამასთანავე, გ. თევზაძის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი და დასაბუთების შინიშვნელოვანი ხარისხი სიტყვაა ქართულ ფილოსოფიაში, ამ მოსაზრებათა საფუძველზე ითანე პეტრიწის ფილოსოფია ახალი კონიხით წარმოიხდა (ანალიზის პრობლემა, მოძღვრება ადამიანის დანიშნულების შესახებ, ტრისტინაბისა და ნეოპლატონიზმის შეფუძვლის ცდები და ა. შ.), რაც კიდევ ერთხელ ნათელს ხდის თუ რა მნიშვნელოვანი ფილოსოფიის იყო ითანე პეტრიწი.

გვეჯს კონკრეტული ხასიათის შენიშვნები:

1. შენიშვნა თარგმანს ეხება. რუსული გამოცემის შესავალში ვკითხვობთ: „...სილოგისმების ძალით დავასაბუთოთ ამ ერთის არსებობა“ (გვ. 26). პეტრიწის ქართული ტექსტი კი გვაქვს ნიშნის: „პირველად რაათა ერთი წარმოაჩინოს, თუ არს ერთი, და აქულებათა თანაშესიდეუათაჲს აღმოაჩინოს ესე მრავალი საქადავო ერთი.“ (განმარტება გვ. 3). ვფიქრობთ, აქ პეტრიწი სილოგისმების ძალაზე კი არ ლაპარაკობს, არამედ სილოგისტურ აუცილებლობაზე და, აღნათ, ასე უნდა უფიციფო ტექსტი: „სილოგისტური აუცილებლობით დავასაბუთოთ ამ ერთის არსებობა“.
2. 156-ე შენიშვნაში საუბარია იმის შესახებ, რომ ბასილი დიდმა არისტოტელეს „პრეტორიებიდან“ იღო თვალსაზრისი — „ბოროტება არის სიკეთის არყოფნა“. ამავე აზრს იზიარებდა ითანე პეტრიწი და თომა აკინაღლი. ჩვენი აზრით, აქ კარგი იქნებოდა ჩვენება იმისა, რომ პლოტინთან, პროკლესთან და არეოპაგიტაქაშიც ბოროტება სიკეთის არყოფნაა, მაგრამ ეს თვალსაზრისი ნეოპლატონიკოსებთან (და პეტრიწთანაც) იმ სპეციფიკურობით ხასიათდება, რომ ბოროტების არსებობსტანციურობის თვალსაზრისში გადადის. ეს კი საბოლოოდ სრულყოფილი სახით ვერ ზორციელდება აკინიელთან. აკინიელს ცხადია განსხვავება პეტრიწისა და აქინიელის თვალსაზრისთა შორის აღნიშნულ საკითხში.
3. 174-ე შენიშვნაში აღნიშნულია, რომ ამაჟ-

საგორას პრინციპი — „ყველა უველაფერში“, გვხვდება არეომაგიტიაში და მისი მეშვეობით კი გადასულია მისტერ ექპარტთან. აქ სასურველი იყო პლოტინზე მითითებაც, რადგანაც არეომაგიტიაში მოცემული თვალსაზრისი — ღმერთი „ყოველთა შორის ყოველ არს“, პლოტინის ამგვარსავე მოსაზრებიდან უნდა მომდინარეობდეს. ამასთანავე, ცნობილია ისიც, რომ პლოტინის ამ თვალსაზრისის დიდი გავლენა ჰქონდა ჯორდანოს ბრუნოს ფილოსოფიაზე.

4. შესავალში აღნიშნულია, რომ შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში ერთმანეთს შეეჯახა არეომაგიტული ნეოპლატონიზმის და პროკლეს „წარმართული იდეალიზმი“-ს აშკარად გამოყენება, რომელიც წარმოდგენილი იყო პეტრიწით (გვ. 4). ამასთანავე, თანდათანობით ძლიერდებოდა პეტრიწის ფილოსოფი-

ური მსოფლმხედველობის მნიშვნელობა (იქვე). ვერ გავიზიარებთ არეომაგიტონისა და პროკლეს „წარმართული იდეალიზმის“ (პეტრიწის სახით) ასე დაპირისპირებას, რამდენადაც არეომაგიტიაც დიდადაა დავალებული პროკლეს ფილოსოფიისაგან. ასევე სადავო უნდა იყოს აზრი პეტრიწის ფილოსოფიური შეხედულებების მნიშვნელობის გაძლიერებაზე არეომაგიტულთან შედარებით.

დასასრულს კი გვიჩინოვოთ წერილის დასაწყისში ნათქვამი: იოანე პეტრიწის „განმარტებას“ „ფილოსოფიური მემკვიდრეობის“ სერიით გამოსვლა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული კულტურისათვის. ეს უკვე ნიშნავს, რომ იოანე პეტრიწის ფილოსოფიის გზა ვაეხსნა, როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი მკითხველისათვის.

მინილი მახარაძე

● რედაქციის მხარატი:
თბილისი, რუსთაველის პარსპექტი, № 12.

● ტელეფონები: რედაქციის — 92-55-11,
მთ. რედ. მოადგილის — 92-55-12, პ/მგ. მდივანის და განყოფილებების — 92-55-15; 92-55-17,
92-55-20.

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1984.

გადიცეა ასაწყობად 10. 09. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 10. 84 წ. ანაწყობის ზომი 7¹/₄X12, ჭალაღდის ფორმატი 70X108, ფო-ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 06775. ტირაჟი 35.000. შუე. 2022. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლე-ნინის ქ. № 14.

8560 80 333.


062036011063211
76388-001010336

741/9

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ